ნანა ჩიჩუღიშვილი

რჩეული წერილები



ლიტერატურული დისკურსები

თბილისი
2019

რედაქტორები: როინ ჭიკაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საპატიო პროფესორი

რეცენზენტები: ინგა მილორავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ნინო კოჭლოშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

გამოცემის
რედაქტორი მარინე მარკოზაშვილი

ტექნიკური
რედაქტორი ალექსანდრე კუზანაშვილი

გარეკანის
დიზაინი გია რჩეულიშვილი

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა
გამომცემლობაში „სვეტი“

© ნანა რჩეულიშვილი. რჩეული წერილები. ლიტერატურული დისკურსები.
ISBN 978-9941-9669-5-8

კლასიკოსთა გაკვეთილების კვალდაკვალ

1991 წლის 14 დეკემბერს თელავში გაიმართა იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამ კონფერენციის შემდეგ თელავის პედინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა როინ ჭიკაძემ, ქართული ენის კათედრის გამგემ, პროფესორმა ივანე ქეშიკაშვილმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ბესარიონ ჯორბენაძემ და დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა გადაწყვიტეს, რომ ამ ტიპის კონფერენციები ტრადიციად ექციათ და გაზაფხულობით ჩაეტარებინათ თელავში. გადაწყდა, „თელაურ კონფერენციებს“ „კლასიკოსთა გაკვეთილები“ დარქმეოდა.

„კლასიკოსთა გაკვეთილები“ გრძელდება. ის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კვლევით სფეროში. აქ წარმოდგენილი მოკრძალებული გამოკვლევები სხვადასხვა წლებში „თელაურ კონფერენციებზე“ წაკითხული მოხსენებებია.

„იდუმალ კოშკში ფანტაზია დავსვი დედოფლად...“

(კონსტანტინე გამსახურდიას პოეზიის შესახებ)

კონსტანტინე გამსახურდია იმ ბედნიერ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედებაც არ ცნობს პოეზიისა და პროზის საზღვრებს. მის ნებისმიერ პროზაულ ნაწარმოებში მთელი ძალით ბატონობს პოეზია. მაგალითად კი „ხოგაის მინდიას“ დასახელებაც კმარა, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება, როგორც ნამდვილი შედევრი ქართული პოეტური პროზისა.

პირველი პოეტური ცდები კი მწერლის შემოქმედების ადრეულ ეტაპს ეკუთვნის. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი წმინდა ეროვნული პოეტური ხელოვნება უცხო გარემოში ჩამოყალიბდა. ხოლო გარემო, – XX ს-ის მღელვარე ევროპული ინტელექტუალური სივრცე, უეჭველია, დიდ ზეგავლენას ახდენდა მეოცნებე ჭაბუკის სულიერ სამყაროზე.

კ. გამსახურდია ერთ-ერთი პირველი ქართველი შემოქმედი იყო, ვინც დასავლურ ცივილიზაციას ეზიარა XX ს-ის გარიჟრაჟზე, ვინც ყველაზე ახლოს მივიდა სამყაროს ახლებურ ფილოსოფიურ ჭვრეტასთან და გაიაზრა ადამიანის განუსაზღვრელი როლი ამ სამყაროში. იქნებ ამიტომაც, მის პოეტურ ქმნილებებში ჩანს ქართულ ტრადიციულ ნიადაგზე აღმოცენებული ყველა მნიშვნელოვანი თემა, რომელიც ძალას იკრებდა იმდროისათვის მოწინავე ევროპულ სივრცეში.

„ლექსი დიდი სკოლაა რომანისტისა და ნოველისტისათვის. მსოფლიო პროზის უდიდეს კორიფეებს თავის

დროზე საკმარისი სკოლა ჰქონდათ გავლილი ამ მხრით. ლექსი, უწინარეს ყოვლისა, სიტყვის ეკონომიას აჩვევს მწერალს. ასე, რომ ჩემი ლექსები და პოემები მე ჩავთვალე, როგორც წინასწარი ვარჯიშობა, ჩემი ნოველებისა და ეპიური ქმნილებებისათვის გაწეული", – ასეთ შეფასებას აძლევდა მწერალი თავის პოეტურ ნაღვაწს წლების შემდეგ, საკუთარ შემოქმედებაზე საუბრისას.

მწერლის თხზულებათა ათტომეულის VI ტომში (1980 წ.) გამოქვეყნებული 26 ლექსიდან უმრავლესობა საზღვარგარეთაა დაწერილი. პერიოდში, როდესაც სამშობლოდან გადახვეწილი ჭაბუკი განსწავლის გზაზე, საკუთარი ხმის ძიებაში, იმდროისათვის მოდური ექსპრესიონისტული ფორმებითა და გამომსახველობითი საშუალებებით მოხიბლული, ერთმანეთს უხამებდა რომანტიკულსა და რეალისტურ აზროვნებას. ამ ლექსებში ჩანს განცდათა სიღრმე, იდუმალი ინტიმი, რიტმისა და რითმების საოცარი სიმდიდრე.

ჩვენს მიერ განხილულ ლექსებში შეინიშნება თემატური თუ მხატვრული ოსტატობის ყველა ის ნიუანსი, რომელიც საერთო ნიშანდობლივი იყო XX ს-ის დასაწყისის ქართული თუ ევროპული მხატვრული აზროვნებისათვის. ამ ნიშნით გამოიკვეთება ისეთი მცირე თემატური რკალები, როგორიცაა: რომანტიკულ-სიმბოლისტური (მთვარისა და ღამის სიმბოლური სახეები, ხშირად რჩეული მეტაფორებით გადმოცემული), ურბანიზაცია და მისი გავლენა ადამიანის სულიერ განწყობასა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე (დიდი ქალაქების თემა), მწვავე ნოსტალგია მშობლიური სანახებისა და ადამიანების მონატრებით გამოწვეული (რექვიემის სტილში), ქალისა და მისი სიყვარულის კულტი და სხვა.

გამსახურდიას პოეზიას თავისი ლირიკული გმირი ჰყავს, ხან მეოცნებე, მებრძოლი, ძლიერი ოპტიმიზმით სავსე, ხანაც იჭვნეული, ამქვეყნიურ რეალობას მოწყვეტილი, მაგრამ მაინც ჯიუტად მოაზროვნე, იდუმალ სამყაროში მოხეტიალე რაინდი: ამ სამყაროს დედოფლად კი ფანტაზია მოიაზრება. ასეთია პოეტისეული აზრი, მისივე სიტყვებით:

„იდუმალ კოშკში ფანტაზია დავსვი დედოფლად,
მას ჩემი ლანდი სასიძოდ ჰყავს, მისივ მხლებელი“ ...

რომანტიკულ-სიმბოლისტური განწყობით გამოირჩევა 1918 წ. შემოდგომაზე ბერლინში დაწერილი ლექსი „ნოემბრის ქარი“. ამ ლექსის გერმანული თარგმანი 1919 წელს ბერლინურ ჟურნალ „ახალ აღმოსავლეთში“ დაბეჭდილა, რაც მის ღირებულებაზე მიუთითებს.

„ნოემბრის ქარი მიეხალა ღამით მავთულებს,
ნოემბრის ქარმა დაიხია მავთულზე კალთა.
ავმა ბერკაცმა გადაიცვა მათხოვრის ხალთა,
და უკაკუნებს მაღალ ფანჯრებს, მაღალ სართულებს“.

ლექსი ქართული პოეზიისათვის ასე ნაცნობი ქარის ახალი მეტაფორული სახეებით იქცევს ყურადღებას: „ავი ბერკაცი“, „სტუმარი მიუწვეველი“, რომელმაც „დაიხია მავთულზე კალთა“ და რომელიც „გათოშილ თითებს მავთულებზე ათამაშებს“. ქარი ყველგანაა, ქარი – ყველაფერშია, ქარი – ჯადოქარია. ქარი – „სტუმარი მიუწვეველი“ ასოცირდება ლირიკული გმირის გულში ბინადარ „უსიტყვო დარდთან“, მხოლოდ ისინი ერთმანეთს არ გადაკვეთენ არსად. პირიქით, აცხადებს, რომ ეს სასტიკი „დემონი“ მას ვერ შეაშინებს.

რაც შეეხება ღამის სიმბოლურ სახეს ლექსში „მე ვარ

სარანგი ღამისა“, თუმცა არქიტექტონიკით განსხვავდება გ. ტაბიძის ლექსისაგან „მე და ღამე“, მაგრამ იდენტურია იდეური განწყობით. რეფრენში, რომელიც ლექსის ყველა ტაეპს გასდევს – „მე ვარ სარანგი ღამისა“, გადმოცემულია ღრმა ინტიმური განცდა ღამის სიმბოლური სახის მიმართ. მის პარალელურად ჩანს ახალი მეტაფორული სახეები: ღამე არის: „მწვანე მანდილოსანი“, „იდუმალი მგოსანი“, „ღვთაებრივი ატამანი“, „სიძე ანაზდეული“, „ნაღვლიანთა მაცხოვარი“, და ბოლოს განაცხადი: „მხოლოდ ღამეს ვახსოვარ“, რომელიც გალაკტიონის სიტყვებს მოგვაგონებს:

„ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე,
მე და ღამე, მე და ღამე...“

გრიგოლ რობაქიძის პოეტური სახისმეტყველება. მზის მისტერია

„მთელი მსოფლიოს იდუმალება დამარხულია სიტყვის სამკაულში“ – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი სტეფან მალარმესადმი მიძღვნილ კრიტიკულ წერილში. სამყაროს იდუმალებაში წვდომა ხომ არაერთი ფილოსოფიური და ლიტერატურული მიმდინარეობის მთავარი საზრისი იყო. მათ შორის, „ცისფერყანწელთა“ ორდენის წარმომადგენელთათვის, რომელთა დაუცხრომელი სწრაფვა „სიტყვების სამკაულებით“ აეხსნათ „მსოფლიო იდუმალება“, ხშირად მისტერიებში იკარგებოდა.

დაბრუნება პირველყოფილი ანიმიზმის უშუალო განცდებთან, პოეტურ აზროვნებაში ბადებდა უამრავ ხილულსა თუ უხილავ სახეს. ახალი“ მითის ქმნადობა“ კი მოდერნისტების შემოქმედებას ერთგვარ მისტიურ ხასიათს აძლევდა, რაც საშუალებას იძლეოდა მთელი კოსმიური სამყარო ერთ მთლიანობაში აღქმულიყო. პოეტური ხელოვნების ამგვარ გააზრებას ვხედავთ „ცისფერყანწელთა“ ყველაზე ერთგული მეგობრისა და თანამზრახველის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში. ამ მხრივ, ის ერთგვარ მეტრადაც კი მიიჩნეოდა მხატვრული სიტყვის იმ პერიოდის ოსტატთა შორის. „მოაზროვნე“, „ესთეტი“, „დიდი პოეტი“, „ახალი რქანაყარი ვენახი“ (პავლე ინგოროყვა) თავგამოდებით შეებრძოლა ქართული სიტყვის „სიბერწეს“ და შექმნა ახალი პოეტური სამყარო, საოცარი მხატვრული სახეებითა და იდუმალი სიმბოლიკით სავსე. ამ სამყაროში პირველქმნილი სახით ბრწყინავს მზის დაუცხრომელი მისტერია.

მზე, კოსმიური სამყაროს ეს გიგანტური სახე, გახდა

გრიგოლ რობაქიძის პოეტური გზნების ნაყოფიერი წყარო, რომლის ქვეშ იბადება, მრავლდება და კვდება ყოველი სულიერი არსება. ბუნების მუდმივი განახლების ამ პროცესმა მწერლის შემოქმედებაში უამრავი მხატვრული სახე მოირგო, არა ქაოტურად, არამედ საოცარი თანამიმდევრობით. შედეგად, „მისტერია მზის“ (ამავდროულად, გრ. რობაქიძის ლექსის სათაური), სინამდვილიდან გადმოსულ უძლიერეს მხატვრულ სახედ იქცა. ეს სახეა მზე,, აპოკალიფსური მცხუნვარებითა და მაგიური ძალით სავსე. მზის აპოლოგია თანაბრადაა დამახასიათებელი, როგორც მისი პოეზიის, ისე პროზაული ქმნილებებისათვის. რობაქიძის ქრისტიანული მრწამსი, წარმართული სარჩულით, მზის მხატვრულ სახეს განიხილავს, როგორც ღვთაებას, დედამიწის გამნაყოფიერებელსა და სიცოცხლის დასაბამს. აქ რეალურად ცოცხლდება ძველეგვიპტური მითოლოგიური რწმენა მზის ღვთაებისა, რომლის სახელიც – „რა“, ერქვა ძველი ეგვიპტის პირველ ფარაონს. მზეს ყოველთვის საპატიო ადგილი ეკავა წინარექრისტიანული ხანის ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონშიც . უფლის სადიდებლებში, სადაც სრულადაა წარმოდგენილი ღვთაებრივი ტრიადა, მზესა და“ მზის მყოლ ანგელოზთ“ მეორე ადგილი აქვს მინიჭებული („დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, მზესა, მზის მყოლთ ანგელოზთა, დიდება დიდ კვირაეს, ანგელოზთ მეუფროსეს...“).

გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოქვეყნებულ წერილში პავლე ინგოროყვა ხაზგასმით მიუთითებდა მზის სახისმეტყველების მაგიურ ძალმოსილებაზე რობაქიძის პოეზიაში: „... აქ არის მოცემული განუმეორებელი გზნება მზისა, როგორც ცეცხლოვანი დრაკონის“. მზე,

მთელი თავის ბრწყინვალებით ელვარებს გრ. რობაქიძის პოეტურ ნააზრევში, როგორც წყარო ახალი სიცოცხლის ჩასახვისა და დაბადების, დიდი გატაცებისა და გახელებ-ის. „მზისგან იშვის სხივი და ნივთიერი იღებს სახეს... მზე სათავეა სინათლის, რომელიც სიბნელეს ებრძვის, „– შენიშნავდა გრ. რობაქიძე წერილში „მზის ხანა საქართ-ველოში“. შემთხვევითი არაა ის ფაქტიც, რომ „მზის ნარ-ქენი“ ეწოდება პოეტურ მისტერიას დრამიდან „კარდუ“, სადაც ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა პოეტის გატაცება ყივჩაღური თემით („ეს იყო ყივჩაღეთს, ვეფხების თვე-ში“). ეს თემა ერთ-ერთ ძლიერ მხატვრულ საშუალებად იქცა დიდი ვნებათაღელვისა და შინაგანი სულიერი წვის აპოთეოზის გადმოცემისათვის. შევნიშნავთ, რომ „მზის ნარქენი“, მასში გამოხატული დაუცხრომელი სწრაფვით ირეალური სამყაროსაკენ, ცხენთა საოცარი გახელებით, მისტიური სახეებითა და ქვეტექსტებით, ქართულ პოე-ზიაში ყველაზე ახლოს დგას გალაკტიონის „ლურჯა ცხენებთან“.

ახალი პოეტური სახეებითაა დატვირთული კოსმიური სამყაროს ეს ცხელი მატერია რობაქიძის ლექსში „დიდი შუადღე“:

„ყარამფილს აბნევს მზის ტევრების ნელი კალმახი...
და სიყვარულით ბნედას გვაყრის მზის ავი ტევრი“.

ქართულ პოეზიაში ალბათ ძნელად მოინახება მხატ-ვრული სახე ისეთი გამორჩეული და იმავდროულად იმპო-ზანტური არსებისა, როგორიც აქლემია. უდაბნოს შვილი, თავადაც უდაბნოსავით გამომშრალი, ერთდროულად რამდენიმე განსხვავებულ თვისებას ატარებს, რომლებიც აუცილებლად მზის ნიშანთანაა ასოცირებული. ასეთმა უცხო ხასიათმა უამრავ უჩვეულო შედარებასა და მეტა-

ფორაში ჰპოვა გამოხატულება:

„მზის კევრზე მოჩანს აქლემი – როგორც უდაბნოს ქიმერა“ („მზის კევრი“).

მხოლოდ რობაქიძისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ხერხებს ვხვდებით ცნობილ ლექსშიც „ტანს გეტმასნება... „ზმანება ოცნების „სხეულმზიანი“ ქალწულისა, შემოდგომისას, როდესაც მწიფობს ბუნება და ჰაერიც გაჟღენთილია მათრობელა სურნელით, მამრის არსებაში აღვიძებს პირველყოფილ ვნებას, რომელიც ყველა წინააღმდეგობას გადალახავს საწადელის მისაღწევად. ეს უმაღლესი გრძნობა, მამრისა და მდედრის ურთიერთლტოლვაში გამოხატული, სამყაროს აღქმის უმნიშვნელოვანეს ნიშნადაა მიჩნეული: „აგამზეურებ, როგორც შუბის ტარს ირუბაქიძის...“

მზის მისტერია სხვა მასშტაბით გრძელდება გრიგოლ რობაქიძის რომან „გველის პერანგში“. პოეზიისაგან განსხვავებით, პროზაულ ქმნილებაში მზე სამყაროს არსებობის ცენტრია, მისი მამოძრავებელი ძალა. ადამიანის ცხოვრებაში მას მაგიური დანიშნულებაც აქვს. როგორც ჩანს, მზის ნიშანი მიუთითებს ბუნების იდუმალ ძალებთან წილნაყარობაზე. რომანის მთავარი გმირის, არჩიბალ მეკეშის წინაპარს, დიდ თავად ირუბაქ ირუბაქიძეს ხომ „მკერდის შუაგულს ხალი ჰქონდა: მზის ნიშანი, გვარის დაღიაო – ამბობდა... „ირუბაქიძეთა გვარიც უშუალო კავშირშია მზის ამოუცნობ ნიშანთან – „მისი გვარი მზის თესლისაა; მზესავით ცხელი – მზესავით ნათელი – მზესავით გახელებული – მზესავით მართალი“.

მზე რობაქიძის რომანში მაგიურ ძალას ფლობს. ის ბატონობს თვით დროსა და – სივრცეზე, ამასთან, ცაზე მდგომარეობის შეცვლასთან ერთად, იცვლება მისი მოქ-

მედების ძალა და გავლენა ბუნების ყველა სულიერზე – „მზე დროს აჩერებს თითქო, განზეა ყოველი. მძაფრია მარტოობა მზის დაყუდების ჟამს“.

კიდევ უფრო მძაფრია ჩამავალი მზის განცდა („მზე ჩადის, როგორც ავარვარებული თასი... მზის ჩქერი ქვავდება ლუშად...“). დაისი თავისთან იწვევს წარმავალ სიცოცხლეს („მოხუცი ხედავს მზის ჩასვლას, – მეც ჩავალ... – მოხუცის ფიქრი ნელია“). მზის მისტერიის ჟამს ხდება ბუნების დიდი საოცრება, ხელახალი შობა ბიბლიური არსების, გველისა,“ ... და იხდის პერანგს ცხელ რიყეზე რქიანი გველი“ („მისტერია მზის“)

ასტრალური სხეულების: მზის, მთვარისა და დედამიწის მისტერიულ სახეებში წარმოსახვა-გააზრება გრიგოლ რობაქიძის პოეტური ხელწერის მთავარი ნიშანია. მისი კონცეპტუალური ანალიზი იძლევა გარანტიას, რომ მწერლის პიროვნებაში შევიცნოთ ადამიანი, რომელმაც შეძლო სამყაროს ირგვლივ ღრმა ცოდნის დაუფლება, განდობილი, რომელიც ქვეცნობიერში ფლობს მაგიური ძალების ხელოვნებას და რომელსაც არა მარტო მისი ამოცნობის, არამედ ამ პროცესების წარმართვის უნარიც გააჩნია.

... ჟამმა კალამი დამიტუსაღა...

(ლევან გოთუას ლირიკული პორტრეტი)

ის მე-20 საუკუნის პირმშო იყო... იმ საუკუნის, რომელმაც ყველაზე მეტად შებოჭა ადამიანის თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნება და საბჭოურ იდეოლოგიად აქცია იგი. ამგვარად ჩამოყალიბებულმა „ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა“ შექმნა „ერთგვარი ლიტერატურული ნარკოტიკი, რომელიც აავადებს ადამიანს და იწვევს ყველაზე მძიმე ფორმის სენს – გონებრივ გადაგვარებას, როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთელი საზოგადოების (აკ. ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერება“, 1990წ; გვ. 68). მძიმე „სენის“ მსხვერპლი შეიქმნა არაერთი თავისუფლად მოაზროვნე შემოქმედი. მისი დამანგრეველი გავლენა განიცადა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის, ლევან გოთუას ცხოვრებამ და შემოქმედებითმა მემკვიდრეობამაც.

საგულისხმოა ლევან გოთუას პოეტური პორტრეტი, მისი პირადი წერილებისა და ლირიკული ლექსების მიხედვით, ლექსების, რომლებიც საპატიმროს ცივი კედლების მიღმა იწერებოდა. ნარიმისა და ბიისკის ბანაკებში ყოფნის მძიმე დღეები და მასთან დაკავშირებული სულიერი განცდები ხან – პირად ბარათებად, ხან – კი, მგრძნობიარე პოეტურ სტრიქონებად ყალიბდებოდა და ასე აღწევდა მშობლიურ ქალაქს. ოჯახის წევრებისადმი მოწერილმა პირადმა წერილებმა შემოინახა მწერლის ცხოვრების ისტორია, – მკაცრი და დაუნდობელი. პირად ბარათებს ხშირად თან ახლდა ლირიკული ამონაკვნესები, მძიმე ემოციური განწყობით შეფერილი ლექსები, ზოგჯერ გაუ-

რანდავი, ნახევრად გარითმული, მაგრამ საოცარი ძალით გაჯერებული, იმ ძალით, რომელიც ყოველთვის იყო ქართული ლექსის თანამდევი.. მძიმე განცდითაა დაწერილი ძმის, სანდროსადმი, 1933 წელს, ციმბირიდან გამოგზავნილი ბარათი: „შევცქერი შავი ღრუბლით მოჭედილ ჩრდილოეთის ცას. ძლიერ შორს, ღრმა ნისლის უკან, ჩემი სანუკვარი სამშობლოა... როდის გამოიდარებს, არ ვიცი, მაგრამ, მაინც არის ლოდინი სასწაულად და შემზარავად... „ (თავგადასავალი ლევან გოთუასი; გვ. 142). იგივე ღრმა ემოციები იშლება ამ პერიოდში დაწერილ ლექსებში, სადაც, ხან ფრაგმენტულად, ხანაც ეპიკური სიდინჯითაა მოთხრობილი ციმბირის უკაცრიელ ბუნებაში მარტოსული ადამიანის სულიერი ტანჯვა:

„ზამთარში თოვლი და ნაშალაი ყორდიანი
და ყინვის თაღიდან მზა კარაჭინები.
ზაფხულში – ლოპერას ჰბარდნიან კოლონი
და უნაპიროა ქარების ჭენება.
ნავი და მარხილი, საჭე და სადავე
და ობი დარხეულა საიდან სადაო!?“

ლექსის მხატვრული მხარე, გადმოცემული რთული ხატოვანი ფორმებით, მკაცრი კონტრასტული სახეებითა და არაზუსტი, ნებისმიერი რითმებით, საოცარ ექსპრესიას აღწევს მკითხველში. „კარაჭინი“, საბას ლექსიკონის მიხედვით, „ნაქსოვის ფეხსაცმელია“. ლექსში იგი ყინვის ბადის მხატვრულ სახედ აღიქმება. ხოლო, „ობი დარხეულა“, უგრძესი, რხეული კალაპოტის მქონე მდინარე ობის ზმნით გამოხატული მეტაფორული სახეა. „ლოპერას ჰბარდნიან კოლონი“ ... „კოლომ სულში დუჟი ჩალვარა“ ... და, იქვე – „ესევა მუმლის ურდო კოლო – მზეს“, – რიგი პოეტური სინტაგმებისა, მკბენარი მწერების მხატვრულ

სახედ გარდაქმნის შესანიშნავი ხერხის მიგნებით...

ლევან გოთუას პოეზიაში არცთუ იშვიათად გაკრთება ალიტერაციის ნიმუშები, განწყობის მწვავე ემოციური გადმოცემის პოეტური ხერხი. როგორც წესი, ამ შემთხვევაშიც იგი არაა მოკლებული მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას:

„მუმლი მზეს! მუმლი მზეს! მუმლი მზეს!
ესევა, ესევა, ესევა!
ნუ მიმზერ! ნუ მიმზერ! ნუ მიმზერ!
ესე ვარ, ესე ვარ, ესე ვარ... „ („მუმლი მზეს“)

ალიტერაციის საყურადღებო ნიმუშია ლექსში „ისევ აუგი“:

„და ჩემ წინ ისევ გადასახლება
და ისევ... და ისევ... და ისევ...
გადამათრევენ ისევ სხვა ხელები
და გული წურბელებს დაისევს“.

ავტორი, ხშირ შემთხვევაში, ლექსებში მიმართავს გარკვეულ პიროვნებას, საზოგადოების ჯგუფს, იშვიათად, – საკუთარ ორეულს. ეს მიმართვები გამსჭვალულია თანაგრძნობით, მონატრების წყურვილით, ზოგჯერ იმედისმომცემი ტონით, ზოგჯერ კი პესიმიზმითაა დამძიმებული. 1936 წელს, უკვე ბიისკის ბანაკიდან, მეგობრის, ოლია მესხისადმი მოწერილ წერილში, მამის, პართენ გოთუას გარდაცვალებით გამოწვეული სევდა იკითხება: „დასტურ – ყოველი ვაება, სისტემაში გადასული, კარგავს თავის სიმძიმეს... უფრო სწორად – აჩლუნგებს გრძნობას. სიკვდილშიც – ყველაზე უფრო საშინელი სიჩუმე და დაჩლუნგებაა... გლოვაში კი – უცრემლობა... (გვ. 161).

რა უნდა იყოს პოეტისათვის უფრო საშინელი, ვიდრე

ემოციის გარეშე ყოფნა? როდესაც ადამიანის სული უგრძნობ სუბსტანციად აღიქმება და სხეულს ზედმეტ ტვირთად აწვება, ეს უკვე ცოცხლად სიკვდილია, რომელიც სპობს ყველა შეგრძნებას. ასეთი მგლოვიარე განწყობა სუფევს ლევან გოთუას თითქმის ყველა ლექსში.

უცრემლობასა და სიჩუმეს უჩივის მწერალი ლექსში „წერილი ქართველ დედას". ეპიგრაფად ამ ლექსს გალაკტიონ ტაბიძის სიტყვები უძღვის: „ის უცხო მხარეს გარდაიცვალა და გახელილი დარჩა თვალები". ჩანს, გალაკტიონის ამ ლექსის ლირიკულ გმირთან სულიერმა სიახლოვემ შობა შემდეგი სტრიქონები:

„მინდა მოგწერო: მგლოვიარე გულის ძაძები მოგწერო მინდა!

და ვერ ვპოვე ხმა ანაცარი,
მინდა ვიტირო: და ეს ცრემლი ვერ გამოვძებნე,
ვიტირო მინდა და უბრალოდ გითხრა რაც არის...
ამ ჩრდილოეთში, ამ ველებში ჰპოვა სავანე –
სიკვდილში ყველა ობოლია,
მაგრამ სიკვდილი უსამშობლო
უფრო მწარეა, უფრო ბრალი, უფრო სანანი".

ლევან გოთუას აზრით, თავისუფლება ორმაგად საჭიროა შემოქმედისათვის. „ვინც მხატვრულ სიტყვაში რაიმე სისტემას ეძებს, ის ვერასოდეს ქართულ ჭეშმარიტ მწერლობას ვერ მიაღწევს. მწერლობის განვითარება ბრძანებითა და ლოზუნგებით სავალალო და მომაკვდინებელია. მწერალს თავისი მეობა, სახე და ხასიათი უნდა გააჩნდეს, გარდა ბუნებით მინიჭებული ნიჭისა (თავგადასავალი ლევან გოთუასი, გვ. 379), წერდა იგი ოჯახის წევრებს ჩრდილოეთის ცივი ქალაქიდან, სადაც ის თავისუფლებისადმი მისწრაფების გამო ისჯებოდა. ეს

სასჯელი მას ყოველ წუთს ახსოვდა და ამიტომაც შენიშნავდა მწარედ: „ჟამმა კალამი დამიტუსაღა“-ო. მისი ლექსი „ურვათა ურვა“ ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ამ კაეშანს:

„მომეცი ქუდი – დავიფარო თავი შიშველი.
მკერდზე წურბელა დამეკიდა, როგორც აბედი,
ჩემი იმედი ნუ გექნებათ – ველარ მიშველით!...
რაღაცა დამყვა უჩვეულო და უცაბედიც“.

საგულისხმოა მწერლის განცდები ლექსის სათაურის შერჩევისას. ზოგჯერ დაეჭვებაც ჩანს სათაურის მიგნება-ვერმიგნების რთულ პროცესში. „თავს ვერ მიაგნო ამ სათაურმა და უნახივით სული დალია, „– წერს პოეტი ერთ-ერთ უსათაურო ლექსში. ხოლო ლექსი „შუქი სარდაფში“ იწყება მსგავს ბგერათა მუსიკალური გამეორებით: „შენ აიშენე ჩემ თაურში უსათაურო... 1946 წელი ლევან გოთუას ცხოვრებაში კვლავ ციხისაკენ მიბრუნების პერიოდად აღინიშნა. იმჟამად, ბაქოს საპატიმროსაკენ გაუყენეს მწერალი, როგორც ქართველი ხალხის მოღალატე და მავნე შეთქმულების აქტიური წევრი. მატარებლის გასვლის შემდეგ ბადრაგს ოჯახის წევრებისათვის გადაუცია წერილი და ლექსი შთამბეჭდავი სახელით – „ლურსმული“. ორივე მათგანი განშორების მწარე განცდითაა აღბეჭდილი. განცდა კი არა მარტო თავისუფლების დაკარგვითაა გამოწვეული, არამედ სინანულით ჯერ დაუწერელი წიგნების გამო. „ვნანობ, რამდენი წიგნი დამრჩა დასაწერი, რამდენი მიზანი და საშვილიშვილო საქმე შეუსრულებელი... „-ვკითხულობთ წერილში. ლექსი მძაფრი ლირიული სენტიმენტალიზმითაა გამორჩეული:

ლევან გოთუას ლირიკაში, თუმცა ღრმასევდიანი, მაგრამ, საოცრად იმედიანი სტრიქონებიც ვიპოვეთ. სამომავლო იმედი მის შემოქმედებით დანატოვარს ეხება. მწერალს სწამს, რომ მოვა მისი დროც, რომ მკითხველი გაიგებს მის „ობოლ სიმღერას“ და დაეწაფება, როგორ წყაროს ჭეშმარიტი ცხოვრებისას. ეს კი უკვე ახალი სიცოცხლის დადგომას ნიშნავს მისთვის:

რა თქმა უნდა, ძმობილო, – აღარავინ მოგელის...
რომც გელოდნენ, იქნება, აღარც ჩამოიარო,
და გადახვალ ამაყად, როგორც სარგის თმოგველი,
როგორც პედის კივილი, როგორც ჩუმი იარა...
დრო მოვა და დაფნებით ჩამოივლი კარდაკარ
და წარსულო სიცოცხლევ, ხელახლად დაიწყები!

ეს იმედი, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გაუმართლდა მწერალს. თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიაში ლევან გოთუას მხატვრულმა მემკვიდრეობამ თავისი ღირსეული ადგილი დაიკავა. როგორც ვნახეთ, პროზის დიდოსტატს, არანაკლებ საყურადღებო პოეტური ცდებიც ჰქონია. აქ განხილული პოეტური ნიმუშები მხოლოდ ერთი ნაწილია მისი პოეტური შთაგონებისა – სევდიანი, ავტორის ცხოვრების მსგავსად და იმედიანი სამომავლო არსებობისათვის. მომავალი თაობა უფრო ღრმად ჩაწვდება ამ შემოქმედების საიდუმლოს და მაშინ აღსრულდება ლევან გოთუას, როგორც მწერლისა და მოქალაქის სიტყვები: „ეს ფრაგმენტები მაინც დარჩეს, როგორც ჩემი „თეთრი ღამეებისა“, თუ „შავი დღეების“ თანაზიარი“.

ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონის“ სახისმეტყველებითი ანალიზისათვის

ქართული პროზის დიდოსტატთა შორის ვიხსენიებთ ნიკო ლორთქიფანიძის სახელს. ფორმითა და შინაარსით ეროვნული შემოქმედების ავტორს, ევროპული ყაიდის მწერალს, ზნესრულ პიროვნებადაც აღიარებდნენ მისი თანამედროვენი. ჟანრობრივად მდიდარ მის მხატვრულ მემკვიდრეობას არასოდეს მოჰკლებია გონიერი შემფასებელი, თუმცა, შემოქმედება, რომელიც დროის სვლასთან ერთად სულ უფრო თანადროული ხდება, კვლავაც ბევრჯერ იქცევა ახალ მკვლევართა ინტერესის საგნად. თუ ყურადღებით გადავხედავთ ნიკო ლორთქიფანიძის სამწერლო ინტერესთა პალიტრას, გასაგები გახდება ცნობილი ქართველი კრიტიკოსისა და ლიტერატურისმცოდნის გურამ ასათიანის კომენტარი: „მისი შემოქმედების მთავარი თემა მაინც ერთი იყო – ადამიანის სულის ისტორია... ისტორიაში მას აინტერესებს „სული“ – ძველი საქართველოს არა გარეგანი, არამედ სულიერი კოლორიტი, მის ოდინდელ მკვიდრთა ზნენი და ჩვევანი, მათი შინაგანი წყობა. ეს „სული“ მისი რწმენით, განწირულია გადასაშენებლად, მაგრამ ის აუცილებლად უნდა აღინუსხოს, მეხსიერებაში დამაგრდეს, მხატვრულად უკვდავიყოს, რათა შთამომავლობას არ დაავიწყდეს თავისი დასაბამი... როგორმე შეინარჩუნოს თავისი საკუთარი სულიერი გენები“.

თანამედროვე ლიტერატურულ-კრიტიკულმა აზროვნებამ ყურადღება გაამახვილა მხატვრული ნაწარმოების სახისმეტყველებით მხარეზე, რაკი ამ თვალთახედვით გაკეთებული ანალიზი უფრო მკვეთრად წარმოაჩენს

მწერლის შემოქმედებით სახეს, მის პოეტურ ენერგიას, რაც განასხვავებს სხვა მწერალთაგან და საკუთარ იმიჯს უქმნის მას. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლევა დაფიქრებისა და განსჯისათვის. არჩევანი შევაჩერეთ რომანზე „მრისხანე ბატონი“, რომელიც მწერლის მხატვრულ მემკვიდრეობაში გამოირჩევა ადამიანის სულიერ ფასეულობათა ძიების შესანიშნავი ოსტატობით. რომანში მშრალ ისტორიულ ფონზე იშვიათი მხატვრული ხერხებითა და სახესიმბოლოებითაა დახატული ადამიანის სულიერი ტრანსფორმაცია, მისი დაცემისა და ამაღლების ურთულესი პერიპეტიები.

„მრისხანე ბატონში“ აღწერილი ტრაგედია ერთი სახეპერსონაჟის ირგვლივ ტრიალებს. ესაა სახე ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი საჭეთმპყრობელის, მრისხანე ლევან-ბატონისა. რომანის შეკრული კომპოზიცია, მოვლენათა სწრაფი განვითარება, პერსონაჟთა სახეები და მათი ურთიერთობანი, გეოგრაფიული გარემო, გაჟღენთილი ღალატისა და ორგულობის დამღუპველი მუხტით, სახისმეტყველების შესანიშნავ სურათს წარმოგვიდგენს.

მწერალი რომანის სათაურშივე მიგვანიშნებს, რომ იმერეთის სასტიკი მებატონე, როგორც ადამიანი, ცოდვილია. სათნოებათა კიბის აღმწერელის, იოანე სინელის ქადაგების მიხედვით მრისხანება, ისევე როგორც სიძვა და ამპარტავნება, კაცის სულისათვის მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება. ლევანი კაენის პირველცოდვითაა დაცემული, – მას ძმის სისხლში აქვს ხელი გასვრილი, ხოლო შური ობოლი ძმისშვილების მიმართ აიძულებს „ჯოჯოხეთში ცოცხლად გაგზავნოს“ ისინი. გაწყვეტილი კავშირი დედასთან, მიგვანიშნებს უწარსულო აწმყოზე,

ხოლო მარტოობა და უნაყოფობა მის უმომავლობას მოასწავებს.

„მრისხანე ბატონის“ სახიმეტყველებას ამდიდრებს პერსონაჟთა მიმოწერის ნიმუშები. შეიძლება ითქვას, რომ რომანის სიუჟეტის ექსპრესიული წარმართვა სწორედ ეპისტოლეთა ფონზეა გაშლილი. ეპისტოლეებით ხსნის მწერალი პერსონაჟთა ხასიათებს, მათ მისწრაფებებსა და ურთიერთდამოკიდებულებას. წერილების ენა საეკლესიო-სასულიერო ხასიათისაა, სტილი – ამაღლებული. ის, როგორც წესი, იწყება ლოცვა – კურთხევით, მაგრამ ღვთის საგმობი საქმისათვისაა მოწოდებული. გამონაკლისს წარმოადგენს ვახტანგის წერილი ბიძისადმი, ბოროტების მხილების ერთ – ერთი ნიმუში: „სიჩქარე შენის გაუმაძღრობისა ადინჯებს გონებასა ჩემსა და მიჩვენებს გზასა ნამდვილსა... გწერ წერილს ამას, რათა უწყოდე, რომ მზე ანათებს თვით უფსკრულსა და საიდუმლონი შენნი ცხად არიან“. ეს წერილები, გარდა იმისა, რომ ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში ბუნებრივადაა ჩამჯდარი, მხატვრული სიტყვის რჩეულ ნიმუშებად აღიქმება და ინტერესით იკითხება.

რაც შეეხება სიმბოლური ხასიათის ნივთთა სახისმეტყველებას, მწერალი შესავალშივე ამახვილებს ყურადღებას ზოგიერთ მათგანზე. ასეთია ლევან-ბატონის ოჯახში დაცული სურა, – ხელოვნების იშვიათი ნიმუში და აზრობრივად დატვირთული, მასზე ასახული ოთხი სიმბოლური სურათით, წარწერით – „სურა კაცთა მრგებელი, მაცოცხლებელი წყლის ჭურჭელი“. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით კაცის სხეული ჭურჭელია სულისა და ის მუდმივად სიკეთის სამსახურში უნდა იყოს. თუმცა, როგორც ცარიელი და უსარგებლოა სურა მებატო-

ნის ოჯახში, ასევე დაცლილია სულიერი ღირებულებებისგან თვით ლევან ბატონის სხეულიც. სიმბოლურ სახეს ატარებს რომანში ნახსენები ხის ხატიც, რომელიც წარსულში ლევანის მამას ჩამოუხსნია საჯვარეზე მეხდაცემული მუხიდან. ხე, როგორც სიცოცხლის სიმბოლო, ამ შემთხვევაში მეხდაცემული და განადგურებულია. ხატი კი დიდ ქალბატონ დესპინესთან ინახება. რომანის დასასრულს მონანიე ლევანი ამ ხატს სთხოვს დედას, სურს, რომ სწორედ ეს ხატი გაუძღვეს მას სულიერი განწმენდის გზაზე, გოლგოთისაკენ. „სადაც მიმიყვანს, იქ დავრჩებიო“, – ამბობს და ამ ქმედებით ის იტვირთავს არა მარტო საკუთარ, არამედ თავისი წინაპრების ცოდვებსაც.

მრისხანე ბატონის სინანული, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, არის საწყისი საკუთარი თავის შეცნობისა, ამ შემთხვევაში „საკუთარი უვარგისობის ხედვა“. აქედან იწყება მისი სულიერი განწმენდის გზა. წმინდა თეოფანე დაყუდებულის აზრით, უფლის წინაშე სინანულით მიიღწევა სრულყოფის გზა, ანუ „გზა იმის შეცნობისა, რომ მე ბრმა ვარ, გლახაკი და შიშველი. ამ გზასთან განუწყვეტელ კავშირშია სულის შემუსვრილობა, ანუ ღმერთის წინაშე გადმოღვრილი წუხილი საკუთარი უწმინდურობის გამო. ეს კი გახლავთ იგივე განუწყვეტელი სინანული. სინანულის გრძნობა ჭეშმარიტი მოღვაწეობის განმასხვავებელი ნიშანია (მამათა სწავლანი სულიერი ცხოვრების შესახებ. თბილისი, 2006 წელი, გვ. 162).

რომანში განსაკუთრებული მხატვრული დატვირთვა აქვს მინიჭებული ქრისტიანული ლოცვის ტრადიციულ ფორმებსა და ნიმუშებს. რომანი გადიის ლოცვით იწყება – „მიწყალე მე, უფალო, დიდითა წყალობითა შენითა“ – და მთავრდება ასევე უფლისადმი ვედრებით – ბალახის

გადათელვისთვის, მზის სხივის შეურაცხყოფისათვის, ორიოდე ლუკმისათვის“, რომელიც ერთ დროს მრისხანე და დაუნდობელ ლევანს ეკუთვნის. სიმბოლურია მისი აღსასრულის ადგილი და ფორმაც. სოფლის გარეთ, მდინარის გაღმა გამოქვაბულში დაყუდებული ბერი ერთ დღეს მიცვალებული ნახეს, რომელსაც ხელში შერჩენოდა ხის ხატი. ასეთი ფინალით იქნებ მწერალმა მიგვანიშნა, რომ ის მაინც მივიდა უფალთან, როგორც „მეთერთმეტე ჟამის მუშაკი“.

„მრისხანე ბატონი“ თავისი არქიტექტონიკით, ხასიათთა სიმკვეთრითა და სიუჟეტის სიმძაფრით გამორჩეულია არა მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ მემკვიდრეობაში, არამედ მთლიანად ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში. მასში მაღალმხატვრული ოსტატობითაა ნაჩვენები ადამიანის ხორცისა და სულის ჭიდილი ჭეშმარიტების ძიების რთულ გზაზე. ამაშია მწერლის სახეთამეტყველების მთავარი მიზანიც.

შიო არაგვისპირელი და ქართული მწერლობის ტრადიციული პრობლემები

მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ არაერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო თემა უანდერძა მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე შობილ ლიტერატურას. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანმა ძვრებმა ერთგვარი სიახლე მოიტანა ლიტერატურის ჟანრობრივ და თემატურ სფეროებში. ჰორი საუკუნის გასაყარზე გაჩენილმა მცირე ფორმის ლიტერატურულმა ჟანრმა არაჩვეულებრივი ძალით დაიტია ადამიანის სულიერი ტრანსფორმაციის ურთულესი ნიუანსები, დიდი ექსპრესიულობით დატვირთა მისი მთავარი ღირებულებების გადმოცემის საშუალებათა მხატვრული მხარე, რითაც გზა მისცა ახალ ლიტერატურულ ნაკადს ფსიქოლოგიურ – ფილოსოფიური ნაზავით.

როგორც ლიტერატურულ კრიტიკაშია მითითებული, „მე-19 საუკუნის ლიტერატურა ორ „წყევლა-კრულვიან“ საკითხს დასტრიალებდა დაჟინებული ყურადღებით: ეროვნულსა და სოციალურს. „მარადიული ღირებულების“ ფილოსოფიური კითხვები მხოლოდ აქა-იქ თუ გაიელვებდნენ და აი, არაგვისპირელი იყო პირველი მწერალი, რომელმაც რკვევის, ძიებისა და დაკვირვების საგნად ადამიანის „შიშველი სული გაიხადა“ (3. 104). ვფიქრობთ, ეს მარადიული ღირებულებები სწორედ იმ წყევლა-კრულვიანი საკითხავების ბუნებრივი გაგრძელება და პასუხგასაცემი იდეა-ფიქსიც გახლდათ. ჟანრული სახესხვაობა კი, ნოველებსა და ეტიუდებში განსხეულებული, უფრო აძლიერებდა მის ექსპრესიულობასა და მკითხველზე ზემოქმედებას.

ამიტომაც ვიტყვით, რომ თუმცა შიო არაგვისპირელის მხატვრული მემკვიდრეობა ახალ ეტაპს იწყებს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში, მის საფუძველთ-საფუძვლად მაინც მე-19 საუკუნის ტრადიციულ თემატიკას მოვიაზრებთ. მცირე ფორმის ჟანრის დიდოსტატი, თავის ნოველებში, ესკიზებსა თუ ეტიუდებში, ხშირად გვთავაზობს ტრადიციულ სიუჟეტებს ახლებური ინტერპრეტაციით, რომელიც განპირობებულია როგორც დროისა და სივრცის გლობალიზაციით, ასევე სოციალურ ფენათა სახეცვლილებებითა და მათთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხებით.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საკმაოდ მწვავე კამათი მიმდინარეობდა განათლების, კერძოდ კი, სოფლად სახალხო სკოლების გახსნის თაობაზე. ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი მკაცრად დაუპირისპირდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს იანოვსკის. გარდა იმისა, რომ ქართველ მამულიშვილთა ინტერესები სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებას ეხებოდა, უპირობოდ მოითხოვდა, რომ „სოფლის სკოლამ მის ახალგაზრდობას ასწავლოს გვარიანად წიგნი, გაუხსნას გონება, შეასწავლოს საგნები პედაგოგიურის გზით, მიანიჭოს ცოდნა და მისცეს გონებითი ძალა კეთილდღეობის აღსადგენად და დასაცველად. ერთი სიტყვით, მოამზადოს ცხოვრებისათვის“ (2. 209). სოფლის ახლადგახსნილი სკოლები კი ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, რაც გლეხობის უმრავლესი ნაწილის პროტესტს იწვევდა. ხშირად ეს პროტესტი ზოგად ხასიათს ატარებდა და პირდაპირ განათლების საწინააღმდეგო მოძრაობად აღიქმებოდა. აღნიშნული პრობლემა უყურადღებოდ არ დარჩენილა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისათ-

ვის.. მხედველობაში გვაქვს ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ და შიო არაგვისპირელის ნოველა“ არ გვინდა, არა“.

„არ გვინდა, არა!“ – სოციალური პრობლემატიკის შემცველი მცირე ფორმის მოთხრობაა, რომელსაც მწერალმა სურათი უწოდა. მასში მახვილი სარკაზმითაა აღწერილი სოფლის მოხელეთა ცდები სამინისტროს სკოლის დაარსებისათვის. პრისტავი, ბოქაული და ქალაქიდან ჩამოსული „სერთუკოსანი ახალგაზრდა“ პირადი ინტერესებისათვის ცდილობენ გლეხობის დაყოლიებას, თუმცა, რეალურად არავის აინტერესებს მათი განათლება. თვით ბოქაული ღირსებისშემლახავი სიტყვებით მიმართავს გლეხობას:“... თქვენ უვიცები ხართ, არაფერი გესმით!... განა თქვენი ცხოვრება ცხოვრებაა?! არა, თქვენ მხეცურად სცხოვრობთ... ხმა-გაკმედილი ხალხი გაკვირვებით ფიქრობდა: „ნეტა პრისტავი ხომ არ გადარეულა, რომ ასე გვლანძღავსო“ (1. 98). აი, ასეთი ურთიერთდამოკიდებულებაა სოფლის მცხოვრებთა შორის. დაძაბული სიტუაციის განმუხტვას ირონიული ღიმილით ცდილობს სოფლის მოძღვარი, რომელსაც ახლო წარსულში ასევე უარი ეთქვა სამრევლო სკოლის გახსნაზე. – „ტყუილად შევეცდებით, თქვენო კეთილშობილებავ, არ ისურვებენ!“ (1 . 95).

სურათი, მსგავსი პრობლემატიკით, ილია ჭავჭავაძემ მოგვცა მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ (მოთხრობის პირველი ვარიანტი პეტერბურგში დაიწერა, 1859 წელს. საბოლოო რედაქცია 1862-1873 წწ ეკუთვნის). მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ახალგაზრდა სულიერი მოძღვარი, ჯანსაღი ლოგიკური მსჯელობით უმტკიცებს პეტრეს განათლების აუცილებლობას. პეტრე, სესიას მსგავსად, ცდილობს დაარწმუნოს მოძღვარი, რომ

გლეხკაცი სწავლისთვის არ გაუჩენია ღმერთს: „წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს. ჩვენი წიგნი დედამიწაა... ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია... ტყუილად კი არ ეძახიან მიწას „დედაო“, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა... ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის“ (4. 291). ილიას მოძღვარი მოწიწებითა და პატივისცემით მიმართავს გლეხს: „..მესმის, ჭკვიანო პეტრევ, შენი გულის ვითარება. მოზიარე ვარ შენის გულის-ტკივილისა! შენ გუთანი გირჩევნია წიგნსა, იმიტომ რომ გუთანი დღეს პურს გაჭმევს“ (4 . 292). ასეთი დამოკიდებულებით მოიპოვებს მოძღვარი გლეხის ნდობას, რაც ასე საჭირო და აუცილებელი იყო ორივე მხარისათვის.

შიო არაგვისპირელის სურათში დრო შეცვლილია. წინამძღვრიანთკარში უკვე დაარსებულია სამეურნეო სასწავლებელი, რომელმაც გაამართლა ხალხის ნდობა. გლეხს უკვე შეუგნია, რომ მხოლოდ ასეთი ტიპის სასწავლებელს შეუძლია მათთვის სიკეთის მოტანა. ჭკვიანი გლეხი სესია, ილიას პეტრეს მსგავსად, ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს სოფელში სამინისტროს სკოლის აუცილებლობის მქადაგებელთ: „..ჩვენ, აი, ე მიწის შვილები ვართ... ჩვენ უნდა ვხნათ და ვთესოთ, ღვინო და პური მოვიყვანოთ... აი, თუ კი იმისთანა სკოლას გაგვიმართავთ, რომ კარგა ხვნა-თესვა ვისწავლოთ, მაშინ ვინ თავ-მკვდარი ხარჯს გაექცევა და ფულს დაინანებს. აი, გვიწინამძღვრეთ და ისეთი სკოლა გაგვიმართეთ, როგორც წინამძღვრიანთკარის სკოლაა.“ (1. 101) პეტრესაგან განსხვავებით, მეამბოხე სესიას ფიზიკურად სჯიან. დასასრულსმწერალი შენიშნავს: შორიახლოს მდგარ „მოძღვარს კი ტუჩებზე ღიმილი უქროდა, აკი მოგახსენე, არ ისურვებენ-მეთქი“

„არ გვინდა, არა!“ დაიწერა 1892 წელს, „გლახის ნაამბობის“ გამოქვეყნებიდან ორი ათეული წლის შემდეგ. ადვილი წარმოსადგენია ის ფრთხილი და სათუთი დამოკიდებულება, რომელსაც, სავარაუდოდ, შიო არაგვისპირელი გამოიჩენდა კლასიკოსი მწერლის მიერ დამუშავებული თემის ხელახალი ინტერპრეტაციისას. ვფიქრობთ, მისი ეს ნაბიჯი ნაკარნახევი იყო იმ უხეში და არაადამიანური განწყობით, რომელსაც სოფლის თავკაცები იჩენდნენ უბირი გლეხობის მიმართ. სოფლის გლეხობა ისევ ისეთივე გაუნათლებელი დარჩენილა, მიუხედავად საკმაო დროის გასვლისა. პირიქით, ამ მხრივ ვითარება უარესობისაკენ შეცვლილა, რაც აგრერიგად აწუხებდა არაგვისპირელს, როგორც მწერალს და როგორც ადამიანის ბედზე ღრმად დაფიქრებულ პიროვნებას. ამით აიხსნება მისი მიბრუნება იმ ტრადიციული სამწერლო თემებისაკენ, რომელზედაც ასე გულისტკივილით წერდნენ მე-19 საუკუნის ქართველი კლასიკოსები.

სოფლის გლეხკაცის მძიმე ჭაპანი, ავი დედინაცვლისა და მისგან დასჯილი უდანაშაულო გერების მწარე ბედზე წუხილი ხშირად გვხვდება ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსა და კლასიკოსთა მოთხრობებში. შიო არაგვისპირელის მოთხრობა „და-ძმა“ და ვაჟა-ფშაველას „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“ ამ მძიმე ურთიერთობის ამსახველი სიუჟეტებით ჰგავს ერთმანეთს. თითქმის იდენტურია დედინაცვლის მიერ, საქონლის საძებნელად, ავდარში გაყრილი და-ძმისა და მათი მამის ტყეში ხეტიალის სცენები. ჩგანსხვავება მათ ტრაგიკულ დასასრულშია. ვაჟა ბუნების საიდუმლოებაში კარგავს დასჯილი გერებისა და მამის გაუხარელ ყოფას. ჩგერები, ვეფხია და მზია, ღამის ფრინველებად იქცნენ, მამა იოთამი კი –

კლდედ. ბუნება იცავს მათ ავი დედინაცვლისაგან. შიო არაგვისპირელის „და-ძმას“ კი ყოფითი რეალობის სიმწარე ასრულებს. მიტო იძულებულია დედინაცვლისგან ათვალწუნებული თავისი ქალ-ვაჟი ქალაქში წაიყვანოს და ლუკმა-პურის საძებნელად საეჭვო პირების ანაბარა დატოვოს. ქალაქი, თავისი დუქნებითა და სარესკიპოებით, ულმობლად ითრევს სოფლის გულუბრყვილო შვილებს თავის წუმპეში და თელავს მათ პიროვნულ სახეს. შიო არაგვისპირელი აქ არ წყვეტს თხრობას და გვიჩვენებს მიტოს ოჯახის საბოლოო განადგურებას. ადამიანი წუთისოფლის უსამართლობის მსხვერპლია, –ასეთია პრობლემის მწერლისეული გადაწყვეტა.

გლიტერატურული გავლენები ხშირად გამხდარა გარკვეულ წრეთა მსჯელობის საგანი და უსიამოვნებაც მოუტანია არაერთი მწერლისათვის. საკმარისია გავიხსენოთ შეხედულება, რომ თითქოს რაფიელ ერისთავს გავლენა მოეხდინოს მთიელი მწერლების და კერძოდ, ვაჟა-ფშაველასა და მისი ძმის, ბაჩანას პოეტურ შემოქმედებაზე. ილია ჭავჭავაძის აზრით, რაფიელ ერისთავმა „შექმნა თავისი საკუთარი სკოლა ხალხური პოეზიისა. მისი მიმდევარნი არიან ძმები რაზიკაშვილები“. აღნიშნულ საკითხს შეეხო ლიტერატურის კრიტიკოსი გრიგოლ ყიფშიძე და სავსებით სწორი ინტერპრეტაცია მისცა ამ მოვლენას. მისი აზრით“ აქ გავლენა კი არ არის, დრომ მოიტანა და ერთბაშად ერთსა და იმავე დროს იფეთქა რამდენგამე როგორც ძლიერმა ეროვნულმა გრძნობამ, ისე ერის ჭეშმარიტ წარმომადგენელთა დასურათებისად მიმართულმა ბუნებითვე ნიჭიერ მგოსანთა გრძნობამ და გაჩნდა რაფიელიცა, ალ. ყაზბეგიცა, ბაჩანაცა და ვაჟაცა. მართალია, საერთო თვისება მათ შორის დიდია, გარნა

განსხვავებაც დიდია. ერთფერობა აიხსნება ნიჭის ნათესაობით, სულის თვისტომობით და არა ზედ-გავლენით, ერთმანეთის მიბაძვით, დამოწაფებით“ (2 . 51).

შიო არაგვისპირელმა თავისი შემოქმედებით მნიშვნელოვნად გაამდიდრა და შთამბეჭდავი გახადა ქართული ლიტერატურული ტრადიციები. მისი სამწერლო თემატიკა კლასიკოსთა შემოქმედების მთავარი პრობლემების ირგვლივ ტრიალებს, მის შემოქმედებით ათვისებასა და გაგრძელებას წარმოადგენს ტრადიციების ერთგულებითა და მხატვრული გამომსახველობითი ფორმების ახლებური გადაწყვეტით.

სახე-ხასიათები ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდებში“

ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული გააზრებისას შეიძლება განვიხილოთ რომანტიკული სკოლის აღიარებული წარმომადგენლის შარლ ბოდლერის ცნობილი წერილი „რომანტიკული ხელოვნების შესახებ“, რომელშიც ის ერთმნიშვნელოვნად აცხადებს: „მე არ მჭირდება სტილზე ზრუნვა, ლამაზ წყობაზე და ადგილების აღწერაზე ფიქრი; მე ყველა ეს თვისება უხვად მაქვს; ვივლი ანალიზის და ლოგიკის გზით და დავამტკიცებ, რომ ყველა სიუჟეტი ერთნაირად კარგია ან ცუდია. იმის მიხედვით, თუ როგორ არის გადმოცემული ფრიად ვულგარული სიუჟეტიც კი საუკეთესო შეიძლება გახდეს“ მოგვიანებით კი, საუბრობს რა ბალზაკის სამწერლო ხელოვნების შესახებ, შენიშნავს, რომ მის „თითოეულ პერსონაჟს, მეკარეებსაც კი, გენია ახასიათებს. ყოველი სულიერის სული აღსავსეა ნებისყოფით პირამდე... დეტალებისადმი ერთგულება, რაც გამომდინარეა ყველაფრის დანახვის უზომო მისწრაფებიდან, ყველაფრის ჩვენების, გამოცნობისა და გამოცნობინების სურვილიდან აიძულებდა მას მეტი ძალით გამოეკვეთა მთავარი ხაზები, რათა მთლიანობის პერსპექტივა გადაერჩინა... ამ საკვირველი ბუნებრივი განწყობის შედეგად მივიღეთ საოცრებები ... სწორედ ეს არის მისი ღირსება. მაგრამ ვინ დაიკვეხნის ამგვარ ნიჭს, ვინ შეძლებს მისებრი მეთოდის გამოყენებას, რათა სინათლისა და მეწამული ფერებით შემოსოს ყველაზე წმინდა წყლის ბანალობა? ვის შეუძლია ამის გაკეთება? ანუ ვინც ამას ვერ აკეთებს თუ სიმართლე გინდათ, ვერც ვერაფერს აკეთებს (ციტირე-

ბულია წიგნიდან ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია, II ლიტ. ინსტ. გამომცემლობა. თბ. 2010, გვ. 7-11).

ეს „წმინდა წყლის“ თეორიული პირობა საუცხოო დასაბუთებას პოულობს ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის მხატვრულ მემკვიდრეობაში. ყურადღებას ვამახვილებთ მწერლის ნოველათა კრებულზე „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან“, რომელიც თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სრულიად ბანალური ამბავი შთამბეჭდავად იქცეს და ყველაზე უბრალო პერსონაჟიც გენიად მოინათლოს.

გასული საუკუნის II ნახევრის პროზაში მომძალვრდა ძირძველი ტრადიციებისა და ღირსებულებების გადაფასება, ახლის მიღება-არ მიღების თვალსაჩინო შედეგები და ფონზე განსხვავებული მენტალიტეტის მქონე ხალხის რთული ყოფა ერთბაშად მოექცა მხატვრული სიტყვის ოსტატთა ყურადღების ცენტრში. თემით დაინტერესებას ხელს უწყობდა მწერლის ღრმად ინტიმური განცდები მშობლიური სოფლისა და იმ გარემომცველი სამყაროს მიმართ, რომელიც ბავშვობის მოგონებებთან ასოცირდებოდა. ასე გაჩნდა მწერლობაში მეტნაკლებად იდეალიზებული სოფლური სამყარო, რომელიც იმ დროისათვის ერთბაშად აჭრელებული და სულიერ ღირებულებებს მოკლებული ქალაქური ყოფის ფონზე გაცილებით მომგებიანიც გახდა მხატვრული ქმნილებებისათვის. ნიჭიერმა ქართველმა მწერლებმა: გ. ლეონიძემ, ნ. დუმბაძემ, გ. შატბერაშვილმა, ო. ჭილაძემ, ო. ჩხეიძემ, რ. ინანიშვილმა და სხვებმა თანმიმდევრულად, განსხვავებული სტილითა და მხატვრული ელფერით ასახეს სოფლის ყოფის შუქჩრდილები, პერსონაჟთა მთელი გალერიით.

მხატვრულ სახე-ხასიათებს მკითხველიე ემოციებზე

ზედმიწევნით მაგიური ძალა აქვს. მწერალი ხომ სინამდვილეს ასახავს ადამიანური ცხოვრების სურათების, მათი ხასიათისა და ქცევის მხატვრული აღწერის მკაცრად ინდივიდუალიზებულ ფორმაში. რეალური მხატვრული ხასიათების შექმნისას მწერალი იყენებს პერსონაჟის დამახასიათებელ ინდივიდუალურ ნიშნებს, ხატავს მის პორტრეტს, შიონაგან ფსიქიკურ სამყაროს, განწყობას, ფიქრსა და ოცნებას, სწრაფვას გარკვეული იდეალებისაკენ, სიტყვით, ქმნის მხატვრული ნაწარმოებების სახე-ხასიათს, რომლის, ცხოველმყოფელობა თვით მწერლის მხატვრულ ოსტატობაზეა დამოკიდებული. სახე-ხასიათების თხვზის პროცესი მწერლისგან მოითხოვს დიდ ძალისხმევას, ინდივიდუალიზებულ სტილსა და მეთოდს, თხრობის მანერას და მოვლენის რეალურ ინტერპრეტაციას.

„ხასიათი განცდათა კვანძიაო, განუცდელი სიცოცხლისას ვერას გაიგებო“, – წერს ოთარ ჩხეიძე. და მართლაც, ეტიუდების სახე-ხასიათები პერსონაჟთა განცდებია, ღრმად პიროვნულ წრეებში დალექილი.

არ მოტეხილაო, თუმცა წელში მოიღუნა, მაგრამ მოღუნვა მოუტეხად როდი თქმულაო, – ასე იწყებს მწერალი კახნიაურის სახე-ხასიათის გახსნას („კახნიაური“), წელში მოღუნვა ფიზიკურ აღნაგობაზე მიგვანიშნებს, ხოლო გაუტეხელობა ძლიერი დამახასიათებელი ნიშანია, 80 წელს მიღწეული ქვრივი კახნიარისათვის. მერე რა, რომ მოიღუნა, მიწას დაუახლოვდა, საქმეს უკეთ დაუმარჯვდა, „მადლობა ღმერთსა, ხმა არ მოჰღუნოდა, ხმა მკვეთრი ჰქონდა, მკვეთრი და მძაფრი ძველებურად“-ო. ეს ხმა მისი ფარული იარაღი იყო და როცა „აბეზარას მოვიდოდა“, ასე დაიჭექებდა, მთები ბანს აძლევდნენ. ამ ხმით

ებრძვის კახნიაური სიზარმაცესა და მუქთახორობას საკუთარ ოჯახში – მისი სამი ქალიშვილი „პენელოპეს სუდაროსავით დაუსრულებელი“ საქსოვით ხელში, საღსალამათი და უხინჯონი „ტკბილი დედიკოს“ ხელში შემყურენი, სოფელს მოშორებულნი და სოფლის არმცნობნი, სამაგიეროდ, ენებდალესილნი, დედის ანტიპოდები არიან. დედა შრომობს, ქალიშვილები კი მის ნაამაგარს უსინდისოდ მიირთმევენ და თანაც ერთმანეთს ამადლიან.

მეზობლებთან კახნიაურის ხასიათის გასახსნელადაა ტექსტში ჩართული დიალოგები, რომელიც ორმაგ ჭრილშია წარმოდგენილი. ერთი ცხადია, ხმამაღლა ნათქვამი, საპირფერო, ხოლო მეორე, – გულისგულში გახმიანებული. კახნიაურშიც ორი „მე“ ცხოვრობს, როგორც ნებისმიერი მეზობლის არსებაში. იცის კახნიაურმა, ვის რა უდევს გულში, ამიტომაც მიაგებს საკადრის პასუხს მეზობელს ენითაც და გულითაც. თხრობის დინამიკურ სტილს, შეკუმშულ დროსა და სივრცეში მოვლენათა სწრაფ განვითარებას, მოულოდნელ დასასრულამდე მიჰყავს მკითხველი და პერსონაჟის უეცარი გარდასახვის მოწმე ხდება: მოთმინება რომ აღარ ეყოს კახნიაურს „კიდევაც ასწია მოღუნული წელი, ასწია, შემართა ერთი წუთითა, შეიმართა მაღალი, წარმოსადგენი ქალი, ისე შემართულს შეანგრევინა კარი და ისეთი დააქუხა, ბანი მისცა ბრუდსა ბძელმა ... სამივენი შერისხა, გულიდან მოწყვიტა, სამაგიეროდ მოიყვანა მესამე ქალიშვილის ნაჩუქარი ბავშვი, მკვირცხლი, პირმრგვალი გოგონა, თვალუუჟუნა, ტუჩმომღიმარი, საამური ... ეს მიიკრა გულზე კახნიაურმა, აი, როგორ არ მოტეხილა და არც მოტყდება კახნიაური“. ასე დაიწყო ახალი სიცოცხლე კახნიაურმა, 80 წელს მიტანებულმა დედაკაცმა.

მწერალი ერიდება პერსონაჟის სახის იდეალიზირებას. მისი სახეხასიათი შეულამაზებელია, არის ისეთი, როგორიც მისი ცხოვრებაა. ამიტომაც, ყოველ პერსონაჟს „ეტიუდებში“ თავისი პატარა სამყარო აქვს, სამყარო, რომელმაც შექმნა განუმეორებელი სახე გარეგნული თუ შინაგანი სულიერი ღირსებებით ოთარ ჩხეიძეს უყვარს თავისი პერსონაჟები სწორედ მისეულ სამყაროში, რომელიც უხვადაა გაჯერებული სოფლის სურნელით, ლიახვის მონაბერი ნიავითა და სამყურა ბალახის ოხშივარით. აი, პეიზაჟი, რომლის ფონზეც ვხედავთ ილიკოს („ხვალ უსათუოდ“) განუყრელი ბზის კომბლით ხელში, საინტერესო, ჩუმი ღიღინით მოარულს: „ორღობის შემდეგ ყანები ბიბინებს ... ცოტა ცერად ლიახვის ტოტზე წისქვილი მოჩანს, წისქვილს მუხები შემორტყმია. ქარში ბუბუნებს ის მუხრანი, თითქოს შორიდან მეკამათება ან მე, ან სხვა ვინმეს, ეს სულ ერთია, ბუბუნებს და გუგუნებს“, ბუნებაც იგივე მოძრაობაშია, როგორც ილიკო მოძრაობს, ფრინველებიც მის ღიღილოს ემორჩილებიან, ბილიკზე ამოცილებენ – ხოლო ჭიკ-ჭიკითა და მოძახილით. შორს კი მაგიური ძალისა და სილამაზის კაკლის ხე დგას, თავისი თეთრი ასულით, მიხაკ-დარიჩინის სურნელით და გამაბრუებელი ღიმილით. „აქ, კაკლის ხეზე, თვით თბილისზედაც სიამით ვლაპარაკობო“, – შენიშნავს ავტორი – მთხრობელი ციცინოსთან საუბრისას. ეს განწყობა რაღაც სასიამოვნო დასასრულს უმზადებს მკითხველს, არც თუ შორსა და არც გაჭიანურებულს.

შთამბეჭდავია ფრიდონისა და ფეფოს ხასიათები („ახალწლის ღამეს“), მათი ყოველდღიური ყოფით გამოკვეთილი. ორი მოკრძალებული ინტელექტის უპრეტენზიო თანაარსებობა ჩანს „ქართლის ცხოვრებით“ გაცოცხლე-

ბულ სოფლურ საღამოებსა და მაღალ იდეალებზე კამათში.

„სხვა გახლდათ ფრიდონი, სხვა ძალისა, შეგნება, სიამაყე, – ხასიათის სიმტკიცის სამი აუცილებელი პირობა თუ ფრიდონს შვენის, ფეფო ქალური კლდემამოსილების განსახიერებაა. თვალის ჩინს მოკლებული ქალი

„ქარგავდა ყვავილებს, რომელიც არ ენახა!
უზავებდა ფერებს, რომელიც არ ეხილა!
ქარგავდა რაღაც საოცარი ოსტატობით.
გრძნობით წვდებოდა უძველეს ხელოვნებას“.

ყველაზე ლამაზად ნაქარგ ყვავილს ფრიდონს აჩუქებდა და თან ეტყოდა: ისე დაჰკიდე, დილის სხივი დაეცესო, ამ ორი პერსონაჟის თანაარსებობით მწერალი უჩვეულო სიმბიოზს ქმნის მკითხველის თვალწინ. უსინათლო ქალის სახისათვის უჩვეულო შინაგანი ძალის მინიჭება და ასეთი ფერადოვნებით ამეტყველება მწერლის დიდ ოსტატობაზე მიუთითებს. ჩანს, ფეფოს სურს მისი ნაქარგი ყვავილები ახალი სიცოცხლით გასხივოსნდეს, რასაც მხოლოდ დილის მზის სხივები მიანიჭებს. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა ხელოვანი ქალის სახე-ხასიათი, ფერებში გარდასახული, ახალი სიცოცხლისათვის მზადმყოფი.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ არცერთი პერსონაჟი არ უბოძებია მწერალს ისეთი უხვი აფორისტიკა, როგორიც ტოლიას არგუნა („ეს უკვე სიზმარი როდი იყო“). ტოლიას ტრაგიზმი მისსავე ხასიათშია: „კირკიტა, წყლიანი თვალებით, გადმობრუნებული სველი ტუჩებით, გვერდელა ტანითა და გამოულეველი სამიჯნურო თავგადასავლებით“. საოცარი ფანტაზიის უნარით გამორ-

ჩეულს, ენაც მოქარგული და მჭრელი ჰქონდა, მაგრამ ფუჭ ოცნებებს გადევნებული მექალთანე მკაცრად რომ დაისჯებოდა, არ სჯეროდა ტოლიას. სოფელმა არ აპატია ობოლი, სილამაზითა და სიწმინდით გამორჩეული ანანოს შეურაცხყოფა. და ეს მკაცრი განაჩენიც ისევე მორგებულია მისი სახე-ხასიათის ქარგაზე, როგორც ის აფორისტული გამონათქვამები, რომელთაგან ზოგიერთს მოვიტანთ აქ:

„ავი რის ავია, თუ ასცდებიო, შენ რომ მიფრინავდე, ის ურმით მოგდევდეს, მაინც დაგეწევაო“.

„სადაც ნდობაა, იქ სიტყვას რაღა უნდაო. სიტყვა იქ უნდა, სადაც ცდუნებაა, სადაც ცბიერებაა“.

„თავს ისე მოგჭრის, ტანი ისევ ზედვე გებმისო“.

„თუ დაღი მხოლოდ განცდამ იცის, მაშინ განცდაა ნამდვილი, შემთხვევა მხოლოდ საფანელიაო“.

„განცდა არის და განცდაცაო, ავ განცდას ავად მიჰყავს ადამიანი, კეთილს-კეთილადაო“.

„ავკარგიანიც ის არის, ვისაც ავიც განუცდია და კარგიცო“.

აი, დაღლარას კი სიცილი უყვარს („დაღლარა“), სიცილში შეუძლია გადმოსცეს თავისი განცდები, – დადებითიც და უარყოფითიც, შესაბამისად, სხვა პერსონაჟების მიმართ. დადებითი ემოციები ავტორის მისამართითაა ნაგულისხმევი, რომელიც სიამოვნებით გვიყვება უცნაურ ნაცნობებზე-დაღლარასა და ჩიკოლაზე. კონდუქტორი ჩიკოლა, სიტყვა უხვი, ვითომ ახლობლებზე მზრუნველი, სინამდვილეში საკუთარი ინტერესების ადამიანი, ისე დაგიჭერს, ადგილს მიგიჩენს, თითქოს შენზე ზრუნავდეს მართლა. სინამდვილეში, ბოლოს უნდა შემოგაპაროს: „ე პატარა რაღაცა ეგება ჩვენსა მოგეტანაო, და

აგკიდებს მძიმე სატარებელს. არადა, მატარებლის ბაქნიდან სოფელი კარგა შორსაა. დაღლარამ კარგად იცის ჩიკოლას ხასიათი და სხვა რა შეუძლია: „მეშველება და რომ ამბობს, იმიტომაც ამბობს, ვერ მივხვდე, ამბობს და იცინის. ესაა მისი სიტყვა-პასუხი, სიკეთის გმირობა, ყველაფრის მიხვედრილობა, ერთგულება, გამტანობა, ზომიერება, სითამამე, ყველაფერი, რასაც სიმაღლე და სიწმინდე დაერქვა...“

სიმაღლე და სიწმინდეა დამახასიათებელი მოხუცი ფრაბგულის მასწავლებლის ხასიათისთვის „შემოზამთრება“ ფუნქცია დაკარგული, ნაზამთრალი ბელერასავით შეციებული ქალისათვის ყველაფერი წარსულში დარჩენილა. მაგრამ საოცრება მოახდინა მის პიროვნებაში ახალგაზრდების გამოჩენამ, რომელთაც მოხუცს ფრანგულის გაკვეთილის ჩატარება სთხოვეს. იმ ახალგაზრდების გასაკვირად ახალი სინათლით აფრიალდა სული, რომელიც „ბებერ ძვლებზე უფრო სათუთი იყო“.

სოფლის საღამოს იდილიური განცდა და მარტოხელა „დედა“, რომელიც მშობელს დაუთვლია ალერსი, რომელიც მშობელს გაუზომია სიყვარული“. მაგრამ მარტოსულად დარჩენილი, დამაშვრალი დედის გულში მაინც ხმიანობს სევდა: ნეტავ მეხრეებად დამეზარდენითო, შვილო, ახლოს მეყოლებოდითო ჩვენთან. ნოველა რექვიემია წუთისოფლის რთულ საკითებზე. მისი მხატვრული ძალმოსილებაც აშკარად გამორჩეულია არა მარტო ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში, არამედ მთელი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში.

ოთარ ჩხეიძის ეტიუდების სახე-ხასიათებიც ცხოვრების სინამდვილისაგან მოდიან, ცოცხლობენ, ქმნიან იმ ნაირფერ ხალიჩას, წუთისოფელი რომ ჰქვია. ისინი არა-

ფრით ჰგვანან ერთმანეთს და მათი სახეთამეტყველებაც ინდივიდუალური და განუმეორებელია, როგორც ბუნების ჭეშმარიტ შვილებს შეეფერება.

სახე-ხასიათების ხატვისას მწერალი მიმართავს:

ა)ფიზიკური აღნაგობის განსაკუთრებულ მახასიათებელ ნიშანს (მოხრილი წელი, ძლიერი ხმა, ჭაღარა კავები, პირნათლიანი და სხვა).

ბ) აქსესუარებს, რაც მხოლოდ გარკვეულ ხასიათს ერწყმის (საქსოვი, ბზის კომბალი, გაბზარული სათვალე, აკვანი და სხვა).

გ) პეიზაჟს, სახე-ხასიათის ფონისათვის (ქართლის მინდვრები, ყანები, მთები, მდ. ლიახვი, წისქვილი, ხეები, განსაკ. კაკლის ხეები).

დ) ფერსა სურნელს (თეთრი ასული, მიხაკ-დარიინის სურნელი ქალის ხელებზე).

ე) ზედმეტ სახელებს (დინჯი გოგია, მოცინარა, გაიკრიჭე, დაღლასა).

ვ) შინაგან სულიერ განწყობას (მარტო სულობა, დუმილი, ან პირიქით, გადაჭარბებული აგზნებულობა, სიცილი, უცნაური სევდა).

ზ) ტროპული მეტყველების ნიმუშებს, აფორისტიკას.

მოთხრობების სათაურებად კი არჩევს ფრაგმენტებს პერსონაჟის მეტყველებიდან, თვით პერსონაჟის ნამდვილსა თუ ზედმეტ სახელებს, ან ამავე პერსონაჟის განწყობილების შესაბამის ფრაზებს (კახნიაური, „ცვრიან ბალახზე“, „ხვალ უსათუოდ“, „დაღლარა“, „ეს უკვე სიზმარი როდი იყო“ და სხვა).

სახე ხასიათების თხზვის პროცესი მწერლისგან განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს. ოთარ ჩხეიძისთვის, ამ შემთხვევაში, როგორც მცირე ფორმის ჟანრის

ოსტატისათვის, ეს ძალისხმევა გამოვლინდა ხასიათთა რეალურ ინტერპრეტაციაში, გამოსახვის მკაცრად ინდივიდუალიზებულ მეთოდსა და თხრობის ჭეშმარიტად ქართულ მანერაში.



„მისი სახელი იყო იოსებ...“
პოეტის სახე მეცნიერის მემუარებში

ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო მკვლევარის, რუსთველოლოგ ალექსანდრე ბარამიძის მოგონებების წიგნი – „ახლო წარსულიდან, „ქართული ისტორიულ-კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს.

წიგნის ავტორი ჩვენს მეხსიერებაში აცოცხლებს ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა სახეებს და მათ შორის, ქართველი პოეტის, იოსებ გრიშაშვილის კოლორიტულ ფიგურას. აქვე, პირველად აქვეყნებს პირად მიმოწერას პოეტთან.

ალექსანდრე ბარამიძე სტუდენტობის წლებიდანვე დაინტერესებულა იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული გამოკვლევებით, მისი საჯარო გამოსვლებითა და პოეტური შემოქმედებით. შემდგომში, ეს ორი პიროვნება მეგობრულად დაუკავშირა ერთმანეთს წიგნის განუზომელმა სიყვარულმა. მუზეუმების არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში დაცული მასალებისადმი ერთობლივმა ინტერესმა კი განაპირობა მათი ურთიერთნდობაც. „წიგნის ტრფიალი ვინ არ ყოფილა და ვინ არ არის, მაგრამ გრიშაშვილს ამ მხრივ ძნელად თუ ვინმე შეედრებოდა“-ო, – წერს ავტორი (ალ. ბარამიძე, 1983, „ახლო წარსულიდან“; გვ. 279) და სიამაყით აღნიშნავს, რომ იგი ეკუთვნოდა იმ პრივილეგირებულ პირთა მცირერიცხოვან წრეს, რომელსაც პოეტი საკუთარი ბიბლიოთეკიდან წიგნებს სახლშიც ატანდა.

ალ. ბარამიძის მოგონებების მიხედვით იოსებ გრიშაშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და აქტიურად მონაწილეობდა

მათ საქმიანობაში. მომავალი მეცნიერი-მკვლევარი, ამ პერიოდში, თეიმურაზ პირველის თხზულებათა კრებულის გამოცემაზე მუშაობდა, რაშიც საქმიან დახმარებას უწევდა იოსებ გრიშაშვილი. უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე ალ. ბარამიძეს წაუკითხავს მოხსენება – „თეიმურაზ პირველი, როგორც ლირიკოსი“. მოხსენების შემდეგ, პოეტს, იქვე, სამაგიდო კალენდრის ფურცელზე, ექსპრომტად წაუწერია თავისი განთქმული „ტრიოლეტები შეითანბაზარში“, სადაც საგანგებოდ გაუხაზავს ტაეპი – „მომწონს მაჯამის ამირბარი თეიმურაზი“. აღნიშნულმა ტაეპმა შეამკო ალ. ბარამიძის ნარკვევი მეფე-პოეტის შემოქმედების შესახებ.

1945 წლის სექტემბერში, სომხეთში, საიათნოვასადმი მიძღვნილ ზეიმზე, იოსებ გრიშაშვილთან ერთად ალ. ბარამიძესაც მიუღია მონაწილეობა. საზეიმო სხდომაზე, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, გრიშაშვილს სიტყვა ქართულად წარმოუთქვამს. ალ ბარამიძე იხსენებს, თუ როგორი ოვაციებით შეხვდა გადაჭედილი დარბაზი მის გამოსვლას. სომეხი ხალხი მას იცნობდა, როგორც საიათნოვასა და ოვანეს თუმანიანის პოეზიის საუკეთესო მთარგმნელს. პოეტისა და მეცნიერის ერთად გატარებულმა ათმა დღემ აშკარა გახადა, „როგორი კეთილი, გულისხმიერი, თავმდაბალი და უპრეტენზიო იყო ეს სახელმოხვეჭილი ქართველი პოეტი... გრიშაშვილთან ერთად გატარებული დღეები ჩემთვის დაუვიწყარია“, – ვკითხულობთ მოგონებების წიგნში (გვ. 292).

ალ. ბარამიძე განსაკუთრებული სიყვარულით გვთავაზობს სპარსული რუბაის საკუთარ ქართულ თარგმანს, რომელიც იური ნიკოლოზის ძე მარის მიუძღვნია გრიშაშვილისადმი. მარი ერთმანეთს უპირისპირებს ორ იოსებს –

იოსებ გრიშაშვილსა და ეგვიპტელ, ანუ მისრელ იოსებს. ეგვიპტელი იოსების ამბავი ხომ მოთხრობილია სპარსულ „იოსებ ზილიხანიანში“. მისი მიხედვით, იოსებ მშვენიერს ორი ქალი გაუმიჯნურდა ერთდროულად, მაგრამ იოსებმა უარყო მათი სიყვარული. სწორედ ეს ფაქტი იქცა რუბაის შექმნის მთავარ პირობად, რომელიც შემდგომში თვით ალ. ბარამიძის ყურადღების საგნადაც ქცეულა:

„... ამბობენ, რომე მისი სახელი იყო იოსებ,
მისი სახისგან გაწბილდებოდა მისრის იოსებ.
ის იოსები მეგვიპტელია, ეს კი თბილელი,
მაგრამ ქალებს კი არ გაურბის ეს იოსები“ (გვ. 298).

ალ. ბარამიძე აქვე აქვეყნებს ოთხ პირად წერილს, რომელიც პოეტს სხვადასხვა პერიოდში მოუწერია მისთვის. „ცნობილია, რომ მას უყვარდა წერა ღია ბარათებზე, გარკვეული, მაგრამ წვრილი ხელით. ბარათებზე, ჩვეულებრივ, თავისუფალ ადგილს არ ტოვებდა და სხვადასხვა მინაწერებით ავსებდა“ (გვ. 287). ამ ბარათებში საგულისხმო შტრიხებია გამოკვეთილი იოსებ გრიშაშვილის, როგორც ნიჭიერი ქართველი პოეტის, ლიტერატურის მკვლევარისა და საოცრად კაცთმოყვარე პიროვნების შთამბეჭდავი სახის წარმოსადგენად.

მუხრან მაჭავარიანის პოეტური სახისმეტყველების ერთი ნიმუშის გაგებისათვის

„მე მდუმარე გენია ვარ...“

გალაკტიონი

„მდუმარება – მჭევრმეტყველი გამოთქმაა გამოუთქმელისა“.

შრი ჩინმოი

იშვიათი ძალა აქვს პოეტურ სიტყვას. მას შეუძლია უდიდესი გარდატეხა მოახდინოს ხალხის შეგნებაში. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც განსაკუთრებულ ჟღერადობას არ მატებდა შთამაგონებელი პოეტური შეძახილი. სწორედ ამ შეძახილებს მიჰყავდა ხალხის მასები ყველაზე გადამწყვეტ წუთებში ძველი სისტემების დასანგრევად, კულტურული რევოლუციების ბარიკადებზე საბრძოლველად. პოეტურმა სიტყვამ შეძლო უშუალო შეხება ჰქონოდა ყოველგვარი სიახლის დამკვიდრებასთან, მაგიური ძალა მიენიჭებინა ახალი სიცოცხლისათვის.

თუმცა, დუმილი სიტყვაზე ძლიერი ყოფილა, თურმე...

სამყაროს ფილოსოფიური განცდა დასაბამიდან აიძულებდა მხატვრული სიტყვის ოსტატს ეძებნა იდუმალი გზა, რომელიც ჭეშმარიტებასთან მიახლოვების მეტ საშუალებას მისცემდა. ასეთი გზა კი დუმილის ბოლომდე შეუცნობელ სუბსტანციამდე მიდიოდა. დუმილი იქცა აზროვნებისათვის აუცილებელ საშუალებად. ამგვარად

დამკვიდრდა მხატვრულ – ფილოსოფიურ აზროვნებაში დუმილის ცნება, როგორც სამყაროს შეცნობის უნივერსალური საშუალება. დუმილი (ლათინური – შილენტიუმ) კაცობრიობის სულიერი აზროვნების უდიდესი მისტიკური საშუალებაა. მითოსისა და მისტიკის ღრმა ფესვებით ნასაზრდოები ეს უნივერსალური კონცეპტი მოიცავს მთელი კოსმიური სამყაროს სულიერ ორიენტაციას. ცნობილია, რომ „პირველად იყო სიტყვა", მაგრამ ეს სიტყვა ხომ თავდაპირველად დუმილში გახმიანდა. ანუ, სიტყვაც დუმილის ნაყოფია. სემანტიკური მნიშვნელობით ურთიერთგამომრიცხავი ეს ორი ცნება ერთმანეთთან არსებით კავშირშია იმდენად, რომ შეუძლებელია მათი გათიშვა. „სიტყვა ვერცხლია, დუმილი კი ოქროაო რჩეული", – გვმოძღვრავენ ჩვენი სულიერი მამები. მართლაც! მხოლოდ მან შეძლო სამყაროს ჭეშმარიტებასთან ზიარება, ვინც დუმილის სიბრძნეს ჩასწვდა, ვინც გაითავისა მისი ღრმად ფილოსოფიური არსი.

დუმილის ხელოვნება ერთეულთა ნიჭია მხოლოდ. არაერთ მოაზროვნეს უცდია მის ნიუანსებში გარკვევა და მეტნაკლებად მყარი შეხედულებების ჩამოყალიბება. „დუმილში ეძებენ უნივერსალურ დიალოგს, როგორც ამ გათიშულ სფეროთა დაუნაწევრობის განცდის გამოხატულებას. ძველთა შეგონება – „სიტყვა დროის პირმშოა, დუმილი – მარადისობისა" – ამ პრინციპს ეყრდნობა. ეს არის სუბიექტის თავისებური უნივერსალიზაციის ფორმა" (გაჩეჩილაძე, გ; (1986). სულიერი გამოცდილების სამყაროში; გვ. 15). დუმილის ხელოვნებითაა გამსჭვალული ქართული სასულიერო მწერლობა, რაც უფალთან მიახლების ყველაზე ღია და ხელმისაწვდომ გზად ითვლებოდა იმთავითვე. დიონისე არეოპაგელი შენიშნავდა, რომ

„ღმრთისმეტყველებისა საიდუმლონი ნათელითა უზესშთაესითა მით დაფარულ არიან, დაფარულ საიდუმლოისა დუმილისა არმურითა... და ჩემდა ესე იყავნ სალოცველ“ (იქვე, გვ. 13).

დუმილი ქართულ პოეზიაში ყველაზე იდუმალი ინტიმით დატვირთულ ცნებას წარმოადგენს. მისი აპოლოგია თვალნათლივ მოჩანს მე-20 საუკუნის ქართველ პოეტთა შემოქმედებაში. საკმარისია გალაკტიონ ტაბიძის შთაგონებით სავსე ტაეპის გახსენება „გურიის მთებიდან“:

„ვდგევარ მთაზე... და სიჩუმის იდუმალი მესმის ენა...“

სიჩუმის იდუმალ ენაში პოეტური წვდომა განაპირობებს კოსმიური სამყაროს შეუვალ შრეებში შეღწევას, ახალი ჰორიზონტების დაპყრობას, სიცოცხლისა და სიკვდილის არსის გაგებას. ასე მოდის შთაგონების უმაღლესი განცდები პოეტურ ქმნილებებში, რადგან ის სულიერი ორიენტირების აუცილებელი წინაპირობაა მხატვრული სიტყვის ოსტატისათვის.

ქართულ პოეზიას ჰყავს გამორჩეულად „ხმაურიანი“ პოეტი – მუხრან მაჭავარიანი. პოეტური მოღვაწეობის ყველა ეტაპზე მას თავისი ომახიანი შეძახილი განასხვავებდა თანამედროვე სიტყვის ოსტატებისაგან. შევნიშნავთ, რომ მუხრანს ღრმად სწამდა საკუთარი სიტყვის ძალა და ამიტომ წერდა:

„სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა“.

თუმცა, ხმაურიანი შეძახილის გვერდით მუხრანის პოეზიაში დუმილიც მეფობს. სულ სხვა შინაარსობრივი

დატვირთვა აქვს დუმილის განცდას პოეტის მსოფლმხედველობის რეალიზაციის პროცესში. ასეთ განცდას შეიძლება პოეტური „მოთმინებაც“ ვუწოდოთ. ამ მოთმინების უნარს თუ გულისხმობდა პოეტი, როცა წერდა:

„წუთისოფელი, თქვენ რომ ფიქრობთ, არც ისე მიყვარს;

მოთმინებიდან, თუ გიყვარდეთ, ნუ გამომიყვანთ“.

საინტერესოა მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში დუმილის ესთეტიკური განცდა. აქ ის ერთგვარ საკრალურ ხასიათს ატარებს და საოცარი ენერგიული მუხტით გამოირჩევა.

„უაზრო ხმაური არ მსურს,

უაზრო დუმილი მიჭირს.

უკეთუ არ გამცემ პასუხს, –

შეკითხვის წამართვი ნიჭი“.

„დუმილი“ და „ხმაური“ მუხრან მაჭავარიანის პოეზიის თანამდევი ცნებებია. გამორჩევით ხმაურიანი პოეტის შემოქმედებაში საოცარი სიმშვიდით „დუმან ციხენი“, „შემოგარენი დუმან“, „ღრმა ხეობა დუმილითაა სავსე“, „შლის წარამარა დუმილი შრიალს“, რადგან პოეტს „უაზრო ხმაური არ სურს. „მისი აზრით, დუმილის ნიჭი იშვიათი განძია, რაკი –

„ენა რაც უფრო გიჭრის, –

გაქვს უფრო მეტი დუმილის ნიჭი“.

დუმილი, როგორც მედიტაციის უმთავრესი პირობა, ფიქრსა და განცდას შეიცავს. ამიტომაც იგრძნობა ციხესიმაგრეთა, ღრმა ხეობათა და სხვა შემოგარენთა დუმილში ფარული ნაღველი და სევდა. სათქმელი კი თავის შესაფერ დროს ელის. მუხრანის აზრით, „ხმის ამოღება ღირს მხოლოდ მაშინ, აკრძალულია როდესაც იგი!“ ამი-

ტომაც დუმილსაც აქვს თავისი დასასრული მაშინ, როდე-საც მწიფდება ფიქრის ნაყოფი. ასეთ დროს ძნელია მისი დადუმება – „ვერ დამადუმონ... თუნდაც ჩამქოლონ“, – წერს პოეტი.

დუმილი მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში სმენის გამახ-ვილების მიმანიშნებელიცაა. ამ დროს პოეტი შეფასებას აძლევს ისტორიის მძაფრ კატაკლიზმებს და მათ გმირებს. ეს გმირები შეიძლება იყვნენ არა მარტო ადამიანები, არამედ ხავსმოდებული მდუმარე ლოდები და ლიბომორ-ღვეული ციხეები, სავსენი დაუსრულებელი მოლოდინით.

„ყელში ფათალოწაჭერილი ხროტინებს ციხე.

ხმითა უხმოთი შებღავის ზეცას

სისხლი, – ძეთათვის დაღვრილი ძეთა...“

საოცარი შესიტყვება გვხვდება მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში, ესაა „უხმო ხმაური“, რომელიც განუწყვეტლივ ისმის ცხოვრების უწყვეტი განვითარების ციკლიდან ცოცხლობის, ქმნადობის, დაბადებისა და გარდაცვალებ-ის, სამყაროს არსებობის ფილოსოფიაში. მას თავისი ხმა აქვს, უხმო, მგრძნობიარე, პოზიტიური და ადამიანსაც ქმედებისთვის განაწყობს:

„– ირბინე! – უხმოდ გეძახის ველი,

– იფრინე! – უხმოდ გეძახის ზეცა“.

ამ კონტექსტში იგრძნობა ის ფარული დინამიკა, რომელიც თავის სახეს ავლენს ადამიანის მსოფლგანცდის უნარში. დუმილიც ხომ სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს უკეთ შეცნობის მედიტაციური გზა, ხმაურიანი, ჯერ კიდევ დაუძლეველი, ბოლომდე შეუცნობელი. ამიტომაც ისმის მისი განუწყვეტელი რეკვა მუხრანის პოეტურ სიტყვაში:

„დუმილი რეკავს ჯვრით, ალავერდით,

გელათით, ტბეთით...

ხმა თუა ნეტავ, ხმა თუა ნეტავ, –
ამ უხმო ხმაზე რომაა მეტი!“

ეს „უხმო ხმა“ მუხრანის პოეზიიდან მკითხველის მედიტაციის უეჭველი წინაპირობაა ჭეშმარიტების ძიების გზაზე.

დროის ქრონოტოპი გიორგი შატბერაშვილის მოთხრობაში „მკვდრის მზე“

„ამბავი წუთისოფლის დიდი დღისა“, – რამდენ საფიქრალს იტევს მოთხრობის სათაურის ქვეშ მინაწერი! განა შეიძლება წუთისოფელს, თვითონ წუთიერს, „დიდი დღე“ ჰქონდეს? თუმცა, ქართული მხატვრული აზროვნებისათვის უცხო არაა ამგვარი ენიგმა. „დღეო, გადიდდი“ – ო, – ეს შეძახილიც ქართველ პოეტს ეკუთვნის და ის უთუოდ მნიშვნელოვან მოვლენად აღიქმება მკითხველისაგან.

„მკვდრის მზე“ 1960 წელს გამოქვეყნდა – შატბერაშვილის შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში. ამ პერიოდისათვის, საკმაოდ დახვეწილი ქართული მოთხრობა, კვლავ განაგრძობდა ახალი სიუჟეტური აღნაგობისა და გამომსახველობით ფორმების ძიებას. სამწერლო სარბიელზე ახალი თემებითა და განსხვავებული სამწერლო ოსტატობით ჩანდნენ ახალგაზრდა მწერლები: გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე, ნოდარ დუმბაძე, გურამ ფანჯიკიძე... პარალელურად, გრძელდებოდა პარტიული კონიუნქტურის განუსაზღვრელი გავლენა მწერლობაზე, რომელიც კვლავ პარტიულ ლიტერატურას სთავაზობდა მკითხველს... არაერთი ზეპარტიული შემოქმედი კი ცდილობდა ეწერა ადამიანთა ყოფის მარადიულ თემებზე – სიკვდილ-სიცოცხლის არსისა და ურთიერთმიმართების, ადამიანის ამქვეყნიური მოვალეობისა და პიროვნების გარესამყაროსთან წინააღმდეგობრივ კავშირებზე. გიორგი შატბერაშვილი, როგორც მწერალთა უფროსი თაობის წარმომადგენელი, ცდილობდა გზა გაეკვალა თავისუფალი აზრისათვის, დელიკატურად იცავდა რა ნომენკლა-

ტურული წნეხის ქვეშ მოქცეულ ახალგაზრდა მწერალთა თაობას. არა მარტო იცავდა, როგორც მენტორი, მოძღვრავდა და გზას უკვალავდა მათ ჭეშმარიტი მწერლობისაკენ.

შეიძლება ითქვას, რომ „მკვდრის მზე, „იმდროისათვის, იყო არა მარტო მწერლის მხატვრული შემოქმედების მწვერვალი, არამედ, ამ მოთხრობამ შეაჯამა მე-20 საუკის მეორე ნახევრის ქართული მოთხრობის მიღწევები, თავისი განვითარების ყველა საფეხურზე. „მკვდრის მზემ" კიდევ ერთხელ მიაპყრო ყურადღება პიროვნების მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვის თემას, რომელსაც სათავეები წარსულში, თუნდაც ლეგენდაში მოუჩხრიკა და მაღალმხატვრული ოსტატობით – თხრობის განსაკუთრებული სტილით გადმოსცა მკითხველს.

დროის ქრონოტოპი შატბერაშვილის ნარატივში საკმაოდ რთული და მრავალპლანიანია. თუმცა, მოთხრობის სიუჟეტურ აღნაგობაში მისი ფენომენი ჰარმონიულადაა ჩართული. აქ დღე, ჩვეულებრივ, სამგანზომილებიანია – დილა, შუადღე, საღამო. ხოლო, არაჩვეულებრივი ისაა, რომ დროის ამ სამ ცნებაზე ნაწილდება მოთხრობის ერთერთი მთავარი პერსონაჟის – გიორგის განცდები და ამ განცდების პარალელურად ხდება მოთხრობის სიუჟეტის განვითარებაც. სიუჟეტის განვითარებაში „გამწევი ძალა" ისევ დროის სამი ცნებაა: წარსული, აწმყო და მომავალი.

წარსული ცოცხლდება ლეგენდიდან, საჯილდაო ქვის პირველი ამწევის, ხიზამბარელის სახეში, აწმყო – თენგო კობაიძეა, ფიზიკურად სრულყოფილი, სოფლის სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, შეყვარებული და მეოცნებე. ხოლო, მომავალი კი – „ნინოს ბიჭია". სიმბოლური ფრაზა „გიორგის გზა" აერთიანებს მოთხრობის

არა მხოლოდ დროსა და სივრცეს, რომელიც მკვეთრად კოორდინირებული და შეკუმშულია ისევ სამ ცნებად – ხიზაბავრა, ნოსტე, შუბათი, არამედ, იმავდროულად, მოთხრობის პერსონაჟებსაც. დრო და სივრცე კი მძაფრი დრამატიზმით ერთიანდება საჯილდაო ქვის სიმბოლურ სახეში, რომლის ირგვლივ ტრიალებს მთავარ პერსონაჟთა ვნებები. აქ ერთმანეთს ეჯახება მშობლებისა და შვილების განსხვავებული ხასიათები, შედეგი კი – უცნაურად გაუცხოებული, დროში აცდენილი მამაშვილობა და დედაშვილობაა. დროში გაუცხოებას მოსდევს შიშნარევი განცდები, ავადმყოფობამდე მისული ეჭვიანობა და დამღუპველი ჯიბრი უახლოეს ადამიანებს შორის. ამის გამომხატველია თენგოს მამის, გიორგის განცდები, ძველი კედლის საათის ჩხაკუნის ფონზე: „თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ტკბილი ქანცვისმომგვრელი რული არსად ჩანდა, იგვიანებდა... გახედავდა ამ უკიდეგანო სივრცეს... უცებ უკაცრიელი მინდვრის ბოლოს ვიღაც წამოდგებოდა, ამ სიჩუმეში მისკენ ფრთხილი უხმაურო ნაბიჯით წამოვიდოდა... ენდროსფერი ხალათი ეცვა შორიდან მომავალ ჭაბუკს, თვალები შავი, ოდნავ ცეცხლმოდებული ნაღვერდლებივით უღვივოდა. გიორგის არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ეს შორიდან მომავალი ჭაბუკი თენგო იყო. ჩააშტერდებოდა, შიში თუ გაოცება ზარივით დაჰკრავდა მის ყურებში ათას საჟღარუნოს, აიფარებდა თვალებზე ხელს, მოიფშვნეტდა, ისევ გაახელდა... ელექტრონის ნათურა სჭრიდა თვალს. არც თენგო ჩანდა სადმე... ძველი კედლის საათის ქანქარა ჩხაკუნობდა, ეხლებოდა ჯაჭვის ბოლოზე დაკიდებულ ჟანგმოდებულ გირვანქიანს და ჩხაკუნობდა“.

დროის ფილოსოფიური განსჯა კი მწერლის ლირი-

კულ გადახვევაში იკვეთება: „... დრო კი არ მიდის, დრო დგას და ჩვენ მივდივართ. დრო უძრავია სივრცესავით, თვალუწვდენია სივრცესავით, ის უსახო და უსხეულო მდუმარებაა, რომელსაც ხანდახან ჩვენი განწირული ძახილი არღვევს... ჩვენ მივდივართ, როგორც ჩვენზე ადრე სხვები მიდიოდნენ, როგორც ხიზამბარელი მიდიოდა ნოსტეს გზაზე, როგორც თენგო კობაიძე მიჰქროდა ძლევის ქედისაკენ...“ (გვ. 468). მწერლის ნააზრევის მიხედვით დრო ძლიერია თავის დინამიკაში, მას შეუძლია გმირი შემოიყვანოს გარკვეულ სივრცულ არეალში, სახე მისცეს ამ გმირს, მიამსგავსოს ან განასხვავოს სხვა გმირისაგან. გმირი თავის დროსა და სივრცეში იკვეთება, დროის შვილია და ამავე დროს, მისი მსხვერპლიც. თენგო კობაიძე ახალი დროის პირმშოა. წინაპარ ხიზამბარელს მიაგავს იმ დიდი სურვილით, რომელიც ძლევის ქედზე აიყვანს, აამაღლებს მას და შემდეგ საჯილდაო ლოდის ქვეშ სასიკვდილოდ გაწირავს. ხიზამბარელიც ხომ მან გაწირა, ეკლესიის მშენებელი, მარჯვენადალოცვილი ოსტატი. და თუ ორივე გმირი ერთნაირად განიცდის, რომ „სირცხვილ არს სიკვდილ!“ – ესეც დროის მოთხოვნაა.

არის მოთხრობაში ასეთი პასაჟიც: გიორგი კლდის ქიმს ასწორებს, გზა უნდა გაათავისუფლოს ჩახერგილი ლოდისაგან. ამ დროს ჩნდება მიწაში ჩამარხული ნამარნალი, წარსულის უტყუარი მოწმე, რომ აქ ოდესღაც ცხოვრობდა ადამიანი, ჰქონდა ვენახი, მარანი, აყენებდა ღვინოს და ყურიანი საღვინით სთავაზობდა გამვლელთ. „მეც ვცხოვრობ, მაქვს ჩემი საღვინე... შიგ თავკვერის ღვინო მაქვს ჩასხმული“ ... ფიქრობს გიორგი და ერთბაშად იშლება საზღვრები წარსულსა და აწმყოს შორის, დრო ერთია, ადამიანი ცხოვრობდა, ცხოვრობს და იცხოვრებს

კვლავაც. მთავარია, როგორ იცხოვრებს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მოთხრობის სიუჟეტური ქარგა დღის სამ დროზეა მორგებული. „დილას" უწოდებს მწერალი განყოფილებას, რომელშიც მონათხრობია ავგიორგის ოჯახური ისტორია – სიყვარულის დრამატიზმი და ამ დრამატიზმზე აღმოცენებული დაპირისპირება უახლოეს ადამიანთა შორის. შურისგების ნაყოფია უდანაშაულო, ღარიბი და გონჯი არჩევანი – ხახატო, მისი ნაშობი დედისერთა ვაჟი თენგო, მამა-შვილის ჩუმი „მტრობა". შურისგების ამ გზაზე გიორგისაგან იშვა ავგიორგი... ჩანს, თვით მსხვერპლად ქცეული ავგიორგი ბოლმამორეული ეძებს მსხვერპლს, თუნდაც ის საკუთარი შვილი იყოს.

„შუადღე" მთლად სიძულვილია... მზის ალმურში იწვის იგი... ავტორი საგანგებოდ ამზადებს მოთხრობის მკითხველს ფინალისათვის – „წვიმას მხოლოდ პირი მოებანა მიწისათვის... საფლავის ქვებზე ბეღურები აღარ ჟივჟივებდნენ. შორს გაწოლილი ვრცელი მინდვრები ბუღში გახვეულიყო. სპილენძისფრად ალანძულ ცასა ცისქვეშეთს შუა საზღვარი წაშლილიყო და ეს უკიდეგანო სივრცე თვალისმომჭრელად ცახცახებდა, მზისქვეშ გარინდულ ოკეანეს ჰგავდა" (შატბერაშვილი, გვ. 412). ამ ალმურში ჯიუტად შრომობს გიორგი, „ხანდახან, დროის ვარაუდისთვის თვალს ქირმიშად აპარებდა გაავებული მზისკენ. უკვე სამზეოში ეგულებოდა, ამიტომ თვალის გასწორებას ვერ უბედავდა (გვ. 414). შუადღისას გაიცნობს ის „ნინოს ბიჭს", რომელიც მის გულში სულ სხვა იმედის სხივს ანთებს.

„საღამო" კი ცოდვა-მადლის განკითხვის დროა და ავგიორგის უკიდეგანო სინანულის მშობელი. საკუთარ ორეულთან და შავდათუას ლანდთან ვრცელი კამათი

მიგვანიშნებს გიორგის ცხოვრების დასასრულს. ეს კამათი უფრო განკითხვის სახეს ატარებს. გიორგი განიკითხავს საკუთარ ცოდვებს. „... შენს ცოდვას ვაგდებთ სასწორზე... სამართალში შენა დგეხარ“ – მიმართავს გიორგი ორეულს – ავგიორგის, შეძრწუნებულს უკვე მომხდარი უბედურებით, – „უბედურება წინ არი.

– წინ არი თუ უკან? – იკითხა შეძრწუნებულმა ავგიორგიმ და წინ გაიხედა... გაფითრებული გიორგი ფეხზე წამომდგარიყო, დასიცხული თვალებით გასცქეროდა გვალვის ბუღით ამღვრეულ სივრცეს.

– წინ არი, – ჯიუტად თქვა მან, ვაი, რომ რაც მოხდა, ის ერთხელ მომხდარი და გავლილი კი არ არი, ყოველდღე ხდება, ყოველდღე მეორდება. ეს გამეორებული უფრო მძიმეა“ (შატბერაშვილი, გვ. 436).

„მკვდრის მზის“ ერთი დღე, როგორც მწერალი უწოდებს, „დიდი დღე“, მოთხრობის ერთი მთავარი პერსონაჟის, პროტაგონისტის – ავგიორგის განკითხვის დღეა. „დილა“, „შუადღე“ და „საღამო, „რეალურად, მისი ცოდვა-მადლიანი ცხოვრების ანალიზია, მისი შუქ-ჩრდილებით, მუდმივი ჭიდილით ყოფნა-არყოფნის ბოლომდე შეუცნობელი სუბსტანციის საზღვარზე. და არა მარტო ავგიორგის ... ასეთია ასპარეზი შატბერაშვილის გმირებისა. მიუხედავად დროში განსხვავებისა, აქ იბადებიან გმირები, რომელთა მისწრაფებებიც სცილდება რეალურ სამყაროს და გადადის ირეალურში. ხიზამბარელი და თენგო, სხვადასხვა ეპოქის შვილები, ერთმა მიზანმა დაუახლოვა ერთმანეთს, იმ მიზანმა, რითაც განსხვავდნენ სხვებისაგან. „მინდა რამე გავაკეთო, კარგი და სასახელო...“ – ეუბნება თენგო შეყვარებულ ქალს. მისი აზრით, „ეს ცხოვრება ცოცხალი ადამიანის მკვდართან

შეჯიბრია. რომ ცოცხალი ადამიანი ცდილობს იმაზე მეტი გააკეთოს, რაც მის წინაპრებს გაუკეთებიათ. მოხნას და მოიწიოს მათზე მეტი, გაასენოს და ააშენოს მათზე მეტი, იყოს მათზე ღონიერი, ასწიოს მეტი, იცხოვროს მათზე უკეთ და მეტ ხანს... „ (შატბერაშვილი, გვ. 450). მკვდართან შეჯიბრი, იგივე ცოცხლებთან შეჯიბრიცაა, როგორც მწერალი იტყოდა. და მხოლოდ თუნდაც ხანმოკლე ლამაზი სიცოცხლითა და სიკვდილით გარდასული ადამიანებისთვის ანათებს ულამაზესი და უმშვიდესი მკვდრის მზე. ასეთია „ამბავი წუთისოფლის დიდი დღისა“.

ამაში უნდა ვეძიოთ სწორედ ამ ენიგმატური შესიტყვების გასაღები.

ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობიდან

გარკვეული წლების მანძილზე მუშაობა მომიხდა XIX საუკუნის ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლა – გამოცემაზე. საქართველოს ეროვნულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ რომანტიკოსების პირად წერილებთან მიახლებამ უდიდესი პროფესიული ბედნიერება მომანიჭა.

ეს წერილები ამ შრომის შედეგია, სიყვარულითა და დიდი რუდუნებით სავსე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები მაიკო ორბელიანთან

ნიკოლოზ ბარათაშვილი ღვიძლი შვილია იმ ეპოქისა, რომელმაც სათავე დაუდო თვისობრივად ახალ ქართულ ლიტერატურულ მიმდინარეობას – რომანტიზმს. გამორჩეულმა პოეტურმა ნიჭმა, ფართო ერუდიციამ და პიროვნული ცხოვრების ღრმად შთამბეჭდავმა დეტალებმა საშუალება მისცეს მას, თავისი ხელწერით გაემდიდრებინა და ახალი სული ჩაედგა ახალი ლიტერატურული მოძრაობისათვის. მისი ხანმოკლე ბიოგრაფია სამშობლოდან შორს, რუსეთის იმპერიული ზრახვებით ზუსტად გათვლილი ცუდი ჩანაფიქრით დამთავრდა. ნახჭევანისა და განჯის ციებ-ცხელებით დაავადებულ მიწაზე დასამარდა მარტოობითა და მიუსაფრობით ტანჯული პოეტის სული, დაიფერფლა და გაიფანტა მისი არქივი, რომელიც ძვირფასი მასალა იქნებოდა პოეტის პიროვნების უფრო დახვეწილი პორტრეტის შესაქმნელად. იქნებ ამიტომაც მუდმივი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ახლდა ლიტ-

ერატურის კრიტიკოსთა ნააზრევს. უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილის ყურადღება გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრების კვლევამ მიიპყრო. კერძოდ კი, ინტერესი გაჩნდა პირადი წერილების, ანუ ეპისტოლური მემკვიდრეობის მოძიებისა და დაცვის მიმართ, რომელიც ძვირფასი მასალა შეიქმნებოდა ამა თუ იმ მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის. საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძემ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების მოვლასა და გამომზეურებას. მან ჟურნალ „კრებულში“ დასაბეჭდად მოამზადა ოთხი წერილი მაიკო ორბელიანისადმი ასეთი შენიშვნით:

„ეს ოთხი წიგნი, ნიკოლოზ ბარათაშვილისგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის რაგვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, ის ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულს გარდამომცემელსა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. X, 1963, გვ. 27, 28).

თუ რა მაგიურ გავლენას ახდენდა ხელნაწერ ავტოგრაფთა მოძიება და შესწავლა თვით დაინტერესებულ პიროვნებებზე, ამას ნათლად გვაგრძნობინებს ქართული ხელოვნების მოღვაწის ვალ. გუნიას შთაბეჭდილებანი, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის N20-ში გამოქვეყნდა: „ერთი კვირის შემდეგ ხელთნაწერი უბეში მედო. მთელი წელიწადი მქონდა, როგორც სასოება, როგორც წმინდა ნაწილი. ჩემი თავი უბედნიერეს

კაცად მიმაჩნდა მთელს დუნიაზე. ბევრჯერ გამჭირვებია, ბევრჯერ სიმწარე და სუსხი კარზე მომდგომია და მუქარით კბილები დაუკრაჭუნებია, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელთნაწერით გაჭირვებიდან თავის დაძვრება აზრადაც არასდროს მომსვლია, თუმცა ბევრი ფულიც უძლევიათ... „(ციტირებულია ივ. ლოლაშვილის წიგნიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1968, გვ. 20).

ეროვნული საგანძურის ასეთი მომპოვებლებისა და დამცველების (გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ზ. ჭიჭინაძე, ი. მეუნარგია, ე. თაყაიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ვალ. გუნია, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, მიხ. თუმანიშვილი და სხვა) წყალობით გადარჩენილი და საცავებში დაცულია ნ. ბარათაშვილის 18 წერილი. მათგან ხუთის ადრესატი პოეტის ახლო მეგობარი, მესაიდუმლე და პოეზიის დამფასებელი მაიკო ორბელიანია. ჩვენი ინტერესის საგნად ქცეული ეს ხუთი წერილი, დაცული კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ბარათაშვილის თაყვანისმცემელთა კიდევ მრავალ თაობას აზიარებს მასთან შეხების ბედნიერებას, დაარწმუნებს იმ არაჩვეულებრივ ძალასა და ენერგიაში, რომელიც ამ ხელნაწერებიდან მოდის დაუსრულებლად.

ადრესატი, მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანი (1818-1849), XIX საუკუნის I ნახევრის ქართველ მანდილოსნებში სილამაზითა და ინტელექტით გამორჩეული პიროვნება ყოფილა. წერილებში ჩანს ის დიდი ნდობა და სულიერი სიახლოვე, რომელსაც ბარათაშვილი იჩენდა სიყრმის მეგობრისადმი. წერილების მიღმა წარმოგვიდგება მგრძნობიარე სულისა და პოეტური ბუნების, სათნო

ხასიათის ქართველი ქალი, პოეტის მისწრაფებათა სწორი შემცნობი და მისი ნიჭის სანიმუშო შემფასებელი. ამაზე მიგვითითებს სწორედ ის წერილი – მიძღვნა, რომელიც ნ. ბარათაშვილმა საკუთარი ხელით გადაწერილ ლექსთა კრებულს წაუმძღვარა. 34 გვერდიანი ხელნაწერ ლექსთა კრებული სულ 11 ლექსს შეიცავს. ესენია: „ბულბული ვარდზედ“ (დათარიღებულია: ივნისის 18-სა, 1833), „ქეთევან“, „ძია გ... სთან“, „ღამე ყაბახზედ“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „დიქრნი მტკვრის პირზედ“, „ნაპოლეონ“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ჩონგურს“, „საყურე“ და „ჩვილი“ (დაუთარიღებელნი კრებულში). (კრებული აღწერილია პ. ინგოროყვასა და ივ. ლოლაშვილის მიერ. მათ მიერ დასახელებული „ჩემი ლოცვა“ ამჟამად არ არის) პირველ გვერდზე თარიღია მითითებული – 1841 წელი, ტფილისი, ხოლო მიძღვნა წარწერილია თავფურცლის II გვერდზე. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც პოეტი იწყებს სასაჩუქრო „ხელნაწერი გამოცემების“ (პ. ინგოროყვა) დამზადებას. საგულისხმოა, რომ პირველი მათგანი სწორედ მაიკოსთვის ყოფილა გამიზნული.

„დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. – ვიცი, რომ წარმკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმაწვილობისათა და შემიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა“.

თ – ი. ნ. ბარათაშვილი

ტექსტი გარკვევით იკითხება, ოდნავ დახრილი, წვრილი ასოებით, შავი მელნითაა დაწერილი. ჩანს, ავტორს უცდია, ლამაზი კალიგრაფიით ეწერა. ხელნაწერის თხელი, გაყვითლებული და დალაქავებული ფურცლები მკვრივ კრემისფერ ქაღალდებზეა დაწებებული და უკეთ დაცვის მიზნით მუქ შინდისფერ ყდაშია ჩასმული (ხელნაწერთა

ეროვნული ცენტრი, შ – 2701).

იმავე ფონდშია (შ – 1484) დაცული მაიკოსადმი მიწერილი ოთხი წერილი, ხუთ ლექსთან ერთად („სატრფოვ მახსოვს", „ვპოვე ტაძარი", „დამქროლა ქარმან", „არ უკიჟინო სატრფოო", „ქილის ყვავილი და მწირი"). თავფურცელზე მითითებულია, რომ ავტოგრაფები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შემოსწირა ელისაბედ გრიგოლის ასულმა საგინაშვილმა (ილია ჭავჭავაძის დამ). ხელნაწერები ჩასმულია მუქ ლურჯ მუყაოს ყდაში. მოყვითალო ფერის მკვრივ ქაღალდზეა ნაწერი მელნით, საკმაოდ გარკვეული კალიგრაფიით. ერთი მათგანი თბილისიდანაა გაგზავნილი 1842 წ. 31 ოქტომბერს, ორი წერილი ნახჭევანიდანაა (აქედან ერთი დაუთარიღებელია, მაგრამ ძნელი არაა მისი დათარიღება), მეოთხე კი მურუტიდანაა გამოგზავნილი 10 აგვისტოს, 1845 წელს (ბოლო წერილი). ეს წერილები მკვეთრად გამოხატული სულიერი ტრაგიზმითაა სავსე და ზოგჯერ ნაძალადევი მხიარულებით აღბეჭდილი.

თბილისიდან გაგზავნილი წერილი იწყება სამადლობელი სიტყვებით – „მადლობელი ვარ, რომ რახაელს წიგნი დაჰსტყუე... წინა დღეს ამ წიგნზედ ლაპარაკი იყო მეორეს დღეს უნდა მიმეტანა მანანასთას". დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, თუ რომელ წიგნზეა საუბარი. ნაგულისხმევი უნდა იყოს პოეტის ხელნაწერი კრებული, რომელიც ფასეული იქნებოდა მეგობრებისათვის და, მათ შორის, რახაელ ციციშვილისთვისაც. რახაელი მეფე ერეკლე II – ის შვილთაშვილი, იასონ ციციშვილის მეუღლე, ბარათაშვილის პოეზიაზე შეყვარებული, საერთოდ, პოეტური ბუნების ქალი ყოფილა (აქვე უნდა მოვიხსენიოთ რახაელის ძმა, ასევე პოეზიაზე შეყვარებული და პოეტური ნიჭის

მქონე პიროვნება დავით ციციშვილი). ქარელში, ციციშვილთა სახლში, ერთგვარი ლიტერატურული სალონიც ყოფილა. ჩანს, გარკვეული მოსაზრების გამო პოეტს ამ წიგნის მანანასთვის გადაცემა სურდა.

როგორი პიროვნება დგას ამ წერილის უკან? სრულიად ახალგაზრდა, 24 წლის ყმაწვილი კაცი სულით ობლობას უჩივის. პოეტი, რომელიც განგებამ გენიალური პოეტური ნიჭით დააჯილდოვა, სრულ დისჰარმონიას განიცდის „ამ საძაგელ ქვეყანაში". თუმცა იქვე ამაყად აცხადებს: „თავისუფალი ფიქრი" მაქვს და „მტკიცე გული", თანაც „უსყიდელი მსაჯული" ვარო. ცდილობს, ურჩიოს ავად-მყოფ დობილს, რომ ამსოფლიური სიამენი შეურჩენელია და მის საპირისპიროდ „მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა" ჭეშმარიტი ბედნიერება და უმაღლესი სიამეა, რომელსაც კაცი ამქვეყნიდან წაიღებს. თუმცა, მასვე კარგად მოეხსენება, რომ ეს ყოველთვის არ გამოდგება წამლად მგრძნობიარე სულისათვის.

საგრძნობია ის გულჩვილობაც, ცოტა ხნით რომ დაუფლებია მის კალამს: „მოიგონე ცოტას ხანს დრონი წარსულნი და მაშინ შემიბრალებ"-ო. რატომ აბრალებს თავს მაიკოს? რა ახსოვს ერთგულ დობილს, ნუთუ ბედნიერი ტატო? რას, ან ვის შეეჩვია ყმაწვილობიდანვე მისი სული?

საოცარი იმედიანი განწყობა და ოპტიმიზმი ჩანს 1845 წლის 9 თებერვალს ნახჭევანიდან გამოგზავნილ წერილში. პოეტი ოცნებობს „რიგიან სამსახურზე", ხელმწიფისა და საზოგადოების ერთგულებაზე, თითქოს აღარ აინტერესებს პირადი ურთიერთობები, მითუმეტეს, რომ ჭორად განაგონი უსიამოვნო სიტყვები აგონდება. „წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევს"-ო, ამბობს.

თავს იმხნევებს, თუ მართლა სჯერა მომავალი ბედნიერების? – ძნელია გამოიცნო.

1844 წლის დასაწყისში ბარათაშვილმა მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა. ამის შესახებ ის თავის ბიძას ზაქარია ორბელიანს სწერდა: „მე ძალიან ავად ვიყავი, კინაღამ „ელვისიოსის მინდვრებში“ (მით. მიცვალებულთა აჩრდილების განსასვენებელი ადგილი ძველი ბერძნების წარმოდგენით) არ გადავსახლდიო“. საოცარია, რომ ამ ავადმყოფობის შესახებ გაკვრითაც არაა მინიშნებული მაიკოსადმი მურუტიდან მიწერილ წერილში. საგრძნობია წერილის მკაცრი ტონი. თითქოს მწარე სიმართლე უნდა მიახალოს პირში ამქვეყნიური პატივით დაჯილდოებულთ („ჯვრები ტყუილად მიიღეს მეთქი იმათ...“). ხანაც ხუმრობის ხასიათზეა, ახსენებს ყბადაღებულ პაპუა ორჯონიკიძეს, თითქოს მეგობრის გამხიარულებასაც ცდილობს.

ცნობილია, რომ ბარათაშვილისათვის უცხო არ ყოფილა ენაკვიმატობა, რომელიც ზოგჯერ ენამწარეობაშიც გადაზრდილა. ხშირი ყოფილა მისი სახუმარო შეკამათებაც ლექსებით. მაგალითად, 1842 წელს, 31 ოქტომბერს გამოგზავნილ ბარათში მაიკოს სთხოვს მოკითხვა გადასცეს ნინუცას, ანუ ანნა ივანოვნას და უთხრას: „ძალიან ვწუხვარ, რომ აღარ გაციებსთქო“. ნახჭევანიდან გამოგზავნილ წერილში კი ირონიულად შენიშნავს: „ვაი იმას, ვინც ოცდარვა წლისაა...“

ნახჭევანიდანაა გამოგზავნილი ერთი დაუთარიღებელი წერილი. მასში იწერება, რომ გონჩა-ბეგუმი უკვე შეურიგებიათ ქმართან. გონჩა-ბეგუმის ქმართან განშორების ამბავს წინა წერილში, 1845 წლის თებერვალში იტყობინებოდა პოეტი. რადგანაც 1845 წლის მარტის დამლევს ნიკოლოზ ბარათაშვილი ნახჭევანიდან თბილისში

დაბრუნებულა, ამიტომ ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს თებერვლის ბოლოს, ან მარტის დასაწყისში. დათარიღების ამ ვარიანტს პავლე ინგოროყვა გვთავაზობს და ის სრულიად მისაღებია ჩვენთვის.

მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილების მეცნიერული ღირებულება მხოლოდ მისი ავტორისა და ადრესატის პიროვნული ურთიერთობების გარკვევით არ განისაზღვრება. ამ წერილებმა ლიტერატურის მკვლევართ დიდი სამსახური გაუწია პოეტის რთული, წინააღმდეგობებით სავსე პიროვნული პორტრეტის წარმოსახვის საქმეში. ეს ფაქიზი ხელით ნაწერი გაცრეცილი ფურცლები წარმოგვიჩენს პოეტის განუწყვეტელ შინაგან სულიერ შფოთვას, მასში პესიმიზმისა და ოპტიმიზმის საოცარ მონაცვლეობას, მეგობართა და განსაკუთრებით, ქალთა საზოგადოების წარმომადგენელთა მიმართ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას. ვხედავთ, ადრესატის მიმართ საერთოდ თავაზიანი, ზოგჯერ გაღიზიანებული ტონით ცდილობს აზრის გამოთქმას, ბუნებრივი, შეულამაზებელი სახით. დამახასიათებელია, რომ მეგობარ ქალს თავს არასოდეს ახვევს საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

წერილებში ვეცნობით ბარათაშვილის ორი ლექსის – „სული ობოლი“ და „მადლი შენს გამჩენს“, გენეზისის საკითხებს, რაც ასე მნიშვნელოვანია პოეტის შემოქმედებითი საკითხების განხილვისას.

გარდა ამისა, მაიკოსადმი მიწერილმა წერილებმა მკაფიოდ ასახა მე-19 საუკუნის 40-იანი წლების ქართველ თავადაზნაურთა წრის ცხოვრების გარკვეული დეტალები, მათი დამოკიდებულება ქართული ეროვნული ცნობიერებისა და კულტურულ ფასეულობათა მიმართ.

უცნობი ავტოგრაფიული მინაწერები პირად წერილებზე

ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიურ გამოცემაზე მუშაობამ უამრავი საკვლევი მასალა გამოამზეურა. სახელმწიფო არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წერილების ავტოგრაფებზე დაკვირვებამ ზოგიერთი აქამდე შეუმჩნეველი და დაფარული საკითხიც ხელმისაწვდომი და გასაგები გახადა ჩვენთვის. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თვით წერილზე გაკეთებულმა წარწერებმა, რომლებიც ბარათის უკანა მხარეს, ან არშიაზეა მიწერილი. ეს მინაწერები ძირითადად წერილების ავტორებს ეკუთვნით, მაგრამ, არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც მინაწერი სხვა პირის ხელითაა შესრულებული. ყოველ ასეთ ფაქტს თავისი ახსნა აქვს, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს.

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლა-გამოცემა დიდად შეუწყობს ხელს არა მარტო მათი ბიოგრაფიული ცნობებისა და პიროვნული ხასიათების გამოწვლილვით შესწავლას, არამედ იმ ეპოქის გაცნობასაც, რომელშიც ამ პიროვნებებს მოუხდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. პირად წერილებში დაცული ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცნობა სრულიად ახალ სამყაროს გვიხსნის და ხშირად, რადიკალურად ცვლის მანამდე გაბატონებულ შეხედულებას ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმ მოღვაწეთა პირადი წერილები, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს ეპოქის მოწინავე აზრის ჩამოყ-

ალიბებასა და განვითარებაზე. მხედველობაში გვაქვს ქართველი მწერლისა და მოაზროვნის სოლომონ დოდაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელმაც ძვირფასი ცნობები შემოგვინახა დიდი მამულიშვილის დაუღალავი შემოქმედებითი ძიების შესახებ. სიღნაღის მაზრის, სოფელ მაღაროში, მღვდლის ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა, ღრმად მორწმუნე, ნიჭიერმა პიროვნებამ, მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართული პედაგოგიური და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიას. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მისი პირადი წერილები თავის დროზე შეისწავლა და კომენტარებით გამოაქვეყნა ცნობილმა მკვლევარმა და ლიტერატურისმცოდნემ სოლომონ ხუციშვილმა. არქივზე ამჟამინდელმა დაკვირვებამ კი ბევრი ახალი და საყურადღებო ცნობა გამოამზეურა. ჩვენი ყურადღება ერთ-ერთი პირადი წერილის ავტოგრაფზე მინაწერმა მიიპყრო. შევნიშნავთ, რომ ეს მინაწერი თავის დროზე ყურადღების გარეშე დარჩათ ლიტერატურის მკვლევართ. გადაკეცილი წერილის უკანა მხარეზე, აღმოჩნდა ბუნდოვანი აზრის შემცველი, ჯერ გამოუქვეყნებელი მინაწერი. წერილის ადრესატი შუამთის მონასტრის ბერი, ფილადელფოს კიკნაძე გახლდათ (ავტოგრაფი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, სრულიად საგანგებო საქმეებში, №170, გვ. 40-41). იგი დათარიღებულია 1832 წლის 6 თებერვლით და გაგზავნილია თელავში. მინაწერი ასე იკითხება: „ყოფად მისდა ამისთვის არა იქმნების ვითარ ესე არს ესე რათა იქმნებოდეს ყოველივე წესსა ზედა კეთილი ნებავსთ ნებავსთ წარმატებათათვის და რომლისამე მიზეზისა ნებავსა ესე იქმნების ესე ყოველი“. მინაწერის ბოლო სტრიქონში ჩასმული გაურკვეველი, უცნაური ასოებით შედგენილი

სიტყვის ამოკითხვა კი მხოლოდ ბარათის შემობრუნების შემდეგ გახდა შესაძლებელი (რუსულ ენაზე – „ფლ იერომონახს“).

ბარათის დათარიღება მიგვანიშნებს, რომ იგი დაწერილი და გაგზავნილია ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულების უშუალო მზადების პერიოდში, თუმცა მასში საუბარია სრულიად სხვა თემაზე. ცნობილია, რომ შეთქმულნი საიდუმლო ანბანის გარდა მიმოწერისათვის იყენებდნენ ერთგვარ ფარულ ხერხსაც, რაც გულისხმობდა ერთმანეთთან აზრობრივად დაუკავშირებელი სიტყვებით სავსე ტექსტიდან, საგანგებოდ ამოჭრილი ფურცლის მეშვეობით, ნამდვილი აზრის ამოკითხვას (მსგავსი წერილი გაშიფრული და ამოკითხულია მკვლევარ გ. გოზალიშვილის მიერ). ასეთი ხერხი შეფასებულია, როგორც შეთქმულთა ერთი ჯგუფის საიდუმლო მიმოწერის საინტერესო ნიმუში. ჩვენს მიერ მიკვლეული ტექსტი, სავარაუდოდ, არ შეიცავს რაიმე შინაარსს. იგი წააგავს შეთქმულთა ერთგვარ პირობით მოწოდებას, რომელიც დაახლოებით ასე გავშიფრეთ: „იქმნების ესე ყოველივე კეთილი წარმატებათათვის და რომლისამე მიზეზისა იქმნების ყოველი“.

რაც შეეხება მეორე მინაწერს, მას გრიგოლ ორბელიანის ვრცელ ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე მუშაობისას შევხვდით. საერთოდ, რომანტიკოსი პოეტი – გენერალი წერილებს წერდა და აგზავნიდა იმ რეგიონებიდან, სადაც უხდებოდა ცხოვრება და სამხედრო სამსახური. ეს წერილებიც ხშირად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციების დასრულების შემდეგ იწერებოდა და ამ საომარი ბატალიების ამბავს ორბელიანი მეგობრებსა და კოლეგების გარდა ნათესავებსა და ახლობლებსაც უზიარებდა. ამ მხრივ საინტერესოა მისი მიმოწერა რძალ ქეთევანთან.

წერილებიდან ჩანს ის თბილი ნათესაური დამოკიდებულება, რომელიც სუფევდა რძალ-მაზლს შორის. ყურადღებას იქცევს პოეტის ორი პირადი წერილი, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და ორივე მათგანის ადრესატი ქეთევან ალექსი-მესხიშვილია, ზაქარია ორბელიანის მეუღლე. ორივე ბარათი დაღესტნიდანაა მოწერილი და დათარიღებულია ავტორის მიერ. ორივე წერილს ბოლოში დართული აქვს მინაწერი. პირველ წერილზე მინაწერი ზაქარია ორბელიანს ეკუთვნის და იწყება მიმართვით: „პირს გაკოცებ, ჩემო ქეთევან!“ მსგავსი მინაწერი გვხვდება მეორე ბარათის არშიაზეც. დაზიანების გამო, მისი ბოლომდე ამოკითხვა შეუძლებელია, მაგრამ მიმართვის სტილი თითქმის იგივეა: „ქეთევან, პირს გაკოცებ...“ გრ. ორბელიანის წერილებში ქეთევანისადმი ამგვარ მიმართვას ვერსად ვხვდებით. ამ პერიოდისათვის ზაქარია ცოცხალი აღარ არის. ვის შეეძლო ქეთევანისათვის შეეთვალა „პირზე კოცნა“? შენიშვნების ავტორს, აკ. გაწერელიას, ამ საკითხზე არ გაუმახვილებია ყურადღება და მინაწერის ავტორად გრ. ორბელიანი ჩაუთვლია. მიგვაჩნია, რომ ასეთი დასკვნა არარეალური და საფუძველს მოკლებულია.

მინაწერის ავტორის კალიგრაფია განსხვავდება გრიგოლ ორბელიანის კალიგრაფიისაგან, ასოები უფრო მსხვილია და ხშირად, გადაბმულიც. სავარაუდოდ, ეს მინაწერი, უმცროს ძმას, ილიკოს უნდა ეკუთვნოდეს. ვითვალისწინებთ ქეთევანის განსაკუთრებულად გულთბილ დამოკიდებულებას უმცროსი მაზლის მიმართ, რასაც არაერთი წერილი ადასტურებს. თვით გრიგოლიც ხშირად ნახევრად ხუმრობით საყვედურობდა რძალს ილიკოსადმი მომეტებული ყურადღების გამო. როგორც ჩანს, ილიკოც

ძალზე შეთვისებული ყოფილა ასაკით უფროს რძალთან და ამ სიახლოვით გამოწვეულ სითამამესაც არ მალავდა წერილებში. მხედველობაში მისაღებია ის ფაქტიც, რომ სამხედრო სამსახურში მყოფი ძმები ზოგჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ერთად ატარებდნენ გარკვეულ პერიოდს და წერილების თანაავტორებიც ხდებოდნენ (მეტიც, ზოგიერთ წერილს, იმის მიხედვით, თუ რამდენი ახლობელი იყრიდა თავს ერთად, რამდენიმე თანაავტორიც ჰყავდა). ამის დასტურია მომდევნო წერილების შინაარსი, რომელიც გვამცნობს სწორედ იმ პერიოდში ილიკოს უფროს ძმასთან სტუმრობის ფაქტს, გარკვეული ხნით (ამ დროს ის პეტერბურგში გასამგზავრებლად ემზადებოდა). გრიგოლ ორბელიანის მომდევნო წერილები კი უკვე ილიკოს ხელმწიფესთან ვიზიტის ამბავს გვამცნობენ. გარდა ამისა, მინაწერის ავტორის კალიგრაფია სავსებით ემთხვევა ილია ორბელიანის კალიგრაფიას, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ არშიაზე მინაწერის ავტორი სწორედ ილია ორბელიანია. სამწუხაროდ, დაზიანების გამო, ბოლომდე ვერ ამოვიკითხეთ მინაწერის შინაარსი.

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი წერილების მნიშვნელობა განუზომელია ერის კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და შესწავლის საქმეში. ამიტომაც, დიდი ყურადღება ეთმობა მათ მეცნიერულ დამუშავებასა და სწორ გააზრებას, რაც სამომავლოდ, მეტ სიახლეს შემოიტანს ქართული ეპისტოლური ჟანრის მდიდარი ტრადიციების კვლევაში.

გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების ადრესატი ქალები

გრიგოლ ორბელიანის ვრცელ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წერილებს, რომელთა ადრესატებიც ქალები არიან. XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოში ცხოვრობდა და გარკვეულ მოღვაწეობასაც ეწეოდა არაერთი გონიერი და სილამაზით გამორჩეული ქალი. ისინი უმეტესად მაღალი წრის წარმომადგენლები და შეძლებისდაგვარად განათლებული და აღზრდილნი იყვნენ. ბევრ მათგანთან პოეტს ნათესაური კავშირი აახლოვებდა, თუ თვალს გადავავლებთ ადრესატი ქალებისადმი გაგზავნილ წერილებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ მათში გაცილებით მეტადაა გახსნილი გრ. ორბელიანის პიროვნული ხასიათი და ბუნება.

პოეტის დღემდე გამოქვეყნებული ბარათებიდან ნახევარზე მეტი მათგანის ადრესატი ქალია. ესენი არიან ნათესავები და ოჯახის წევრები: რძლები ქეთევან ალექსის ძე მესხიშვილი და ბარბარე ბაგრატიონი, მარიამ დედოფალი, სალომე ორბელიანი ჭავჭავაძისა და მისი ქალიშვილები ეკატერინე, ნინო, მოგვიანებით კი ეკატერინეს ქალიშვილი სალომე მიურატი, ნინო ანდრონიკაშვილი ერისთავისა, ორბელიანთა რძლები მანანა და ანა, ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისა და მისი დედა ელისაბედი („სიყმითგან საკუთარი ძალუა“).

ქალებისადმი მიწერილი წერილები თემატურად მსგავსია: მოკითხვა, საკუთარი ამბის შეტყობინება, იუმორი, ზოგჯერ სარკაზმით შეზავებული, ჭორები, ახალი ამბები, ისევ მოკითხვები...

ადრესატ ქალთაგან პირველ რიგში მარიამ დედოფალს შევეხებით. მარიამი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მეუღლეა, კაცია დადიანის ასული, რომელიც იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთში გადაასახლეს. 1831 წელს პეტერბურგში ჩასული გრიგოლ ორბელიანი სტუმრად ეწვია ნათესავს, დედის – ხორეშანის ნახევარ ძმა დავითის. (შემდგომ სოლომონ II-ის) მეუღლეს. მარიამ დედოფალს. როგორც ჩანს, დედოფალი გარკვეულ ყურადღებას იჩენდა მულიშვილების მიმართ.

1832 წლის მაისში დაწერილ წერილში პოეტი შენიშნავს, „ვიცი რომ ჩემი მწყალობელი ბრძანდებით, ამისათვის ჩემს ამბავს გაგიბედავთ მოსახსენებლადო".

ამასთან, არა მარტო საკუთარ თავს თვლის ვალდებულად დედოფლის წინაშე, არამედ ძმას, ზაქარიასაც წერს: „შენმა გაზრდამ ზაქარიავ! დედოფალს მისწერე შენი დაქორწინება ყოვლის კომპლიმენტებით – ვიცი ძალიან იამება" (1835 წ. აპრილი).

1835 წლის იანვრის ბარათში წერს: „მეშინის, ვაითუ ხშირის მიწერითა შეგაწყინოთ მოწყალებანი თქვენი ღრმად არიან აღბეჭდილნი გულსაზედაჩემსა და დღეცა არს ჩემთვის მარადის სასიამო მოსაგონებლად ოდესცა მეღირსა ხილვა თქვენი..."

მიმართვის ფორმა – მოკრძალებული და აღმატებულია: „უმაღლესო დედოფალო", „უმოწყალესო ხელმწიფევ". რაც შეეხება წერილების შინაარსს, ის ჩვეულებისამებრ ულოცავს დღესასწაულებს, ზაქარიას სამსახურში დაწინაურებას, თუ ჯვრისწერას. მარიამი 1841 წელს გარდაიცვალა პეტერბურგში და იქვე დაუკრძალავთ.

გრ. ორბელიანის პირად წერილებში ჩვენი ყურადღება მიიქცია ბარათმა უცნობი მეფის ასულისადმი. იგი

ნოვგოროდიდან პეტერბურგშია გაგზავნილი. ადრესატის ვინაობის საკითხი ღიად დატოვა ლიტერატურის მკვლევარმა აკ. გაწერელიამ, როდესაც გამოსცა გრ. ორბელიანის პირადი წერილები ორ ტომად (1936-1937). ითვალისწინებდა რა ფაქტს, რომ ერეკლე II-ის ასულები მარიამი და თეკლე იმ პერიოდისათვის (1832 წ.) თბილისში იმყოფებოდნენ, თავი შეიკავა სავარაუდო თვალსაზრისის გამოთქმისაგან.

წერილის ადრესატად ვთვლით ანასტასია ბატონიშვილს, მეფე ერეკლე II-ის ასულს, რევაზ ქსნის ერისთავის მეუღლეს. 1825 წელს ქვრივი ანასტასია უმცროსი ვაჟის, გიორგის თანხლებით, მისი სწავლა-აღზრდის მიზნით პეტერბურგში გამგზავრებულა. ჩვენი ვარაუდით, ანასტასია, თვით წიგნიერი, განათლების დიდი დამფასებელი უნდა ყოფილიყო. პოეტიც ხომ ასე მიმართავს: „უგანათლებულესო მეფის ასულო!" – წერილის დასასრულს კი სთხოვს – „მიბოძეთ წასაკითხად წიგნები".

ანასტასია გრ. ორბელიანის ბებია გახლდათ და გასაგებია ის თბილი და ნათესაური განწყობა, რომელიც წერილში იგრძნობა, მით უფრო, რომ ავტორი მოკითხვას უთვლის პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებს დედის, ხორეშანის სახელით. ანასტასია ბატონიშვილის სახელი ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მისი შვიდი წერილი, რომლებიც სანკტ-პეტერბურგიდანაა გამოგზავნილი უმცროსი დის, თეკლას სახელზე. წერილები ძალზე საინტერესო და შთამბეჭდავი ქალბატონის სახეს წარმოგვიდგენენ (გამოკვლევა ანასტასია ბატონიშვილის პიროვნების შესახებ იხ. სამეცნიერო ბიულეტინი N3, სამეცნიერო პროექტის „XIX-XX საუკუნეების ქართ-

ველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ – ფარგლებში).

პოეტის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მრავლადაა წერილები ძმის, ზაქარია ორბელიანის მეუღლის ქეთევან ალექსი-მესხიშვილისადმი, რომლის მიმართ გრიგოლს განსაკუთრებული მეგობრული გრძნობა ჰქონდა. ქეთევანი ანჩისხატის დეკანოზის, მწიგნობარ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ასული გახლდათ. მათ შორის განსაკუთრებით ურთიერთგაგებაზე მეტყველებს დიდი რაოდენობა წერილებისა, სავსე ოჯახის კეთილდღეობისა და ახლობლებზე ფიქრით ეს მიმოწერა 1844 წლიდან იწყება და პოეტის სიცოცხლის მთელ მანძილზე გრძელდება (ქეთევანი 1895 წელს გარდაიცვალა). წერილებიდან ჩანს ის დიდი მზრუნველობა, რომელსაც გრიგოლი იჩენდა ზაქარიას ოჯახის მიმართ, რადგან, სანდრიკო, გადაშენების გზაზე დამდგარი ოდესღაც დიდი გვარის ერთ-ერთ გამგრძელებლად მოიაზრებოდა. ამ წერილებში პოეტი ზრუნავს სანდროს განათლებაზე:

„ირწმუნეთ, ძალუავ, რომ მე რაცკი შემიძლიან, არა დავიშურებ, ოღონდ კი სანდრო აღიზარდოს ისე, როგორც მე მსურს...“

ქეთევანს იმავე წერილში სთხოვს: „მამულების გაყოფა როგორ შეასრულეთ, მაცნობეთ. „ჯალუაჯან! გეთაყვანე, ერთი იფიქრეთ კარგად და უშოვნეთ შესაფერი ქმარი ჩემს დისწულს ბაბალეს, ე. ი. ეფემის ქალსა. ჩემის მხრივ შემიძლიათ მივცე ასი თუმანი თეთრი სიქა მანათი მზითვად“ (1849 წ. 3 ივნისი, თემირხანშურით). ასევე, 9 დეკემბრის ი. წ. წერილში იმეორებს იმავე თხოვნას.

წერილებში გვხვდება ჭორები და ზოგჯერ მეგობრული შეხუმრებანი:

„როცა ქეთევანი ნახოთ (ერისთავი ორბელიანისა) გთხოვთ გულითადი პატივისცემა და მოკითხვა განუცხადოთ... დაარწმუნეთ კი რომ ის საიდუმლოებები, რომელიც მოეწერა ჩვენთვის რა საკვირველია ჩვენშივე დარჩება ისე, მითომ ზღვაში ქვა გადაუგდია. და თუ ვინიცობაა როგორმე გამოცხადდა, მაინც ნუ ეშინიან, ჩვენ ბარბარეს (თუმანიშვილი ანდრეევსკისა) დავაბრალებთ...“ (1850 წ. ივლისი).

პოეტის ერთი საპატიო ადრესატი ბაბალე ორბელიან საგინაშვილისა, იგი იყო ქალი, რომელსაც, გრ. ორბელიანი, ღვიძლი დედისა და გამზრდელი ძიძის შემდეგ, დედას უწოდებდა.

1846 წ. ქეთევანს სწერს: „მომიკითხე ჩემი დედა ბაბალე თავის ალექსანდრეთი“. ისევ ქეთევანს 1847 წლით დათარიღებულ წერილში: „ჩემს დედას ბაბალეს და ალექსანდრეს სიყვარულით მოვიკითხავ“. უმცროს ძმას, ილიას წერს: „ჩემი დედა ბაბალე ... მომიკითხე“. 1852 წლიდან კი თვით ბაბალესადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს არაჩვეულებრივად თბილის, გულახდილი განწყობილება ამ პიროვნებისადმი. ბაბალე სამარაგდონ ორბელიანის ასული, გრ. ორბელიანის ნათესავი და როგორც წერილებიდან ჩანს, ახალი მეგობარიც ყოფილა. თავისი დროის ქალთა წრეში სილამაზითა და დარბაისლობით ცნობილი ქალბატონი 1839 წლის დამდეგს ცოლად გაჰყოლია 17 წლით უფრო გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე საგინაშვილს, კავკასიის ომების ცნობილ მონაწილეს. ალექსანდრეც ისევე გულითად ურთიერთობაში ჩაბმულა გრიგოლთან, როგორც მისი ახალგაზრდა და ლამაზი მეუღლე. ამაზე მეტყველებს წერილები, რომელთა ადრესატებიც ხშირად ორივენი არიან. ბაბალესადმი წერ-

ილები გამოირჩევა გულახდილობით, და-ძმური სითბოთი და ნახვის ნატვრით.

„ჩემო საყვარელო დაო ბაბალე? უთუოდ ეშმაკისგან ვიყავი შეკრული, თორემ აქამომდის როგორ არ მოგწერდი შენი წერილის პასუხსა, და მეტადრე აქაურს ამბავსა, რომლისა ცნობა ვიცი, ძალიან გსურს.

შამილა ზის ხალვათში და დიდად მარხულობს ... დიდის გულით მოსდომებია ერთი კარგი ლამაზი ქართველი ქალი, რომელმანცა სხუათა შორის, უნდა ასწავლოს ჩვეულება ქართველებისა; და აბა რომელი ემზადებით, შენ თუ წელნაზი თამარი". [25. V. 1854 წ. თემირხან-შურა].

გრიგოლი თავის დედად და დად წოდებულ ახლობელ ქალს ხშირად ანდობდა თავის ინტიმური ცხოვრების ამბებს, სამწუხაროდ, ბაბალე 45 წლის ასაკში გარდაცვლილა ავადმყოფობით, უშვილოდ გადაეგო დედა-შვილური მზრუნველობით სავსე ქალი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ დიდი მოკრძალებისა და სიყვარულის შესახებ, რომელსაც გრიგოლი ალ. ჭავჭავაძის სახლობისადმი იჩენდა. აი, რას წერს იგი ბირჟიდან (პოლონეთიდან, 1835 წ. 23 მარტის) თავის ნათესავს, სალომე ორბელიანს-ჭავჭავაძისას:

„მოულოდნელად მივიღე წერილი თქუენი, რომლისათვის ჭეშმარიტად არ ვიცი, თუ ვითარ მოგახსენოთ ანუ მადლობა, და ანუ სიამოვნება ჩემი თქვენდამი ჩემს უღრმეს პატივისცემაზე და სიყვარულზე უნდა კი ბრძანდებოდეთ დარწმუნებულ, და სადაცა გინა ბედმა გადამაგდოს მაინც თქვენდამი გრძნობა ესე თანაწარმყვებისა; და რადგანაც თქუენ გახსოვარ, მაშა არა ვარ ჯერ სრულებით უბედურ...

დღენი თქუენთანა გატარებულნი არიან უნეტარესნი ჩემს სიცოცხლეში“ ...

ეს დიდად პატივცემული მანდილოსანი სალომე სარდალ ორბელიანის ასული, ლუარსაბ და დავით ორბელიანების და გახლდათ. (1847 წ. ხოლერით გარდაიცვალა, დაკრძალულია მამადავითის ეკლესიაში, მთაწმინდაზე). XIX ს-ის ერთ-ერთი წარჩინებული ოჯახის დიასახლისი. მიმართ პოეტი არ ერიდებოდა ზოგჯერ უხერხულ ხუმრობას. ცნობილია, რომ გრიგოლმა სწორედ ამ პერიოდში დაწერა ლექსი „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, რომელშიც ლექსის ლირიკული გმირი ბეჟანა თამამად საუბრობს თავის სატრფიალო განწყობაზე სალომეს მიმართ; მეტიც პრეტენზიას აცხადებს ჭავჭავაძის მესამე ქალიშვილის, სოფიკოს, მამობაზე.

სალომესადმი გაგზავნილი მეორე წერილი იმავე წლითაა დათარიღებული, გამოგზავნილია რიგის ჰოსპიტალიდან, სადაც ავადმყოფი პოეტი მკურნალობდა. წერილი საყურადღებოა იმით, რომ ერთბაშად სამ წერილს შეიცავს ბარათებს სალომე, ნინო და ეკატერინესადმი. წერილში დართულია ლექსი „წინანდლის ვარდო“ – რომელიც ეკატერინეს ეძღვნება.

ნინოსადმი წერილი („უსაყვარლესო დაო ნინავ“ მონაწერი სალომეს აღნიშნულ წერილზე) ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული ბარათია.

პოეტი ცდილობს ჩაწვდეს კეკელას ხასიათის გამოცვლის მიზეზს, ჰპირდება რომ არავის ეტყვის, და ვინც მას აწყენინებს, მოკლავს!

მინაწერების ნაწილი რუსულ ენაზეა ჩანს ჭავჭავაძის ასულები გრიგოლთან რუსულ ენაზე საუბრობდნენ ხშირად.

ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მოგვიანებით მიწერილ კიდევ ორ წერილზე მიგვიწვდება ხელი დღესდღეობით. (გამოაქვეყნა აკ. გაწერელიამ, გრ. ორბელიანის წერილი IIტ. – ში 1837 წ.). პირველი მათგანი 1853 წელსაა დაწერილი, ხოლო მეორე 1856 წლის ბოლოს. პირველი წერილი ზაქათალიდანაა მოწერილი, იგი სამძიმრის ბარათია ახლად დაქვრივებული სამეგრელოს დედოფლისადმი და მიტომაც სავსეა მწუხარების განცდით.

მეორე წერილი ეკატერინე ჭავჭავაძე დადიანისადმი (1856 წ. 28 ნოემბერი თემორხანშურით), მოკითხვა მოსკოვიდან ახლად დაბრუნებული „ქვეყნის თვალისა“.

„მოსკოვიდან მივიღე თქვენგან ერთი, მხოლოდ ერთი, ისიც მეტად პაწაწა ბარათი, რომელიცა ვერ ეკმარა ჩემს გამგელებულ სურვილსა... უნდა ამიწეროთ თქვენის მოსკოვში ცხოვრების თვითოეული დღე, თვითოეული ჟამი ... დიდი თაბახი ქაღალდი მოგინდებათ, მაგრამ ნუ გაიძნელებთ: ერთხელ მაინც უნდა მსხვერპლის შეწირვა!“

ამ ბარათით გრიგოლი სამეგრელოს დედოფალს უგზავნის საკუთარ პორტრეტს, „ცხვირ-პირსა“, როგორც თვით უწოდებს, უფრო იმიტომ, რომ სამაგიეროდ მიიღოს ეკატერინეს პორტრეტი (კომენტარს თავად ურთავს წერილს). ახლა რაც შეეხება წერილებს მანანა ერისთავ-ორბელიანისა და ნინო ერისთავ-ანდრონიკაშვილისადმი. ჩვენს ხელთაა მანანასადმი გაგზავნილი სამი წერილი (1834 წ. 1835, 1846 წ.). პირველი მათგანი პოლონეთიდანაა გამოგზავნილი. მასში მეგობრული და მოყვარული ტონით მოთხრობილია გრიგოლის მგზავრობის შესახებ.

წერილი დაუმთავრებელია. ბოლოში პოეტი პესიმისტური განწყობით ოხრავს და სურს ეს „ოხვრა ესმას

მისთა მახლობელთა“, რომ მისმა თვალებმა „უკანასკნელ იხილონ მოყუასნი თვისნი, და არა უცხონი გულგრილნი დაუდევნელის სახითა“.

მანანა, მირმანოზ ქსნის ერისთავის ასული, სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის დაქვრივდა და სამი ობოლო დარჩა – ივანე, ტასო და ალექსანდრე. გადმოცემით მას აღთქმა დაუდია, რომ აღარ გათხოვდებოდა და შეასრულა კიდევაც იგი. „ამ ქალის სალონში იკრიბებოდა რაც რამ იყო ფილისში წარჩინებული: მწერლობაში, ხელოვნებაში, მმართველობაში, მანანა იყო მეფედ ქართულის ზნებისა და გემოვნებისა 1840 წლებში“, – წერდა იოანე მეუნარგია. მანვე უწოდა მანანას ქართველი მადამ რეკამიე. განსაკუთრებული ალღო საშუალებას აძლევდა მწიგნობარ ქალს, დაახლოვებოდა მაშინდელ ქართველ მწერლებს: დ. ყიფიანს, გრ. ორბელიანს, ნ. ბარათაშვილს, მიხ. თუმანიშვილს და სხვა მან დიდი გავლენა მოახდინა მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვზე, რითაც გზა მისცა ქართული ხელოვნების შესაძლო აღორძინებას იმ ხანებში.

ჩვენს ხელთაა წერილი ნინო ანდრონიკაშვილ-ერისთავისადმი.

ნინოს გრიგოლი დეიდაშვილს უწოდებს. ნინო მალხაზის ასული ანდრონიკაშვილი (1793-1868), თავად გიორგი ბეჟანის ძე არაგვის ერისთავის მეუღლე (ილია ჭავჭავაძის ნათლია) იყო ქალიშვილი ხორეშანის ნახევარდის მაია [მარიამისა]. ხორეშანის დედას ელენეს (ერეკლე II-ის ქალი) პირველი ქორწინებიდან ჰყავდა მაია, მარიამი და დავითი. მარიამი ცოლად გაჰყვა მალხაზ ანდრონიკაშვილს, მათი ქალიშვილი კი იყო ნინო ანდრონიკაშვილი ერისთავისა.

დეიდა მარიამის სახელი გამოკრთა გრ. ორბელიანის

რამდენიმე წერილიდან. თუმცა არაა შემორჩენილი მასთან მოწერილი არცერთი ბარათი. თუმცა, რძლის, ქეთევან ორბელიანისადმი მიწერილ რამდენიმე ბარათში პოეტი განსაკუთრებულ მოკითხვას უთვლის პატივცემულ მარიამ ბატონიშვილისადმი კრძალვით გრიგოლი გამოთქვამს რა სინანულს წერილის დაგვიანებისათვის: „მე მართლად დანაშაული მაქუს რომ ბატონიშვილს ერთხელ წერილი ვერ მივართვი. გეთაყვანე ძალუავ, ჩემმაგიერ უღრმესი, ჭეშმარიტი, შვილობრივი პატივისცემა მოახსენეთ და ხელს კოცნა. მომავალ ფოშტაში უთუოდ მოვწერ. სთხოვეთ ჩემ მაგიერ რომ თავის ლოცვაში ზოგჯერ მომიგონოს“ [1850 წ. მარტი 24 თემირხაშურით].

მარიამ ანდრონიკაშვილი [მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე] მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმერეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1810 წელს თავისი 11 წლის ვაჟით ივანეთი [შემდეგ ივანე ანდრონიკაშვილი, გენერალი] ქმარს გაჰყვა ახალციხეში. საქართველოში დაბრუნებული გადაასახლეს ვორონეჟში. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ცხოვრობდა გურჯიანის ახლოს კახთუბნის მონასტერში, 1840 წ. თბილისში გამოვიდა და ცხოვრობდა ანჩისხატის ტაძრის ეზოში. 1854 წ. გარდაიცვალა და დაიკრძალა ანჩისხატის ტაძარში.

გრ. ორბელიანის დამოკიდებულება, ზოგადად, ქალთა მიმართ, უაღრესად რომანტიულია, თუმცა ეს განწყობა სულაც არ უშლის ხელს მას პირად წერილებში იყოს გულახდილი, სამართლიანი, ზოგჯერ მკაცრიც კი. ამიტომაც, ხშირად შინაურული მოკითხვების გვერდით გვხვდება ზომიერი კრიტიკა და ირონიანარევი შენიშვნებიც. გამორჩეულ ვაჟკაცურ ბუნებასთან თანაბრად შეზავებული ნაზი, რომანტიკული ხასიათი ხელს უწყობდა პოეტს

მუდმივად ყოფილიყო ქალთა ბომონდის ყურადღების ცენტრში. ხოლო მათი მისამართით გაგზავნილ წერილებში მშვენივრად მოჩანს პოეტი – გენერლის ხშირად დაფარული შინაგანი სამყარო.



სოლომონ დოდაშვილის სამი პირადი წერილის ირგვლივ

ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლურ მემკვიდრეობასთან ყოველი მიახლება ახალ საზრუნავს უჩენს მკვლევართ. პირად წერილებში დაცული ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცნობა სრულიად ახალ სამყაროს ხსნის და ხშირად რადიკალურად ცვლის მანამდე გაბატონებულ შეხედულებას ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ. ამიტომაც გასაგებია ის სიფრთხილე და სკრუპულოზური დამოკიდებულება, რომელსაც გონიერი მკვლევარი უნდა იჩენდეს იმ პიროვნებათა პირადი წერილების მიმართ, რომელთაც თავის დროზე გადამწყვეტი როლი შეასრულეს არა მხოლოდ სამწერლო-სამეცნიერო, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ამის ნათელ მაგალითად იკმარებოდა XIX საუკუნის I ნახევარში მოღვაწე ქართველი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სოლომონ დოდაშვილის სახელი, პიროვნების, რომელმაც ღრმა კვალი დაამჩნია თავისი ეპოქის პედაგოგიურ, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ აზროვნებას. სიღნაღის მაზრის სოფელ მაღაროში, მღვდლის ოჯახში დაბადებული და აღზრდილი მოაზროვნე, ღრმად მორწმუნე და სულიერი საუნჯით აღსავსე, დაუღალავად ზრუნავდა მშობლიური ენის განმტკიცების, ქართველი ხალხის კულტურისა და განათლების დონის ამაღლებისათვის.

ჩვენთვის მრავალმხრივ სასიამოვნო და საინტერესო აღმოჩნდა ამ დიდი ადამიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე მუშაობა. საქართველოს სიძველეთა საცავებში შემონახული თითქმის ყველა წერილი ხელმისაწვდომი გახდა ჩვენთვის. ეს წერილები თავის დროზე შეისწავლა

და კომენტარებით გამოაქვეყნა ცნობილმა მკვლევარმა, ლიტერატურისმცოდნემ ს. ხუციშვილმა (1961 წ.) საკმაოდ ვრცელ მემკვიდრეობაზე ამჟამინდელმა დაკვირვებამ ახალი შეხედულებანი გაგვიჩინა. კერძოდ, გაჩნდა აზრი, სავარაუდო დათარიღების შემდეგ წერილების ხუციშვილისეულ ქსოვილში ჩაგვერთო ცალკე გამოქვეყნებული პირადი ბარათის სამი ნიმუში. ესენია: „ლოგიკისათვის" წამძღვარებული წერილი – მიძღვნა „ალ. პეროვსკისადმი", ღვიძლი ძმის, სტეფანესადმი თბილისიდან პეტერბურგში გაგზავნილი „პასუხი" და ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟის დავითისადმი მიძღვნილი „მილოცვა". ამასთან, ავტოგრაფებზე მუშაობისას, ფილ. კიკნაძისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილის უკანა მხარეზე წავაწყდით ჯერ გამოუქვეყნებელ მინაწერს, რომელიც, ერთი შეხედვით, ბუნდოვან აზრს შეიცავდა.

წერილი-მიძღვნა „ალექსი ალექსის ძე პეროვსკის" წინ უძღვის დოდაშვილის ფილოსოფიის კურსს, კერძოდ, „ლოგიკის" პირველ ნაწილს, რომელიც 1827 წელს გამოიცა პეტერბურგში. ამ წერილში გამოხატულია დიდი მოწიწება და იმედი, რომ ხარკობის საიმპერატორო უნივერსიტეტის მზრუნველი ა. ა. პეროვსკი სათანადო ყურადღებას მიაქცევს ქართველი ახალგაზრდობის სწრაფვას რუსული განათლების კერებისადმი. ავტორი იქვე აცხადებს, რომ სურვილი აქვს, თანამემამულეთ სასარგებლო დახმარება გაუწიოს ამ გზაზე, რაკი ამას თავის წმინდა მოვალეობადაც თვლის. ამასთან, აღნიშნავს რა უდიდეს მფარველობასა და წყალობას ადრესატის მხრიდან, სამაგიერო ერთგულებას ჰპირდება მას. ალ. პეროვსკი სასკოლო სახელმძღვანელოთა განმხილველი კომისიის თავმჯდომარეც ყოფილა და ბუნებრივია, დიდ როლს ითამაშებდა

„ლოგიკის“ გამოცემის საქმეში. მიძღვნა დაიწერა უშუალოდ ამ მეცნიერული ნაშრომის დაბეჭდვის შემდეგ, 1827 წელს. ანა დედოფლისადმი მიწერილ 1826 წლის 18 დეკემბრით დათარიღებულ წერილში სოლ. დოდაშვილი წერს, რომ „აწ იბეჭდების პირველი ნაწილი – „ლოგიკა“-ო“. 1827 წლის 8 მარტით დათარიღებულ წერილში იონა ხელაშვილისადმი ვკითხულობთ: „ინებეთ მამაო დაბეჭდვად წიგნისა მის, რომელიცა აღიწერა ბრძანებითა თქვენითა და წარსაგებელი იგი შევკრიბოთ შემდეგად დაბეჭდისა სარგებლობისათვისვე მამულისა“. 1828 წლის 7 მარტითაა დათარიღებული პეროვსკის სამადლობელი წერილი დოდაშვილისადმი. ცნობილია, რომ იგი დაგვიანებითაა გამოგზავნილი ავტორის საზღვარგარეთ ყოფნის გამო. ამიტომ, წარწერა – „მიძღვნას“ სავარაუდოდ დავათარიღებთ 1827 წლის მარტ-აპრილის თვეებით და შესაბამის ადგილსაც მივუჩენთ წერილების საერთო ნუსხაში.

რაც შეეხება წერილს „პასუხი ტფილისიდამ“, იგი პასუხია ძმის, სტეფანეს მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილი ბარათისა. ასე წარმოგვიდგება ის ჟურნალ „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ 1832 წლის მეორე ბინერში, რომელიც თავად რედაქტორმა ს. დოდაშვილმა გამოაქვეყნა. აქვეა დაბეჭდილი სტეფანეს წერილი პეტერბურგიდან.

ცნობილია, რომ რიგით 45-ე წერილი იონა ხელაშვილისადმი ს. დოდაშვილმა ხელზე გაატანა პეტერნურგში მიმავალ ძმას სტეფანეს ადრესატისათვის გადასაცემად (დათარიღებულია 1828 წლის 22 ნოემბრით). ეს წერილი სტეფანეს 1828 წლის 12 თებერვალს ჩაუტანია პეტერბურგში. მკვლევარი მ. ბერძნიშვილი არ გამორიცხავს, რომ ორივე წერილი სოლომონის შეთხზული იყოს,

როგორც ერთგვარი ლიტერატურული ხერხი ფარული და ძალზე მნიშვნელოვანი აზრების გადმოსაცემად.

ჩვენი ვარაუდით, სტეფანეს მოწერილი წერილი რეალურია და დაწერილია მისი პეტერბურგში ჩავლიდან უახლოეს პერიოდში, რაკი მასში გადმოცემულია პეტრეს ქალაქის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილებები. ხოლო სოლომონის „პასუხი" მართლაც წააგავს ლიტერატურულ მონაგონს და ვფიქრობთ, დაწერილი უნდა იყოს უშუალოდ გამოქვეყნების წინ. სავარაუდოა, რომ ავტორს სურდა, ახლად დაარსებულ ჟურნალში შეფარვით გადმოეცა ის აღტაცება, რომელიც შეთქმულების მზადების პირველსავე პერიოდში დაეუფლა მის სულს. ხოლო „თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა", რომელიც თურმე „საკურვლად წარმოადგინეს", შეიძლება შეთქმულ ქართველ თავად-აზნაურთა ერთი ჯგუფის შეხვედრას გულისხმობდეს.

„მილოცვა" დავით ბაგრატის ძისადმი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში (ფ. 1457, ს. 10, ფურც. 1837-ა, 4-ი). დაწერილია მოლურჯო ფერის ფურცელზე შავი მელნით, გაკრული ხელით. დედანი პირველად დაიბეჭდა სოლ. დოდაშვილის თხზულებებში (რედ. ა. ბოჭორიშვილი, ს. ხუციშვილი, 1961 წ.) მანამდე მისი რუსული თარგმანიდან გადმოღებული ტექსტით ისარგებლეს მეცნიერებმა ალ. ხახანაშვილმა და კიტა აბაშიძემ. დედანში ხშირად გვხვდება გადახაზული და შემდეგ ჩამატებული სიტყვები, რაც მოწმობს იმას, რომ ხელნაწერი გარკვეული აზროვნებისა და შრომის შედეგია და გამორიცხული არ არის, ავტოგრაფს წარმოადგენდეს.

ცნობილია, რომ ს. დოდაშვილი იონა ხელაშვილის

შუამდგომლობით შინამასწავლებლად მსახურობდა სანკტპეტერბურგში მყოფი ბაგრატ ბატონიშვილის ოჯახში. ამის შესახებ წერდა იგი იონას 1826 წლის 27 მარტით დათარიღებულ წერილში: თუმცა ვარ დადგენილ თქვენ მიერ მათისა უგანათლებულესობის მეფის ძის ბაგრატის ძეთა ზედა მასწავებლად, კეთილმოქმედება ესე ჩემთვის სასეფურო და სახალისო არს, რომლითაც ვრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერად... „ (H N2226, გვ. 105-106). როგორც ჩანს, ეს მასწავლებლობა გაგრძელდა ერთი წელი, რადგან 1827 წლის 16 მარტს ის უკვე იწერება იმ უკმაყოფილების შესახებ, რომელიც ბაგრატ ბატონიშვილთან შეემთხვა.

მილოცვის ადრესატი დავითი იყო ბაგრატ ბატონიშვილის ერთ-ერთი ვაჟი (1819-1888). მამამ მას ბიძის – დავით ბატონიშვილის სახელი უწოდა, რაშიც გარკვეულ აზრს ხედავდა, როგორც მამა, ასევე ბატონიშვილებთან დაახლოებული, საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე ყველა პატრიოტი მამულიშვილი. მათ შორის გამოირჩა სოლომონ დოდაშვილი, რომელმაც ამ მილოცვაში (დავითის დაბადებიდან 8 წლისთავზე) ფრიად საყურადღებო სურვილები ჩააქსოვა.

„მილოცვა“ შეთქმულების გაცემის შემდეგ დაპატიმრებულ ავტორს უპოვეს გაჩხრეკისას. მისივე მითითებით, ის 1827 წელსაა დაწერილი. ვფიქრობთ, იგი მნიშვნელოვანი დოკუმენტია მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში და ამიტომაც საჭიროდ ვთვლით, წერილთა საერთო ნუსხაში მოვათავსოთ ის.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ავტოგრაფებზე მუშაობისას წავაწყდით უცნობ წარწერას სოლ. დოდაშვილის პირადი წერილის (ფილადელფოს კიკნაძისადმი) უკანა მხარეზე. როგორც ჩანს, დაკეცილი ბარათის უკანა გვერ-

დზე ავტორს მიუწერია ბუნდოვანი აზრის შემცველი პატარა ტექსტი. ტექსტის ბოლო სტრიქონში გაურკვეველი, უცნაური ასოებით შედგენილი სიტყვა მხოლოდ ბარათის შემობრუნების შემდეგ ამოვიკითხეთ (რუსულ ენაზე – „ფლ. იერომონახს“), მთლიანი ტექსტი კი ასე იკითხება: „ყოფად მისდა ამისთვის არა იქმნების ვითარ ესე არს ესე რათა იქმნებოდეს ყოველივე წესსა ზედა კეთილი ნებავსთ ნებავსთ წარმატებათათვის და რომლისამე მიზეზისა ნებაცსა – ესე იქმნების ეს ყოველი“.

ავტოგრაფი დაცულია საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის სრულიად საგანგებო საქმეებში (N170, გვ. 40-41). წერილის ადრესატი შუამთის მონასტრის ბერი ფილადელფოს კიკნაძეა. გაგზავნილია 1832 წლის 6 თებერვალს, თელავში. როგორც ცნობილია, შეთქმულნი (თუ ყველა არა, გარკვეული ჯგუფი მაინც) საიდუმლო ანბანის გარდა, მიმოწერისათვის იყენებდნენ ერთგვარ ხერხს, რაც გულისხმობდა ერთმანეთთან აზრობრივად დაუკავშირებელი სიტყვებით სავსე ბარათიდან საგანგებოდ ამოჭრილი ფურცლის საშუალებით ამოეკითხათ ნამდვილი ტექსტ. მსგავსი წერილი, დაცული იმავე საქმეებში, გაშიფრული და ამოკითხულია მკვლევარ გ. გოზალიშვილის მიერ (გ. გოზალიშვილის, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I. 1935 წ. გვ. 35-36) და შეფასებულია, როგორც შეთქმულთა ერთი ჯგუფის საიდუმლო მიმოწერის საინტერესო ნიმუში.

სოლ. დოდაშვილის წერილის უკანა გვერდზე მიწერილი ზემოაღნიშნული ტექსტი, სავარაუდოდ, არ შეიცავს რაიმე შინაარსს. იგი უფრო წააგავს შეთქმულთა ერთგვარ მისანიშნებელ მოწოდებას, პირობას და დაახლოებით ასე ამოიკითხება: „იქმნების ესე ყოველივე კეთილი წარმატე-

ბათათვის და რომლისამე მიზეზისა იქმნების ყოველი“.

დასკვნისათვის: სოლ. დოდაშვილის სამი პირადი ბარათი („ალ. ალ. პეროვსკის“, „პასუხი ტფილისიდამ“ და „მილოცვა“) სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადრესატებისადმი მიმართული გამოკვეთილი აზრის შემცველი, იდეურად სრულყოფილი წერილებია, რომლებიც, გარკვეული მოსაზრებით დღემდე არაა ჩართული წერილების საერთო ნუსხაში და ცალკე განიხილებოდა. ჩვენი აზრით, იმდენად დიდია მათი ღირებულება ავტორის ეპისტოლური მემკვიდრეობის მთლიანობაში განხილვისა და განსჯისათვის, რომ აუცილებელია ჩავრთოთ წერილების დღემდე არსებულ თანმიმდევრობაში მათი თარიღების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, ვფიქრობთ, მომავალ მკვლევარებს დააინტერესებთ ს. დოდაშვილის ერთ-ერთი პირადი ბარათის უკანა მხარეზე წარწერილი ტექსტი, როგორც შეთქმულთა საიდუმლო მიმოწერის ერთ-ერთი ნიმუში.

დამატებითი ცნობები გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებში მოხსენიებულ პირთა შესახებ

რომანტიკოსი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, გრიგოლ ორბელიანის პირადი ცხოვრება ბევრჯერ გამხდარა კრიტიკული განსჯის საგანი. მისი არაჩვეულებრივი ლირიკა, ერთნაირად მდიდარი თემატიკითა და გამომსახველობითი საშუალებებით, ხშირად რადიკალურად განსხვავდება იმ ცხოვრებისეული რეალობისაგან, რითაც განვლო მან წუთისოფლის ეკლიანი გზა. პოეტის პირველი ბიოგრაფი იონა მეუნარგია მონოგრაფიის – „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა" – წერისას აშკარად მოერიდა მისი მოღვაწეობის გამოწვლილვით განხილვას. როგორც თვითონვე მიუთითებს: „მოვერიდეთ დეტალების მოყვანას, რომ ტყუილუბრალოდ არ დაგვემძიმებინა საზოგადო ცხოვრების აღწერა პოეტისა"-ო. ალბათ, ძნელია განსაჯო „გვერდის ავლისა" და „თვალის მოხუჭვის" მიზეზები. ერთი ცხადია, რომ წერილები, რომლებიც უტყუარი თვალით გვიჩვენებენ გრ. ორბელიანის რეალურ სახეს, ამ დიდებული მკვლევარის იშვიათი რუდუნებითაა შეკრებილი და დაცული. სწორედ ამ მონოგრაფიაზე დაყრდნობით დაიწერა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართველი პოეტისა და მეფის რუსეთის არმიის ერთგული გენერლის ცხოვრებაზე. აქვე შევნიშნავთ გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოსული წიგნის – ელგუჯა მაღრაძის „გრიგოლ ორბელიანის" – ღირსებას. მასში დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით ენაცვლება ერთმანეთს პირად-ადამიანური, თუ სამსახურებრივი პერიპეტიები, რომლებიც უშუალოდ განიცადა

დიდბუნებოვანმა პიროვნებამ, რომელიც მაღალი სამხედრო კარიერის მიუხედავად, ბოლომდე დარჩა თავისი ეროვნული იდეალების ერთგული.

ძალზე მნიშვნელოვანია ლიტერატურის მკვლევარ აკ. გაწერელიას მიერ გაწეული ამაგი გრ. ორბელიანის პირადი წერილების შესწავლისა და გამოქვეყნების საქმეში. ფასდაუდებელია მნიშვნელობა 1936-1937 წლებში გამოცემული წერილების ორტომეულისა, რომელიც დღეისათვის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენ წყაროდ რჩება მკვლევარისათვის პოეტის პირად წერილებზე მუშაობისას.

როგორც ცნობილია, თავიდანვე განზრახული ყოფილა გრ. ორბელიანის წერილების სამტომეულის გამოცემა. წიგნის ავტორი შენიშნავს: „მესამე ტომში დაიბეჭდება 1860-1883 წლების (სამოქალაქო პერიოდის) ბარათები. ამ ტომის გამოქვეყნებით დასრულდება გრ. ორბელიანის ქართული წერილების სრული კრებულის გამოცემა ... ქართული წერილების გამოცემის შემდეგ ვფიქრობთ დავბეჭდოთ ამ სერიის გაგრძელებანი: ტომი მეოთხე და მეხუთე – გრ. ორბელიანის დღიურები (ქართულ ენაზე) და ოფიციალური და კერძო წერილები (რუსულ ენაზე). ამ გამოცემის გეგმა არ ითვალისწინებს გრ. ორბელიანის პოეტურ მემკვიდრეობას“ (ორბელიანი, 1936, 310).

სამწუხაროდ, ორტომეულის შემდეგ წერილების გამოცემა შეწყდა და დღის ინათლე ვერ ეღირსა უამრავ მნიშვნელოვან წერილს, ჩანაწერს, ოფიციალურ განცხადებას. ეს მასალა დღესაც ელოდება შესწავლა-დამუშავებას და აკადემიური სახით გამოცემას.

რაც შეეხება აკაკი გაწერელიას მიერ გამოცემულ მასალას, ყურადღებას ვამახვილებთ გრ. ორბელიანის წერილების პირველ ტომზე, რომელსაც დართული აქვს

სამეცნიერო-კრიტიკული აპარატი. წერილები დაწერილი და გაგზავნილია 1832-1850 წლებში. სულ 157 წერილია და მათი ადრესატები არიან: მარიამ დედოფალი, მანანა ორბელიანი, გიორგი ავალიშვილი, ანტონ, ზაქარია და ილია ორბელიანები, სალომე ჭავჭავაძე, ქეთევან მესხიშვილი-ორბელიანისა, ნინო ანდრონიკაშვილი-ერისთავისა, მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვი და კონსტანტინე თარხნიშვილი. შენიშვნები და კომენტარები 92 გვერდს მოიცავს და საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროებზეა დაფუძნებული. ეს წყაროები და დამატებითი ლიტერატურა სათანადო წესების დაცვითაა მითითებული.

დამატებით შენიშვნებში აკ. გაწერელია მიუთითებს იმ შეცდომებზე, რომლებიც„ შესაძლოა, გაპარულიყო მუშაობის პროცესში. აქვე გამოთქმულია სურვილი მკითხველის მიერ აღმოჩენილი შეცდომების (თუ ასეთი აღმოჩნდებოდა) შესაძლოა გასწორებაზე მე-2 ტომში, სპეციალური შენიშვნების სახით. მე-2 ტომში კი მხოლოდ ტექნიკური შეცდომებია გასწორებული, სხვა სახის შესწორებას ვერ ვხვდებით. ჩვენი მოკრძალებული სურვილია, გამოვკვეთოთ ზოგიერთი უზუსტობა და ბუნდოვანება, რომლებიც შეგვხვდა წერილების პირველ ტომზე მუშაობის პროცესში და გამოვთქვათ საკუთარი თვალსაზრისი.

პირველი შენიშვნა ეხება „დედად“ მოხსენიებულ პიროვნებას, იმ პერიოდის წერილებში, როდესაც პოეტის ღვუძლი დედა ხორეშანი უკვე გარდაცვლილი იყო (მაგ. „დედა დედაშვილურად მომიკითხე“ – წერილი ზაქარია ორბელიანისადმი, ტ. 1. გვ. 11-12).

აკ. გაწერელია შენიშნავს: „გაუგებარია, ვის გულისხმობს გრ. ორბელიანი. გრიგოლის დედა ხორეშან გარდაიცვალა 1833 წლის გაზაფხულზე და, მაშასადამე, ის

ნაგულისხმევი ვერ იქნება. გრ. ორბელიანი ამ სახელით ზოგჯერ მიმართავს თავის ნათესავებს, ხანში შესულ მანდილოსნებს. თუ ვის გულისხმობს ამ შემთხვევაში – ძნელი გამოსარკვევია“ (იქვე, გვ. 225).

1835 წელს ზაქარიასადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „დედას დედაშვილურად მოვიკითხავ. – გეთაყვანე მომწერე შენს ქორწილში რას შვრებოდა. – ვიცი ბევრი წუწუნი ექნებოდა სიხარულისაგან“ (იქვე, გვ. 29). ასევე „დედაშვილურად“ მოიკითხავს გრიგოლი „დედას“ 1837 წლით დათარიღებულ წერილში (იქვე, გვ. 47). ჩვენი აზრით, აქ ყველგან გრიგოლის ძიძა უნდა იგულისხმებოდეს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ იგი ყველგან, არა ნათესავებთან, არამედ მოსამსახურეებთან ერთადაა ნახსენები ცალკე აბზაცში. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ იმ დროს წოდებრივ განსხვავებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძიძის სახელი ამ სამიდან არცერთ წერილში არ არის ნახსენები, მაგრამ სამივეგან არის სიტყვა „დედაშვილურად“, ჩანს მისდამი თბილი დამოკიდებულება, მაგრამ არა კრძალვა და მოწიწება, როგორიც ჰქონდა საკუთარი დედისადმი.

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, გრიგოლ ორბელიანის წერილებში ნახსენებია კიდევ ერთი „დედა“, რომელიც არც მისი მშობელია და არც ძიძა. ეს არის ახალგაზრდა ნათესავი ქალი, რომელსაც პოეტი ხუმრობით დედას უწოდებს. 1839 წლის 23 დეკემბრით დათარიღებული წერილით გორიდან უმცროს ძმას ილიას ატყობინებს ბაბალე სამარაგდონ ორბელიანის ასულის – ალექსანდრე საგინაშვილზე დანიშვნის ამბავს (იქვე, გვ. 50). ძმებთან და რძალთან გაგზავნილ მომდევნო ბარათებში პოეტი ამ ბაბალეს დედად მოიხსენიებს და

მოიკითხავს „თავის ალექსანდრეთი“. მაგ., 1846 წელს ქეთევანს სწერს: „მომიკითხე ჩემი დედა ბაბალე თავის ალექსანდრეთი (იქვე, გვ. 137). 1847 წლით დათარიღებულ წერილში ისევ ქეთევან – „ჩემს დედას ბაბალეს და ალექსანდრეს სიყვარულით მოვიკითხავ (იქვე, გვ. 143). ასევე უმცროს ძმას ილიას სწერს: „ჩემი დედა ბაბალე, ალექსანდრე მომიკითხე“ (იქვე, გვ. 145). კვლავ ქეთევანისადმი წერილში – „ბაბალეს უთხარ ჩემ მაგიერ, შვილობაში მე როგორ გამცვალე ამ კუწურაკ ზაქარიაზედა თქო-?“ (იქვე, გვ. 152) და ასე შემდეგ წერილებშიც (იქვე, გვ. 146, 149, 198). საგულისხმოა, რომ ამ „დედასთან“ მიმართებით აღარსად არის ნახსენები სიტყვა „დედაშვილურად“, რაც არანაირად არ მიესადაგებოდა 21 წლით უმცროსი, ახალგაზრდა ნათესავი გოგოსთვის ხუმრობით „დედის“ წოდებას, მაგრამ ჩნდება კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემი“, რაც გდა ბაბალეს წოდებრივ თანასწორობას და ახლო ნათესაურ ურთიერთობას შეეფერება.

მე-2 ტომში დაბეჭდილია 1852 წლის 27 თებერვლით დათარიღებული ბარათი, რომელიც ზაქათალიდან მოუწერია გრიგოლს თვით ბაბალე ორბელიან-საგინაშვილისათვის. მასში ვკითხულობთ: „ვინძლო ჩემო ბაბალე, ზოგჯერ მოიწერებოდე ჩემდა; მე ხომ შენი შვილი ვარ, არ უნდა დამივიწყო; რა გამოგიგზავნო აქედამ მითხარ... „ (ორბელიანი, ტ. 2, გვ. 34). 1856 წლის 1 ივნისს პოეტი თემირხანშურიდან სწერს ალ. საგინაშვილს: ჩემს საყუარელს დას და დედას, ბაბალეს სიყუარულით ჩავკოცნი“ (იქვე, გვ. 166).

1857 წ. 2 ნოემბერს სალათავიიდან სწერს თვით ბაბალეს: „ჩემო საყუარელო დაო დედიკო ბაბალევ! ვიცი

ჩემზედ იქმნები გაბუტებული ცხვირ-აბზეკით, რადგანაც დიდი ხანია აღარ მომიწერია. დავანებოთ თავი თავის გამართლებას და მიზეზების აღწერას. რადგ გვინდა ესეები, როდესაც იცი გულდაჯერებით, რომ სულით, გულით მიყვარხარ“ (იქვე, გვ. 226).

1853 წ. 28 ოქტომბერს ზაქათალიდან სწერს კვლავ ბაბალეს: „ჩემო საყვარელო და საკუთარო დაო-ტეტუშკავ ბაბალე!“ (იქვე, გვ. 78).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ადრეულ, 1834-1837 წლების, წერილებში გრიგოლ ორბელიანი „დედად“ მოიხსენიებდა ძიძას, რომელიც, შესაძლოა, 1837 წელს გარდაიცვალა კიდეც და იმიტომ აღარსად არის ნახსენები, 1846 წლის შემდეგდროინდელ წერილებში კი თავის ბიძაშვილს – ბაბალე ორბელიან-საგინაშვილისას.

გრიგოლის ბიძის – სამარაგდონ ნიკოლოზის ძე ორბელიანის – ასული ბაბალე სილამაზითა და დარბაისლობით გამოჩენილი პიროვნება ყოფილა თავისი დროის ქალთა წრეში. დაბადებულა 1825 წელს. 1839 წლის დამდეგს იგი ცოლად გაჰყოლია 17 წლით უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე საგინაშვილს, კავკასიის ომების ცნობილ მონაწილეს, ნ. ბარათაშვილის მამიდაშვილს. 45 წლის ასაკში ბაბალე ავადმყოფობით გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ამგვარი დედობრივი ინსტიქტით დაჯიდოებული ქალი უშუალოდ გადაეგო. დაქვრივებულმა ალექსანდრემ კი, როგორც ცნობილია, მოგვიანებით მეორედ იქორწინა ილია ჭავჭავაძის უმცროს დაზე ელისაბედზე (შინაურობაში ლიზა). ლიზა ჭავჭავაძე ოვდათორმეტი წლით უმცროსი ყოფილა ქმარზე. შვილი არც მათ შესძენიათ. ალექსანდრე 79 წლის ასაკში გარდაცვლილა.

სწორედ ბაბალე ორბელიანის დედასთან, ელისაბედთან, გამართულ ვახშამზე მოუხიბლავს ნ. ბარათაშვილი ეკ. ჭავჭავაძის საყურეს, რაც საბაბი გამხდარა ქართული ლირიკის შედევრის („საყურე“) შექმნისა.

გრ. ორბელიანის ეპოსტოლური მემკვიდრეობის აკადემიურ გამოცემაში მითითებული იქნება წერილებში ასე თბილად და ხშირად მოხსენიებული „დედად“ წოდებული ორივე პიროვნების ვინაობა.

1835 წლის 4 ივნისით დათარიღებულ წერილში ზაქარია ორბელიანისადმი (ქ. რიგიდან) გრიგოლი ძმას სთხოვს: „ჩემმაგიერ სალომეს და ნინოს მიულოცე კატუას დანიშვნა“ (I, გვ. 32). წერილის გაწერელიასეულ კომენტარში აღნიშნულია: „გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის მიერ ეკატერინეს დანიშვნა. დავით დადიანმა იმავე წელს შეირთო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული“ (იქვე, გვ. 234).

დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ნიშნობა, სარწმუნო წყაროებით (ი. ბალახაშვილი, ი. მეუნარგია, პ. ინგოროყვა), 1838 წ. დეკემბერში შემდგარა. 1839 წლის მაისში კი მათ ჯვარი დაიწერეს.

საოცარია, რომ გრ. ორბელიანის იმავე წლის 25 ივლისით დათარიღებულ წერილში სალომე ჭავჭავაძისადმი გაკვრითაც არაა ნახსენები ეს ნიშნობა. ფაქტი ერთია: 1835 წ. დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ნიშნობა ვერ შედგებოდა. გამორიცხული არაა, ეს უზუსტობა გამოწვეული იყოს მცდარი დათარიღებით. ბუნებრივია, პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის დათარიების საკითხი ახლებურ გადახედვად მოითხოვს. ჯერჯერობით კი ვიტყვით, რომ აქ ნაგულისხმევია ეკატერინე ჭავჭავაძის ნიშნობა არა დადიანზე, არამედ ივანე მუხრან-

ბატონზე. ივანე კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი რომ შეყვარებული იყო ეკატერინე ჭავჭავაძეზე, ამას ამტკიცებს ზაქარია და მანანა ორბელიანების წერილები, რითაც გრიგოლს ატყობინებენ: „ივანე კვდება კატინასთვის“, „ივანე მუხრანსკი კვდება კატინასთვის... ცოლად ჰსურს, მაგრამ სტარუხები აყენებენ, ნათესავი არისო, მეოთხე და მესამენი არიანო!“

ეკატერინეს თანხმობით ნიშნობა შემდგარა სწორედ 1835 წ. და მუხრან-ბატონიც პეტერბურგში მყოფ სასიმამროსთან გამგზავრებულა ჯვრისწერაზე ნებართვის ასაღებად. ამის შესახებ ზაქარია სწერს ძმას (1835 წ. 12 მარტს), მაგრამ ალ. ჭავჭავაძეს მისთვის უარი უთქვამს. სწორედ ამიტომ ისმის ეჭვიანი ფრაზები გრ. ორბელიანის საპასუხო წერილში სალომე ჭავჭავაძისა და მისი ქალებისადმი, ეკატერინეს ხასიათის ცვლილებაზე: „შენი ხასიათის გამოცვლასა მწერ და არა მწერ მიზეზსა. იყავი გულახდილი, ღმერთმანი, არავის ვეტყვი. ამას თვითონ გამოვიცნობ, შეყვარებული ხომ არ ხარ? ...“

ჩვენი აზრით, ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც შეყვარებულმა ქალიშვილმა მამისაგან კურთხევა ვერ მიიღო. უსიამოვნო ამბავმა კი ერთბაშად შეცვალა მუდამ ხალისიანი „წინანდლის ვარდის“ ხასიათი.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის კომენტირებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია 1836 წლის 28 ნოემბერს ილია ორბელიანისადმი მიწერილი ბარათის ერთმა ფრაზამ: „მიხაკოს სიყუარულით მოვიკითხავ! – ვინძლო, რომ ერთმანეთი გიყუარდესო გულწრფელად, ესრეთ, როგორც მე და ტატოს გვიყუარდა ურთიერთი. – მშვიდობით ძმებო! ღ-ი იყოს მფარველი თქუენდა“. გრიგოლ ორბელიანის წერილებში „ტატოს“

ხსენება, ბუნებრივია, იმთავითვე აღძრავს ასოციაციას მის დისწულ ნიკოლოზ ბარათაშვილთან, მაგრამ ჩვენ მიერ მოხმობილ წერილში ტატოსა და გრიგოლის სიყვარულის წარსულში მოხსენიება უცნაურად მოგვეჩვენა. ორბელიანთა გენეალოგიის გაცნობა დაგვეხმარა ამ ბუნდოვანების გარკვევაში. აღმოჩნდა, რომ მეტსახელ ტატოს ეძახდნენ გრიგოლის ღვიძლ ბიძაშვილსა და ყრმობის უახლოეს მეგობარს, ანტონ გიორგის ძე ორბელიანს. მას ეძღვნება გრიგოლის 1824 წლის პროზაული ჩანაწერი „ანტონისადმი“ და 1829 წელს დაწერილი ლექსი „ანტონს“. ეპისტოლური მემკვიდრეობის II ტომში იბეჭდება ანტონისადმი მიწერილი ბარათიც, სადაც გრიგოლი იხსენებს მათ ახლო ურთიერთობას ბავშვობის წლებში და გამოთქვამს წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ ისეთი სიახლოვე აღარა აქვთ. გრიგოლი ანტონს სწერს: „რაღა გეხვეწო ანტონ! ხომ ვიცი გრძნობა გაქუს, თუ რარიგათ მიამება შენი წიგნი, გეთაყვა რას წამს ეს წიგნი მოგივიდეს მაშინვე მომწერე საცა უნდა იყო; ამას ნუ იტყვი ხვალ მივწერ, სადილს უკან დავწერ, აბანოდამ რომ მოვალ მაშინ მივწერ; ამაში დღეები გავა, დაგვიანდება და მასუკან იტყვი, ეჰ რაღა მივსწერო“. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ილია ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილის ზემოთ მოხმობილ ციტატაში სწორედ ანტონზეა საუბარი. გრიგოლს უნდა, რომ ხაზი გაუსვას ძმების – გიორგი და ზურაბ (დიმიტრი) ორბელიანების შთამომავალთა მეგობრობას. ანტონი (ტატო) და მიხაკო გიორგის შთამომავლები იყვნენ, გრიგოლი და ილია კი – ზურაბისა. ტატოს და გრიგოლს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და გრიგოლს უნდოდა, რომ პირველის ძმიშვილს და მეორეს ძმას მიხაკოს და ილიასაც, რომელთა შორისაც სულ რაღაც ოთხი

წელია იყოს განსხვავება, ასევე ყვარებოდათ ერთმანეთი. მიხაკო და ილია იმ დროს ერთად იბრძოდნენ და სამხედრო წარმატებისათვის დაწინაურებულებიც კი ერთად იყვნენ („სიხარულით წავიკითხე დღეს სრულებით ანაზდეულად ინვალიდში შენი და მიხაკოს აფიცრობა“).

ამ პრეცედენტმა გვაიძულა, რომ ყურადღებით შეგვესწავლა ყველა წერილი, სადაც „ტატოა“ ნახსენები და გაგვერკვია ამ სახელში გრიგოლის დისწული იგულისხმება თუ – ბიძაშვილი. წერილების უმრავლესობაში ტატო ნახსენებია ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახებთან ერთად, ნათქვამია, რომ ის არის დისწული. გამოყენებულია ჭაბუკურ ასაკზე მიმანიშნებელი ალერსობითი ფორმა „ტატიკო“, ან არის ისეთი კონტექსტი, რომელიც ცალსახად მიგვანიშნებს ვის ვინაობაზე, მაგრამ გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა წერილში ნახსენები „ტატოს“ ვინაობის დადგენა გარკვეულ ანალიზს მოითხოვს. მაგალითად, ილია ორბელიანისადმი 1843 წელს ხუნძახიდან გამოგზავნილ ერთ ბარათში „ტატო“ ორჯერ არის ნახსენები და შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სხვადასხვა პიროვნებებია ნაგულისხმევი. წერილის ბოლოს, ერთმანეთის მომდევნო ორ აბზაცში ვკითხულობთ:

„ილიაჯან! ავათ ხომ არ ხარ, რომ არა მწერ? რა ვჰქნა, მაშ სხუა რა ვიფიქრო! ან ტატოს რა დაემართა, რომ ერთხელ არც ის მოიწერა ჩემთან. ზაქარიაც გემდურის მოუწერლობისათვის.

ტატო და ლევან მომიკითხე, ეგრეთვე ზაქარია ერისთავი. მითომ ეგენი კარისკაცები არიან და ამბებს მატყობინებენ. უზრუნველნი ქართველნი, და თვით შენცა ძმაო ილიავ იმათთანა ხარ“.

ვფიქრობთ, რომ პირველ აბზაცში ნიკოლოზ

ბარათაშვილი იგულისხმება, მაგრამ მეორეში, სადაც „ტატო“ ლევანთან და ზაქარიასთან ერთად „კარისკაცად“ არის მოხსენიებული, ანტონ ორბელიანი უნდა ვივარაუდოთ. გრიგოლი სიტყვა „კარისკაცს“ იყენებს სამეფო კარზე ან სამხედრო აპარატში მომსახურე პირებთან დაკავშირებით, ის კი მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკის შტაბში. საგულისხმოა, რომ სხვა წერილში, სადაც გრიგოლი ლევან მელიქიშვილს კარისკაცად მოიხსენიებს, ტატოს მკაფიოდ მიჯნავს მისგან, როგორც პოეტს: „ლევან უფრო კარის კაცია და დამპირდა კიდეცა, უარი არ უნდა ჰთქვას, ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტების ხასიათი ხომ ვიცი, ოღონდ ყური დაუგდო თორემ აღარ გაათავებენ, მაგისი იმედი მაქუს, რომ კარგად გატენილს წიგნებს მოიწერება ჩემთან მალმალ“. ამდენად, ნიკოლოზ ბარათაშვილის „კარისკაცად“ ხსენება ნაკლებ სავარაუდოა და ხუნძახიდან გამოგზავნილ ამ ბარათშიც ანტონ ორბელიანზე უნდა იყოს საუბარი.

გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებში მოხსენიებულ ცალკეულ პირთა შესახებ მოპოვებული ეს ფაქტები საინტერესო მასალას გვაწვდის მწერლის ურთიერთობების შესასწავლად, აზუსტებს და ამდიდრებს მის ბიოგრაფიას.

ნანა რჩეულიშვილი, მარიამ ნინიძე

გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების დათარიღების საკითხი

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის პირველი ტომის მზადებისას, წერილებში ნახსენები კონკრეტული ფაქტების საფუძველზე, მოხერხდა არაერთი მათგანის დათარიღება. მანანა ორბელიანისთვის გაგზავნილ დაუთარიღებელ ბარათში ვკითხულობთ: „ამას წინათ მოგწერეთ ვილნოდამ... სადაც უკუე დაიშალა ლაგირი", ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ერთ-ერთი წერილიდან კი ვიცოდით, რომ ვილნოში გრიგოლის სამხედრო ნაწილი 1834 წლის სექტემბრამდე უნდა მდგარიყო: „გუშინ მოვედით ვილნოს და ვდგევართ ლაგირათ, სადაცა ვიქმნებით სეკდემბრამდის". შესაბამისად, რომ ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1834 წლის სექტემბრის შემდეგ.

ანა და მანანა ორბელიანებისთვის მიწერილ ორ ბარათში საუბარია მაიორ ლუარსაბ (იოველ) იოანეს ძე ორბელიანის გარდაცვალებაზე, რაც მოხდა 1835 წლის 29 ივლისს. ლუარსაბის პაპა, დავითი, და გრიგოლ ორბელიანის პაპა, ნიკოლოზი, ძმები იყვნენ. ანა თამაზ (თომა) ორბელიანის ასული (1796-1844) იყო ლუარსაბ ოტბეიანის მეუღლე, მანანა კი – მისი ძმის, დავითის, ცოლი. ორივე წერილი, ფაქტობრივად, ლუარსაბის გარდაცვალების მისამძიმრებაა. ამიტომ ორთავე დაწერილი უნდა იყოს 1835 წლის 29 ივლისის შემდეგ.

ეროვნულ არქივში დაცული გრ. ორბელიანის პირადი წერილების ავტოგრაფებზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო სამმა ბარათმა, რომელთა ადრესატებიც მარიამ დედოფალი, გიორგი ავალიშვილი და უცნობი ბატონიშვილი არიან. ეს ბარათები ითვლება ყველაზე ადრინდელ

პირად წერილებად პოეტის საკმაოდ ვრცელ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.

გრ. ორბელიანის წერილების I ტომზე (ორბელიანი, 1936, 3-6) დართულ შენიშვნებსა და კომენტარებში გამოთქმულია მოსაზრებები მათი დათარიღებისა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შესახებ. კრებულის რედაქტორი, მკვლევარი აკ. გაწერელია მიიჩნევს, რომ წერილი მარიამ დედოფლისადმი, მსგავსად ავალიშვილთან გაგზავნილი წერილისა, 1832 წლის აპრილშია დაწერილი. საფუძვლად თვლის იმ ფაქტს, რომ ეს ორი წერილი „ერთადაა დაცული, ერთნაირია ხელი და ქაღალდი". ავალიშვილისადმი მიწერილი ბარათის დათარიღება 1832 წლით სავსებით მისაღებია ჩვენთვის, მაგრამ ვერ დავეთანხმებით შეხედულებას დედოფლისადმი გაგზავნილ წერილთან მსგავსებაზე. ავტოგრაფებზე მუშაობისას დადასტურდა, რომ ერთ ფონდში დაცული (ფ. 2, აღწერა N1, საქმე N2115) ამ ორი წერილის როგორც გარეგნული მხარე, ისე შინაარსი განსხვავებულია, წერილი დედოფლისადმი (გვ. 43) ნელბითაა ნაწერი, ხოლო წერილი ავალიშვილისადმი (გვ. 113) – ფანქრით. ავალიშვილისადმი გაგზავნილ წერილში ნახსენები არაა პოეტის ავადმყოფობის ამბავი, რაზეც ასე ხაზგასმით წერს დედოფალთან მიწერილ ბარათში. მიგვაჩნია, რომ წერილი ავალიშვილისადმი სრულიად სხვა ვითარებაშია დაწერილი და დედოფალთან მიწერილ წერილთანაც არ შეიძლება ჰქონდეს კავშირი.

რამდენადაც ავალიშვილისადმი მიწერილ ბარათში საუბარია იმის შესახებ, რომ გრ. ორბელიანი ოთხ თვეს იყო პეტერბურგში და თებერვალში მისი პოლკი გაემართა ნოვგოროდისაკენ, მწერლის ბიოგრაფიული ცნობები-

დან კი ვიცით, რომ ის პეტერბურგში ჩავიდა 1831 წელს, ბარათი ვერ იქნება დაწერილი 1832 წლის თებერვლამდე. ფრაზები „აწ ვდგევართ ნოვგოროდის სიახლოვეს და „პეტერბურლის გარეშე სიახლოვესა" – სადაცა აწ ვიმყოფებით", მიგვანიშნებს, რომ გრიგოლის პოლკი ჯერ კიდევ არ ჩასულა ნოვგოროდში და დგას პეტერბურგსა და ნოვგოროდს შორის (ეს ორი ქალაქი მხოლოდ 166 კილომეტრით არის დაშორებული ერთმანეთისაგან). ამასვე მოწმობს ის ფაქტიც, რომ წერილში დაწვრილებით არის აღწერილი პეტერბურგის ამბები და არაფერია ნათქვამი არც ნოვგოროდის შესახებ და არც იმ არასასიამოვნო სიახლეზე, რაც გრიგოლს ამ ქალაქში ჩასვლისას დახვდა – მას უარი უთხრეს საქართველოში გადმოსვლაზე. ამდენად, წერილი 1832 წლის თებერვალ-მარტში უნდა იყოს დაწერილი.

სამაგიეროდ, თვალში საცემია დედოფლისადმი და ბატონიშვილთან გაგზავნილი წერილების მსგავსება.

ორივე იწყება სადღესასწაულო მილოცვით (ვფიქრობთ, შობის, ან ნათლისღების). ორივე მათგანი შეიცავს თხრობას პეტერბურგში პოეტის იძულებით დატოვებასა და მძიმე ავადმყოფობაზე, რომელიც მას 1831 წლის დასასრულს შეხვედრია.

ერთნაირი განცდითაა აღწერილი პეტერბურგული ზამთრის უნუგეშო ყოფა.

„ამ ზამთარსაც აქ დამაშთინეს ... ჩემს ღენერალს ასე ეგონა, რომ მთელი ზამთარი დავრჩებოდი პეტერბურლში... ამის მიზეზით ვიდრე მე აქ მოვიდოდი სხუა აფიცრები დაენიშნათ გასაგზავნათ. ძალიან შეჰვსწუხდი... და ა. შ. „ (მარიამ დედოფლისადმი წერილიდან).

„... იმედი მქონდა, რომ საქართველოში გამისტუმ-

რებდნენ, მაგრამა მანამ აქ მოვიდოდი, უკუე სხუა აფიცრები დაენიშნა ღენერალს, რომელსაცა ეგონა, რომ მთელი ზამთარი დავრჩებოდი პეტერბურგში. ამ ამბავმა ასე შემაწუხა... და ა. შ. „ (ბატონიშვილისადმი წერილიდან).

პოეტი ორივე ადრესატს ამცნობს ძმის – ზაქარიასაგან „ამასწინათ“ მიღებული წერილის ამბავს.

ბატონიშვილს სწერს: „ჩემს თავს ამით ვჰსცემ ნუგეშსა, რომ გაზაფხულზე და ან უფრო ადრე მეღირსება ხილვა თქუენი“, – ე. ი. წერილი ზამთრის დასაწყისშია დაწერილი.

წერილიდან ჩანს, რომ ნიკოლოზობას მიპატიჟებული იყო ერთ წვეულებაზე, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ წავიდა. მკვლევარები თვლიან, რომ აქ იგულისხმება იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დაბადების დღე – 25 ივნისი, რის მიხედვითაც, აღნიშნულ წერილს 1832 წლის ივლისის თვით ათარიღებს, მაგრამ „ნიკოლოზობის“ ამგვარი განმარტება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და შესაბამისად, არც დათარიღებაა სარწმუნო.

„ნიკოლოზობაში“, ჩვენი აზრით, იგულისხმება წმ. ნიკოლოზის ხსენების დღე. ბარათის შინაარსის მიხედვით, ნიკოლოზბა უკვე გასულია („მეც დაპატიჟებული ვიყავ ნიკოლოზობას“) და მოახლოებულია სხვა დღესასწაული („მოგილოცავთ მომავალს დღესასწაულს“). ნიკოლოზობა წელიწადში ორჯერ აღინიშნება, ეს არის ძველი სტილით 6 დეკემბერი და 19 მაისი. წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლი ნოვგოროდში დიდი ხნის ჩასული არ არის. რამდენადაც ჩვენ ვიცით, რომ ეს 1832 წლის თებერვლის შემდეგ მოხვდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხსენებული ნიკოლოზობა 19 მაისია. ასეთ შემთხვევაში მოახლოებული დღესასწაული

იქნებოდა სულთმოფენობა, რომელიც 1832 წელს 29 მაისს აღინიშნა. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1832 წლის 19-დან 29 მაისამდე. ვფიქრობთ, წერილები მარიამ დედოფალთან და ბატონიშვილთან თითქმის ერთდროულადაა დაწერილი, ორივე შავი მელნით, რუხი ფერის თხელ ქაღალდზე. შესაბამისად, წერილების დათარიღებაც და თანმიმდევრობაც უნდა შეიცვალოს:

1. გიორგი ავალიშვილისადმი (1832 წლის თებერვალ-მარტი).

2-3. მარიამ დედოფლისადმი და ბატონიშვილისადმი (1832 წლის 19-დან 29 მაისამდე).

დათარიღების გარდა დასაზუსტებელი იყო ისიც, თუ რომელ ბატონიშვილს გაუგზავნა პოეტმა ეს წერილი. აკ. გაწერელია მიუთითებს, რომ მეფის ასულები – მარიამ, თეკლე და მაკრინე – 1832-1833 წლებში თბილისში იმყოფებოდნენ და ვერ არკვევს, ბატონიშვილ ქალთაგან რომელი შეიძლება ყოფილიყო ნაგულისხმევი. საგულისხმოა ისიც, რომ მეფის ასულები იყვნენ გიორგი XII-ის ქალიშვილებიც – რიფსიმე (გარდაიცვალა 1847 წელს) და თამარი (გარდაიცვალა 1851 წელს).

ჩვენი აზრით, რამდენადაც წერილის ადრესატს თაყვანისცემას უთვლის გრიგოლის დედა ხორეშანი, აქ ერეკლე მეფის რომელიმე ქალიშვილი უნდა იგულისხმებოდეს. საფიქრებელია, რომ გრიგოლი პეტერბურგში ყოფნისას სწორედ თავისი დედის დეიდას დაახლოებოდა და ეს წერილი მისთვის მიეწერა. გრიგოლის დედა ხორეშანი იყო ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ღვიძლი შვილის – ელენეს ქალიშვილი. თუ არა ნათესაური სიახლოვე, ცოტა უჩვეულოც იქნებოდა გრიგოლისადმი ის ყურადღება, რაც მათ გამოუჩენიათ: „ახ ბატონისშ-

ვილო, რადგ გიცანით, რადა ხართ კეთილნი გულითა და ესრეთ ჩემი მწყალობელნი. – როგორ არ მომაგონდეს ოხვრითა, მარამა ამოარტავნებითა, თუ ვითარ ბატონები თავმდაბლობით მობრძანდებოდენ ჩემ სანახავად ავათმყოფობის დროს". ამ „ბატონთაგან" ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო იმერეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამი, რომლის მეუღლე – სოლომონ II იყო გრიგოლის დედის ნახევარძმა (მათ ერთი დედა ჰყავდათ – ერეკლე მეორის ასული ელენე), მეორე კი გრიგოლის დედის რომელიმე დეიდა.

ამ დროს ერეკლე მეფის ქალიშვილებიდან ცოცხლები იყვნენ მხოლოდ ანასტასია და თეკლა (გარდაიცვალა 1846 წელს). ვფიქრობთ, წერილის ადრესატი უნდა იყოს ანასტასია ბატონიშვილი, რევაზ ქსნის ერისთავის მეუღლე, რომელიც 1814 წელს დაქვრივდა. იგი 1825 წელს პეტერბურგს გაემგზავრა უმცროსი ვაჟის, გიორგის, თანხლებით, მისი აღზრდა-განათლების სრულყოფის მიზნით და იქვე გარდაიცვალა 1838 წელს (დაკრძალულია ალექსანდრეს ლავრის ეკლესიაში). შემონახულია მის მიერ თეკლა ბატონიშვილისათვის პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილები, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ იმ დროს პეტერბურგში სწორედ ანასტასია იმყოფებოდა და წერილის ადრესატიც მხოლოდ ის შეიძლებოდა ყოფილიყო.

ვფიქრობთ, მსგავსი დაკვირვებები მნიშვნელოვნად გაამდიდრებს გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების ახალ გამოცემას.

ნანა რჩეულიშვილი, მარიამ ნინიძე

შამილის ქართველი ტყვე ქალები გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებში

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მე-19 საუკუნის შესანიშნავმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ გრიგოლ ორბელიანმა. შთამომავლობით მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენელმა (პოეტის დედა, ხორეშანი, მეფე ერეკლე მეორის შვილიშვილი იყო), შესაბამისი სამხედრო განათლების მიღების შემდეგ, აქტიური საბრძოლო ცხოვრება ირჩია და განსაკუთრებული მამაცობისათვის არაერთხელ მიიღო მაღალი სამეფო ჯილდო. პერიოდი, როდესაც მოღვაწეობა მოუხდა პოეტ-რომანტიკოსს, გამოირჩეოდა რუსული მმართველობის განსაკუთრებული აღმავლობით კავკასიაში. საქართველოში განმტკიცებული რუსეთის იმპერია თავგამოდებით ცდილობდა თავისი გავლენა დაემყარებინა კავკასიის მთიანეთში და კერძოდ, დაღესტანშიც. ამ მიზნით, რუსეთის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩაება ჩრდილო კავკასიელ თავისუფლებისმოყვარე ხალხთან. არმიის მოწინავე ფლანგზე მებრძოლ ქართველთა შორის მხედრული ნიჭითა და სიმამაცით გამოირჩეოდა გრიგოლ ორბელიანი. დაღესტნელთა თავდაცვით ომს რუსეთის წინააღმდეგ კი მეთაურობდა უშიშარი მებრძოლი, კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი, ავტორიტეტული პიროვნება შამილი.

ფრანგი მწერალი და მოგზაური ალექსანდრე დიუმა შესანიშნავად აღწერს შამილის გარეგნულ იერსახეს წიგნში „კავკასია“, რუსი ოფიცრის ნაამბობის მიხედვით:

„... მისი სახის ნაკვთები ამტკიცებენ, რომ მათ შეუძლიათ მიაღწიონ უკიდურესი ენერგიულობის გამოხატულებას... პირველსავე დანახვაზე იგრძნობთ, რომ ის მაღალი ღირსების ადამიანია, რომელიც მბრძანებლობისთვისაა შექმნილი". დაახლოებით, ამგვარივე შეფასება მისცა დაღესტნის მბრძანებელს მისმა ტყვედპყრობილმა და იმჟამად, უკვე თავდახსნილმა, კეთილშობილმა ქართველმა ქალბატონმა, ანა ბატონიშვილმა, ალ. დიუმასთან პირად საუბარში – „ეს არის მაღალი თვისებების მქონე ადამიანი და მისი სახელი სრულიადაც არ არის გაზვიადებული"-ო. გასაოცარია ასეთი შეფასება! ანა ბაგრატიონ-ჭავჭავაძისა თავისი მცირეწლოვანი შვილებითა და ახლობლებით ხომ ათი თვის განმავლობაში ტყვედ იმყოფებოდა შამილის გვერდით. საქართველოს ისტორიაში ცნობილია კახეთის წარჩინებული თავადის ალ. ჭავჭავაძის ოჯახის წევრების ლეკთაგან გატაცების ამბავი. გადმოცემები ხშირად გარკვეულ უზუსტობებსაც შეიცავენ. გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში დაცულია წერილები, რომლებსაც მეტი სიცხადე შეაქვთ აღნიშნული ისტორიული ფაქტის სწორად წარმოდგენასა და გააზრებაში. ტყვეებს შორის იმყოფებოდა ანა ბატონიშვილის ღვიძლი და, ბარბარე ბატონიშვილი, გრიგოლ ორბელიანის ახლადგარდაცვლილი ძმის, ილიას ქვრივი, ერთადერთი მცირეწლოვანი ვაჟით. ადვილი წარმოსადგენია, რა თავზარდამცემი იქნებოდა პოეტი – გენერლისათვის ეს ფაქტი და როგორ იზრუნებდა ის, როგორც მაღალჩინოსანი სამხედრო მოხელე, ტყვეთა გამოხსნისათვის. ამ პერიოდის წერილები ნათესავებთან და ახლობლებთან სავსეა იმ ტკივილით, რომელიც მის პიროვნებაში გამოიწვია ლეკთა მიერ უმწეო ქალებისა და ბავშვების დატყვევებამ.

1854 წლის 4 ივლისს კახეთში მოთარეშე ლეკებმა გადალახეს მდინარე ალაზანი, სოფელ წინანდალში თავს დაესხნენ იმხანად დაუცველ დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ოჯახს, გაძარცვეს, გადაწვეს ის და ტყვედ წაიყვანეს დავითის მეუღლე, ბატონიშვილი ანა, თავისი მცირეწლოვანი შვილებით, ანას და, წინანდალში სტუმრად ჩასული, ბატონიშვილი ბარბარე, ერთადერთი მცირეწლოვანი ვაჟით, ოჯახის ახლო ნათესავი, ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი, ჭავჭავაძეთა ბავშვების ფრანგი გუვერნიორი, ქალბატონი დრანსე, მოხუცი დეიდა, რამდენიმე ძიძა და მოახლე ქალები. ტყვეები ლეკებმა აუტანელი ტანჯვით გადაიყვანეს დაღესტანში და ვედენოში მიჰგვარეს შამილს. ტყვეთა გატაცებით არა მარტო ფულად გამოსასყიდს იღებდნენ ლეკები, არამედ რუსეთში ტყვედმყოფ ახლობლებსაც იხსნიდნენ მათში გადაცვლით.. წარჩინებული ოჯახის ქალების დატყვევება კი შამილს იმედს აძლევდა აესრულებინა ნანატრი სურვილი ტყვედმყოფი შვილის, ჯემალ-ედ-დინის გამოხსნისა. აქედან იწყება გრიგოლ ორბელიანის წერილების ნაკადი ახლობლებთან, რომლებშიც ის წუხს ახლობელ ტყვეთა ბედზე და ცდილობს დააჩქაროს მათი გამოხსნის საქმე. ამ მიმოწერაში მან ჩართო ბარონი ლეონტი ნიკოლაევი, ფლიგელ-ადიუტანტი, ძმა ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილის, სოფიოს, მეუღლის, ბარონ ალ. ნიკოლაისა და ცნობილი ყაზიყუმუხელი შეიხი, იმამთან დაახლოებული პირი, მისი მასწავლებელი ჯემალ-ედ-დინი (შამილს მეორე ცოლად ჰყავდა ჯემალ-ედ-დინის ქალიშვილი ზაიდეთი. ამასთან, აღმზრდელის პატივსაცემად, იმამმა უფროს ვაჟიშვილს ჯემალ – ედ-დინი უწოდა). გადმოცემით, შეიხი განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა

ქართველ ტყვე ქალებს. მიუხედავად საერთო კეთილგანწყობისა, შამილმა გააჭიანურა ტყვეთა გამოხსნის საქმის მოგვარება და სამაგიეროდ მოითხოვა რუსეთში მძევლად აყვანილი შვილი ჯემალ-ედ-დინი, 40 000 მანეთი ვერცხლის ფული და კიდევ რამდენიმე ახლობელი, ათეული წლის წინ რუსებისაგან ტყვედ წაყვანილი. გრიგოლ ორბელიანის ვრცელ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წერილებს, რომლებიც აღნიშნულ თემას ეხება და ზუსტად წარმოგვიდგენს შექმნილ სიტუაციას. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში, პოეტი-გენერალი, ცხოვრობდა და დაღესტნის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა ჩრდილო კავკასიის მხარეში.

1854 წლის ივლისში, კუმუხიდან მოწერილ წერილში, ის მეგობარსა და თანამებრძოლს, სვიმონ შალიკაშვილს, სთხოვს ინფორმაციას ლეკებისაგან კახეთის აკლების შესახებ. „... დაწვრილებით გეცოდინება კახეთის ამბავი. გთხოვ მაცნობო... თავადიშვილების სახლობა ვისი შეიქნა მტრის გულისად, ან რომელ სოფელს რა ზარალი მიეცა“. ჩანს, მან ჯერ არ იცოდა ახლობლების დატყვევების ამბავი.

როგორც აღვნიშნეთ, გატაცებულ ტყვეთა შორის ორი ქალბატონი წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, დები ანა და ბარბარე ბატონიშვილები. მათგან უფროსი, ანა (ანნეტა) ბაგრატიონი – ჭავჭავაძისა, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის შვილიშვილი, რუსეთის სამეფო კარის ფრეილინა გახლდათ. ევროპულად აღზრდილი, სილამაზით გამორჩეული ანა ცოლად გაჰყვა კახეთის წარჩინებული მემამულის, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟს დავითს. ამის

შესახებ სწერდა გრიგოლ ორბელიანი რძალ ქეთევანს: „ილია ბატონისშვილის ქალზე დავითის დანიშვნა ძალიან მიამა. დიახ აქებენ ქალსა, ღმერთმა ბედნიერება მისცეს“ (1847 წელი, თებერვალი). ანას განსაკუთრებულ მომხიბვლელობაზე მიუთითებს აგრეთვე ალ. დიუმა წიგნში „კავკასია“, სადაც მთელი თავი მიუძღვნა „ულამაზესი თვალების მანდილოსანს, წმინდა ქართული პროფილით“. ჭავჭავაძეთა რძალი დაინტერესებული იყო კახეთში განათლების გავრცელებით. მის სახელთანაა დაკავშირებული განათლების პირველი კერის დაარსება ქალაქ თელავში.

იმ საბედისწერო დღეს წინანდალში ანასთან სტუმრად იმყოფებოდა უმცროსი და ბარბარე ბატონიშვილი, მცირეწლოვანი ვაჟით. ბარბარე-ვარინკა (როგორც შინაურობაში უწოდებდნენ მას), 1852 წელს ცოლად გაჰყვა გრიგოლ ორბელიანის ძმას ილიკოს, რომელიც ამ დროისათვის უკვე გენერლის წოდებას ატარებდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში დამსახურებისთვის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წარსულში, შამილის ტყვეობის სიმძიმე ილია ორბელიანმაც განიცადა. ქორწინებიდან მალე, 1853 წელს, ის რუსეთ-თურქეთის ომში ჩაება და ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციისას მიღებული ჭრილობა საბედისწერო აღმოჩნდა ახალგაზრდა, მამაცი გენერლისათვის. ამ დროს დაბადებული ტყუპი ვაჟიშვილიდან ერთი გარდაცვლილი, ქაშვეთის ტაძარში, მამის გულზე დაუკრძალავთ. გრიგოლი განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა დაქვრივებულ რძალს და დიდ იმედებს ამყარებდა პატარა გიორგიზე. მისი წერილები ახლობლებთან გვატყობინებს, თუ როგორ განიცდიდა უმწეო და დაუცველი დედა-შვილის ტყვეობას თვით დაღესტანში გადახვეწილი პოეტი-სარდა-

ლი. მეგობრის, სამოქალაქო სამმართველოს მოხელის, დიმიტრი ჯორჯაძის სახელზე გამოგზავნილ ბარათებში იკითხება შიში ახლობელთა ბედზე: „მე ვაპირებ ყაზიყუმუხიდან პირდაპირ მიწერასა შამილთან ჩვენის უბედურის ტყვეთათვის; – ვნახოთ ღმერთი რას ინებებს. თუ შეგეტყოს რამე იმ უბედურთათვის, შემატყობინე, ნურას დამიმალავ; თუ გინდა იყვნენ დახოცილნი ნუ დამიმალავ: მე დიდი ხანია გამზადებული ვარ ყოვლისა უსაზარელის შემთხვევისათვის. აღსრულდეს ნება ღვთისა!“ (1854 წ. 1 აგვისტო).

მომდევნო ბარათები ცხადყოფენ, რომ გრიგოლს უკვე მიუღია წერილები ტყვე ქალებისაგან, შეუტყვია მათი მდგომარეობა და დავითს ევედრება გაუგზავნოს მათ თბილი ტანსაცმელი, ჩაი და შაქარი. „შამილსა ვწერ, რომ კაცი გამომიგზავნოს ან მე და ანუ ბარონსა, სალაპარაკოდ გამოხსნისათვის საბრალო ტყვეთა. ხვალ ბარონთან წერილს გამოგიგზავნი... მითხოვნია ან მე დამიწყოს ლაპარაკი და ანუ ბარონსა“ (1854 წ. 9 აგვისტო).

25 აგვისტოს ბარათში გრძელდება ორბელიანის წუხილი შამილის უყურადღებობის გამო: „აქამომდის არ მომივიდა პასუხი შამილისაგან, რომელსაცა მივწერე სამჯერ. ესეთი დაგვიანება მტანჯავს მე სხვადასხვა ფიქრებითა და არა მაქვს ესოდენი მოთმინება, რომ მით დავიმშვიდო გული“. ერთ-ერთ წერილში კი დიმიტრის ატყობინებს, რომ ვარინკა იხვეწება, ვიდრე ჩვენ გაგვათავისუფლებს, ბავშვები გამოიხსენით, რადგან ძალიან ავადმყოფობენო. იქვე შამილის ბარათის შინაარსსაც წერს, რომელიც დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მიუღია: ღვთისაგან გამოგზავნილი ვარ და მისი ყოველი ბრძანება უნდა აღვასრულო... რაც შემიძლია კარგად შევინახავ ტყვეებს.

ამათი გამოხსნისათვის მოსალაპარაკებლად კაცს გამოვგზავნი თქვენთანო, – ამისაც მადლობელი ვარო, წერს ბოლოს გრიგოლ ორბელიანი 29 აგვისტოს ბარათში.

უფროსი რძლის ქეთევან ალექსი-მესხიშვილისადმი მიწერილ წერილში გულგატეხილი პოეტი შეშფოთებას გამოთქვამს შამილის შემოთვლილი პირობის ირგვლივ და ეჭვობს, რომ დაკმაყოფილდეს ის: „შამილს ერთი მილიონი ფული, თავისი შვილი და რამდენიმე სხვა ტყვეები ეთხოვნა. ფულზედ კიდევ როგორმე შეიძლება მორიგება... მაგრამ შვილის მიცემას იყაბულებს თუ არა ჩვენი ხელმწიფე, არ ვიცი... შამილ დიდი პატივით ექცევა ტყვეებს... მაგრამ რაკი იმ საცოდავებს შეუტყვიათ შამილის მოთხოვნილება, ჯავრისაგან აღარ არიან“ (1854 წ. 22 სექტემბერი). ისევ ქეთევანისადმი მიწერილი ბარათიდან ვკითხულობთ: „კნიაზ ბარიატინსკის მივწერე და ვთხოვე შემწეობა... ამ ლაპარაკიდან ჩანს, რომ ჯერ დიდი ხანი გასწევს, მანამ ჩვენს ტყვეებს გამოვიხსნით და იმ დრომდის როგორ უნდა შესძლონ საწყლებმა და საცოდავებმა?“ (1854 წ. 1 ოქტომბერი).

თუმცა დიუმას მონათხრობი რეალურ ამბავს ემყარება, ის მაინც დაზღვეული ვერ აღმოჩნდა უზუსტობისაგან. მისი გადმოცემით, გატაცებისას, ბარბარე ბატონიშვილის ვაჟი, გიორგი, შვიდი წლის იყო. ზემოთ აღვნიშნეთ ბარბარესა და ილიკოს ჯვრისწერისა და ტყუპების დაბადების ზუსტი თარიღები. ამ ცნობის მიხედვით, გატაცებისას, გიორგი მხოლოდ თვეების იყო და წელიწადი ტყვეობაში შეუსრულდა. ამ ფაქტს ადასტურებს გრიგოლ ორბელიანის წერილებიც ყაფლან ორბელიანისა და ცოლ-ქმარ საგინაშვილებისადმი, რომლებშიც ვკითხულობთ, რომ ლეკთა ტყვეობაში „დავითის შვილსა და პატარას გიორგის

ფეხი აუდგამთ და დაცუცუნებენო" (1855 წ. 3 იანვარი). საგინაშვილებთან მიწერილ წერილში უკვე ჩანს ორმხრივი მოლაპარაკების დადებითი შედეგები, რის თანახმადაც, რუსულმა მმართველობამ შამილის შვილი გამოუშვა ქართველ ტყვეებზე გასაცვლელად. „შამილსაც შეუტყვია შვილის მოსვლა და კაცი გაუგზავნია დავითისათვის, რომ მალე მოვრჩეთ ამ საქმესაო და თურმე დიდის სურვილით მიელის თავის შვილსა" (1855 წ. 17 თებერვალი).

გატაცებულ დიდგვაროვან ქართველ ქალთა შორის იყო ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი, ღვიძლი და უკვე გარდაცვლილი ნიჭიერი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ნინო ამ დროისათვის მხოლოდ თექვსმეტი წლის იყო. როგორც ჩანს, იგი მეტად დაახლოებული ყოფილა დედის, ეფემიას ძმათა ოჯახებთან, განსაკუთრებით კი დაქვრივებულ ბარბარესთან, რაკი მასთან ერთად ხშირად დადიოდა სტუმრად ნათესავებთან. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის გადმოცემით, ნინო ძალიან ჰგავდა თავის ძმას. მისივე სიტყვები ადასტურებენ, რომ: „ბარათოვა, რომელიც დავით ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად ტყვედ ჰყავდა შამილს, დაა ტატოსი" („ლიტერატურის მატიანე", 1940; №1-2, გვ. 410). ნინო ცოლად გაჰყოლია მწერალ ლეონიდ ბარათაშვილს. გარდაცვლილა 1906 წელს.

1855 წლის 3 აპრილს თემირხანშურიდან გამოგზავნილ წერილში გრიგოლ ორბელიანი სწერს უფროს რძალ ქეთევანს: „სამშაბათს, ღვთით, ქალები გამოემგზავრებიან თბილისისკენ და მერვე დღეს მოვლენ საქრისტიანოს ქალაქში. ამისთვის გთხოვთ, რომ უბრძანოთ ზევით სახლების მომზადება... „ასე დასრულდა უდანაშაულო, კეთილშობილი ქალების ტყვეობის მძიმე პერიოდი,

რომელმაც უეჭველია, ღრმა კვალი დაამჩნია მათს ფიზიკურ და სულიერ ყოფას. შედეგად, მდიდარი მემამულის ვაჟი, დავით ჭავჭავაძე, სამუდამოდ ჩავარდა რუსეთის სამეფო კარის დიდ ვალში. დროის უკუღმართობამ და ისტორიის მსახვრალმა ხელმა წარუშლელი დაღი დაასვა წარჩინებულ ქართველ ქალთა ცხოვრებას, მაგრამ ვერ გატეხა ისინი სულიერად. მათ ბოლომდე შეინარჩუნეს საკუთარი პირადული სახე და ეროვნული ღირსება.

გრიგოლ ორგელიანის პირადი წერილების ესთეტიკურ-მხატვრული დისკურსი

XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო აზროვნების კვლევისა და შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობანი. სახელმწიფო არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა თუ ლიტერატურის მუზეუმში დაცული პირადი წერილები მრავალ საგულისხმო ცნობას შეიცავს ისტორიული, ეთნოგრაფიული, პედაგოგიური თუ ლიტერატურისმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტექნიკურმა პროგრესმა საერთოდ განდევნა ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული ფორმა – წერილი, მაშინ ვიტყვით, რომ ეპისტოლური მემკვიდრეობის ღირებულება გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერი ზემოთ ხსენებული მეცნიერების განვითარებაში გაწეული მისი როლი. ამიტომაც, კაცობრიობის გონითი ღირებულების გამოვლენის ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო დახვეწილი ნიმუში – პირადი წერილი, გარკვეულწილად, ყოველთვის იყო და ამჟამადაც რჩება მკვლევართა ყურადღების ცენტრი.

უკანასკნელ წლებში განსაკუთებით გამძაფრდა ინტერესი XIX საუკუნის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლურ მემკვიდრეობათა მიმართ. პერიოდი, როდესაც მწვავე პრობლემად იქცა რუსეთ – საქართველოს ურთიერთობის საკითხები, მეტნაკლებად აისახა იმ პიროვნებათა პირად წერილებში, რომელთა აზროვნება და საქმიანობა პირდაპირ, უშუალო კავშირში იყო ქვეყნის უიმედო აწმყოსა და ბურუსით მოცულ

მომავალთან. ვგულისხმობთ პოეტსა და სახელმწიფო მოღვაწეს გრიგოლ ორბელიანს, რომლის ეპისტოლური მემკვიდრეობა არა მარტო მოცულობით იქცევს მკითხველის ყურადღებას, არამედ თავისი მხატვრული ფორმითა და შინაარსითაც. როგორც პოეტის ბიოგრაფი იონა მეუნარგია წერდა: „არც ერთი საგანი, არც ერთი კითხვა არ იყო კავკასიაში, რომელზედაც მას არ შესძლებოდა ლაპარაკი, არც ერთი კაცობრიობის გონების მაღელვებელი საკითხი არ იყო რომელზედაც იმას არ შეედგინა თავისი, ქართული, აღმოსავლეთის ქრისტიანის აზრი“ (3. 121). ლიტერატურის მკვლევარის ზ. აბზიანიძის აზრით კი, „გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიაცა და შემოქმედებაც ჩვენი ისტორიის, ჩვენი მწერლობის განუყოფელ ნაწილად იქცა და მის ცხოვრებას, მის ლექსებს, მის წერილებსა და დღიურებს კიდევ დიდხანს ჩავაკვირდებით, როგორც ჩვენი წარსული ცხოვრების ზარნიშიან სარკეს“ (4. 292). ამ „ზარნიშიან სარკეში“ – პოეტის პირად წერილებში ახლობლებისა და მეგობრებისადმი, ვხედავთ მის პორტრეტს, ერთი მხრივ მგრძნობიარე, სამშობლოსა და ახლობლების ბედზე დაფიქრებულ დიდბუნებოვან კაცს, მეორე მხრივ კი, რუსეთის არმიის წარმატებულ გენერალს, რუსული მმართველობის მეხოტბე პიროვნებას, და, იმავდროულად, იმედგაცრუებულ პატრიოტსა და პირად ცხოვრებაში ხელმოცარულ ადამიანს.

თავიდანვე შევნიშნავთ, რომ განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიფრთხილით გამოირჩევა გრ. ორბელიანის დამოკიდებულება თვით წერილის, როგორც საურთიერთო ფორმის მიმართ. როგორც ჩანს, ის მკაცრად იცავდა მიმოწერის ტრადიციულ ნორმებს და არავის აპატიებდა ამ ნორმების შელახვას (ცნობილია, რომ მან სასტიკი

მორალური სასჯელი მიაგო უსაყვარლეს ძმას ილიკოს, როდესაც მისი ულაზათოდ შედგენილი და დაჯღაბნილი წერილი წაუკითხავად დაუბრუნა ავტორს). თუმცა, თავად პოეტიც ვერ დაიკვეხნიდა კალიგრაფიული ოსტატობით, ამიტომაც, ხშირად ის თვით წერდა წერილს, ზოგჯერ კი კარნახობდა კიდევაც. წერილი, გრ. ორბელიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, ერთგვარად რეგლამენტირებული და კოდირებულია თავისი შინაარსითა და გარეგნული სახით. ამასთან, ადვილი შესამჩნევია, რომ ავტორი წერის პროცესში თავად განიცდიდა გარკვეულ ესთეტიკურ ტკბობასაც. როსლავლიდან გამოგზავნილ ბარათში ახლო მეგობარს, სამხედრო ექიმს, დიმიტრი აზბუშინს სწერდა: „ბოლოს და ბოლოს მაქვს თავისუფალი დრო რაოდენიმე საათი, რათა შევასრულო მოცემული სიტყვა – მოგწეროთ და ამით საკუთარ თავს მოვგვარო ის სიამოვნება, ურომლისოდაც დავშთი თქვენგან განშორების მერმე“ (1. 25). წერილში ივანე ჟილიხოვსკისადმი ვკითხულობთ: „...მხოლოდ ახლა მაქვს სიამოვნება გიპასუხოთ თქვენს წიგნზედ, რომელიც მუდამ თან დამაქვს“ (1. 39).

პოეტი ასეთივე დიდი სიხარულითა და სიამოვნებით იღებდა წერილებს ახლობელი ადამიანებისაგან. ამისი დასტურია სალომე ორბელიან-ჭავჭავაძისადმი მიწერილი ცნობილი ფრაზები: „თქვენი წერილები ნაწილებსავით უბეში მაქვს და ყოველდღე დაუჯდომელის მაგიერ ვკითხულობ“ (1. 78). ასევე დიდი სიხარული ეუფლებოდა პოეტს „ჟამსა წერილის მიღებისასა“ ჭავჭავაძის უფროსი ასულის, ულამაზესი ნინოსაგან. ამ სიხარულს ხშირად ახლდა მოუთმენლობით აღსავსე მოლოდინი და ზოგჯერ წყრომაც. არც თუ იშვიათად გვხვდება მის წერილებში ახლობლებისადმი სამდურავი მოუწერლობისა და უყურა-

დღებობისათვის. „როგორ არა გრცხვენიათ რომ არასა მწერთ?“ – საყვედურობს ილია ორბელიანს, – „რა არის აგრეთი გაკერპება... მესამე წიგნსა გწერ... დავიღალე და შენ კი გძინავს“ (1. 188) საზოგადო საყვედური ისმის ბაბალე ორბელიან-საგინაშვილისადმი გაგზავნილ წერილში: „აბა ვისა აქვს დრო თბილისში წერისათვის და ანუ ვინ მოიცლის ამა უბრალო, უსაამო საქმისათვის? – გონება გართულის სხუა და სხუა ფეროვანს ფიქრებში, ზოგჯერ წუხანდელის ბალისათვის... ზოგჯერ ფიქრი და პლანი ამაღამ თეატრში გამოსაბრწყინვალებლად... ანუ ზოგიერთის ვიზიტი... ვინ მოთვლის ურიცხვთა მათ მიზეზთა, რომელთა გამო მელანი გამშრალია დიდი ხანი საწერელში და კალამი დაკარგული?“ (3. 33). ახლო ნათესავსა და მეგობარს ანტონ ორბელიანს კი მოუთმენლად ეუბნება: „რაღა გეხვეწო ანტონ! ხომ ვიცი გრძნობა გაქუს, თუ რარიგად მიამება შენი წიგნი, გეთაყვა რას წამს ეს წიგნი მოგივიდეს მაშინვე მომწერე საცა უნდა იყო; ამას ნუ იტყვი ხვალ მივწერ, სადილს უკან დავწერ, აბანოდამ რომ მოვალ მაშინ მივწერ; ამაში დღეები გავა, დაგვიანდება და მასუკან იტყვი ეჰ რაღა მივწერო“ (1. 36).

სამშობლოსა და ახლობლებს მოშორებული პოეტისა და გენერლისათვის წერილი მხოლოდ ახალი ამბებისა და ცნობების მიღების ერთადერთი საშუალება კი არ იყო, არამედ მას საკუთარი პიროვნების დაფასების ერთგვარ საზომადაც მიიჩნევდა. პიროვნება, რომელიც თავს „ატილლას კრესლაზე“ წარმოიდგენდა, იმავე დროს თავი მოჰქონდა მეფე ერეკლეს შვილობით, ძმას, ილია ორბელიანს ამაყად სწერს: „მე ჰაქიმხან ემირ ავარ (ქართული თარგმანი – ავარიის წინამძღოლი გონიერი ხანი) – სხვა რიგად აღარ შემიძლიან წიგნის დაწყობა“-ო (1. 164).

მიმართვის ფორმა გრ. ორბელიანის წერილებში ხშირ შემთხვევაში გარკვეულ ეტიკეტს ემორჩილება. საპატიო პიროვნებებისადმი მიმართვები ასეთ ფორმებშია წარმოდგენილი: „თქვენო ბრწყინვალებავ“, „უმოწყალესო ხელმწიფევ“, „უგანათლებულესო მეფის ასულო“, „უმაღლესო დედოფალო“ ... ძმებსა და ახლობლებს ის უფრო შინაურულად მიმართავს: „უსაყვარლესო ძმაო“, „ჩემო ღვთის წყალობავ“, „ჩემო გულით საყვარელო ძმაო“, „ჩემო სიცოცხლე“, „კნიაზო“, „საყვარელო ძალუავ“ ... დამშვიდობების ფორმაც შესაბამისადაა შერჩეული და მისადაგებული თითოეული ადრესატის მიმართ.

განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს გრ. ორბელიანის წერილებს ნაირგვარი გულითადი მოკითხვები, რომელთა ხასიათიც ხშირად იუმორსა და გულუბრყვილო ხუმრობაშიც გადადის. მისთვის პატივსაცემ პიროვნებას, სამხედრო ექიმს დიმიტრი აზბუშინს ასე მიმართავს პოეტი: „ბრძოლებში ვერ მომკლეს, ავადმყოფობამ ვერ ჩამაწვინა კუბოში; წყალში არ ჩავიძირე; რაღა მომკლავს? იქნებ რწყილი, ანდა რაიმე მოურჩენელი ჭირი... მშვიდობით! ზანზალაკი წკრიალებს: წიკ! წიკ! გეთაყვა, ექიმო!.. მოიწერეთ წინასწარმეტყუელის ჭაღარა წვერის ხათრითა, თუნდაც ყოველი უსიამოვნების მიზეზით, რომელიც კი თქუენ შეგხვედრიათ“ (1. 26).

ქალაქსა და ახლობლებს მოშორებულ პოეტს აინტერესებდა ყველა ის ჭორი თუ სინამდვილე, რომელიც წუთით მაინც „დაუბრუნებდა“ მშობლიურ გარემოს და რომელიც მხოლოდ კარგად „გატენილ“ და „გაჭრელებულ“ წერილებს შეეძლოთ მასთან მიეტანათ.

ისეთი რომანტიკული ბუნების მქონე ადამიანის წერილებისათვის, როგორიც გრიგოლ ორბელიანი იყო,

დამახასიათებელი არც უნდა ყოფილიყო ცხოვრებისეული, ყოფითი დეტალების სიჭარბე. თვით ოჯახის წევრებისადმი გაგზავნილ წერილებშიც კი იგრძნობა ერთგვარი აჩქარება, რათა სწრაფად მოელია ოჯახური ამბებისადმი ინტერესი და სხვა, უფრო საინტერესო საკითხებზე გადასულიყო. იგი იყო პიროვნება, რომელიც თვით ყველაზე სასტიკ ბრძოლაშიც რომანტიკას ეძებდა და პოულობდა კიდევაც. ამიტომაც, ტიმერმანისადმი, გელშერტისა და აზბუშინისადმი მიწერილ ბარათებში პოეტი დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით აღწერს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, ომის ბატალურ სცენებს, პოლიტიკურ განხილვებს და ა. შ. აღნიშნული წერილები შეიძლება მხატვრულ-დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუშებად ჩაითვალოს.

წერილებში ახლობლებისადმი რომანტიკოსი ორბელიანი სრულიად ახალ განზომილებაში წარმოგვიდგება თავისი ამსოფლიური ვნებებითა და განცდებით. 1846 წლის დეკემბერში, ჯუნგუთაიდან გამოგზავნილ წერილში, ამაღლებული განწყობითა და მამაკაცური ღირსებით სავსე აზრებს წერს ილიკო ორბელიანს: „ჰაჯიმურადმა შემომითვალა, რომ ეს საქმე (ნოხ – ბიქეს გატაცება. ნ. რჩეულიშვილი) ვჰქმენ განგებ შენ გასაჯავრებლად და შესაწუხებლადო. მეც შევუთვალე: პაპაჩემი ირაკლი ხანი არც დედაკაცებს ეომებოდა და არცა იპარავდა ცხვრებსა მეთქი და არცა მე ვიქ მაგ გვარ შესარცხვენელს საქმესა მეთქი; მე, როგორც კაცი, ისე შეგხვდები ხმალ ამოღებული აშკარად, დღისით, მეიდანზე და მაგ თავს ჩალმიანად მოგგლეჯ, თუ არ გამექცევი, როგორც ბატჩლაიში, ზირანას, ხოჯალმაქის და ქუთიშაში მეთქი“ (2. 47). უამრავი ასეთი ნაწყვეტი შეიძლება მოვიტანოთ წერილებიდან,

რომლებშიც არანაკლები ძალითაა წარმოჩენილი რომანტიკოსი პოეტის მხატვრული გემოვნება, ყოველდღიურ, თუნდაც ძალზე ბანალური ამბებისა თუ სცენების აღწერაში განფენილი.

პოეტს წერილებშიც არანაკლები მხატვრული ხერხებით შეუძლია სიყვარულისა და ერთგულების დამტკიცება ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნებებისათვის, როგორებიც გახლდნენ: ივანე ჟილიხოვსკი, დიმიტრი აზბუშინი, ვლადიმერ შმიდტი, ნიკოლოზ ტიმერმანი... ამ უკანასკნელისადმი მიწერილი, თითქმის ყველაზე ვრცელი წერილი მთელ მემკვიდრეობაში, ნაურის ექსპედიციის შესახებ, დღიურის სახითაა შედგენილი და შეიცავს მაღალმხატვრულ, სკრუპულოზურ აღწერას ერთ-ერთი სისხლიანი ბრძოლისა, რომლის მსგავსიც, ალბათ, არაერთხელ ყოფილა პოეტის თხუთმეტწლიან დაღესტნურ ყოფაში. წერილის სევდიანი დასასრული კი მიუთითებს ამ ყოფის წარმავალსა და კარნავალურ ხასიათზე, რომელსაც ცხოვრების ყველა ეტაპზე განიცდიდა იგი." წარილტვა აწ ყოველი. ძალზედ იშვიათადღა ცოცხლდება ჩვენს ხსოვნაში ნაურის ექსპედიცია და გულღია მოუთმენელნი ჭაბუკნი ხანჯალზე ნაკლებად როდი სჩხვლეტენ თავიანთი ეპიგრამებით მათ, ვისაც თვითგადარჩენის ზედმეტი განცდა იფარვიდა ტყვიებისა თუ ლოდებისაგან. განჰქრა სანახაობა; ვის რას უბოძებს უფალი, არადა მხოლოდ ამაზედღა უბნობენ დღეს ჩვენთან" (1. 120-121).

მხატვრული ღირებულებანი დამახასიათებელია პოეტის წერილებისათვის „ჭეშმარიტად საყვარელი მეგობრის" თეოდორე გელშერტისადმი. მათგან ერთ-ერთ წერილში ავტორმა შეძლო ერთ აბზაცში ჩაეტია ამაღლებული განწყობა მეგობრისა და თანამებრძოლის მიმართ და იმა-

ვდროულად, სიმბოლურ-მხატვრულ სახეებშიც წარმოედგინა იგი: „ხუმრობაა განა, სამი წელი ვაპირებდი წერასა. ახლა შენი რიგია. მოიკრიბე მთელი ძალ-ღონე და აფრინე ლეტუჩკა ჩემსკენ...როგორ ცხოვრობ თავრიზს, თეირანს ხომ არ იყავ? ხომ არ გეღირსა უზენაესი ტკბობა სამყაროს თავშესაფრის ნათელმფენი სახისა, სამყაროს თუალის ცქერისას, რომლისა თუალნი ემსგავსებიან მელნის ოკეანესა, სად დაცურავენ გემები დატვირთულნი უზენაესის სიბრძნითა და ადამიანთა მოდგმის ბედნიერებითა“ (1. 61). წერილების მკითხველი ხშირად შეხვდება ბუნების სურათების იშვიათი ხელოვნებით წარმოსახვას, რომელიც ასე დამახასიათებელია გრიგოლ ორბელიანის პოეტური შემოქმედებისათვის. მთიან მხარეში განცდილმა ბუნების საოცარმა სახეცვლილებებმა პოეტის წერილებში დაბადა მთელი რიგი რომანტიკული განცდებისა, რომლებიც ადრესატებისათვის ნაირგვარ ფორმებშია მიწვდილი, სურვილით, რომ მათაც განიცადონ ბუნების მაგიური ძალმოსილება. ასეთი სურვილითაა გამსჭვალული წერილი ვლადიმერ შმიდტისადმი: „ისეთს მწვერვალებზედ ვიყავით, ენა რომ მცოდნოდა, გავიგებდი საუბარს ცის ბინადართა. დასანანია, რომ ირგვლივ ნისლი სუფევდა, თორემ მე აქედან თქვენც გიხილავდით...ნისლი, ვით ზღვა, ხან ღელავს ჩვენს ფერხთაქვეშ, ხანაც მყისიერ ქრება და ჩვენს ქვემოთ გვიხსნის ჯოჯოხეთის უფსკრულსა. ხოლო მოპირდაპირე მხარეს – საამურ მწკრივად გადაჭიმულა რიგი მაღალთა მთათა თუ მწვერვალთა. აი, ერთ-ერთი იმ ცვალებად დეკორაციათაგან, როს მთათა მწვერვალნი და ეს საშინელი ხევი გაშიშვლდნენ“ (1. 123).

გრიგოლ ორბელიანის წერილების აუცილებელი თანამდევია სატირა და იუმორი, გროტესკი და სათქმელის

ჰიპერბოლიზება. ეს უკანასკნელი თვალშისაცემია წერილში (ზაქათალიდან) ილიკო ორბელიანისადმი, სადაც აღწერილია მთავარმართებლის დახვედრა-გამასპინძლების რიტუალი, რომლისთვისაც, როგორც წინა წერილები ცხადყოფენ, დიდი რუდუნებით ემზადებოდა პოეტი – გენერალი: „...მართლად ყველა რიგზე იყო: ხალხი, ჯარი, სახლები მომართულ-მოკაზმულ-გაბრწყინვებულნი... ზაკუსკები, სადილები ოჯახურად გაჭიმულები: ციდამ მფრინველნი, კავკასიიდამ ყინული, ტყიდამ ნადირნი, ზღვიდამ თევზნი, მოდოდენ და მოდიოდენ; სუფი და შჩი ევროპისა, მწუადი ქართული, ფლავი ირანისა, ცივად ბატკანი ავარიისა, ნარინჯ ვათურინჯ და სხუანი და სხუანი“ (4. 61).

პოეტის ვრცელი და ღრმაშინაარსიანი ეპისტოლური მემკვიდრეობა სამშობლოსა და მშობლიურ ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული დიდბუნებოვანი პიროვნების ცხოვრების ისტორიაა, საოცრად რაფინირებული, ფორმითა და შინაარსით დახვეწილი და მხატვრული ღირებულებებით მდიდარი. გრიგოლ ორბელიანისათვის პირადი მიმოწერა, როგორც ჩანს, სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთგვარი საშუალება იყო, რომელშიც ზედმიწევნით აისახა მისი, როგორც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის ესთეტიკური ფენომენი და ლიტერატურული გემოვნება.

გრიგოლ ორბელიანის ერთი ადრესატი ქალის ვინაობის შესახებ

გრ. ორბელიანის ვრცელ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ყურადღებას იქცევს ბარათი უცნობი ბატონიშვილისადმი, რომელიც ნოვგოროდიდან პეტერბურგშია გაგზავნილი. წერილი გამთბარია ნათესაური გრძნობით და იმ დიდი მოწიწებით, რომელსაც გრიგოლი იჩენს ადრესატის მიმართ. ეს უცნობი ადრესატი რომ ქალია და თანაც მეფის ასული, ამას მიმართვითაც ვიგებთ:

„უგანათლებულესო მეფის ასულო
უმოწყალესო ხელმწიფავ!“

წერილის ავტორი ადრესატს აცნობს ბარათის დაგვიანების მიზეზს ავადმყოფობას. ცნობილი ფაქტია, რომ ნოვგოროდში შემოდგომაზე ჩასული გროგოლი საქართველოში აღარ გამოუშვეს და მთელი ზამთარი იქვე გაატარებინეს. ამ პერიოდს დაემთხვა სწაორედ მისი ავადმყოფობა, რომლის შესახებაც ასე იწყება ზემოხსენებულ წერილში: „იმედი მქონდა რომ საქართველოში გამისტუმრებდნენ, მაგრამ მანამ აქ მოვიდოდი, უკვე სხვა ოფიცრები დაენიშნა ღენერალს, რომელსაც ეგონა, რომ მთელი ზამთარი დავრჩებოდი პეტერბურგში. ამ ამბავმა ასე შემაწუხა, რომ მასამე დღესვე ავათ გავხდი, დამაწყებინა საშინლად გშენა და ხველა, რომელმანცა კინაღამ დამახრჩო – – ღენერალმა გამომიგზავნა ნათესავი თავისი დოხტური, გამომიშვეს სისხლი, გულზე დამაკრეს პლასტერი და ეხლა ღმერთის მოწყალებით მოვსულიერდი“.

გარდა ამისა, პოეტი სიამაყითა და მადლიერებით იხსენიებს ბატონიშვილთა მიერ გამოჩენილ ზრუნვასა და ყურადღებას. შემდეგ აწვდის თავისი ძმის ზაქარიას

ამბავს, დედის, ხორეშანისაგან უმდაბლეს თაყვანისცემას, რომელიც სავარაუდოდ, თბილისიდან გრიგოლისათვის გამოგზავნილ წერტილში იყო გამოთქმული. პოეტს არ ავიწყდება ადრესატს აცნობოს ნოვგოროდის „ბალების“ შესახებ, რადგანაც „ამ ბაიყუშს ადგილს სხვა არა ისმის-რაო“.

ბუნებრივია, ჩვენი ინტერესის საგანი გახდა ამ წერილის ადრესატი ქალის ვინაობის დაზუსტება. აკ. გაწერელიას მითითებით ერეკლე II-ის ასულები მარიამ, თეკლე და მაკრინე ამ პერიოდში თბილიში იმყოფებოდნენ. მკვლევარს დაუზუსტებელი დარჩა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს უცნობი ბატონიშვილი ქალი. კვლევამ ერეკლე II-ის ასულ ანასტასიასთან მიგვიყვანა, რომელიც ნათესავად ერგებოდა პოეტს (აღნიშნულ გამოგვლევას მიეძღვნა წერილი „გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების დათარიღების საკითხი“, ნ. რჩეულიშვილი, მ. ნინიძე, სამეცნ. პროექტის „XIX-XX ს-ების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ ფარგლებში ბიულეტენი №2, 2012 წ.)

ანასტასია ბატინიშვილი (1763-1838) ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ქალიშვილი, 1798წ ცოლად მიათხოვეს რევაზ ქსნის ერსთავს, გიორგი ყულაღარსის შვილს. მას ოთხი ვაჟი შალვა, ბიძინა, იასე, გიორგი და ერთი ქალი თამარი შესძენია. ანასტასია 1814 წელს დაქვრივდა. 1825 წელს კი უმცროსი ვაჟის, გიორგის თანხლებით, მისი სწავლა-განათლების სრულყოფის მიზნით, პეტერბურგს გამგზავრებულა. როგორც ჩანს, ანასტასია, თვით წიგნიერი, განათლების დიდი დამფასებელი ყოფილა. ამაზე მიგვანიშნებს გროგოლის წერილობითი თხოვნაც: „მიბოძეთ წასაკითხად წიგნებიო“.

ანასტასია გრიგოლის დედის ხორეშანის დეიდა გახლდათ და ბუნებრივია ის ნათესაური დამოკიდებულება, რომელიც ასე იგრძნობა სტრიქონებს მილმა.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ანასტასია ბატონიშვილის შვიდი წერილი, რომლებიც სანკტ. პეტერბურგიდანაა გაგზავნილი უმცროსი დის თეკლას სახელზე. აქეან ექვსი მათგანი დათარიღებულია თვით ავტორის მიერ, ერთი კი დაუთარიღებელი. წერილების თარიღები ემთხვევა ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულების გაცემის შემდგომ პერიოდს, როდესაც კატეგორიებად დაყოფილ დამნაშავეებს შესაბამისად სჯიდა რუსეთის იმპერატორი. ცნობილია, რომ თეკლა ბატონიშვილისა და მის სამ ვაჟს ალექანდრეს, დიმიტრისა და ვახტანგს, როგორც შეთქმულების მონაწილეებს, სასამართლომ გადასახლება მიუსაჯა, ალექსანდრე ორბელიანს ორენბურგში, დიმიტრისა და ვახტანგს კი დედითურთ კალუგაში. 1834 წლის აგვისტოში თეკლა ბატონიშვილი კალუგაში უმცროსი ვაჟის ვახტანგის თანხლებით გაემგზავრა (დიმიტრი ამ დროისათვის უკვე გადასახლებაში იმყოფებოდა). მთავარმართებელ როზენის გადაწყვეტილებით თეკლას ერთი წელიწადი მაინც უნდა გაეტარებინა კალუგაში, მაგრამ იმპერატორმა შეიწყალა ბატონიშვილი და იმავე წლის დეკემბერში გაათავისუფლა. მკაცრი ზამთრის პირობებში მეფის ასულმა გაზაფხულამდე ვერ შეძლო საქართველოში დაბრუნება. აი, ამ პერიოდშია დაწერილი და გაგზავნილი ანასტასიას წერილები. 1834 წლის ოქტომბრითა და ნოემბრითაა დათარიღებული ორი წერილი, რომლებშიც ავტორი წუხს უმცროსი დის ბედზე და იმედს გამოთქვამს იმპერატორის სამართლიან მოწყალებასა და დიდსულო-

ვნებაზე. ამასთან, საოცარი გულუბრყვილობით განსჯის შეთქმულთა საქმეს:

„მე რომ თქვენს სინდისს ვიცნობ, თგვენგან როგორ ვიფიქრებ რაისამე რომ ჩვენის მოწყალისა და ქრისტიანეთ მფარველისა და ჩვენის საზოგადოს მამის, ჩვენის ხელმწიფის ერთს მცირეს საწყენს ფიქრათ არ გაივლებდით გულში, არამცთუ საქმით აღგესრულებინათ...

ხემწიფე მოწყალე არის. რაკი თქვენს სიმართლეს შეიტყობს, მოწყალებით მოგხედავს“ (შდ 2194. შ. 1600).

საოცარი ოპტიმიზმი ისმის ანასტასიას წერილებიდან. ღრმადმორწმუნე ქრისტიან ქალს სწამს, რომ მეფე უფლის ხელდასმულია და მისი შეგონებით მოქმედებს. ბატონიშვილი ცდილობს თეკლას შთააგონოს ეს აზრი:

„გულნი მეფეთაგანი ხელთა შინა ღმრთისათა არიან. ღმერთი აგონებს და აცნობებს თქვენ სიმართლეს და მალე მოგხედავს მოწყალებით და ინებებს თქვენს პეტერბუხად მოსვლას... „ (შდ 2193 შ 1631).

მსგავსი შეგონებები გხვდება მეორე წერილშიც, სადაც ანასტასია მსჯელობს მართლმორწმუნე ქრისტიანის უმთავრეს მოვალეობაზე: „მართლმადიდებელ ქრისტიანეს პირველად მართებს ღმერთი უყვარდეს და შემდგომად ხელმწიფე, ბოროტმოქმედი არ იყოს და მაშინ სულითაც კარგი მიეცემა და ხორცითაც“ (შდ – 2192 შ 1631).

საგულისხმოა ანასტასია ბატონიშვილის დამოკიდებულება დისშვილების მიმართ. ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები არაერთგზის იხსენიებიან წერილებში სიყვარულითა და ნამდვილი დედობრივი გრძნობით. თეკლეს გათავისუფლებით გახარებული ბატონიშვილი წერილში პირადად მიმართავს მათ, საქებარ სიტყვებს

არ იშურებს და ამხნევებს კიდევაც: „ბარაქალა ჩემო დიმიტრი და ვახტანგ, უთქვენოდ დედის განთავისუფლება გიხარიანთ. აგრე უნდა, შვილო, ასეთი მოწყალეა ჩვენი ხელმწიფე, თქვენც მოწყალებით მოგხედავთ“ (შდ – 2258 შ 1631). უმცროს ვახტანგს სხვა წერილშიც მიმართავს ალერსიანი გამამხნევებელი სიტყვებით: „ჩემო ვახტანგ, რა შენი საქმეა სევდიანობა? შენ აკი მაგარი გული გაქვს! კაცი რამდენიც გამოიცდება, უკეთესია და არა უნდა რა იწუხო, შენმა გაზდამ. რომ გამოიცდება კაცი, უფრო ჭკუა მოემატება, კარგი კაცი შეიქნება, ღმერთსაც მოიმადლებს და ხელმწიფესაც ... ღვთისმოწყალებით ნურას იფიქრებ, შენი დაფიქრებით დედას ნუ შეაწუხებ“ (შდ-2195 შ 1600).

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ანასტასია ბატონიშვილის ვაჟმა გიორგიმ. ეს ნაბოლარა ვაჟი 1812 წელს შესძენია მეფის ასულს. 10 წლის ასაკში მიუბარებია თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, ხოლო უკვე მე-5 კლასის მოსწავლე დედას სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში წაუყვანია. მათთან ერთად პეტერბურგს სასწავლებლად გამგზავრებულან შემდეგში ცნობილი მოღვაწენი ესტატე თარხნიშვილი, დავით ჯორჯაძე, ცნობილი მწიგნობარი ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, რომელსაც თან ობოლი ძმისწულები დავით და პელაგია ჩუბინაშვილები წაუყვანია.

პეტერბურგში ჩასულ ანასტასიას გიორგი თავდაპირველად გადენიუსის პანსიონში შეუყვანია, შემდეგ ლორენცისაში, ბოლოს კი იუნკერთა სკოლაში გაუგრძელებია სწავლა. სწორედ ამ პერიოდში მოუხდა მას პოლონეთის აჯანყებაში მონაწილეობის მიღება, სადაც კორნეტის ჩინი და მედლებიც დაუმსახურებია. ომიდან

დაბრუნებული გიორგი შვებულებით საქართველოში ჩამოსულა და ჩაბმულა თავადაზნაურთა შეთქმულებაში. იგი დააპატიმრეს, მაგრამ გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო აღარ გაუსამართლებიათ, ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს ჯერ არხანგელსკში გარნიზონის ბატალიონში, ხოლო 1835 წელს გადაიყვანეს ახტირსკის ჰუსართა პოლკში. სწორედ ამ პერიოდს ეხება ანასტასიას ერთი წერილი თეკლასადმი. მასში ისმის შვილის ავადმყოფობით შეწუხებული დედის ჩივილი, თუმცა ერთგვარ სიამაყესაც იჩენს, როცა საუბრობს გიორგის კარგი ავტორიტეტის ირგვლივ:

„აქ ჩინოვნიკები მოვლენ-ხოლმე იქიდამ, გიორგის წიგნს თითონ მომიტანენ-ხოლმე და დიდათ მადრიელობას მეტყვიან-ხოლმე, კაი შვილიაო. მითამ მიქებენ თავიანთის გულით, კი არ მატყუებენ. (შდ 2192 შ 1631)

როგორც წერილიდან ჩანს, გიორგი სერიოზულად ავადმყოფობდა გადასახლების პირობებში და დედაც ძალზე განიცდიდა შვილის მდგომარეობას: „გიორგი ფეხზედ კი დაიარება, მაგრამ ავათ არის, გულიც მტკივა-ხოლმე ხანდახანაო და დოხტურმა მითხრაო, ნერვების სისუსტე გაქვსო და ნაწლავებიც დაგსუსტებიაო... ეხლა ხანს მოეწერა, უკეთა ვარ, არ ვიცი ჩემი შეუწუხებლობისათვის, თუ მართლა მოეწერა... საკვირველათ დიდათ უცხოთ ჰყავსთ მიღებული...“ (შდ 2192 შ 1631)

1837 წლის 9 იანვრით დათარიღებულ წერილში ანასტასია უკვე თავისი ავადმყოფობის შესახებ იწერება: „ავათა ვარ სიცხით, მჭვლით და პირიდამ ნახველის სისხლის დინებით... ნურავისთან ბრძანებთ ბარბარეს მეტთანა. ჩემმა თამარმა არ შეიტყოს. დაწვრილებით შემდგომში მოგახსენებთ. შობას რის ყოფით მოვისმინე წირვა და ის

არის ქვეშაგებში გახლავარ. (შდ 2196 შ 1631)

ზემოაღნიშნული ბოლო წერილია ანასტასია ბატონიშვილისა. ამის შემდგომ მას დიდხანს აღარ უცოცხლია. 75 წლის ასაკში ავადმყოფობით გარდაიცვალა უცხოობაში. დაუკრძალავთ პეტერბურგის ალექსანდრეს ლავრის ეკლესიაში.

რაც შეეხება ბატონიშვილის ერთ დაუთარიღებელ წერილს, ის პეტერბურგიდან თბილისშია გამოგზავნილი. სავარაუდოდ, ეს ის პერიოდია, როდესაც გათავისუფლებული თეკლე უკვე თბილისშია, ხოლო მისის ვაჟები კვლავ გადასახლებაში რჩებიან (ანასტასია სწერს უმცროს დას – ჩემი ალექსანდრესა, დიმიტრისა და ვახტანგის წიგნი ხომ ხშირად მოგდისთ. იმათი ამბავი მიბრძანეთო). წერილში საუბარია ყოფილი ქართული სამეფო ხაზინიდან მისთვის განკუთვნილი დარჩენილი თანხის მიღებაზე. ცნობილია, რომ ანასტასიამ, მისთვის მიუცემელი მზითვის სანაცვლოდ, ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას (1818 წელს) მეფე ალექსანდრე პირველის ბრძანებით მიიღო ერთჯერადი ფულადი დახმარება – 4250 მანეთი. როგორც ჩანს, მას კიდევ ერგებოდა გარკვეული თანხა. წერილში იგი იუწყება ქალიშვილის თამარის პეტერბურგში შესაძლო გამგზავრების თაობაზეც: „თამარი ნუ შესწუხდება, თუ მთავარმართებელი არ გამოგზავნის, მე მოვაყვანინებ ჩემის ფულით. ახლა ვერ მოვასწარ. აპრილში, ან მაისში მოვაყვანინებ" (შდ 2236 შ 1631). ზემოთ აღნიშნული თანხაც ალბათ ამ დანიშნულებით სურდა მას.

მიიღო თუ არა ანასტასიამ ეს თანხა, ჩვენთვის უცნობია. გაურკვეველია ისიც, ჩავიდა თუ არა თამარი დედის სანახავად პეტერბურგში. წერილის სავარაუდო დათარიღებისათვის ვეყრდნობით შემდეგ ფაქტებს: რაკი იგი

დაწრილია თეკლეს გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, სა ეს პერიოდი 1835 წლის ივნისიდან ითვლება, ხოლო დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, რომლებიც წერილის მიხედვით კვლავ გადასახლებაში არიან და მხოლოდ 1837 წელს მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1835 წლის დასასრულს ან 1836 წლის დასაწყისში. შევნიშნავთ, რომ 1836 წლით დათარიღებული წერილი საერთოდ არ არსებობს.

საგანგებო ყურადღების ღირსია წერილებში გამოყენებული ადრესატისადმი მიმართვის ფორმა. სამეფო კარზე აღზრდილი და ტრადიციული ღირებულებების დამცველი მანდილოსანი თავის უმცროს დას ყველა წერილში თანაბარი მოწიწებითა და პატივისცემით მიმართავს, რითაც იცავს ფამილარულ ეტიკეტს: „უგანათლებულესო მეფის ასულო, უმოწყალესო ხელმწიფავ, დაო. „წერილების დასასრულს მინაწერები კი – „თქვენი ხილვის მოსწრაფე", „თქვენი და ანასტასია", „თქვენი სიშორის მწუხარე", – გამოხატავს ახლობლებს მოშორებული მეფის ასულის უსაზღვრო მწუხარებასა და ენით გამოუთქმელ სევდას.

ანასტასია ბატონიშვილის სახელი ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის მისივე დების: მარიამ, მაკრინე, ქეთევან და თკლე ბატონისვილების ფონზე, რომელთა პოეტური შემოქმედებაც ცნობილია მკითხველისათვის. ახლახანს, აკაკი წერეთლის უცნობი პუბლიცისტიკის გაცნობისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა ფაქტმა: „ღენერალ-პორუჩიკმა პოტიომკინმა ითხოვა მეფე ერეკლეს ქალი, ანასტასია ბატონიშვილი და პირობასა სდებდა, რომ დუშეთში დაესახლებოდა, ჩამოიყვანდა რუსის ჯარს და დარიალის ხეობას გაამაგრებდა, რომ მტერი ველარ შემოსულიყო... მეფე მიუხვდა ვერაგულ

განზრახვას თუ იუკადრისა: „უბრალო გენერალი როგორ მიბედავს ქალის თხოვასო, უარი შეუთვლია და აღარ მოხდა საქმე“ (აკაკის ეს წერილი „სიმართლე“ არასოდეს გამოუქვეყნებულა. მას მიაკვლია და პირველად გამოაქვეყნა ე. ზარდიაშვილმა). სად ამოიკითხა ქართველმა მგოსანმა ეს ცნობა, დაზუსტებული არაა. შესაძლოა ეს ამბავი სულაც ზეპირი გადმოცემით მოესმინოს. ჩვენთვის ძვირფასია ის იმდენად, რამდენადაც გარკვეულ ელფერს მატებს აქამდე უცნობი ბატონიშვილის შთამბეჭდავ სახეს. თავისი დროისათვის ღირსეული პიროვნული თვისებებით შემკული ანასტასია ბატონიშვილი ყურადღებას იმსახურებდა საზოგადოების მოწინავე ნაწილში და მათ შორის გრიგოლ ორბელიანის პიროვნებაშიც. ბუნებრივია, გამორჩეული პიროვნული ღირსებების გამო გახდა იგი დიდი ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ორბელიანის ადრესატი.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის

ჩემი წერილები გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაზე მხოლოდ ცდებია უნიჭიერესი მწერლის პიროვნების აღქმისა და ინტერპრეტაციისათვის. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართული მწერლობის საგანძურში.

მასზე წერდნენ, წერენ ახლაც...

მე მჯერა, რომ მომავალი თაობა უფრო ღრმად ჩაწვდება მის „პოეტურ ბუნდოვანებას“, რადგან გურამი მომავლიდან მოდიოდა.

* * *

„... ათასჯერ გადავიკითხე და კიდევ არ მეყო „მერანი“ საკვირველი რამ არის. ნეტა ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი? შენ მგონია იცნობდი“ – წერდა დიმიტრი ყიფიანს თავისი ვაჟი ნიკოლოზი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, 1865 წელს. უკვე საუკუნენახევარზე მეტია აღელვებს მკითხველს ლექსი, რომელშიც ყველა თაობის მკითხველი ხედავს ჭაბუკი პოეტის გამიზნულ სწრაფვას დიდი იდეალებისაკენ.

„მერანს“ წინ უძღოდა ფიქრითა და ძიებით სავსე წლები და ახალ პოეტურ სახეებში გარკვევის ცდები. პოეტი გამუდმებით ეძებდა სულის მოსასვენებელ ადგილს, თანდაყოლილი ძლიერი ნება მოითხოვდა მისი ამქვეყნიური დანიშნულების, კაცობრივი მოვალეობის აღსრულებას. ამიტომაცაა ბარათაშვილის პირველი ლექსები სავსე „იდუმალი ხვედრის“ ძიებით ჯერ კიდევ 18 წლის ყმაწვილი წერს ლექსს „ხმა იდუმალი“, მოწოდებას საკუთარი

თავისადმი:

„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!“

სულის თანნმდევი ეს იდუმალი ხმა მოსვენებას უკარგავდა და ჭაბუკის ოცნებას ათქმევინებდა:

„როს ვსცნა მე შენი საიდუმლოება,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?“

სწორედ ამ ძიებამ პოეტის რეალურ ცხოვრებასა და მხატვრულ ნაწარმოებებში დაბადა ახალი სიმბოლური სახე – მერანი, ფრთოსანი რაშის პოეტური გამოსახულება, როგორც უზარმაზარი შინაგანი ენერგიის გამოვლინების იდეალური ვარიანტი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მხედარს თავისი წინაპარი ჰყავს ქართული ლიტერატურის საგანძურშ. ესაა ავთანდილი, შოთა რუსთაველის უკვდავ პოემა „ვეფხისტყაოსანში“. ეს შეხედულება პირველად ქართულ ლიტერატურულ კვლევაში პირად აზრთა გაზიარებისას გამოუთქვამთ პოეტ სიმონ ჩიქოვანსა და მეცნიერ პავლე ინგოროყვას (მართლაც, მოყვრისათვის თავგანწირვის იდეა აახლოვებს ავთანდილისა და „მერანის“ ლირიკული გმირის მხატვრულ სახეებს.

XIX საუკუნის საქართველომ უკეთესი მერმისის ძიებისა და მოყვასისათვის თავგანწირვის ესტაფეტა XX საუკუნეს გადმოსცა. მერანისაგან „თელილ გზას“ არაერთი მიმდევარი დაადგა და ასე გაჩნდა ქართული პოეტური სიტყვის კარიბჭესთან „გაბედულ მხედრებსა“ და თავდავიწყებას მონატრებული „ახალ მერნების წყება“. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს პოეტისა და ჯერ გაუკვალავი გზებით მიმქროლავი მხედრის ცნებები:

„ახალ მერნების მსუბუქი წყება
დგას ჩვენი დროის კართან ვედრებით,
მათ ენატრებათ თავდავიწყება
და გაბედული უნდათ მხედრები“ („ახალ მერნების წყება“)

სურვილი ახალი გზების დაუცხრომელი ძიებისა ათქმევინებს გალაკტიონის „მგზავრს“: „როგორც ქართული რაში,
მინდა ახალი გზები“ („მგზავრის სიმღერა“)

შევნიშნავთ, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში ცხენი მხოლოდ ეფემერული სახე კი არ არის, არამედ, უპირველესად საუკეთესო მეკავშირეა ბედთან ბრძოლაში:

„ოცნება მიჰქრის ველურ ცხენებით
და მოკლულია ყოველგან ყველა
დაუნდობელი გადაჭენებით
ცხოვრება ბედთან გადიქცა ბრძოლად...“ („გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი“)

უფრო მეტიც, გ. ტაბიძემ აშკარად გამოკვეთა პოეტის ამქვეყნიური დანიშნულება მხედრის ამპლუაში, როდესაც თქვა:

„პოეტი იყო ბედუინი და მეომარი,
პოეტი იყო მოსამართლე
და უფრო მეტი – იყო გრიგალი
იყო შერყევა...“ („პოემა ვეფხვისა“)

ასეთ სახეებში ჩამოყალიბებული პოეტური ხილვების სამყაროს კიდევ ერთი „თავგანწირული მხედარი“ შეემატა, რითაც ასრულდა ახალ მერნების „ვედრება და ნატვრა“ დაუნდობელი ჭენებისა. ეს მხედარი გურამ რჩეულიშვილი გახლდათ.

გურამ რჩეულიშვილმა 25 წლის ასაკში დაწერა

მოთხრობა „ალავერდობა“, რომელშიც თითქოს ერთბაშად გაირკვა ცხენის ჭენებით, ერთი შეხედვით უაზრო, მაგრამ სიშმაგემდე მისული გატაცების მანამდე დაფარული აზრი. „ალავედობამდე“ კი თვირთვილასა და სალამურას იდეალიზირებულმა სახეებმა აგრძნობინეს მკითხველს ადამიანის უერთგულესი პირუტყვის შინაგანი განცდები. როგორ ითხოვს ცხენი მხედარს, რადგან უმისოდ აზრი არა აქვს თავისუფალ სიცოცხლეს. თვირთვილას ლაშები აჰქავდა... ლაგამს მიჩვეულმა კბილებით დაიწყო ტუჩების ღეჭვა. მერე ზურგზეც იგრძნო სიცარიელე. თვირთვილა გურამის უსაყვარლესი სადორე ცხენია.

ჩვეული განწყობით გადმოგვცემს მწერალი ცხენების ჯოგის მთიდან ჩამორეკვის პროცესს და სალამურას თავგადასავალს: „... წინ მიმავალი დიდი ულაყი დაფრთხა და კლდისაკენ მდგარს მიაწყდა. ისიც დააფრთხო რაღაცა ხმაურმა და ადგილს მოწყდა. წინ ხიდი გამოჩნდა. გაქცეული შედგა.

გაჩერდა მთელი ჯოგი: ყურები ცქვიტეს, შემდეგ უწესრიგოდ მიაწყდნენ კლდეებს...

მანქანა უახლოვდებოდათ.

წინ გაქცეული ისევ მოწყდა ადგილს. მას სალამურაც გამოუდგა. ხეობის კიდესთან მივარდნენ. ამ დროს მანქანის საყვირმა დაიყვირა და პირველად დამფრთხალი მოსხლეტით გადაეშვა უფსკრულში, სალამურა კი პირდაპირ გავარდა... გრძელი ფაფარი ნიავმა გაუშალა. ტანში გაიშალა, ფართო ნესტოები დაებერა, პატარა თავი წინ გაიშვირა და ასე მირბოდა“.

მსგავსად ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გურამ რჩეულიშვილისათვისაც არაჩვეულებრივი, არამიწიერი გრძნობა ახლავს ცხენთან ერთად რაიმე მიზნისაკენ სწრაფვას.

ამ დროს მხედარს ეუფლება სხვა განცდა, რომელსაც ვერაფერს დაარქმევს კაცი. ასეთი განწყობაა გადმოცემული მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“: – „პირდაპირ გადავახტი უნაგირს. გზა ხევზე მირბოდა, სახეში ნიავი მიტყამდა, მწვავდა. შუბლი გამიხურდა. ფაშატი მოკლე ოთხით გადადიოდა ქვებზე და მე გიჟივით ამიტაცა ჭენებამ.

გზა ფერდობზე ავარდა... ცხენიდან ჩამოვხტი, უნაგირი მოვაძრე ზურგიდან და იქვე დავაგდე. ახლა უბელოზე გადავჯექი. ძალა მიეცა ფაშატს. მზე ხევის თავზე ეკიდა. ცხენივით აქლოშინებულს რაღაც უცნაური მეუფლებოდა. ეს არც ჭენების ჟინი იყო, არც სხვისი სიკვდილის შეგრძნებით გამოწვეული განცდა“.

რა იყო ეს შეგრძნება?

გურამ რჩეულიშვილის არაერთ მოთხრობაში ვხედავთ ცხენზე ამხედრებულ მთავარ პერსონაჟს, რომელიც უფრო მეტს ხედავს ამ ცხენში, ვიდრე გადაადგილების საშუალებას. ის ამ დროს გრძნობს უზარმაზარი ენერგიის მოზღვავებას, უძლიერდება ნებისყოფა, მიისწრაფვის რა ცხოველთან ერთარსებად ქცევისაკენ, მისთვის უფრო იოლი ჩანს დასახულ მიზანთან მისვლა.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა 25 წლის ასაკში დაწერა ლექსი „მერანი“. პირველ ვარიანტში მას „თავგანწირული მხედარი“ რქმევია. როგორც ზემოთ შევნიშნავდით, ეს ლექსი იყო ხორცშესხმა იმ დიდი სწრაფვისა, ზოგჯერ თუნდაც შეუცნობელს რომ ვუწოდებთ აღთქმული ქვეყნისაკენ. „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?“ (წერილიდან მაიკო ორბალიანისადმი), „მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძღრო-

ბით და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში“ (წერილიდან ზაქარია ორბელიანისადმი).

შევადაროთ მას გ. რჩეულიშვილის განცდები: „საიდან მოვდივარ, სად მივდივარ, რა მინდა... გარბის გურამი რიყით ხეობაში, ნისლებს მთის წვეროები დაუპყრიათ და აქ თავისუფლად თამაშობს მზე და ქარი. „მე მოვდივარ თბილისიდან, მოვედი ხევსურეთში, რა მინდა?“ ამ ბოლო კითხვას ებრძვის მისი არსება, ყრუ ტკივილივით აძლევს მისი გული ექოს. „საერთოდ რა მინდა, რა მინდა, რა მინდა!“ გაქანებული შეჩერდება ჩანჩქერის პირას და მშრალ რიყეზე მიწვება... ეს ნეტარი უამრავი, მრავალფერი სინესტე უდიდეს ცეცხლსაც კი დააწყნარებს, ოღონდ ისე თავისებურად, ზომიერად, რომ არ ჩააქროს“. ცხადი ხდება ორივე პიროვნებისათვის დამახასიათებელი განცდები, – არსებულით დაუკმაყოფილებლობა, საკუთარი ადგილის ძიება გარესამყაროში, დაეჭვება, ლტოლვა, ისევ ეჭვი, მაგრამ მაინც ძლიერი სწრაფვა მიზნისაკენ. გურამს პატარაობიდანვე რომ განსაკუთრებული ინტერესი გამოუჩენია ცხენის მიმართ, ამას მოწმობს მწერლის არქივში შემონახული, შავი ფანქრით შესრულებული ნახატი ყალყზე შემდგარი შეკაზმული ცხენისა, რომელიც ბავშვობისას დაუხატა ბიძამ გია რჩეულიშვილმა (მამაჩემის უმცროსმა ძმამ) ჯარში წასვლის წინ. თუ მწერლის დას მ. რჩეულიშილს დავუჯერებთ, ნახატში დაფარული აზრის ურგვლივ, მაშინ ვიტყვით, რომ ეს შეკაზმული ცხენი ელის მხედარს, რათა დაადგეს იმ ძნელად სავალ ზიგზაგურ გზას, რომელიც ნახატის სიღრმეში იკარგება. ვინც გურამის ცხოვრების დეტალებს იცნობს, არ გაუჭირდება იმის წარმოდგენაც, თუ რა ადრე გაუყვა იმ ძნელად სავალ

გზას ჭაბუკობაშივე დაბრძენებული მწერალი.

ორივე მწერლისათვის უდიდესი გატაცება იყო საქართველოს ისტორია. ბარათაშვილის ბიოგრაფები გადმოგვცემენ ამ გატაცების შესახებ. საქართველოს ისტორიულ წარსულთან დაკავშირებულმა ღრმა განცდებმა განაპირობა მისი დაინტერესება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნით, რომელიც სხვა მიზნებთან ერთად განუხორციელებელი დარჩა.

გურამ რჩეულიშვილი პროფესიით ისტორიკოსი იყო. მისი დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის საკითხების მიმართ თვალსაჩინოდ აისახა მოთხრობაში „უსახელო უფლისციხელი". მწერალი ბევრს ფიქრობდა ისტორიის შემოქმედ ხალხზე, მის უდიდეს შემოქმედებით ფანტაზიაზე. ასევე ბევრს მოგზაურობდა, ახლოს ეცნობოდა ისტორიულ ძეგლებს და შთაბეჭდილებებს წერდა.

ქართული ლიტერატურის ისტორიას არაერთი მაგალითი ახსოვს იმისა, თუ როგორ შეიძლება შემთხვევითობამ დაბადოს შედევრი. შემთხვევით დაიწერა ნ. ბარათაშვილის „მერანი". თანატოლი და მეგობარი ბიძის ლეკთაგან დატყვევებამ სულიერად შეძრა პოეტი და გზა მისცა ნაგუბარ-ნაფიქრის ერთბაშად გადმონთხევას. თუმცა წერილში პოეტი წერს: ამას ამბობს ილიკოო, მაგრამ იქვე აშკარად მიუთითებს საკუთარ სულიერ ბორგვასა და რამდენიმე დღით უჩვეულო გაოგნებაზე. მერანი გახდა მისი მშფოთვარე სულის იდეალური თანამდევი ძალა, ის ენერგია, რომელიც პოეტის დაუოკებელ ვნებათაღელვას შეეწყვილა და დაძრა გაყინული წერტილიდან.

1959 წლის შემოდგომაზე სახლში შეკეტილი, უჩვეულოდ დინჯი გურამ რჩეულიშვილი დედის დაჟინებული თხოვნით მამამ თავის ასპირანტებთან და მოსკოვიდან

ჩამოსულ სტუმრებთან ერთად კახეთში ალავერდობის დღესასწაულზე ჩამოიყვანა. ღამისთევის შემდეგ ჭაბუკი მოწმე ხდება როგორ გრძელდება ინერციით უაზრო დროსტარებაში გადაზრდილი დღესასწაული. გონივრულ სანახაობას დახარბებული თვალი დაეძებს აქ მოსვლის აზრს, ხანდახან ჰგონია, რომ მიაგნო მას, მაგრამ, ამაოდ... დადის, დახეტიალობს რეალობას მოწყვეტილი ადამიანების ბრბოში გამორჩეული, საერთო ყოფიდან ამოვარდნილი გმირი, ხედავს უზარმაზარ მთვრალ მასას, რომელიც „უცნაური არაკავშირით ღრეობს ერთად“ ... უცნაური განურჩევადობა, უმიზნო დაუოკებელ ვნებაში შეზრდილი, სუფევს გარშემო... „ამ უაზრო ღრიანცელის მოწმე მოთხრობის გმირს საშინელი განცდა ეუფლება, ენანება, რომ ასე უყურადღებოდ და უშინაარსოდ იხარჯება ამდენი ენერგია, სურვილი. აუტანელი ხდება მისთვის ამის მოთმენა. გრძნობს, რომ აუცილებელია მისთვის რაიმეს გაკეთება, რაც წამით მაინც გამოაფხიზლებდა უაზრო დინებას მიყოლილ ხალხს. ამ უკიდურესად დაძაბულ სიტუაციაში მისთვის ერთადერთ ხსნას წარმოადგენს იქვე დაბმული ულამაზესი მთიულური ცხენი და წინასწარი განცდა ბრბოსთან ჟინიანი შეხლისა, რამაც ის აქცია „უცნაურ ეშმაკ“ და „უგუნურებამდე უშიშარ“ მხედრად. უცნაური გახელებით ებმება იგი ყველაზე საშიშ თამაშში – მესიის, ხალხის მხსნელის როლში. მან მყისიერად მოისურვა გაერღვია ღრიანცელით სავსე მყუდროება, შეეჯანჯღარებინა ეკლესიის ეზოში სალოცავად, ღვთისათვის პატივის მისაგებად მოსული ხალხი, რომლებიც ახლა დაბნეულნი, გონდაკარგულნი, ფიზიკურად თუ სულიერად შეშლილნი მიექანებოდნენ „უფსკრულისაკენ“.

ბრძოლა, სწაფვა, სრბოლა ნათელი იდეალისაკენ

აერთიანებს ბარათაშვილისა და რჩეულიშვილის თავდაუზოგავ რაშებს. მიზანი ერთია, ხოლო მიზნის მიღწევის საშუალება სხვადასხვა. ბარათაშვილის გმირი ამ ცხოვრებიდან გარეთ, ბედისსაზღვარის გადალახვით ეძებს აღთქმულ ქვეყანას მოძმეთა საკეთილდღეოდ, რჩეულიშვილის მხედარი გარედან შემოდის დაბნეულ, თავგზაარეულ ხალხში, მათი დამდოვრებული, უშინაარსო ყოფის შესაცვლელად, „რაღაცის საკეთებლად".

ესტაფეტა გრძელდება. ისევ ელიან „ახალი მერნები" „თავგანწირულ მხედრებს".

* * *

„მე მწერალი არა ვარ!

მე შეყვარებული ვარ! გესმით?! ოღონდ ახლა არ ვიცი ვისში". გურამ რჩეულიშვილის ნაწერიდან ამოკითხული ეს გულახდილი ფრაზა გახდა ჩემთვის საყრდენი წერტილი მისი შემოქმედების უმთავრეს თემაზე ფიქრისას.

საოცარია შემოქმედი ადამიანის ბედი, – თავისი ხანმოკლე სიცოცხლითაც კი შეუძლია ძირფესვიანად შეცვალოს ჩვენი ზოგჯერ დამდოვრებული, ერთფეროვანი ყოფა და ერთგვარი მეგზურის მისიაც იკისროს. ასეთი ხვედრი ერგო წილად გურამ რჩეულიშვილის ამქვეყნიურ ყოფას, რაც ასე მკვეთრად გამოიხატა მის დიდ მისიაში – მწერლობაში. „ღმერთო ჩემო, ვერ გამიფიქრებია რამე, რომ ჩაწერა არ მომინდეს, ან უბრალოდ, ან ლექსად, ან მოთხრობად... „– წერდა ოჯახს დროებით მოშორებული მწერალი ერთ-ერთ ბარათში, – „ახლა არ შემიძლია, რომ არ ვწერო. სხვა რა უნდა ვაკეთო, აბა?" – ამ შეკითხვის

უკან გამოიკვეთა ნამდვილი შემოქმედის სახე, რომელმაც ქართულ მწერლობაში აზროვნებისა და წერის სრულიად ახალი ორიენტირი შემოიტანა.

ცნობილი ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის ჩანაწერებში წამიკითხვას: „ჭეშმარიტი მწერლისთვის ყოველი წიგნი უნდა იყოს ახალი დასაწყისი, სადაც იგი ჯერ კიდევ ცდილობს მიაღწიოს იმას, რისთვისაც არავის მიუღწევია. მწერალი ყოველთვის უნდა ცდილობდეს გააკეთოს ის, რაც აქამდე არავის გაუკეთებია, ან რაც სხვას უცდია და ვერ გაუკეთებია“. ცნობილია, ეს ზუსტი და ლაკონური ფორმულირება როგორც განზოგადდა მის შემოქმედებაში.

გურამ რჩეულიშვილის აზრით მწერალი შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ „ყველაზე კარგს კი მათგან იგი დაწერს, ვინც სხვაზე მეტად და ღირსებით იტანჯება ვერმიღწეულის ვნებით შეპყრობილი“. ეს აზრი ერთგვარ კრედოდაც იქცა მისი სამწერლო საქმიანობისთვის. სწორედ „ყველაზე კარგის“ გამორჩევის წყურვილით „სხვაზე მეტად და ღირსებით“ შეპყრობილი შემოვიდა ის ჩვენი დროის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. „საიდან მოვდივარ, სად მივდივარ, რა მინდა?“ – აი, თითქმის პასუხგაუცემელი კითხვები, ქარიშხალივით წამლეკავი ძალით მოვარდნილი ცხოვრებაზე, ადამიანთა ურთიერთობებზე, მთელ სამყაროზე წუხილად რომ გადმოიღვარა ლექსებში, მოთხრობებში, პიესებსა თუ დღიურებში. ამ წუხილმა შვა ქართულ მწერლობაში ახალი გმირი, ქალაქური ყაიდის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თუნდაც ლირიკულს დავარქმევთ და რომელსაც ასე იზიდავს მთის, ზღვის, სოფლის პირველქმნილი ბუნება. ჩამყუდროვება და ჩაფიქრებაა გურამ რჩეულიშვილის გმირის აუცილე-

ბელი მოთხოვნილება, რომელსაც ის ბუნებაში სიცოცხლით ტკბობას უწოდებს. ამ ტკბობას განიცდის გმირი ხელუხლებელ, შეურყვნელ ბუნებასთან მიახლოებისას. ამისათვის ისწრაფვის სიმაღლისაკენ, როგორც მოგვიანებით წერს ლევან ასათიანი „ახალ სივრცეებთან შეხვედრისათვის". ეს სივრცე შეიძლება იყოს ხევსურეთის მიუვალი სანახები, თელავის ძველი გალავნის ბურჯი, თუ ალავერდის ტაძრის გუმბათი. აი, ხევსურეთის ჭიუხებში განცდილი სისავსე:

„არაბუნებრივი სიწყნარეჩაგუბდა ჰაერში, ჯანღი მოედო აქამდე შიშველ ქედებსაც, მოაღწია გურამამდე, გაახვია საბურველში. მან თვალები დახუჭა, ნეტარი უსურველობა დაეუფლა ყველაფერს, ნისლებივით ბუნდოვანი, შეუკავებელი და უმტკივნეულო იქცა... ქალაქში დარჩენილი განცდებიც. ნესტიან, გრილ ბურუსში გახვეულს დაეკარგა ყოველგვარი შეგრძნებები, გარდა არაამქვეყნიური თუ, პირიქით, ზედმეტად მიწიერი ნეტარებისა, რომლის მსგავსიც არ განეცადა თავისი ცხოვრების ოცდახუთი წლის მანძილზე და რომელიც დარჩა მუდმივ მოგენებად მთელი დანარჩენი ცხოვრების განმავლობაში".

ამ განცდით ერთვის ადამიანი ბუნებას. ამასთან, ბუნებაც მთელი ძალით შემოდის მასში და აზიარებს სამყაროს ყველაზე დიდ საიდუმლოს – შემოქმედის მაგიურ ძალას. „საიდანღაც მოვარდნილმა სიამაყემ აავსო ბურჯისთავზე მჯდომის გული... გრძნობდა ახალი, იმავე ადამიანური ძალის შეგნებულ მორევას, რომელიც გამოყოფდა მას ამ წყვდიადიდან, მუდმივი შრიალიდან... იჯდა ბურჯის თავზე... ამღერებული ბუნების ძალით, უმღეროდა მას, მღეროდა მთლიანად ჩაფლული საკუთარ ბგერებში... მღეროდა კაცი თავისი ხმით, შრიალებდა ბუნება თავისი

ხმით... „შევნიშნავთ, რომ ბუნების რომანტიკული განცდა აქ საოცრად ერწყმის სავსებით მიწიერ, ადამიანურ განცდებს.

გურამ რჩეულიშვილის მთელი შემოქმედება სიცოცხლის რაობის ნათელი გააზრებაა. მისი გაგებით სიცოცხლე ბუნების ბოძებული სიმდიდრეა, ბუნებისმიერია და თვით ბუნებაა მისი მასაზრდოებელი წყაროც. ვნახოთ, როგორ გამოიხატა ეს აზრი მოთხრობაშ „ნათელა“, სადაც უსასრულო ბუნებაში სრულიად ახლებურად იბადება ახალგაზრდა ვეტექიმის – გიოს განწყობილება:

„უნაკლო დილას სუნთქავდა მთელი მისი სხეულიც... გაჟღენთილი იყო სწორედ ამ ცხოველური, პირველყოფილი სისავსით... უხაროდა, რომ მის ფეხქვეშ ნამდვილად მიწა იყო, ის მიაბიჯებდა და გრძნობდა სრულ ერთიანობას, სისავსეს გონებასა და სხეულს შორის, ებერებოდა ფილტვებში, უხურდა სახე, წითლად უღვივოდა მთელი ორგანიზმი... დაკუნთული მკერდი ადიოდა მაღლა და ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებული უფორმო სიხარული მიწასთან ერთად ეხებოდა ჰაერსაც, დილის გაურყვნელ, უცოდველ ჰაერს. ის იყო მდგომარეობაშ, რომლის შემდეგაც ადამიანს შეუძლია მაღლა აფრინდეს, თან აიტანოს მიწაც... „ეს განცდა მწერლის აზრით „არცერთ ბუნების კანონს არ ემორჩილება“, თუმცა, იქვე ვკითხულობთ, რომ „გიოს მდგომარეობა არ იყო ფანტასტიური, რადგან ის მიწაზე მყარად მიაბიჯებდა“, ეს იყო სრულიად ჩვეულებრივი ადამიანის „გულუბრყვილო შეჭიდება სამყაროსთან“.

გიოს ისედაც ჯანსარი სხეული სულ უფრო მეტად ივსება ახალ-ახალი განცდებით, რაც მხოლოდ ფიზიკურ ძალას კი არ მატებსმას, არამედ უჩვეულოდ მგრძნობი-

არეს ხდის ირგვლივ მყოფთა მიმართ. ის განსხვავებულად აღიქვამს მთის სოფლის ფერმაში ერთ ჩვეულებრივ, ხმაურიან დილას, ძროხების ბღავილის, რძის ჩხრიალს წველისას და მწველავი ქალების ურთიერთგადაძახილს. მეტიც, ეჩვენება, რომ თავისი ნაბიჯების ხმასაც კი ამ საერთო რიტმში რთავს. მთის სოფლის უცხო კოლორიტი ლამის მაგიურ ზემოქმედებას ახდენს გიოს განწყობაზე. აი, გიოს თვალით დანახული დილის პეიზაჟიც: – „მთის უკნიდან მზე ამოდიოდა. პირველი სხივი ბაგების გარშემო დადებულ თივას დააცხრა, მერე უკან გადაიწია, ხევს გადაღმა, მხოლოდ მთაში შეფენილი ოთხი უზარმაზარი ზვინი და მათ შორის დარჩენილი პატარა ქოხი იდგა საწყლად, ისე ჩრდილში... აქედან მოჩანდა მთელი ველი. ამ ველზე მოდიოდა გიო“.

ამავე ფონზე შმოდიან მოთხრობის სხვა პერსონაჟებიც, ჯანსაღი მთიელი ბავშვები: გიორგი, „მთიულური ჯიღა თვალებით“ და „მკვრივი ლოყებით“ და ნათელა – „ანთებული მზერით“, რომელიც მწერლის აზრით „უეჭველად უნდა დაენახა ვინმეს“. ხოლო ის, რაც ახალგაზრდა კაცმა იგრძნო ამ ანთებული მზერის დაჭერისას, არ იყო არც სიყვარული და არც დიდისაგან პატარის შემჩნევა, „ეს იყო სულ სხვა რაღაც, ალბათ ის, რაც შეეფერებოდა გიოს დილანდელ განწყობას, როცა საგნები კარგავენ წონას და კაცს შეუძლია ჰაერთან შეერთება“. სწორედ ეს ფაქიზი განწყობა ალამაზებს ადამიანს, ამოტომაც გიო იდგა მთელი თავისი კაცური შესაძლებლობის უმაღლეს დონეზე... სიხარული მატებდა მშვენებას მის გარეგნობას“.

სულ ერთიბეწო სხეულსაც შეუძლია იყოს შეპყრობილი სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულით. ასეთი შეყვა-

რებულია მზია ბათარეკას ასული, რომელიც ხევსურეთის მიუწვდომელ „ქალაქ-სახელმწიფოში" – შატილში ცხოვრობს („ბათარეკა ჭინჭარაული"). სარკმლიდან უცქერს „ეს უცნაური არისტოკრატი ქალი" ქვეყანას. სიმაღლის განცდით მთვრალია მისი ამაყი სული. ამიტომაც არ შეუძლია ყოველდღიურ საზრუნავს ანაცვალოს ოცნებაში ნაძერწი გულისთქმა. მაგრამ რამდენადაც ძლიერია მასში სიცოცხლის სიყვარულის შეგრძნება, იმდენად მტკივნეული აღმოჩნდება უჟმური სინამდვილით გამოწვეული სიცხადე. აღტაცების ყველა საგანი, კიბის საფეხურებიდან დაწყებული, სარკმლიდან შემოსული სიცხადე. აღტაცების ყველა საგანი, კიბის საფეხურებიდან დაწყებული, სარკმლიდან შემოსული ტყის პეიზაჟით დამთავრებული, უცებ იღებს თავის ნამდვილ სახეს და ასე საყვარელი სიცოცხლიდან მანძილიც აღარ რჩება სიკვდილამდე. ამიტომაც მზია ბათარეკას ასული მანამდე კვდება, სანამ ჭერხოს თავში ჩამობმულ ჯაჭვის ყულფში გაყოფს თავს.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა ავტორის განსაკუთრებულ დაინტერესებას სიკვდილის ფენომენით. სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული, გამორჩეული ფიზიკური და ინტელექტუალური თვისებებით შემკული ახალგაზრდა კაცს საოცარი მუხტით იზიდავდა სახიფათო თავგადასავლები. ამ ლტოლვას ერთი შეხედვით თამამი თამაშის სახე ჰქონდა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. შემთხვევითი არ იყო ახლო მეგობრისათვის ვითომც გადაკრული, სინამდვილეში კარგად გააზრებული ნათქვამი: „გამიფრთხილდი, ბიჭო, ხომ იცი, მე დიდხანს ვერ ვიცოცხლებო". ერთი ცხადია, რომ ახალგაზრდა მწერლის დამოკიდებულება სიკვდილის ფენომენთან ერთმნიშვნელოვანი და ძალზე

ღირებული იყო. როგორც მწერლის და, მარინე რჩეულიშვილი წერს: „გურამის სიკვდილთან დამოკიდებულების ევოლუციაში... ვლინდება მისი შინაგანი სამყაროს, მისი „სულის ბიოგრაფიის“ ძალიან მნიშვნელოვანი მომენტები. ეს ევოლუცია ცხადია გულისხმობს მხოლოდ სულის სიღრმეებში ჩაფლული გრძნობა-აზრის ამოტივტივებას ცნობიერ სამყაროში“. ამის დამადასტურებლად გამოდგება მის მოთხრობებსა და პიესებში მართლაც ჯაჭვით ასხმული დაუღალავი, ხან ფილოსოფიური, ხანაც ზედაპირული მსჯელობანი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემათა შესახებ. მოთხრობების: „სიკვდილი მტებში“, „ქიტესა“, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“, „მოლოდინი“, პიესა „მარინეს“ პერსონაჟები აქტიურად ცდილობენ გაარკვიონ ადამიანის ყოფნა-არყოფნის ურთულესი საკითხები. ეს უფრო დაწვრილებითი მსჯელობის საგანია. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ერთ ნიუანსს შევნიშნავთ. ზემოთ ვახსენეთ აზრი სიკვდილთან თამამი თამაშის შესახებ, რომელშიც გურამს მხოლოდ საკუთარი ძალებისა ეიმედებოდა. საფიქრებელია, რომ იცოდა სიკვდილის დაუნდობლობის ამბავი, მაგრამ ჩანს, ამ გზაზე ცდუნებაც დიდი იყო.

„იმათზე ილოცე, დედავ, მე თვითონ გავიტან თავს“, – ალავერდის ტაძარში ჩურჩულით ნათქვამი სიტყვების ექო მოგვიანებით გაგრაში გაისმა, როცა აბობოქრებულ სტიქიასთან მებრძოლს დახმარება შესთავაზეს. იქვე იყვნენ დასაღუპად განწირული სხვა ადამიანებიც... „მე თვითონ გავიტან თავს!“ – სიკვდილთან ეს თანასწორი ბრძოლა – თამაში მისი პირადი დამოკიდებულების გარკვევის სურვილს უფრო ჰგავდა, რომელიც არ შეიძლებოდა მხოლოდ სიძულვილით ყოფილიყო გამოწვეული. ამ დაუოკებელ ლტოლვაში ვხედავთ მტრის ხატის, ამ

შემთხვევაში სიკვდილის პატივისცემასა და დაფასებას, რაც ქვეცნობიერად ყოველთვის იყო დამახასიათებელი ქართველი კაცისთვის. აქედან იჩინა თავი გურამ რჩეულიშვილის დიდმა სიყვარულმა არა მარტო სიცოცხლის, არამედ სიკვდილის მიმართაც. სწორედ ამ სიყვარულის ნიჭის წყალობით იქცა მისი სახელი მნიშვნელოვან ნიშანსვეტად ჩვენი თაობის ქართველი ახალგაზრდებისათვის.

* * *

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებაზე საუბრისას ხშირად მიუთითებენ მის პიროვნულ გამორჩეულობასა და არაორდინალურობაზე. მართლაც ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუცნობ ფენომენად დარჩა ადრე წასული ნიჭიერი ჭაბუკის სახე. ამ იდუმალებას მთლიანად ვერ უშველა მწერლის არქივის გახსნა-გამომზეურებამაც. პირიქით, მასში უფრო მეტი აღმოჩნდა ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებანი, გაჩნდა პასუხგაუცემელი კითხვები (მხედველობაში მაქვს მწერლის დის, მარინე რჩეულიშვილის გადმოცემა გურამის ცხოვრების ბოლო პერიოდის ირგვლივ), რომლებიც, ადვილი შესაძლებელია, ასევე პასუხგაუცემელი დარჩეს. იქნებ ეს „ბუნდოვანება" (გურამის ერთი ლექსიდან) და ბოლომდე შეუცნობლობა ჯობდეს დარჩეს (არა იმ თვალსაზრისით, რომ მწერლის მეტისმეტად შთამბეჭდავ სახეს რაიმე ჩრდილი მიადგეba), რადგან თვით ბუნების უხილავ კანონზომიერებაშიც გადაჭარბებულმა ძიებამ შეიძლება სულაც აბსურდამდე მიგვიყვანოს.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში ნაკლებადაა ასახული კახე-

თის თემა. სისხლხორცეულად კახეთთან დაკავშირებული მწერალი იშვიათად მიმართავს მშობლიური კუთხის ცხოვრების ასახვას მოთხრობებსა და ნოველებში. განსხვავებით დღიურებისა, რომლებიც სავსეა თელავში და მის შემოგარენში ყოფნით გამოწვეული შთაბეჭდილებებით. ამას ადასტურებს გურამის ახლო მეგობრის ნუგზარ წერეთლის დაულალავი, მოუწყინარი მოგონებები კახეთში გატარებული ხმაურიანი დღეების შესახებ. ვფიქრობთ, ეს მხარე გურამისათვის იყო „შინ", ანუ ისე ნაცნობი და მშობლიური, რომელიც ნაკლებად აღვიძებს შემოქმედებით გონს.

„გურამს ერთ ადგილზე გაჩერება არ შეეძლო, კახეთსა და თელავში ყოფნა უყვარდა, საქართველოს ყველა კუთხე არაერთხელ ფეხითაც ჰქონდა მოვლილი. შედარებით ხშირად თელავში იმყოფებოდა... „შეგვკრიბა თორმეტამდე ამხანაგი და ორი დღით წაგვიყვანა თელავში... „გულიანად გვეპატიჟებოდა – ხოლმე თელავში... „უყვარდა ბარაქიანი, მადლიანი კახეთი და თითქოს ცდილობდა ჩვენთვისაც შეეყვარებინა... „ჩვეული სიხარულით გავემგზავრეთ კახეთისაკენ. გურამი გემის კაპიტანივით იყო, განკარგულებებს იძლეოდა... „ერთ დილით გამოიცხადა გურამმა... ორი-სამი დღით თელავში წავიდეთ, კახეთს შემოვუაროთ, გული გადავაყოლოთო... ზოგჯერ ეს გასვლები უსიამოვნო შემთხვევებითაც მთავრდებოდა... „ეს ამონაწერები ნუგზარ წერეთლის მოგონებებიდან ნათელს ხდის იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას კახეთის მიმართ, რასაც გურამი იჩენდა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის ყველა პერიოდში. ეს ურთიერთობა მხოლოდ კახური პურმარილებითა და „ჰეი, ჰოებით" (როგორც გურამის დედა უწოდებდა) არ შემოიფარგლებოდა. გად-

მოცემით, თელავში ყოფნისას ახალგაზრდებს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის მიზნით ჯგუფი ჩამოუყალიბებიათ და რამდენიმე საქმიანი გასვლაც მოუწყიათ. ამის დამადასტურებელი ფოტოც არსებობს.

ზოგჯერ ახალფეხადგმულ მწერალს კახეთისაკენ უფრო მძაფრი გრძნობები იზიდავდა და სრულიად მარტო გადიოდა ქალაქიდან „ჩამყუდროვებისა“ და „ახალი, შეუცნობლად კანონზომიერის“ შეცნობისათვის. ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისში ყვარლის რაიონის ერთ-ერთი სკოლის დირექტორს ჩემი გვარის გაგონებისთანავე მეხსიერებაში გაუცოცხლდა სოფლის პატარა სასაუზმეში შემთხვევით გაცნობილი ხუჭუჭთმიანი „მოგზაური“, დიდი ზურგჩანთითა და არაჩვეულებრივად მეტყველი თვალებით. სტუდენტი, დამწყები ისტორიკოსი ახლოს ეცნობოდა კახეთის ისტორიულ ადგილებს.

თუ როგორ განიცდიდა მარტოსული მწერალი კახეთის ბუნების რომანტიულ განუმეორებლობას, ამას ცხადად გვაგრძნობინებს მოთხრობა „ალავერდობის“ შესავალში. ზღვის, მთის, სტეპების, ხევსურეთის მიუვალი ჭიუხების განცდას ნაზიარები „კახელი კაცის სხეული“ (გურამის ფრაზა) მთელი სისავლით ერწყმის მშობლიურ ბუნებას, – ალაზნის ველზე შემოღამებას, თუმცა თავისი უმწეობით ტირილამდე მისული, მაინც ამაღლებულია ყველა ადამიანურ გრძნობაზე.

ქართული ლიტერატურის ისტორიას ახსოვს არაერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ მოსდევს შემთხვევითობას შედევრის დაბადება. შემთხვევითი იყო გურამ რჩეულიშვილის სტუმრობა კახეთში 1959 წლის შემოდგომაზე. სახლში შეკეტილი და ინტენსიური წერით დაკავებული უჩვეულოდ დადინჯებული გურამი დედის დაჟინებუ-

ლი თხოვნით უერთდება ალავერდობის დღესასწაულზე გამოსამგზავრებლად გამზადებულ ჯგუფს (გურამის მამის, მიხ. რჩეულიშვილის ხელმძღვანელობით, მისივე ასპირანტებისა და მოსკოვიდან ჩამოსული სტუმრების გუნდს), მიუხედავად ასევე დაჟინებული უარისა მამის მხრიდან. ალავერდობის დღესასწაულზე ხიფათიანი თავგადასავლის შემდეგ, თელავში, ნადიკვრის ქუჩის დასაწყისში მცხოვრები ნათესავის ოჯახში ერთ ღამეში დაწერა მოთხრობა, რომელშიც ერთბაშად გადმოიღვარა მანამდე შეკავებული სულიერი ჭიდილი რეალურ სამყაროსთან, ღრმა ფსიქოლოგიური განცდები და ფილოსოფიური ხედვა ადამიანთა ყოფის ურთულეს საზრისზე. უჩვეულო განცდები მას წინადღით ნანახი შემოღამებიდან გამოჰყვა, ხოლო ალავერდის დიდებული ტაძრის ეზოში ახალგაზრდა მწერალმა იგრძნო უხილავი, მაგიური კავშირი მშობლიური კუთხის მიწასთან.

მოთხრობა „ალავერდობა“ ჩანს თვით ავტორისთვისაც მნიშნელოვანი და „წონიანი“ ყოფილა, რაკი იმთავითვე შეუტანია სამეულში საერთო სათაურით – „ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებანი“. მასში აღწერილია ტრადიციული ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც ასევე გულუხვად სწყალობს ლეკებს, ქისტებს, დიდოებს, ყარაჯალელ თათრებს. ღამისთევის შემდეგ დღესასწაული ინერციით გრელდება და გადადის უაზრო დროსტარებაში, რომლის უშუალო განმცდელიც თავად ავტორი აღმოჩნდება. გონივრულ სანახაობას დახარბებული თვალით დაეძებს ის აქ მოსვლის აზრს, ხანდახან ჰგონია, რომ მიაგნო-კიდევაც მას, მაგრამ ამაოდ... დადის, დახეტიალობს რეალობას მოწყვეტილი ადამიანების ბრბოშ გამორჩეული, საერთო სურათიდან ამოვარდ-

ნილი გმირი, ხედავს, „უზარმაზარი მთვრალი მასა უცნაური არაკავშირით ღრეობს ერთად“ დადაკვირვებული თვალი ადვილად ამჩნევს, თუ როგორ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა ძველმა ღვთის სადიდებელმა რიტუალებმა. „ვგრძნობ, რომ აღარ არის ალავერდობა ალავერდობა... ვინ წარმოიდგენდა, რომ ქრისტიანულ საყდარში, ზედ კანკელის ძირას, შეიძლებოდა ოდესმე გდებულიყო თავწაჭრილი მამალი და ცხვრის თავ-ფეხი... აღარ შველის ალავერდობას აღარაფერი... უცნაური განურჩევლობა, უმიზნო დაუოკებელ ვნებაში შეზრდილი, სუფევს გარშემო“. ამიტომაც, „ცოცხალ სასაფლაოს“ ემსგავსება ალავერდის გარემო.

ამ უაზრო ღრიანცელის მოწმე მოთხრობის გმირს საშინელი განცდა ეუფლება, ენანება, რომ ასე უყურადღებოდ და უშინაარსოდ იხარჯება ამდენი ენერგია, სურვილი. ექსცენტრიული, ბუნებით ეგზოტიკის მოყვარული გმირისათვის აუტანელი ხდება ამის მოთმენა. „ვერ ასმენს და აღარ ესმის არაფერი. მაგრამ გაკეთება, რამის გაკეთება, რაც წამით მაინც შეცვლის რაღაცას, აუცილებელია მისთვის, ის ასე ვერ წავა აქედან!“ – დგება გადამწყვეტი წუთები... ამ უკიდურესად დაჭიმულ სიტუაციაში მისთვის ერთადერთ ხსნას წარმოადგენს იქვე მიბმული მთიულური ულამაზესი ცხენი და წინასწარი განცდა ბრბოსთან ჟინიანი შეხლისა, რამაც ის აქცია „უცნაურ ეშმაკ“ და „უგუნურებამდე უშიშარ“ მხედრად. უცნაური გახელებით ემბემა იგი ყველაზე საშიშ თამაშში – მესიის, ხალხის მხსნელი რაინდის როლში.

საერთო არეულობაში იძრება ალავერდობის გმირიც, თავისი გადაწყვეტილებითა და მისი შედეგით უზომოდ კმაყოფილი და აჟიტირებული გარბის ტაძრის ეზოში,

ცხენის პატრონი ლეკის ხანჯალი, გურამისთვის მოქნეული, ცხენს ხვდება და კლავს, მოკლული ცხენი ეცემა ბავშვს, იზრდება არეულობა, გარბის გურამი და მდევარი მისდევს. ტაძრის შიდა ხვეული კიბით მაღლდება და უკვე ზემოდან დასცქერის გაოცებულ და სულ ორიოდე წუთით გარინდებულ ბრბოს.

„პირველ წუთებში ეფექტი მთლიანი იყო. მას მოეჩვენა, რომ მიაღწია იმ რაღაც სურვილს... და იმავე წუთში, ამ მისი მთელი მოქმედების უმაღლეს წერტილზე, სადღაც გაქრა უსაზღვრო ვნებად ქცეული სურვილი... გუმბათის თავზე შერჩენილს ღიმილი ერევა, ისეთ უაზრობად ეჩვენება აქ დგომა... და ჩამოსულს, მხოლოდ ცხენის მიგდებული, უაღვირო ლეში აგონებს მის უაზრო, გაუმიზნავ, უნაყოფო სურვილს“. ტაძრის მაღალ ლავგარდანზე მდგარი გმირი ეზიარა ჭეშმარიტებას – ნამდვილი შემოქმედური სიამოვნება მხოლოდ გრანდიოზულ, უსიტყვო შრომისგან შეიძლება მიიღოს ადამიანმა. და მართალიც მხოლოდ ის „პატიოსანი, ღვთის, შრომის პატივისმცემელი გლეხობაა“, რომელიც ღამენათევი და მოლოცვილი გათენებისთანავე შინ ბრუნდება ჩარდახიანი ურმებით. ხოლო საოცარი სიცოცხლისუნარიანობა კი, როგორც თვით გმირში, ასევე ღრეობის თითოეული მონაწილის ღვთისაგან გაჩენილ სხეულშია. და რომ ეს ორიოდე დღით დაბნევაც ადამიანის განახლებული ძალის აფეთქების წინაპირობაა მხოლოდ.

ფიზიკურმა ამაღლებამ ტაძრის გუმბათზე გაფანტა ბუნდოვანი, უაზრო სურვილები. მოთხრობის ავტორი, იგივე გმირი, ნამდვილი კახური ვნების სიმძაფრით განიცდის სურათს ალავერდის ტაძრიდან, უყურებს „შემოქმედის მიერ დალოცვილ მიწას“, რომლის მთავარი გმირიც

ადამიანია, სულიერად და ფიზიკურად ძლიერი და გაწონასწორებული, ღირსეული, მატერიალური ფასეულობის შემქმნელი და „ღვთის მადლიერი“.

ალავერდის დიდებული ტაძრის ეზოში განსაკუთრებული ძალით იფეთქა გურამ რჩეულიშვილის პიროვნულმა „განუსაზღვრელად ახლობელმა, წონიანმა“, „სიცოცხლისუნარიანმა“ და „შეუცნობლად კანონზომიერმა“ გრძნობამ მშობლიური კუთხის მიმართ. ამ განცდებმა, მართლაც „დაუწერელ სიმფონიასავით ერთად მოვარდნილმა“, თავისი ცხოველმყოფელობით აავსო გურამ რჩეულიშვილის თვითმყოფადი, უაღრესად ეროვნული ხასიათის შემოქმედება.

* * *

გურამ რჩეულიშვილის, როგორც მწერლისა და შემოქმედის განსაკუთრებული ხელწერა გვიმძაფრებს ინტერესს იმ თეორიული ასპექტების მიმართ, რომელთა საშუალებითაც იქმნებოდა ასე განსხვავებული, იმდროისათვის ცოტა უცნაური მწერლობის ნიმუშები. თითოეული ფრაზა მისი მოთხრობებიდან, ლექსებიდან, დღიურიდან თუ უბრალო ჩანაწერებიდან, სუნთქავს ახალი აზრით, განსხვავებული იდეური მოტივაციითა და დაუოკებელი მწერლური პათოსით. გურამი არასოდეს ყოფილა ჩამოყალიბებული პოეტი, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სწორედ ლექსად ნათქვამ ფრაზაში ყველაზე უკეთ ჩამოყალიბდა მისი მწერლური ფანტაზია:

„რადგან ლექსების წერა დავიწყე,
უნდა ვთქვა კიდეც, რა მიყვარს ლექსში:
მე ვეტრფი, მე ვგრძნობ, მე ხოტბას ვასხამ

იმ პოეტურ ბუნდოვანებას, რომლის თითოეული ნაწილიც სინათლით სუნთქავს“ (რჩეულიშვილი; 4, 419).

მწერლისთვის მიუცილებელ პირობად მიჩნეული „პოეტური ბუნდოვანება“ გურამ რჩეულიშვილის შინაგანი, უხილავი სუბსტანციაა, „სინათლით მსუნთქავი“, რომელიც ავსებს მწერლის შინაგან სამყაროს და ანიჭებს მას „სხვა სამყაროში“ გადასვლის პოტენციურ შესაძლებლობას. როგორც „დღიურში“ წერს ის – „მე ჯერ ვივსები რაღაცით და მერე ვიგებ რა არის ეს რაღაც“. ხოლო მეგობრისადმი (ერლომ ახვლედიანი) გაგზავნილ პირად წერილში ვკითხულობთ: „მე ვიცი, რომ მაქვს პრინციპი, შინაგანი, ოღონდ რა არის, კარგად არ მესმის“.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა საკმაო საფუძველს იძლევა მისი თეორიული განხილვისა და შეფასებისათვის. ოთხი წლის განმავლობაში მან შექმნა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღირებულების მქონე სამწერლო მემკვიდრეობა მოთხრობებით, ნოველებით, ლექსებით, პიესებით, ჩანაწერებითა და პირადი წერილებით. საგანგებო ყურადღებას იქცევს მისი შემოქმედებითი პროცესის ხასიათი, ლიტერატურული შეხედულებანი, რომელიც ისევე უჩვეულო და არაორდინალურია, როგორიც მისი მხატვრული შემოქმედება. უჩვეულო იმდენად, რომ თავის დროზე მისი შეფასება გაუჭირდათ საკმაოდ კომპეტენტურ პირებსაც – კი. ვგულისხმობთ ჟურნალ „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგიას, რომლის წევრები გაურკვეველი მოსაზრებით აჭიანურებდნენ რჩეულიშვილის მოთხრობების დაბეჭდვას, თუმცა, როგორც გადმოგვცემენ, სათითაოდ თანახმანი იყვნენ, ერთად კი თავს იკავებდნენ, ერთმანეთს აბრალებდნენ და საერთოდ

უარს ეუბნებოდნენ მათ დაბეჭდვაზე.

როგორც ჩანს, გურამის მოთხრობების დამახასიათებელმა ხელწერამ ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია ლიტერატურის კრიტიკოსთა შორის. ამ საკითხზე ისევ ავტორის ახსნა-განმარტება თუ მოგვცემს პასუხს: „საზოგადოების დიდი ნაწილი მე მხვდება, როგორც გადმომღერებელს ევროპული თუ ამერიკული „დაკარგული თაობის" მოტივებისა. სასურველი იქნებოდა, რომ ჩემმა თეორიულმა ნაწილმა მხატვრულთან კავშირში, გააქარწყლოს ეს შეხედულება და ჩვენ ერთმანეთს პირდაპირ, გულწრფელად დავუწყოთ თვალებში ყურება". ციტირებას ვახდენთ წერილიდან, რომელიც გურამმა ჟურნალ „ცისკრის" იმჟამინდელ რედაქტორს, ვახტანგ ჭელიძეს გაუგზავნა (რჩეულიშვილი, 6, 100). ცნობილია, რომ 1956 წელს მწერალმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა მოთხრობების გამოსაქვეყნებლად, რაც მანამდე არ იყო მისი ინტერესის საგანი. აღნიშნული წერილიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

გურამ რჩეულიშვილის შეხედულება მწერალსა და საერთოდ, მწერლობაზე ხშირად არაერთგვაროვანია . აზრი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იწოდებოდეს მწერლად, არაერთ პირად წერილსა თუ ჩანაწერში გვხვდება. „მე მწერალი არა ვარ! მე შეყვარებული ვარ! გესმით?! ოღონდ ახლა არ ვიცი ვისში". ანუ, მისი აზრით, სიყვარული, „შეყვარებულობა", თუნდაც ბუნდოვანი, მიუცილებელი პირობაა მწერლისათვის. კიდევ უფრო დახვეწილია შემდეგი ფორმულირება: „ყველაზე კარგს კი იგი დაწერს, ვინც სხვაზე მეტად და ღირსებით იტანჯება ვერმიღწეულის ვნებით შეპყრობილი. „აქ ხაზგასმითაა მითითებული პიროვნების ტანჯვასა და ღირსებით შეგნებაზე.

და, რაც ყველაზე მთავარია, ნამდვილ მწერალს „თავზე უნდა დაემხოს წერის სურვილი, როგორც ბედისწერა“. ეს ბედისწერა, ანუ ტანჯვა წერა-არწერას შორის იყო მუდამ თანამდევი მისთვის. „საშინლად ვიტანჯები, უბრალოდ, ჯოჯოხეთის ცეცხლზე ვიწვი წერასა და არწერას შორის... სხვა გზა არ არის, უნდა ვწერო, ახლა ეს არის ერთადერთი, რასაც შეუძლია, რომ ოდნავ მაინც მომასვენოს“ (რჩეულიშვილი, 5; 322).

შევნიშნავთ, რომ მისთვის, როგორც მწერლისთვის, ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი პირობა წერისა და ამ ნაწერის სხვისთვის გაზიარების სურვილი იყო. ოდესიდან გამოგზავნილ წერილში, დას, მარინე რჩეულიშვილს წერდა – „მინდა (წერა) იმიტომ, რომ მინდა და კიდევ იმიტომ, რომ ჩემს გარდა სხვამაც იცოდეს, რა სავსე ვარ შემოქმედებით და სიცოცხლით“. ამის დასტურია წერილები მამის, მიხეილ რჩეულიშვილისადმი, დის – მარინესადმი, ახლო მეგობრების, ერლომ ახვლედიანის, გურამ გეგეშიძის, ნუგზარ წერეთლისადმი. ამასთან, არანაკლებ ყურადღებას აქცევდა მკითხველის შეფასებას. მამისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „სულ ორ-სამ კვირაში ახალ პიესას, ან სცენარს გამოვგზავნი, რომელიც პირველზე ნაკლებად არ მოგეწონება. დიდი მადლობელი ვარ შენი გულისხმიერი რჩევებისა, პიესის ახლიდან გადაწერ-გადამუშავების დროს აუცილებლივ მივიღებ მხედველობაში...“ (რჩეულიშვილი, 6, 67). მსგავს დამოკიდებულებას ვხვდებით მწერლის დის, მარინეს მიმართ. მარინე რჩეულიშვილი ხშირად ყოფილა ძმის ნაწარმოებების პირველი მკითხველი. მის ლიტერატურულ გემოვნებას და აზროვნებას დიდად აფასებდა გურამი. დის მისამართით გაგზავნილ წერილებში იგი ხშირად განიხილავს

ლიტერატურულ საკითხებს, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. ამ მხრივ საყურადღებოა ტოლსტოის რომანების პერსონაჟთა სახეებზე საუბარი. რომანების – „ომი და მშვიდობა“ და „ანა კარენინა“ – წაკითხვით გამოწვეულ ძლიერ შთაბეჭდილებებს გადმოსცემს წერილები მარინეს მიმართ. ამ პერსონაჟებთან ზოგჯერ მსგავსებასაც-კი პოულობს წერილის ავტორი – „ანა კარენინაში“ ჯერ მარტო პირველი ტომის ნახევარი წავიკითხე, – არ შემოსულა კაცი, რომ დასაწყისში არ მგონებოდა ჩემი თავი“. ოდესიდან მოწერილ წერილში ვკითხულობთ: „მე ნატაშა როსტოვა ვარ. ამ გოგომ თავისთან ერთად სამჯერ მატირა“-ო. თუმცა, იქვე აცხადებს: – არა, მე არა ვგავარ ნატაშას. ესე იგი, ჰო და არა. ის ისეთი უშუალოა. ეს მეც მაქვს, ოღონდ მე კაცი ვარ და ვარ შემოქმედი. ეს მეორე... შემოქმედება, უხეშს მხდის ხშირად პირველისათვის და ალბათ, ანდრეისავით ვიქნებოდი, რომ არა ვწერდე“ (რჩეულიშვილი; 6, 73). ტრაგიკული ბედის მწერლისათვის უცხო იყო მდორე, ემოციას მოკლებული წერა. თვით ყველაზე პატარა მინიატურაც – კი უდიდესი ძალითაა დამუხტული.

ყველაზე ფასეული კი გურამ რჩეულიშვილისათვის არის შემოქმედებითი თავისუფლება. ამის დასტურია მისი თეორიული შეხედულებები, რომლებიც ვახტანგ ჭელიძისადმი გაგზავნილ წერილში მკვეთრი აქცენტებითაა გამოთქმული. წერილი 1960 წლის იანვარშია დაწერილი, საავადმყოფოში, სადაც იმ პერიოდში მკურნალობდა ახალგაზრდა მწერალი.

იდეას მწერლის შემოქმედებით თავისუფლებაზე, გურამ რჩეულიშვილის თეორიული შეხედულებების კვალდაკვალ, განიხილავდა ლიტერატურის თეორეტიკო-

სი მანანა კვაჭანტირაძე, როცა წერდა: „გ. რჩეულიშვილის მთელი შემოქმედება წარმოადგენს განაცხადს იმაზე, რომ „ავტორი – ეს მე ვარ". ავტორს უხდება არა მხოლოდ „ვარ"-ის ტოპიკის ფუნდამენტური პრობლემის დაძლევა, რომელიც მე-20 საუკუნის ფილოსოფიური აზრის მთავარ თავსატეხად იქცა, არამედ ნარაციის პროცესში ავტორის უფლებამოსილების საგანგებო ხაზგასმაც" (ქართული ლიტერატურა – ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში; ტ. 2; 188). ასეთი ტენდენცია განასხვავებს რჩეულიშვილის შემოქმედებას მისი დროის მწერალთა ნააზრევისაგან. იგივე პათოსითაა წარმოთქმული მწერლის მეტაფორული ფრაზა: „ისევ მოვედი მე ფართო გზასთან... სწორედ აქ არის საჭირო თავის შესაცნობად, მოწოდების ადგილის საპოვნელად, გარკვეული თავისუფლება (რჩეულიშვილი; 6, 97). ავტორის, ზოგადად, შემოქმედის „ჩრდილში დგომა, „იმთავითვე მიუღებელი პირობა მისთვის, მკაცრად მიღებული და დაკანონებული იყო მმართველი პარტიული კლასისათვის. ღრმა უფსკრული თავისუფალ შემოქმედსა და ნომენკლატურულ ჩარჩოებს შორის, აზიანებდა და ანგრევდა მწერლის ფსიქიკას. ეს ნერვიულად მგრძნობიარე დამოკიდებულება ატყვია ზემოხსენებული წერილის იდეურ პათოსს დასაწყისშივე, ადრესატისადმი მიმართვაში: „სამწუხაროდ, ჯერ მოსვლა არ შემიძლია, ისეთ მდგომარეობასი ვიმყოფები, ხოლო დრო და ჩემი ტემპერამენტი არ ითმენს, რომ არ გაგაგებინოთ ჩემი აზრი ზოგიერთი საკითხის შესახებ და არ მოვისმინო თქვენი შეხედულებები" (რჩეულიშვილი, 6. 92).

ეს წერილი, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული შეხედ-

ულებები, „ლოგიკურად და სტილისტურად დახვეწილი, აღსავსეა ტონით, როგორიც მართებდა ახალბედა შემოქმედს უფროსი თაობის მწერლის მიმართ. მთავარი სათქმელიც განზოგადებული და მტკიცე არგუმენტებითაა შემაგრებული. „არ არსებობს სიბრძნე კაცის ვნებებისთვის. ხელოვებას მხოლოდ გულწრფელობა სწამს“ – ამ თეზას დასტურად ავტორი იშველიებს შექსპირის, ბაირონის, ტოლსტოის გენიალურ შემოქმედებას, რომელთა კალამიც ქვეშეცნეულად ემორჩილება დიდ მხატვრულ ინტუიციას. ცხადია, ლაგამამოდებული მწერლობა ვერასოდეს იქნება გულწრფელი, ჭეშმარიტი და იმავდროულად ემოციური და, რომ „შექსპირი, მიუხედავად სიუჟეტის და ფილოსოფიური საფარველის წინასწარგანჭვრეტისა, დღემდე გაოცებულია, გულმოკლული და სიგიჟემდე აღშფოთებული იმ მუდმივი საბედისწერო შეცდომით, რამაც მავრს თავისი სიყვარული დაახრჩობინა“ (რჩეულიშვილი, 6. 94). სწორედ ეს ფაქტი მიაჩნია მწერალს შემოქმედის გამარჯვებად.

„შევქმნა თანამედროვე ქართული ადამიანი თავისი მკვეთრად გამოხატული და განსხვავებული ვნებებით“ – ასე განზოგადდა გურამ რჩეულიშვილის, როგორც მწერლისა და შემოქმედის უდიდესი მიზანი. მისი ღრმა რწმენით, ლიტერატურის მთავარი მიზანიც ადამიანთა სახეების ხატვა უნდა ყოფილიყო, დამახასიათებელი გარემოთი, ცხოვრებითა და მისწრაფებებით, კარგითა და ცუდით, თანაბრად. ხუთი წლის მანძილზე შექმნილ რეალისტური პროზის ნიმუშებს აქვთ პრეტენზია, მოიცვან მთელი კოსმიური სამყარო, ზოგჯერ ფარული სიმბოლიკის დახმარებით, ზოგჯერ კი, უბრალოდ, ძალზე მარტივი პირდაპირობით. რჩეულიშვილის სამწერლო – მხატვრული

მეთოდი, თვით მწერლის შინაგანი სამყაროდან გადმოსული, მოიცავს უსასრულობას. მას დრომ მისცა ჭეშმარიტი შეფასება, დრომ, რომელიც ყველაზე ულმობელია ჩვენი ხილული სამყაროს სინამდვილეში.

* * *

გურამ რჩეულიშვილმა წერა ოცდაორი წლის ასაკში დაიწყო და ოთხი წლის განმავლობაში „სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით" (მარინე რჩეულიშვილი) შექმნა მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, აღბეჭდილი მოთხრობებით, ნოველებით, პიესებით, ლექსებით, დღიურებით, ჩანაწერებითა და პირადი წერილებით. საგანგებო ყურადღების ღირსია მისი შემოქმედებითი პროცესის ხასიათი, ზოგადად, ლიტერატურული შეხედულებანი, რომელიც ისევე უჩვეულო და არაორდინალურია, როგორიც მხატვრული შემოქმედება, უჩვეულო იმდენად, რომ თავის დროზე, მისი შეფასება გაუჭირდათ საკმაოდ კომპეტენტურ პირებსაც-კი. ეს ლიტერატურული შეხედულებანი გადმოცემულია მწერლის პირად წერილებსა და ყოველდღიურ ჩანაწერებში, რომელთაც განუზომელი მნიშვნელობა აქვთ მისი სამწერლო იდეალის სწორი ანალიზისა და აღქმისათვის. წერილები გაგზავნილია თბილისიდან, თელავიდან, ბაკურიანიდან, მოსკოვიდან, ახალი ათონიდან, ოდესიდან, სვანეთიდან, წყალტუბოდან. ადრესატები უმთავრესად ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები არიან, რომლებთანაც გურამს ყოველდღიური ურთიერთობა, ან შემოქმედებითი ინტერესები აკავშირებდა. წერილებთან ერთად მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს ჩანაწერები, რომლებიც იქმნებოდა მთა-

სა თუ ბარში, ოჯახურ გარემოსა თუ მატარებლის ხმაურიან ვაგონებში, ყველგან, სადაც მას შეეძლო საკუთარ თავთან მარტო დარჩენა და ფგანცდებში ჩაღრმავება. საყურადღებოა ჩანაწერი, რომელიც 1957 წელს გაუკეთებია მწერალს ცალკე ფურცელზე: „მუზებო, ჩამოდით ჩემთან და მე შევქმნი თქვენგან თქვენივე თავს!“ როგორც ჩანს, მისი აზრით, არ არსებობს ხელოვნება შემოქმედებითი მუხტის, პოეტური მუზის გარეშე. შემოქმედება, ამ მუხტით შექმნილი, წარმოადგენს მუზის ნაირსახეობას, ხელოვანის ოსტატობით შექმნილს. ამ პროცესს საფუძვლად გარკვეული შემოქმედებითი პრინციპი უდევს, ხშირად ბუნდოვანი და ბოლომდე შეუცნობელი. ასეთი აზრია გამოხატული მეგობრის, ერლომ ახვლედიანისადმი მიწერილ წერილში: „მე ვიცი, რომ მაქვს პრინციპი, შინაგანი, ოღონდ რა არის, კარგად არ მესმის“.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი პროცესის უჩვეულო ხასიათზე საუბრობს მარინე რჩეულიშვილი მწერლის თხზულებათა ექვსტომეულის წინასიტყვაობაში: „მწერლის შემოქმედებითი პროცესი არ იწყებოდა მაშინ, როდესაც ის, აუცილებლად საგანგებოდ ჩაცმული... მიუჯდებოდა ხოლმე საწერ მაგიდას და იწყებდა წერას. ეს არ იყო შემთხვევითი, მოულოდნელი პროცესი. შინაგანად თუ გარეგნულად ის ყოველთვის ემზადებოდა დასაწერად, თითქოს რაღაცა მნიშვნელოვანი რიტუალის შესასრულებლად, თუნდაც ეს ყოფილიყო სულ პატარა ჩანახატი... შემოქმედებითი პროცესი არ მთავრდებოდა არც მაგიდიდან ადგომისას, როდესაც ის ასევე თითქოს რიტუალურად ჩაცმულ – დახურული გადიოდა გარეთ, დაუყვებოდა ქუჩას, ისწრაფოდა, რომ ეცხოვრა თავისი გმირების ცხოვრებით (მწერლის სიტყვების პარაფრაზი).“

გურამ რჩეულიშვილისათვის, როგორც მწერლისა და შემოქმედისათვის, ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი პირობა წერისა და ამ ნაწერის სხვისთვის გაზიარების სურვილი იყო. შინაგანი შემოქმედებითი წვით ანთებული წერდა ის დას – მარინეს, ოდესიდან: „მინდა (წერა. ნ. რჩეულიშვილი) იმიტომ, რომ მინდა და კიდე იმიტომ, რომ ჩემს გარდა სხვამაც იცოდეს, რა სავსე ვარ შემოქმედებით და სიცოცხლით“. ეს შემოქმედებითი სისავსე აძლევდა მუხტს მას, როგორც მწერალს, რომლისათვისაც მხოლოდ წერის პროცესი კი არ იყო მთავარი, არამედ მკითხველის ობიექტური შეფასებაც. წერილები მამის –მიხეილ რჩეულიშვილისადმი, დის – მარინესადმი, ერლომ ახვლედიანის, გურამ გეგეშიძისა და ვახტანგ ჭელიძისადმი სწორედ ამ შეფასების მოლოდინითაა შექმნილი. ამ შეფასებას მოელოდა ის, როდესაც მამას სწერდა მოსკოვიდან: „სულ ორ-სამ კვირაში...ახალ პიესას, ან სცენარს გამოვგზავნი, რომელიც პირველზე ნაკლებად არ მოგეწონება. დიდი მადლობელი ვარ შენი გულისხმიერი რჩევებისა, პიესის ახლიდან გადაწერ-გადამუშავების დროს აუცილებლივ მივიღებ მხედველობაში...“ მსგავს დამოკიდებულებას ვხედავთ მწერლის დის, მარინე რჩეულიშვილის მიმართ გაგზავნილ წერილებში. გურამის თხზულებათა ექვსტომეულის წინასიტყვაობაში მარინე შენიშნავს: „ძალიან ხშირად ვიყავი მისი ნაწარმოებების პირველი მკითხველი“-ო. ფაქტია, რომ მარინე იყო ძმის შემოქმედებითი ცხოვრების ის თანამგზავრი, რომლის ლიტერატურულ აზროვნებასა და გემოვნებას ხშირ შემთხვევაში ენდობოდა და ეყრდნობოდა ახალგაზრდა მწერალი. დის სახელზე გაგზავნილ წერილებში გურამი ხშირად განიხილავს კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებს, ახასიათებს მათ პერსონაჟებს და გულახ-

დილად გადმოსცემს მისგან მოგვრილ შთაბეჭდილებებს. ამ მხრივ, ყველაზე შთამბეჭდავი რუსი კლასიკოსი მწერლის ლევ ტოლსტოის შემოქმედება, კერძოდ კი, ორი რომანი – „ანა კარენინა“ და „ომი და მშვიდობა“ აღმოჩნდა. წაკითხვის შემდეგ, ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მყოფი გურამი, ხშირად საოცარ მსგავსებას პოულობს რომანის პერსონაჟებთან. ამ განცდით მიმართავს დას მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში: „ანა კარენინაში, – ჯერ მარტო პირველი ტომის ნახევარი წავიკითხე, – არ შემოსულა კაცი, რომ დასაწყისში არ მგონებოდა ჩემი თავი“. ოდესიდან მოწერილ წერილში კი აცხადებს: „მე ნატაშა როსტოვა ვარ. ამ გოგომ თავისთან ერთად სამჯერ მატირა“ – ო. თუმცა, პარადოქსია, რომ იქვე აკონკრეტებს აზრს დიდი განსხვავების შესახებაც: „არა, მე არა ვგავარ ნატაშას. ე. ი. ჰო და არა. ის ისეთი უშუალოა, ეს მეც მაქვს, ოღონდ მე კაცი ვარ და ვარ შემოქმედი. ეს მეორე... შემოქმედება, უხეშს მხდის ხშირად პირველისთვის და ალბათ, ანდრეისავით ვიქნებოდი, რომ არა ვწერდე“.

შევნიშნავთ, რომ გადაჭარბებული გულახდილობით სავსე წერილებში იკვეთება მწერლის შემოქმედებითი ნატურა, სამწერლო კრედო, ლიტერატურული ხედვა და შეუმცდარი ალღო. ყველა აქ ჩამოთვლილი მახასიათებელი განსაკუთრებული ძალმოსილებითაა გამოხატული მწერლისა და ლიტერატურისმცოდნის ვახტანგ ჭელიძისადმი მიწერილ ერთადერთ ბარათში. ბარათი 1960 წლის 23 იანვარსაა დაწერილი. ადრესატი ვახტანგ ჭელიძე იმ პერიოდში ჟურნალ „ცისკარს“ რედაქტორობდა, სადაც ახალგაზრდა მწერალს დასაბეჭდად მიუტანია თავისი რამდენიმე მოთხრობა. ცნობილია, რომ ჟურნალ „ცისკრის“ მაშინდელი რედაქციის თანამშრომელთა

აზრები არ იყო ერთგვაროვანი ამ მოთხრობების მიმართ. ამის გამო გაჭიანურდა მათი დაბეჭდვის საკითხის გადაწყვეტაც. საქმე ეხებოდა სამ მოთხრობასა და მათ საერთო შესავალს („ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები"). ეს მოთხრობებია „ირინა და მე", „ალავერდობა" და „დღიური". მწერლის დის, მარინე რჩეულიშვილის მითითებით, გურამი „განსაკუთრებით არასოდეს ცდილობდა თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნებას და, თუმცა ახლად დაწერილი მოთხრობების უმეტესობა მიჰქონდა ხოლმე რედაქციაში, ყოველთვის უსიტყვოდ ხვდებოდა უარს მათ დაბეჭდვაზე... „მაგრამ, ასე არ იყო ბოლომდე. „1959 წლის გვიან შემოდგომაზე, გურამმა, ყველას გასაკვირად, წამოიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა „ჩემი ლიტერატურული შეხედულებების" გამოსაქვეყნებლად ... მახსოვს, როგორ დაჰქონდა მას რედაქციის თითოეულ წევრთან თავისი ლამაზი, გამოყვანილი ხელით გადაწერილი, შემდეგ კი უკვე გადაბეჭდილი, სამი მოთხრობა და ყოველდღე სულ უფრო და უფრო მოწყენილი, როგორ ბრუნდებოდა შინ". საუბარში უთქვამს, რომ რედაქციის თანამშრომლები სათითაოდ თანახმანი იყვნენ მათ დაბეჭდვაზე, ხოლო ერთად – თავს იკავებდნენ, ერთმანეთს აბრალებდნენ და საერთოდ უარს ეუბნებოდნენ. ამას მწერალი საშინლად განიცდიდა. და აი, 1960 წლის 23 იანვარს, ის აფორიაქებული, საოცარი განცდებით წერს წერილს „ცისკრის" რედაქტორს. დედის შეკითხვაზე, საჭირო იყო კი ასეთი მკაცრი ტონით სავსე წერილის მიწერაო, გურამმა თურმე უპასუხა: „ძალიან საჭირო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავაგებინო, ვინა ვარ. სულ თავდახრილი დავდივარ მაგათთან. ალბათ, ეს ყოველთვის არ არის სწორიო".

არქივში ინახება წერილის ორი გადაბეჭდილი ვარიანტი. ხელნაწერი კი დაკარგულია. გურამის მამის, მიხ. რჩეულიშვილის მოგონებების მიხედვით, წერილი საავადმყოფოში ყოფნისას დაიწერა. ამ ვერსიას ადასტურებს პირველ აბზაცში დაცული აზრი: „სამწუხაროდ, ჯერ მოსვლა არ შემიძლია, ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, ხოლო დრო და ჩემი ტემპერამენტი არ ითმენს, რომ არ გაგაგებინოთ ჩემი აზრი ზოგიერთი საკითხის შესახებ და არ მოვისმინო თქვენი შეხედულებები".

წერილში დაცულია გრამატიკული ნორმები, ლიტერატურულად გამართული და სტილისტურად დახვეწილი, აღსავსეა ტონით, როგორიც მართებდა ახალბედა შემოქმედს უფროსი თაობის მწერლის მიმართ. სათქმელი-განზოგადებული, ხშირ შემთხვევაში ლოგიკური მსჯელობითა და მტკიცე არგუმენტებითაა შემაგრებული. ამ წერილს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული შეხედულებანი", რომელიც კონკრეტულად ასე განზოგადდება: „არ არსებობს სიბრძნე კაცის ვნებებისთვის, ხელოვნებას მხოლოდ გულწრფელობა სწამს". ამის დასტურად ავტორი იშველიებს შექსპირის, ბაირონის, ტოლსტოის გენიალურ შემოქმედებას, რომელთა კალამიც ქვეშეცნეულად ემორჩილება დიდ მხატვრულ ინტუიციას. სახელმწიფოს მიერ ლაგამამოდებული მწერლობა ვერასოდეს ვერ იქნება გულწრფელი, ჭეშმარიტი და იმავდროულად ემოციური. და რომ „შექსპირი, მიუხედავად სიუჟეტის და ფილოსოფიური საფარველის წინასწარგანჭვრეტისა, დღემდე გაოცებულია, გულმოკლული და სიგიჟემდე აღშფოთებული იმ მუდმივი საბედისწერო შეცდომით, რამაც მავრს თავისი სიყვარული დაახრჩობინა". სწორედ ეს ფაქტი მიაჩნია მწერალს შემოქმედის

გამარჯვებად.

„უპოეზიოდ ჩიტი და ყვავილიც კი არ გაუჩენია მაღალ შემოქმედს...“ მაგრამ, იმავდროულად, გურამის აზრით, მწერლისათვის ძალზე ძნელია წერა ბუნების იმ რომანტიკულ საგნებზე, რომლებიც მეცნიერებამ შეისწავლა. ასევე ძნელია სასარგებლო ტექნიკის მხატვრულ ფაქტად აღიარება („ვიღას აინტერესებს, ნეტავ, რას დუდუნებს მტკვარი, რომელიც ახლა ყველაზე საჭიროა ჰიდროელექტროსადგურისათვის“). ეპოქამ შემოქმედსა და ბუნების ეგზოტიკას შორის დიდი კედელიც აღმართა და ამ კედლის დაძლევა არც თუ იოლია მწერლისათვის.

„მე მწამს ტალანტი და მისია. და თუ იბადება ადამიანი შემოქმედების სურვილით, ე. ი. მას აქვს საქმე!“ ადამიანი შეიძლება მხოლოდ მოწოდებით იყოს პოლიტიკოსი, ან სხვა რაიმე ნიშნით გამორჩეული ფიგურა მსოფლიო არენაზე. თვით ავტორი მთელი შეგნებით აღიარებს, რომ მისი მოწოდება პოლიტიკა არაა, თუმცა, სჯერა, რომ ამის დაბალანსებას შეძლებდა მისივე ტემპერამენტი.

„დიდი პოლიტიკის პირველივე ამოსუნთქვისთანავე ჩნდება დიდი ლიტერატურა ... ისევ მოვედი მე ფართო გზასთან, რომლის გასავლელადაც აუცილებელია რაიმე კონკრეტული მიზანი ... საჭიროა მხოლოდ პოტენცია, ენერგია და მათი შენს სასარგებლოდ გადამუშავება“, – წერს ახალგაზრდა შემოქმედი და იქვე ყალიბდება მისი მთავარი დევიზიც:

„შევქმნა თანამედროვე ქართული ადამიანი თავისი მკვეთრად გამოხატული და განსხვავებული ვნებებით.“

გურამ რჩეულიშვილი გულახდილად წერს თავისი ერთ-ერთი გამორჩეული მოთხრობის იდეური მიზანდასახულობის შესახებაც: „რა მიზნით დავწერე „ნელი ტანგო“

... ხომ სწორია ის, რომ სიკვდილი არაფერია და ცხოვრება თავისი გზით გრძელდება ... მაგრამ ნაწარმოებში ეს ამბავი იმიტომ კი არ არის მოცემული, რომ სიკვდილი არაფერია, არამედ იმიტომ, რომ ავტორისათვის უზარმაზარი ტრაგედიაა თავისთავად სიკვდილი და ის გარდაუვალი ფაქტი, რომ მაშინვე, ახლო წამშიც კი ცხოვრება თავისი გზით გრძელდება". საერთოდ, ადამიანი და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი – მუდმივი ინტერესის საგანი იყო მწერლისათვის. მისივე აზრით, დიდი ბედნიერებაა, რომ მწერალს საშუალება ეძლევა პირდაპირ სიტყვით, ნაწერით ესაუბროს ხალხს, რითაც უფრო ადვილად მიიღწევა ადამიანთა ყოფის უამრავი პრობლემის მოგვარება.

წერილის ბოლოს ავტორი დიდი გულისტკივილით შენიშნავს:

„...საზოგადოების დიდი ნაწილი მე მხვდება, როგორც გადმომღერებელს ევროპული თუ ამერიკული „დაკარგული თაობის" მოტივებისა. სასურველი იქნებოდა, რომ ჩემმა თეორიულმა ნაწილმა მხატვრულთან კავშირში გააქარწყლოს ეს შეხედულება და ჩვენ ერთმანეთს პირდაპირ, გულწრფელად დავუწყოთ თვალებში ყურება. ჩანს, გურამი განიცდიდა მისი სამწერლო ხელოვნებისადმი თუნდაც სულ მცირე დაეჭვებას. ჩვენ მიერ განხილული წერილიც ერთგვარად, ამ ეჭვების გაფანტვასა და მეტი სიცხადის დამკვიდრებას ემსახურება.

საგულისხმოა, რომ ეს წერილი, როგორც გურამ რჩეულიშვილის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ გაირკვა, ვახტანგ ჭელიძეს არ მიუღია. ჩანს, მწერლის მამამ სწორად არ ჩათვალა ამ მეტ-ნაკლებად ტენდენციური წერილის მისთვის პატივსაცემი ადამიანისათვის გადაცემა.

დავუბრუნდეთ წყალტუბოდან თბილისში, ერლომ ახვლედიანისადმი გაგზავნილ წერილს. ქართველ მწერალთა ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, ალბათ იშვიათად მოიძებნება მსგავსი ლიტერატურული აზროვნებით დატვირთული წერილი. ახალგაზრდა მწერალი თამამად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, ჩვეული ემოციებით განიხილავს ჰომეროსის, ტოლსტოისა და ქართული ხალხური შემოქმედების უნიკალური ნიმუშების იდეოლოგიურ არსს და პერსონაჟთა სახიმეტყველების საკითხებს. მას მიაჩნია, რომ გენიოსი მწერლების გვერდით უსუსური ჩანს თვით ნაპოლეონიც, რომ „ტოლსტოი სიკეთეში, დიდბუნებოვნებაში გაეჯიბრა ღმერთს (აქამდე არასოდეს არ მისულა ნაპოლეონი – რადგან ტოლსტოის ჰქონდა ენა, რომელიც უფრო ადვილად იპყრობს მსოფლიოს, ვიდრე იარაღი) და გამოიწვია მხოლოდ მისი დაცინვა... ორივე ეს კაცი იყო ადამიანი-მებრძოლი ერთდროულად მთელ მსოფლიოსთან, ღმერთთან და საკუთარ თავთან. მსოფლიოს ყველაზე მეტად აგრძნობინა თავისი თავი ნაპოლეონმა, ღმერთსა და თავის თავს ტოლსტოიმ, – ვისი უფრო მადლიერი იქნება ღმერთი, არ ვიცი...“

ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ დიდი ხანია მაღალი შეფასება მისცა გურამ რჩეულიშვილის მწერლურ პროფესიონალიზმს. ყოველგვარი „იზმებისაგან“ თავისუფალმა, ამავდროულად, გულახდილმა და ღრმად ინტიმურმა კრიტიკულმა ნააზრევმა, რომელიც პირად წერილებსა და ჩანაწერებში გვხვდება, ერთგვარი სიახლე შემოიტანა მე-20 საუკუნის ქართულ სალიტერატურო აზროვნებაში და სათავე დაუდო სრულიად ახლებურ გააზრებას მხატვრული ნაწარმოების გმირისა და მისი გარემომცველი სამყაროს ურთიერთობის შესახებ.

გზადაგზა

„... მოდის დიდი ილია“

(„ილიას მოტივი“ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში)

ქართველ კლასიკოს მწერალთა სახელები ყოველთვის წარმოადგენდა შთაგონების წყაროს მომდევნო თაობის შემოქმედთათვის. მდიდარი პოეტური ტრადიციების მქონე ქართული პოეზია თემების ახლებური გამომსახველობითი საშუალებებით ჟღერდა გასული საუკუნის მთელ მანძილზე. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ გალაკტიონ ტაბიძის ერთი შედევრი, ილიასა და აკაკის მოტივებზე საოცარი ოსტატობით „დაწნული“ ლექსი „მტევანი, ვაზის ჯვარი“, მამულის აწმყოსა და მომავალზე ძველი ჰანგის ახლებური აჟღერება:

„მტევანი, ვაზის ჯვარი,
ოხვრა ჩემი მამულის,
ტირის ვაზი ობოლი,
მცნობი გზის მეწამულის.
მასში დღისა და ღამის
ისახება მარადი
სევდის და სიხარულის
საიდუმლო ბარათი“.

ლექსში ილიასეული მტირალი „ვაზი ობოლი“ მწუხარე მამულიშვილის საუკეთესო სიმბოლურ სახედ მოჩანს, აკაკის „დაიუმლო ბარათი“ კი სამომავლო იმედს ჰპირდება დაჩაგრულ ქართველს.

გალაკტიონი, „როგორც უხვი მემკვიდრე“, სულით ხორცამდე გაჟღენთილი იყო „გვირგვინოსნების“ მაღალი

მუზით. მისი პოეტური შემოქმედებაც გარკვეულწილად „ნაჟურია“ იმ „დიდ წინაპართა დანატოვარისა“, რომელთა აჩრდილებიც მუმდამ თან ახლდნენ თავისი მღელვარე ცხოვრების გზაზე. ილია ჭავჭავაძის ცხოველმყოფელმა და ძალმოსილმა პიროვნებამ კი მართლაც მაგიური ძალა შეიძინა გალაკტიონის პოეტურ წარმოსახვაში.

ილიას სახელი რომ სათაყვანებელ ხატად ქცეულა ტაბიძეთა ოჯახში, ნათლად ჩანს პოეტის ძმის აბესალომის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსიდან. იგი 1948 წლითაა დათარიღებული და ეპიგრაფად ილიას სიტყვები აქვს წამძღვარებული: „უსულგულო ცხოვრება ცის ნიჭი ნუ გგონია... „მასში ნათლად იგრძნობა, რომ ილიას სახელი გალაკტიონისათვის არა მარტო დიდია, არამედ მშობლიურიც, ყრმობიდან თანშეზრდილი და „მამის გზას“ უკავშირდება. პოეტი იხსენებს ყრმობას, ოჯახს, სადაც იზრდებოდნენ ილიას სიბრძნით შთაგონებული ძმები. აქვე დასახელებულია ამ დიდ სახელთან დაკავშირებული ძვირფასი ოჯახური რელიქვიებიც:

„სული ჩვენი ოჯახის იყო დიდი ილია,
პოეტის ეს სიტყვებიც ჩვენთან თანშეზრდილია,
ჩვენი ყრმობის რვეულში წარუშლელად სწერია –
საფერფლე ილიასი, მამის გზა, „ივერია“.

გალაკტიონის არაერთ ლექსში გვხვდება ილიას მრავლისმეტყველი სახელი: „ვინ მოგვილია გურამიშვილი, ბარათაშვილი ჩვენი ილია“.

(„თენდება, გათენდა“)

„ექვსი სხვადასხვაგვარი და მძაფრი სანაპირო –
შოთას, გურამიშვილის და სივრცედ გულგაშლილის ილიასი“.

(„წიგნები ხალხს“)

იქვე ვკითხულობთ:

„აგერ დიდი კაკლის ხე სად ლაღად გაშლილია
სანაპირო, რომლის გზით მოდის დიდი ილია“.

ლექსში „საუბარი ლირიკის შესახებ“ ვხვდებით – „ბრძენი ილია“.

წიწამურის ტრაგედია ეპოქალურ მოვლენად აღიქმება გალაკტიონის პოეზიაში. პოეტის აზრით აქ წყდება „ძველი სიმღერა“, ახალი დრო კი ახალ სიტყვას ითხოვს, ჯერ შეუცნობელი „ფანტასტიური ხიდი“ უკვე ჩანს თვალსაწიერზე, რომელიც ახალ სიმაღლეზე ასვლას ჰპირდება პოეტს. ამ იდეითაა შთაგონებული ლექსი „წიწამურში რომ მოკლეს ილია“.

ილიას მკვლელობით გამოწვეული მძიმე განცდა გასდევს გალაკტიონის მთელ პოეზიას. გაისმის აღშფოთებული ძახილი: „იქ, წიწამურში მოჰკლეს ილია!“ „წიწამურთან შეაკლეს ქარებს ილია“, „მოჰყავთ ცხენი ილიათი“ (ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ვარიანტულ სხვაობაში). წიწამურის ბარბაროსული აქტი თავისებურად გააზრება ლექსში „ისტორიის ახალი გვერდი“. ესაა სამხილი იმ ჩუმი მტრობის და გესლისა, რომელიც საქართველოში ყველა დროის გამოჩენილ ადამიანებს უღვთოდ წამლავდა. ეს ჩუმი გესლი „წიწამურთან ილიას ხვდება და მზიურ შუბლში უმიზნებს ტყვიას“.

აქვე დავასახელებთ ლექსს „მე მახსოვს მუშა“, რომლის თავდაპირველ ვარიანტში ჩანს მტირალი მუშის სახე. მიზეზი? „ნუთუ არ იცით? ტფილისის ახლოს, ტფილისის ახლოს მოჰკლეს ილია!“ ლექსის სათაური ყოფილა „ილია ჭავჭავაძე“. მოგვიანებით კი იგი ლენინის სახელით შეუცვლია. ნამდვილი იდესი შესანიღბავად. რაც შეეხება თვით მკვლელობის აქტის ისტორიულ მნიშვნელობას, გალაკ-

ტიონს სჯერა, რომ ილიას სიკვდილშიც მნიშვნელოვანი აზრი იყო ჩადებული და ამ აქტმა ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა, ყველაფერს დაერქვა თავისი სახელი. ამიტომაც შენიშნა პოეტმა, რომ „არ ამაოდ მიუშვირა ტყვიას ჭავ-ჭავაძემ განიერი მკერდი“.

საგურამო და წიწამური თავისთავად მრავლისმეტყველია გალაკტიონ ტაბიძისათვის. არსებობს გადმოცემა, რომ 1940 წლის ზაფხული პოეტს საგურამოში გაუტარებია და სათაყვანებელი ადგილების ხილვით შთაგონებულს დაუწერია ლექსები: „ილიას მოტივი“ და „rs Longa, Vita Brevis (ლათინ. „ხელოვნება მარადიულია, სიცოცხლე – წარმავალი“). პოეტის სიტყვით „წიწამურს ყველა მარად ჩასთვლიდეს ყოფნის კარად“.

ე. ი. „ყოფნა შეიძლება დაერქვას მხოლოდ ილიას, ან მისებრი კაცის ცხოვრებას, ხოლო წიწამური „ყოფნის მარადიულ კარად“ ითვლება. სათაურშიც გაცხადებულია იდეა ხელოვნების მარადიულობის, ხელოვანის უკვდავების შესახებ.

„ილიას მოტივს“ თავდაპირველად „ილიას სიმღერა“ რქმევია. მასში მოთხრობილია ერთი სიმღერის შესახებ, რომელიც არტურ ლაისტის ცნობით ილიას ჰყვარებია. ამ სიმღერაში ისმის ჩივილი წუთისოფლის წარმავლობასა და გაუტანლობაზე და თანაგრძნობა ბედკრული ადამიანის მიმართ, რომლის ერთადერთი სიხარული ჩონგურზე სევდიანი სიყვარულის სიმღერების აჟღერებაა. ილიას საყვარელი სიმღერა თვით გალაკტიონის გულშიც ჟღერს დიდი ხანია ერთადერთ იმედად, თუმცა „ხალხის ერთგულმა შვილმა“ ამ სიმღერითაც ვერ შეძლო გულიდან მწუხარების მოცილება. „ილიას მოტივი“ ღრმად ჩაეწნა გალაკტიონის პოეზიას. მაგალითისათვის მივმართავთ

1908-1916 წლებში დაწერილ ლექსებს: „შავი ღრუბელი“, „ღამე“, „სიტყვა პოეტის“, „ელეგია“, „ცად აზიდულა, ვით მარმარილო“, „ციხის ნანგრევებთან“ და „მტევანი, ვაზის ჯვარი“ ... აქედან შემოდის გალაკტიონის პოეზიაში ტერმინი „მამული“, ძლიერი პატრიოტული განცდით რომ იღვრება შედევრებად: „მამული“, „მამულო, სიცოცხლეო“, „ჰე, მამულო“. ვნახოთ, როგორ აჟღერდა ილიას ჰანგი გალაკტიონთან:

„დღეს რომ შავი ღრუბელი მშობელ მხარეს ჰფენია...“

„შავი ღრუბელი სქელი და ბნელი, სამშობლო მხარეს გადაეფარა“.

„ისევ დაფარა სამშობლო მხარე უკუნმა ბნელმა“.

„მწუხრმა სიბნელის ზეწარი ქვეყანას გადააფინა“.

ადვილია შედარება ილიას შეღამებასთან პოემაში „კაკო ყაჩაღი“.

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა“.

ორივე პოეტს სამშობლოს აწმყო შავი ზეწრით შებურვილი წარმოუსახავს. ეს მსგავსი განწყობა ზოგჯერ წარმოსახვის იდენტურობამდე დადის. შევადაროთ ერთმანეთს:

ილია

„მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი...“
(„კაკო ყაჩაღი“)
„ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი“ ...
(„ელეგია“)
„სამშობლო მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა“.

(„ყვარლის მთებს“) გალაკტიონი
„მყინვარის თეთრად ნაკვეთი თავი“ ...
(„ცად აზიდულა ვით მარმარილო“)
„რა სიჩუმეა, ოჰ, ჩემო ღმერთო!“
(„ელეგია“)
„გემშვიდობებით, მშობლიურო ჩემო გორებო
გემშვიდობებით! მეძნელება ეს განშორება,
მხოლოდ შენს ხსოვნას, ჩემს საშინელ მარტოობაში
მე არ გადავცვლი სხვა ნეტარ წამზე“.
(„ციხის ნანგრევებთან“)

გალაკტიონის შემოქმედებისათვის უმთავრესია კაცში ადამიანის ძებნა, ილიას მთელი მოღვაწეობის ძირითადი აზრი. ლექსში „ადამიანი“, გალაკტიონი ნათლად ხატავს ამ მარადიული პრობლემისადმი ინტერესს, მსგავსად დიდი წინაპრისა:

„კაცი მე ბევრი ვპოვე და/მიყვარდა ადამიანი.

ილიაც ასე: კაცია – ჰკვირობდა – ადამიანი? !“

ცალკე აღნიშვნის ღირსია გარდაცვლილი დედის მონატრებით სავსე ლექსი, რომელიც ილიას მარადიული ხსოვნით გაჯერებული ლექსი, სიტყვებით მთავრდება:

„არაფერია! მღვრიით დე, ირეოდეს მუმლი.

მაინც იცოცხლებს ტყვიით ტყედ განგმირული შუბლი („ილია მღერის – ვაჰმე!“)

ილიას მოტივზე დაწერილი ლექსებიდან შედარებით გვიანდელია ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, გამორჩეული ვარიანტთა სიმრავლით.

I ვარიანტში ვკითხულობთ: „მთაზე იდგა ილია და
აფიქრებდა ღელვა კაკლის,

იქ ითვლიდა გოლიათი
ჩვენს მიღწევებს და დანაკლისს“.
II ვარიანტშია: „მოჰყავთ ცხენი ილიათი,
ეგებება ოხვრა კაკლის“.

ახლა ეს ტაეპები ამოღებულია ძირითადი ტექსტიდან.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ლექსი „სიტყვა პოეტის“, რომელიც ვფიქრობთ შთაგონებულია ილიას „მგზავრის წერილების“ იდეებით. აი, ისიც:

„მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე
ობლობის სიტყვა მგზავრმა დასწერა,
შიგ ჩააქსოვა დაგუბებული
კაეშან-ფიქრი და გულის ძგერა“.

ჩანს, ილიას ჰანგი გალაკტიონის პოეზიისათვის სწორედ ის მასაზრდოებელი წყარო იყო, საიდანაც უხვად შემოდიოდა ეროვნულ-პატრიოტული და ჰუმანიზმის იდეები, ძირითადი თემები XX საუკუნის გენიოსი პოეტის შემოქმედებისათვის.

„თვით დასასრულში დგას დასაწყისი“

(გოდერძი ჩოხელის პოეტური „აღსარება“)

გუდამაყრის ხეობიდან დანახული ხილული სამყარო – ცა, დედამიწა, მზეც – კი სულ სხვანაირი, დიდი, უჩვეულოდ ღრმა ფიქრის დამტევი ... ასეთი განცდებით უყურებდა სამყაროს გოდერძი ჩოხელი. საოცარია, ვაჟა-ფშაველას შემდეგ არცერთ ქართველ მწერალს არ შეუგრძვნია ბუნების ძალა ისეთი ტკივილებით, როგორც გოდერძი ჩოხელს, არცერთ შემოქმედს არ გადმოუცია ეს შეგრძნება ისეთი ტრაგიზმით, როგორც ამ სააქაოდან ადრე წასულმა კაცმა შეძლო. იქნებ, სწორედ ამით გაცხადდა განგების ნება, როგორც ერთ ლექსში ამბობს:

„საკუთარ ბედით ანთებული მიჭირავს სული
და, სამარისკენ მიმავალი ბნელს გზას ვინათებო“,

– ასე, სიცოცხლეშივე იგრძნო მან დიდი დასასრულიცა და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დასაწყისი სულიერი ცხოვრებისა. საწუთრომ არ დააკლო მას არც ხორციელი გვემა. სამყაროს აღქმა მისთვის თავისთავად მტკივნეულიც რომ არ ყოფილიყო, ცხოვრება მაინც რთული იქნებოდა ისეთი მგრძნობიარე შემოქმედისათვის, როგორიც გოდერძი ჩოხელი იყო. ამიტომაც ისმის მის ნაწერებში ვაჟა-ფშაველასებური ჩივილი ბედი-მწერალზე:

„წერა-მწერალმა ჩამეერა,
ჩემი დაბადება ჩაინერა,
ნისლივით მღვრიე ბედი მომცა,
სულში ჩამბეჭდა და ჩამიკერა...“

გოდერძი ჩოხელის პოეზიისათვის დამახასიათებელია სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტა. ადამიანი, საწუთროს

ტკბილ-მწარე ვნებანი, სული და ხორცი, სააქაო და საიქიო სამყოფელი, ხილული თუ უხილავი, შეუცნობელი იდუმალება, – ესაა მისი ლექსების მარადიული თემები. ამ სტრიქონებში თანაბრადაა შეზავებული ქართული მიწისა და ცის ფერები, მითოლოგიური და ქრისტიანული მოტივები. ამის დასადასტურებლად მოგვყავს მისი პოეტური პროზის რჩეული ნიმუში:

„მთვარის სხივებზე წკრიალებდა ლომისის ჯაჭვი.
ჩოხის გიორგი ყმათ ლოცავდა მთვარის ნათელში.
ლაშარის ჯვარის დიდ მუხაზე შიბი ეკიდა.
ხევს დაჰყურებდა წმინდა სამება.
ტანიის მთებში დევს მისდევდა დიდი კოპალა.
დღეობა ჰქონდათ იახსარს და ფუძის ანგელოზს.
და მთვარე იდგა ნათლის სვეტად ქართველთა ცაზე.
ცა იყო მკრთალად იისფერი, სრულად უღრუბლო.
მთების ჩრდილები ერთურთს ჰკოცნიდნენ ...
სადღაც ისმოდა მგლის ყმუილი.
ჭოტიც ჩხაოდა.

ცაზე ღრუბელი დიდდებოდა, მთვარის ნალევს ჩასანთქმელად ეტანებოდა

და ბნელდებოდა.

გეგონებოდათ სალოცავებს გველეშაპი დასტანებოდა.

რაღაც ხდებოდა ბუნებაში, რაღაც იმგვარი, რაც ალბათ

მხოლოდ კაცს კი არა, დიდ სალოცავთაც, შიშს მოჰკიდებს,

შეაჟრიალებს“.

გოდერძი ჩოხელის პოეზიის ძირითადი თემა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულია. „თქვენდამი

ჩემი სიყვარული ვცდილობ გამოვხატო მოთხრობებით, რომანებით, კინოფილმებით და აჰა, ლექსებითაც წარმოგიდგებით. ეს ლექსებიც სიყვარულის დასტურად ჩამითვალეთ"-ო, თითქოს მკითხველს ევედრება ლექსების წიგნისათვის წამძღვარებულ სტრიქონებში. ხოლო იქვე დახატული სამი ანთებული კელაპტარი პოეტის სულისა და ხორცის მარადიული წვის სიმბოლოდ აღიქმება. მისი პატრიოტიზმი ხომ მთიელი კაცის ერთგულებაა საკუთარი სამშობლოს მიმართ, რომელსაც, უბრალოდ, „არ გაცვლის სხვა ქვეყნის სამოთხეზედა". პოეტის სურვილი ფერფლადქცეული სხეულის მიწისათვის შეერთებისა ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს:

„გაიტანეთ და
შიშველ კარჩხაზე ჩამოჰკიდეთ ჩემი სხეული! –
თუ არ გამოვდექ საქართველოსთვის.
მერე დამწვით და
ეს სხეული, ფერფლად ქცეული
ქარს გაატანეთ საქართველოსთვის!"

გოდერძი ჩოხელისათვის პირადი ბედი იგივე სამშობლო მიწის ბედია. და მის ლექსებშიც საქართველოს სახება მშობლიური მიწის მხატვრულ სახეში სხეულდება.

„ამ მიწის ბედი ჩემი ბედია
ამ მიწის ბეჭზე დამწერეს ჯვარი,
ამ ცის ქვეშ ვცხოვრობ უმისამართოდ,
ცა არის ჩემი ჭერხო და ბანი".

ლექსი „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია" თავისი იდეური გააზრებითა და ლაღი განწყობით მოგვაგონებს ვაჟა-ფშაველას ლექსს „სიმღერა", რომელიც დიდმა წინაპარმა ახალგაზრდა მგსონებს უძღვნა. ალბათ, ესეც ნიშანდობლივია ღირსეული შთამომავლის პოეტური სახის

შესაცნობად, ხოლო ის განწირული, ტრაგიკული წინათგრძნობით შეფერილი განწყობა, რომელიც პატრიოტულ თემაზე დაწერილ ლექსებს ახასიათებს, პოეტის გრძნობათა გადმოცემის საშუალებად აღიქმება:

„ამომიტანეთ,
რომ მოვკვდები, საჯიხვეზე ამომიტანეთ,
აქედან კარგად ჩანს საქართველო...
ამომიტანეთ,
აქედან გული ამაყად იხედება“.

ხილული სამყაროს აღქმა გოდერძი ჩოხელისათვის დაკავშირებულია უდიდეს განცდასთან. ახალი სიცოცხლის დაბადება ამქვეყნად თავისთავად უკვე დიდ მოვლენად ითვლება ადამიანიდან თვით უმცირეს არსება ჭიანჭველამდე. ლექსში „მე დავიბადე“ ეს დამოკიდებულება უმარტივესი და ხატოვანი შეპირისპირებითაა წარმოდგენილი.

„მე დავიბადე ...
სოფლის ბოლოს, მღვრიე წყალში გაჩნდა ბაყაყი,
დამშრალ გუბეში თავდაყირა ეყარნენ მთები...
სველ ქვაში მშვიდად იდგა სიჩუმე
და სოფლის თავზე თხელი ნისლი გადადიოდა...
მე დავიბადე...
მეზობლის ძაღლს სამი თეთრი ლეკვი ეყოლა,
დილის სიჩუმე გააყრუა ყვავის ბახალამ,
მე დავიბადე...
განთიადისას გაშალა მიწამ ნისლიანი თეთრი მკლავები
და ამით, ალბათ, ჩემი მოსვლა ზეცას ახარა“.

დაბადებით მოგვრილ სიხარულს ამქვეყნიური დანიშნულების შეცნობისა და ვალის აღსრულების რთული

განცდა ცვლის. პოეტის ერთი ლექსის მიხედვით ეს ცხოვრება კალოა. როგორც ხარმა თავის მონიშნულ სამანზე, პოეტმაც უნდა იტრიალოს და ქვამარილივით გაცრეცილი დღეები ლოკოს. მერე დავიწყების მდინარეზე წაიყვანენ და იტყვიან: „ღვინია ხარმა თავის წილი კალო გალეწა“. ხოლო იქამდე სულისა და ხორცის ერთად ყოფნის სიძნელეს უნდა გაუძლოს.

გოდერძი ჩოხელის ლექსებში ხშირია სულ-ხორცის არსში ჩაწვდომის ცდები. თუ სული არის „იის სუნთქვაზე უფრო მსუბუქი“, „გათენებაზე უფრო ალალი“, „წყლის დალევაზე უფრო იოლი“ და „უდაბნოზე უფრო მწყურვალი“, „სული ნამგალს ჰგავს“, არსობის ყანა რომ მოიმკო, „მას გაფხავება უნდა ქასურით“, პოეტს ისიც კარგად მოეხსენება, თუ რა „ძნელია წუთისოფელში უძღები ხორცის ტარება“. ამიტომაც ისმის მის ლექსებში ასეთი შეძახილებიც:

„საითაც გინდა იქით წადი, ვერსად ვერ წახვალ,
თვითონ ხარ შენი სულის დიდი საუფლო,
ბრმად ნუ მისდევ და სოფლის ბრუნვა ნუ შეგაშინებს.
ჭირს თმენა უნდა, მოძალებულს უნდა გაუძლო...“

წუთისოფლის „წყევლა-კრულვიან საკითაცებზე“ ფიქრებმა დააწერინა ჩოხელს ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით გამორჩეული ლექსი „ჩემი სულის მთა“. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ეს ლექსი გურამ რჩეულიშვილის ხსოვნისათვის მიუძღვნია. ამქვეყნიური დანიშნულების, ყოფნა-არყოფნის, სულიერი მისწრაფებებისა და მკაცრი სინამდვილის შეჯახებით მიღებული განცდების თანაზიარობამ დაუახლოვა მათი სახელები ერთმანეთს. ამიტომაცაა, რომ ეს ლექსი ღრმა სულიერი ტრა-

გიზმითაა სავსე:

„ხანდახან სულში მძიმედ რაღაც მომაწვება და
როგორც მთიდან გადმოტყორცნილი დიდი ლოდი
მოდის, მოგორავს, მოიმსხვრევა ჩემს არსებაში.
სამად იყოფა ჩემი სულის მთა;
შუა სამანი,
მთის წვერზე ღმერთი,
სამანს ქვემოთ დიდი უფსკრული".

როცა პოეტის კეთილი ზრახვები ვიღაც უჩინარის ნებით დაგორებულ დიდ ლოდებს სამანს ზევით იჭერენ, მაშინ იზრდება მისი სულის მთაც, ზეცისკენ იწევს, მაგრამ ზოგჯერ ის ქვა სამანს სცდება, უფსკრულში გადაჩეხილს ეშმაკეული ათას ბოროტებად ანაწილებს და ამით ხარობენ ქვენა გრძნობებიც. პოეტს ის უფსკრულიც სტკივა, რადგან მისი სულის ნაწილია ისიც:

„ჩემი სულის მთა ხან თოვლით არის დაფარული
და ტყის სიღრმეში მწიფე ძახველს ვკენკავ მშიერი...
მძიმე თოვლი დევს მთის ფერდობზე,
მძიმე ზამთარს ვიხდი ხანდახან,
მძიმე ზვავებს ვიქანებ სულში".

მაგრამ ისევ მოდის გაზაფხული თავისი ტკბილი ჟრუანტელით, გამოფხიზლებული ნაკადულები და ბექობზე ამოჩენილი იები ოხვრას აყვავილებენ ნაზამთრალ გულში. თუმცა ყველაზე სასურველი და საოცნებო გრძნობებიც კვლავ სევდიან სტრიქონებად ცოცხლდება კალმით. უნაზესი ლირიული განწყობითაა სავსე ლექსები: „ცა არის შორი", „ნაბინავარი", „მოგონება", „დიდი თოვლი იყო", „ნინოს" ... სიყვარული პოეტისათვის ჩუმი და უხმაურო, წარსულში დარჩენილი, მაგრამ ღრმად მგრძნობიარე განცდაა. ეს განცდები, თუნდაც ყველაზე

ბანალური სიყვარულის ამბავსაც-კი, ახალი პოეტური სახეებით ამეტყველებენ. მაგალითებად კმარა გარდასული სიყვარულის შედარება მწყემსებისაგან მიტოვებულლ ნაბინავართან, სადაც ახლა გაშავებული მუგუზლები ყინვიან ღამეს ათბობდნენ შეციებულთ. კვლავაც ელიან ისინი გაღვივებას და ეს მოლოდინი ბუნების დაუმთავრებელ სიმფონიასავით მარადიულია.

გოდერძი ჩოხელი პოეზიას ამშვენებს მეტაფორათა სიხალასე. თოვლის მოსვლა ნაირგვარი სახეებით აღიქმება. ის შეიძლება იყოს „თოვლის ქორწილი", „დედამიწის გაშლილი სუფრა", „ზეციდან მოსული თეთრი ვარდები", „შორეულ ზეცის სიმარტოვიდან მოსული" და სხვა.

პოეტის გულისტკივილია მთის ნასოფლარები, უკაცრიელი სამყოფელო შამბმორეული ორღობეები, ჭინჭრით ავსებული ნასახლარები:

„გადატეხილა გულთაბოძზე დიდი თავიხედა კარებს,
ქარში მხარმოტეხილს, შეჰყმუის მგელი.
უდაბურება ამდგარა და ყოფნას არისხებს,
არყოფნას სამოსჩამოკერტილს უჩინო ცელით
გაუთიბნია სიხარული და ყვითელ მთვარეს
ნასოფლარში რძესავით დაღვრილს
ძაღლივით ლოკავს უძილო ღამე".

ამ ტკივილებმა ათქმევინა გოდერძი ჩოხელს ხმამაღალი ნატვრა (თუმცა თვით „ნატირლები" უწოდა):

„ოღონდ ნუ იქნება:
მთიულეთი-ნამთიულარი,
ხევსურეთი-ნახევსურალი,
ფხოვი-ნაფხოვარი,
ხევი-ნახევარი;
კაცის ნასახლარს ნუ მანახვებ და

ნუ გახდება საქართველო ნახევრის-ნახევარი“.

იმ დიდ სათქმელს, რაც გოდერძი ჩოხელის გულში დუღდა, მართლაც სჭირდებოდა გამოხატვის ახალი ფორმა – პოეზია. ამ ლირიკულ ლექსებში გაცხადდა მწერლის ღრმა, უაღრესად ინტიმური განცდები, რომელთა გადმოცემა ჩანს მთლიანად ვერ შეძლო პროზამ. მისი პირადული განწყობილებანი საწუთროს ტკბილ-მწარე საკითხავებთან ახლებური ინტონაციით აჟღერდა ლექსებში. არც შევცდებით, თუ პოეზიას კიდევ ერთმნიშვნელოვან განზომილებად ჩავთვლით გოდერძი ჩოხელის სამწერლო მოღვაწეობის გათვალისწინებისას.

„მერე მოვიდა წამკითხავი და უცებ, ლექსივით ჩამიკითხა“, – ამბობს ერთ ლექსში პოეტი. ქართული ლიტერატურის ისტორიას მისი მარადიული ნააზრევი შეემატა, ხოლო მისი მკითხველი, როგორც თვით პოეტი ინატრებდა, ლამაზად იტყვის: – „იყოო, გოდერძი ჩოხელი“.

„ვნებათა მღვიმით აღმომყვანი“

(აბუსერისძე ტბელის „გალობანის“ პოეტური შტრიხები)

უმდიდრესი ტრადიციები აქვს ქართულ პოეზიას. V-XIII საუკუნეებში შექმნილი ჰიმნოგრაფიული ძეგლები ცხოველ შთაბეჭდილებას გვიქმნის იმ რთული გზის შესახებ, რომელიც ქართულმა პოეტურმა ხელოვნებამ განვლო. საუკუნეების მიღმა ჩამოყალიბებულმა არაჩვეულებრივად პლასტიურმა ენამ და მაღალმხატვრულმა პოეტურმა ლექსიკამ მკვიდრი ბალავერი დაუფუძნა შუა საუკუნეების ქართულ პოეზიას. ამ ბალავერზეა აღმოცენებული XIII საუკუნის ქართველი მწიგნობრისა და ჰიმნოგრაფის აბუსერისძე ტბელის ღრმად ეროვნული შემოქმედება.

„უპირატესად,
ცად, ვითარცა – რა
შემცველსა ყოველთა სათნოებათასა,
ნათლისმცემელსა ვიცნობთ; მეორედ,
საყდრად – დიდა აღმრთისმეტყუელსა;
და მესამედ, ეთრად
და ელვად სიმაღლით
დამტეხელად
ბნელისა ძალთა – ოქროპირსა“
(აბუსერიძე ტბელი, თხზ. გამომც. აჭარა 1998 წ.)

ასე შეასხა ხოტბა აბუსერიძემ ქრისტიანული მოძღვრების სამ მნათობს, სამ იოვანეს – ნათლისმცემელს, მახარებელს და ოქროპირს ერთად, როგორც თვით ავტორი იტყოდა „ერთ მოსეხნაეობისთვის“. ეს პიროვანი საგალობელი სულ რვა ოდისაგან შედგება, თითოეული გაწყობილი ძლისპირითა და ღმრთისმშობლისადმი

მიმართვით. ტრადიციული ნორმების დაცვით შეთხზული ჰიმნოგრაფიული კანონი სასულიერო პოეზიაში დამკვიდრებული შესაბამისი საგალობო ენითაა გამართული. საგალობლისათვის დამახასიათებელია ზომიერი მაღალფარდოვნება და ჩვეული ავტორისეული თავმდაბლობა, რაც უეჭველად მიგვანიშნებს მის განსწავლულობაზე საეკლესიო სიბრძნისმეტყველებასა და პოეტურ ხელოვნებაში. საგალობელი „სამთა იოანეთა" განსაკუთრებით გამორჩეულია მდიდარი მხატვრული ენითა და მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალებებით. მკვლევართა თვალსაზრისით ავტორი სამივეს იოანეს ისეთი ნიშნებით ამკობს, რომლებიც საერთოც არის და ინდივიდუალურიც, ავტორი მტკიცედ იცავს იერარქიას და სწორედ ამ იერარქიულობიდან გამომდინარე განსაზღვრულია რიგ შემთხვევაში ეპითეტებიც. ამასთან, შევნიშნავთ, რომ მეტაფორიათა სიუხვე თვალწინ გვიშლის ტროპული მეტყველების საკმაოდ საინტერესო სურათს.

მეორე ოდაში ავტორი აცხადებს: „რომელნი მადლმან მსგავსითა სახელთა წოდებითა ადიდნა, ქებანი მსგავსნი მიეძღუნებოდედ"-ო. თუმცა შემდეგ ყურადღებას ამახვილებს საქებ პიროვნებათა ცალკეულ დახასიათებასა და მათი ღვაწლის აღნიშვნაზე.

სამი იოვანეს ერთ მხატვრულ სახედ გაერთიანების შესანიშნავი ნიმუშებია:

„რიცხვათა სამებისათა
ღმრთივ ცემულთა შესხმათა მიერ
სამთა ცნობისა უფსკრულთა
ქების-ვმეტყუელებ... „ (გვ. 6)

ასევე:

„სამმზისა, ერთღმრთეებისა,

სამნათელთა ელვასა
ჩუენ შორის მყოფისაებრ
სალმრთოისა ხატებისა... „ (გვ. 10)

იქვე:

„ღმრთივ ბრწყინვალისა ნათლისა
სამნი აღმოსავალნი
სათნოებითა სამთა
სამყაროთა ჰნათობენ... „ (გვ. 11)

ავტორი სამ იოანეს უწოდებს: „ღირსთა“, მადლისა ღმრთისა მოსახელეთა“, „ღმრთივ სწავლულთა“, „სალმრთო მოძღვრების ზღვათა“, „ღმრთივ აღმომდინარე წყაროთა“ და სხვა.

ცალკე აღვნიშნავთ იოანე ნათლისმცემლის მიმართ გამოთქმულ ეპითეტებს: „დიდი წინამორბედი“, „შემცველი ყოველთა სათნოებათა“, „წინამორბედი ზეშთა“, „ქადაგი“, „სალმრთო მსახური“, „მზედ ამობრყინებული“, „წინასწარმეტყველი“, „ღირსი წინასწარმეტყველი“, „უფლის წინამორბედი“.

მეტაფორები: „მზისა სანთელი“, „სალმრთო ნათელის ელვა“, „ეთერი“, „წყარო“, „ღმრთის განსასუენებელი საყდარი“, „სულიერი სიტყვის ხმა“, „ბეჭედი საქმისა“, „დასასრული სჯულისა“, – მოხმობილია მხატვრულ ქსოვილში საჭიროებისამებრ და ემსახურება იოვანე ნათლისმცემლის სახის ცხოველმყოფელ გავლენას მსმენელზე.

განსხვავებულ პოეტურ ლექსიკას იყენებს ავტორი იოანე მახარებლის ქებისას. იგია „დიდი ღმრთისმეტყველი“, „გულისხმისმყოფი“, „სიტყვისა მკერდსა მიყრდნობილი“, „მოწაფე“, „მოციქული დიდი“, „ღმრთისმეტყველი ბრძენი“, „ქერობინებრად პირად ნაშობი“, „გონება“ და ა. შ. იოანე ოქროპირს კი უწოდებს: „მადლით სახიერს“, „ანგელოზს“,

„მღვდელს“, „ეზოსმოძრვარს“, „მღვდელთმოძღვარს“, „ოქროს ქნარს“, „სიტყვათა მომთხრობელს“, „ოქროსიტყვას“, „ბრძენს“. მეტაფორული სახეებით მითითებულია მათს ღვაწლსა და დამსახურებაზე, რაც არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგ. თუ მახარებელი „საყდარია“, „სამხედრო სიტყვის ღრუბელი“, „ქრისტეს შეყვარებული“, „ელვა“, „ცვარი“, „ვრცელი უფსკრული“, „ღმრთის მოძრავი მდინარე“, „აღმოსავალი ძისა და ქალწულებისა სახე“, იოანე ოქროპირი „ეთერია“, „მოძღვრებათა წვიმის ცვარი“, „სამოთხე ღმრთისა“, „პირი ქრისტესი“, „მარგალიტი წმინდა“, „ოქროს ნესტვი“, „ზღვა“, „ოქროსფერ მოძღვრებათა ხვავი“ და სხვ.

საგალობელში, თუმცა მთელი ყურადღება მიმართულია სამი იოვანეს პიროვნულ დამსახურებაზე ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებისა და გავრცელების საქმეში, ავტორი მაინც ახერხებს ქების საერთო ქსოვილში ჩართოს სავედრებელი სტრიქონები. ვედრება მიმართულია ცალკეული პიროვნებებისადმი და ასე ჟღერს:

„დახსნილობისა ღრუბლითა მოცვული
განმაფრთხვე, ვითარცა – რა
სიტყვისა ხმამან, დიდო ქადაგო,
და ვითარცა სიტყუამან, პირუტყუ-ქმნული
სიტყვიერ მყავ, ღმრთისმეტყუელო, და ვითარ
პირმან ქრისტესმან, ოქროპირო,
ვნებათა მღვიმით აღმომიყვანე“. (გვ. 6)

ასეთივე ვედრება ისმის შემდეგ მიმართვებში: „გულსმოდგინე მყავ“, „იოხდი ჩემთვის“, „ღრუბლითა მოცული განმაფრთხვე“, „მთავარ მყავ ხორცთა ზრახვასა“, „ჰბრძვე მებრძოლთა ჩემთა ... და მიხსენ ანგელოზებრ მათგან“, „განმწმინდე მე“, „განათლებისა ღირს – მიჩინე“, „სრუ-

ლყოფა მომმადლე, „უცხო მყავ ნივთთა სურვილისაგან“. საგალობელში ქება და ვედრება თანაზომიერად ენაცვლება ერთმანეთს, რაც შინაარსობრივად ამდიდრებს და ფორმით ახალისებს აბუსერის ძის თხზულებას.

მიუხედავად იმისა, რომ „გალობანი სამთა იოანეთა“ შესრულებულია ჰიმნოგრაფიული ჟანრის ტრადიციული წესების დაცვით და სასულიერო ხასიათს ატარებს, მკვლევართა მითითების თანახმად, ის პრაქტიკული ხმარებისათვის არ ყოფილა განკუთვნილი. ვფიქრობთ, ავტორის პირად განწყობილებათა სიჭარბე და ამით შექმნილი ინტიმური ელფერი ეკლესიას ვერ მისცემდა მისი სალიტერატურო მიზნით გამოყენების საშუალებას.

აბუსერისძის გალობაზე დაკვირვებისას მკითხველი აუცილებლად შენიშნავს მის სხვა გამორჩეულ თვისებებსაც. სავარაუდოდ, იგი ერთადერთი თხზულებაა ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, რომელშიც ერთადაა შექებული სამი შესანიშნავი პიროვნება ქრისტიანული მოძღვრებისა. VIII-XI საუკუნეების ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში ძნელია მას ანალოგი მპოუძებნოთ, იმდენად განსხვავებულია როგორც არქიტექტონიკით, ისე პოეტური ენითა და ლექსიკით. აქ შეგვიძლია მსგავსების მხოლოდ ორიოდე მაგალითის მოტანა: IX-X საუკუნეების ჰიმნოგრაფს სამოელ მგალობელს ქება შეუსხამს ერთად ყოველთა წმიდათა სახელებისათვის:

„თქვენ წინასწარმეტყუელნო თქუენსა
ბრწყინვალესა, – ვითხოვთ ვედრებით,
რათა დაანთოთ ჩუენ ზედა
მადლი მაღლისა ღმრთისა სიბრძნისაჲ.

(ციტირებულია პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. III1965 წ.) გვ. 408)

ხოლო X საუკუნის ცნობილი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის თხზულებაში „გალობანი აღვსებისანი“ გვხვდება ანალოგიური ვედრება მაცხოვრის სახელზე:

„აღმომიყვანე მღვიმისაგან
ცოდვათა ჩემთაისა
განუხრწნელად...
და მაცხოვნე მე აღდგომითა“.

(ციტირებულია პ. ინგოროყვას დასახელებული წიგნიდან, გვ. 111)

რაც შეეხება ტბელის საგალობლის რიტმულ ჟღერადობას, შევნიშნავთ, რომ გაურითმავი ტაეპების კითხვისას ირღვევა ჰიმნისათვის დამახასიათებელი მოსასმენად სასიამოვნო მხარე. ჩანს, მწიგნობრისთვის ნაკლებად ანგარიშგასაწევი ყოფილა ტექსტის მუსიკალური ხმოვანება, რის გამოც საგალობელი ლირიკული პროზის თვისებას იძენს.

„გალობანი წმიდათა იოვანეთა“ სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელმაც კიდევ ერთხელ გააბრწყინა სამი დიდი იოვანეს შთამბეჭდავი სახეები. ამასთან, ნათელი შეხედულება შეგვიქმნა მისი ავყორის ფართო ერუდიციასა და პოეტურ ხელოვნებაზე.

„მაზიარე უმთავრეს მცნებას...“

(ფიქრები ერთი რომანის ირგვლივ)

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა ერთხელ კიდევ რომ გამდიდრებულა, ამაზე მიმანიშნებს ჩვენი თანაქალაქელი მწერალი ქალის ზაირა არსენიშვლის რომანი „ვა, სოფელო...“, – წუთისოფლის ეკლიანი გზით მავალი ადამიანების ცხოვრების წიგნი. საოცარია, – მწერლის გულში ათეული წლების მანძილზე ნადუღი, ბოლოს დაწრეტილი, ჩამოქნილი, – უცებ იქცევა მკითხველის საკუთრებად. ისე მეჩვენება, რომ იმ პატარა, ბამბაზიისკაბიან გოგოსთან ერთად (ავტორის პატარა „მე“) მეც გამოვიარე რომანში დახატული ნაირფერი სამყარო, დასახლებული არაჩვეულებრივი ადამიანებით, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ – უყვარდათ და სძულდათ, აშენებდნენ და ანგრევდნენ, ხარობდნენ და გლოვობდნენ ... ცხოვრება ხომ არ არის იოლი, მას ბევრი ზიგზაგი აქვს და მთავარია გაუძლო, რაკი „ტანჯვის გრდემლზე იკვრება სიხარული“ და „ხორცთან ჭიდილში იწრთობა სული“. ამგვარ აფორისტულ გამოთქმებს ხშირად შეხვდება მკითხველი რომანის ფურცლებზე.

გარდაიცვალა ევა, – ნაჯაფარი, ცხოვრების კალო-მოლეწილი მოხუცი, ტახტზე ასვენია გარდასული სილამაზე. ცხედარს პატრონობენ ბებია და შვილიშვილი. ამ ფუსფუსში ბებია რუსუდანი ახლო წარსულის ამბავს უყვება შვილიშვილს (მომავალ მწერალს) იმ სურვილით, რომ მან „საკუთარი წრფელი ხმით“ მოუთხროს მომავალ თაობას საბჭოურ იდეებს მსხვერპლად შეწირულ ადამიანთა ბედზე. ბებია რუსუდანი, ხალასი პოეტური ნიჭით

დაჯილდოებული, ჭკუითა და ნებისყოფით გამორჩეული ქალი, „რუსთაველის ქეშიკი“, ძვალ-რბილში რომ გასჯდომია „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნე, ასე იტყოდა: „ერთი საწყალი ბერი ქალი ვარ, ბევრი ჭირის მნახველი, დიდი და წამლეკავი განცდების დროს ჩემთვის ნამდვილი თავშესაფარი სიტყვა იყოო“.

ო, ეს ბებიები, ჩვენი ცხოვრების მესაჭენი, როგორ ჰგვანან ერთმანეთს, პირმოკუმულნი, შუბლშეკრულნი, განუწყვეტელი ჩიჩინით ყველასგან რომ მოითხოვენ მორჩილებას! თანაც რამხელა სიყვარულის გაცემა შეუძლიათ! სამაგიეროდ, ბებია რუსუდანი ყველასგან გამორჩეულ პატივს იმსახურებს. მას ასე მიმართავენ: – რუსუდანო! (რა სითბოს და სიახლოვეს იტევს ეს წოდებითის „“, რომელიც გრამატიკის კანონით საკუთარ სახელთა არ იხმარება!). რუსუდანის მონაყოლი ამბები ხომ აქვე, ნადიკვრის შემოგარენში ხდებოდა ... ვითომ სიმართლის დასამკვიდრებლად აგორებული უზარმაზარი ტალღა განუკითხავად სპობდა მტყუან-მართალს. „ყიზილბაშებიც კი არ იყვნენ ხალხის მტრები, თავისი ხალხის მტრები, ისინი სხვისი მტრები იყვნენ!“ – გულში გაჰკივის პატარა გოგონა და ეს სიტყვები ბოლშევიკური ტერორის ნამდვილ სახეს გვიჩვენებს. აი, ბოლშევიკი არჩილი, რწმენის მონა, რევოლუციის მტრების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, – „რასაც სიცოცხლე შევალიე, რისთვისაც ოცი წელი ვიბრძოდი, რაც ჩემთვის წმინდათა წმინდაა, ჩვენი რევოლუციის საქმე, ახალი ქვეყნის შენება, – ყველაფერ ამას არ დავთმობ, არა, ეს ყველამ უნდა იცოდეს და ჩიტირეკიებს არ ჩავუგდებთ ხელში ქვეყანას!“ მართალი იყო არჩილი? ყველაზე კარგად მაკა პასუხობს ყოფილ სატრფოს: „წმინდათა წმინდას უწოდებთ თქვენ

ძმათა სისხლის ღვრას და ცრემლთა ფრქვევას! რა კარგი სიტყვაა, არა, რა კარგად გამოსაყენებელი. წავლენ ძველები, წაიყოლებენ თავიანთ წმინდათა წმინდა ზრახვებს, მოვლენ ახლები, ფარზე აღმართავენ წმინდათა წმინდა იდეებს და თან ხალხს ზურგზე ბოლს აადენენ ... ოჰ, ეს უგულო და ბირეშმაკა პოლიტიკოსები!" – ამ სიტყვების ჭეშმარიტება გვწამს დღეს, მაგრამ მართალნი ვართ? დიდი ილიას თქმისა არ იყოს, დროს მივანდოთ ამის პასუხი ...


მაინც, რომანს ადამიანური სიყვარული კვებავს. აქ ისე თანაბარი რუდუნებითაა დახატული თავადი და მდაბიო, საერო თუ სასულიერო პირები, სევდიანი, მაგრამ სიამაყით სავსე სხივიან წინაპართა აჩრდილები ... ხოლო მამა? ავტორის მამა – მამის ეტალონი! „ინტელექტი თავისუფალია!" – ალბათ სიცოცხლის ბოლო წამშიც ეს სიტყვები გახმიანდა მის გონებაში. წარმომიდგენია მისი პორტრეტი: ალბათ არსენიშვილებისათვის დამახასიათებელი აღნაგობით: ფართო, მაღალი შუბლითა და ყვრიმალებით, დინჯი, მოზომილი ქცევასა თუ საუბარში. თითქოს ყურში ჩამწივის პატარა გოგოს ხმა: „მამა ყველას უყვარდა! გეფიცებით, მართალს გეუბნებით! თქვენ კი არა, მთელი ქვეყანა რომ მომდგეს, ვერ დამაჯერებს მამას მტრობას!"

რომანს სილამაზე ასხივოსნებს, სილამაზე, რომელიც არსად არ მიდის, ბოლომდე რჩება ადამიანებთან, დიდსაც და პატარასაც თანაბრად აგრძნობინებს უკვდავების ძალას.

და რაც ყველაზე მთავარია, ძარღვიანი, მამა-პაპური ქართული სიტყვა უდევს რომანს დვრიტად. ჩემთან ერთად კიდევ ბევრი გაიგებს, რომ ხიტაჩელი ტყის ხილს

ჰქვია, ქეჩიფარის მეწინავეს, ყოჩს და ა. შ.

გურამ დოჩანაშვილის ერთი მოთხრობის უცნაურმა პერსონაჟმა „მისალოცები“ უწოდა ყველა კარგი წიგნის პოტენციურ მკითხველებს. წაიკითხეთ, ეზიარეთ უმთავრეს მცნებას!



გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელიო, – წერდა რუსთაველი.

პოეტის გული კი ორმაგად ხარბია სილამაზისა და მშვენიერების მიმართ ... ამიტომაც ივსება მისი ლექსები ამ სილამაზის ნაჟურით, ივსება და მკითხველსაც ათრობს გამაბრუებელი სურნელით:

„მე რომ მიყვარხარ, განა ისე არწივს მთა უყვარს?
ისე მაღალი და სპეტაკი განა მთებია?“

ვის არ ჩაუწერია უბის წიგნაკში ეს ლამაზი ტაეპი, როგორც გულის დამლეწავი სიყვარულით ამონახეთქი სიტყვები. მე არ გამიჭირდება ამ ტერმინების აქ ხმარება, რადგან გიორგი ლეონიძის პოეზიაში ვერსად იპოვით მშვიდად მონარნარე სიტყვებს. გადათხრა, გადაქროლება, კორიანტელი, შხუილი, ბღავილი, დაელვარება, დახანძრება, აფეთქება, გაპობა, დალეწვა, დაჯახება, ჩახჩახი, ჩაწურვა, ჩაჩქეფა, ჩაჩეხვა, აგრიალება და რამდენი კიდევ ... იქვე, ახლოს კი – მზე, ცისარტყელა, მტრედი, მერცხალი, ნარგიზი, ვარდი, შროშანი, ია, ყანა, თუთა, ნუში და ვაზის ყვავილი, აღერილი, თამამად გამომწვევი სილამაზესა და მშვენიერებაში დასანთქმელად.

რა უნდა იყოს პოეტისათვის სიჭაბუკესა და ახალგაზრდობაზე უფრო ლამაზი, უფრო ძვირფასი? ესაა დროის მაგიური ძალით სავსე, დაუნჯებული სილამაზე, უკვე დამწიფებული, დაღვინებული, რომელსაც დრო და ხანი ვერ დააბერებს.

„ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით –
ადიდებული, დამწიფებული,

ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი“.

გ. ლეონიძის პოეზიაში სილამაზის გამოხატვის უამრავ საშუალებას ვხვდებით. მათგან კი მზის მეტაფორა გამოირჩევა:

„არავის ნახვა არ მინდა,
მე მხოლოდ შენთან მოველი,
მზევ, გულზე მოშუქებულო,
შენ სანახავად მოველი...“
(„სიმღერა თარზე“)

სიცოცხლესა და სილამაზეზე შეყვარებულ პოეტს არ ეთმობა მზის ჯადოსნურ სხივებში დაოქროვილი ქვეყანა:

„რადგან მთები და ბაღჩები
ჩახჩახებენ მზეში ყველა.
რადგან ვაშლის ყვავილები
ბატკნის რძეზე თეთრი არი
და ტფილისის ძველ ქუჩებში
დატკბილდება ხეტიალი.
რადგან ჩემი სიჭაბუკე
აქ ყოველწლივ მეორდება
და მზესავით მშვენიერი
ხეივანში მელოდება“.
(„თბილისური გაზაფხული“)

აქ ისევ ახალი პოეტური ხერხები ჩანს ... „ბატკნის რძე“ – ძუძუს წოვისას ბატკანს ტუჩის კუთხეში ქათქათა რძე რომ ჩამოელვრება, ისაა ნაგულისხმევი. გაზაფხულზე, ქალაქის კოლორიტულ ქუჩებში ხეტიალისას ისევ ცოცხლდება პოეტის ჭაბუკური განცდები, მით უმეტეს, თუ ამ მზესავით მშვენიერი ასული ელის ახლად აკვირტებულ ხეივანში.

რაც შეეხება შროშნებს ... თეთრი შროშნები – წარსული სილამაზის მოგონებაა, რომელსაც ლექსის ლირიკული გმირი ვერცხლის სურაში აწყობს. ვერცხლი გამწმენდია ყოველგვარი ჭუჭყისა და ზადისა. პოეტს სურს თავისი სიყვარულიანი მოგონებებიც წმინდა და უზკველი დარჩეს.

მერცხლის ფრთებით გაზაფხულის შემოსვლა ქართული პოეზიისათვის უჩვეულო არ იქნებოდა, ლეონიძეს ამ მეტაფორის სრულიად ახლებური მოდელი რომ არ შემოეთავაზებინა; აი, ისიც:

„მერცხლის ფრთების მოიმედეს
გაზაფხული მამივიდა,
ვუცქერ ნუშებს, ქალის მკერდებს
და მზეს – ლომის თავივითა“.

პოეტი მერცხლის ფრთების მოიმედეა ლამაზი გაზაფხულის მოლოდინში. ნუშები ქალის მკერდებივით აფეთქებულან, ხოლო მზის შედარება ლომის თავთან კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ზემოთ გამოთქმულ აზრს მზის სახისმეტყველებასთან დაკავშირებით.

გიორგი ლეონიძის პოეზია სილამაზისაკენ დაუოკებელი სწრაფვის მთლიანი სიმფონიაა. ისე „როგორც არწივი მთისაკენ“, როგორც „მოგზაური შინისაკენ“, ვით „მთის ჩანჩქერს გამოყოლილი ნაფოტი“, ვით „ბაღში მაისის წვიმა“, ისე ილტვის პოეტი თავისი გულის რჩეულისაკენ. ეს სილამაზე კი ყველგან შეიძლება შენიშნოს და მგრძნობიარედ აღიქვას. საოცარი ლექსია, „მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი“, სადაც ცხადად იგრძნობა ქვაში აყვავებული სიცოცხლის სუნთქვა, რომელსაც ათასეული წლებიც ვერ ჩააქრობენ. ხოლო კახეთისადმი მიძღვნილ ლექსების ციკლში პოეტი აღფრთოვანებას ვერ მალავს

კავკასიონის მთების ხილვისას და იბადება სტრიქონები:

„დამდგარან მთები, ვით მაყრიონი,
უმღერენ კახეთს – უკვდავ პატარძალს,
და ადგილიდან ვეღარ იძვრიან
მისი სიტურფით დაბნედილები“.
(„წერილი კახეთიდან“)

ქართველი ქალის სილამაზის მეხოტბეა გ. ლეონიძე. მის პოეტურ მუზათა საუფლოში თანაბრად „ხელმწიფობენ“ ჭავჭავაძის ულამაზესი ასული ნინო და გლეხის ქალი – მზის ნაწილი, ბროწეულის ყვავილის დარი მარიტა. ნინო ჭავჭავაძის ლამის ლეგენდად ქცეული სილამაზე და პირადი ცხოვრება ახალი შუქით შეიმოსა და ისედაც მრავალი პოეტის მუზათა დედოფალი სამუდამოდ დაუწყვილდა ლექსს ლეონიძის პოეზიაში. ხოლო მარიტა, ქართული სოფლის შნო და ჯავარი პოეტის პროზაული შემოქმედების ობოლ მარგალიტად იქცა. მინდა ხაზგასმით შევნიშნო პოეტის ფაქიზი დამოკიდებულების შესახებ ამ ღვთიური სილამაზის მიმართ, განსაკუთრებით გარდაცვალების შემდეგ:

„შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,

მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი“, სინანულით შენიშნავს პოეტი. ხოლო მარიტას საფლავთან მთელი სოფელი გაშეშდა და ვერ გაბედა მიწის მიყრა. პოეტის აზრით წოდებათა განურჩევლად აჯილდოებს განგება ადამიანებს სილამაზით. და რომ სილამაზე მართლაც ზეციური მადლია, კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა ლეონიძემ, როცა მარიტას შეურაცხმყოფელ სოფელს ყანები და საძოვრები გადაეწვა, მოსავალი არ მოვიდა, შიმშილით სიკვდილი დაემუქრა ადამიანებს. მარიტას სილამაზე კი ბროწეულის ყვავილად აენთო მის შამბადქ-

ცეულ კარმიდამოზე.

„შენგან შევიტყე, რომ სილამაზეს არ უწერია გადაშენებაო“, – ამასაც ნინო ჭავჭავაძეს ეტყვის პოეტი, მაგრამ ცხადია, მის ზოგად ცნებას გულისხმობს, რომელიც ზეციდან ჩამოდის, დროებით მიეფარება თვალს და მალე ისევ გამობრწყინდება ქვეყნის გასამშვენიერებლად, კაცის გულის გასათბობად, დედამიწაზე სიკეთის სათესად და ვაი, იმას, ვინც ბინძური ხელით შეეხება მას.

გიორგი ლეონიძის პოეზიას ამშვენებს „ხეებზედ წარწერილი ლექსები“. მეც ამ ლექსებიდან ერთს ამოვარჩევდი:

„მთელ ცხოვრებას შენზე ფიქრში გავივლი,
უშენობას გული ვერ შეეთვისა,
ნუშის წვერში რომ იფეთქებს ყვავილი,
იქ მაქვს გული შენახული შენთვისა“.

ნუშის წვერში – მაღლა, ცასთან ახლოს, მიწის ჭუჭყსა და ტალახს მოშორებული პოეტის გული მარად დარჩება სილამაზის ტრფიალების სიმბოლოდ ქართული ლექსის ისტორიაში.

ვალერიან გაფრინდაშვილის ესსე „დავით გურამიშვილი, პარალელები“

ქართული კლასიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენლის დავით გურამიშვილის შემოქმედებას იმთავითვე მიექცა „ცისფერყანწელთა“ ყურადღება. ტრადიციული პოეტური მემკვიდრეობის მიმართ ნიჰილისტურად განწყობილი ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლებმა თავიანთ პოეზიასა თუ პუბლიცისტურ წერილებში უდიდესი შეფასება მისცეს ეროვნული ნიშნით დაღდასმული პოეტის შემოქმედებას. გურამიშვილის სახელი „ცისფერყანწელთა“ პოეზიაში ბედკრული სამშობლოს სიმბოლოდ იქცა.

„ვარ მოპარული ლამისყანიდან

ვარ ლეკების ტყვე – გურამიშვილი“, – ასეთი შთაგონებით შეერწყა დიდი წინაპრის შორეულ სახეს ტიციან ტაბიძე „მუხრანის ველზე სათქმელ ლექსში“.

ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ ერთ-ერთმა დამაარსებელმა ვალერიან გაფრინდაშვილმა კი 1919 წელს დაწერილ ესსეში დავით გურამიშვილის შესახებ, თამამად განაცხადა, რომ ქართულ პოეზიაში იწყებოდა „ძველი პოეტების რენესანსი“ და რომ ეს ფაქტი გახდებოდა „მიზანი მწერლების შემდეგი მოღვაწეობისა“. ამ წერილის მიზანი ქართული კლასიკური პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, დავით გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობის შეფასება იყო. „გურამიშვილი არის საფეხური იმისათვის, რომ ჩვენ შევიდეთ რუსთაველის სასახლეში და უკანასკნელად დავბრმავდეთ მისი ლალებით და ზურმუხტებით“, – წერდა ავტორი. „ცისფერყანწელთა“ აზრით დავით გურამიშვილი ქართული კლასიკური პოეზიის

კორიფეთა წინამორბედია. თუ ტიციანი მას ვაჟა-ფშაველას წინამორბედად თვლის, ვალ. გაფრინდაშვილი აცხადებს, რომ „ბარათაშვილს ჰყავს ერთი წინამორბედი, რომელიც არ უნდა იქნეს დავიწყებული, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ „მერანის" გენიალურ ავტორზე. ეს არის გურამიშვილი, – ქართული პოეზიის ვერლენი, რომელმაც აღიარა თავის მრავალტანჯულ ცხოვრებაში ღვთისმშობლის და აღასფერის კულტი და დასტოვა ანდერძები, რომელნიც გვაგონებენ სიღრმით და ძლიერებით ფრანსუა ვიონის ანდერძებს".

ლიტერატურულ-კრიტიკული ესსე „პარალელები" ცისფერყანწელი პოეტის მძაფრი განცდებითაა დაწერილი. მასში ავტორი ღრმად წვდება გურამიშვილის პირად ინტიმურ განცდებსა თუ ეროვნულ-საკაცობრიო იდეალებს. ეს უპირველესად ითქმის დიდი წინაპრის ავტოპორტრეტის ფსიქოლოგიურ აღქმასა და შეცნობაზე: – „გურამიშვილის ავტოპორტრეტი – მოჩვენებაა. მოჩვენებაა მთელი მისი ტანი – თითქოს დასველებული, ლოცვად აპყრობილი ხელები, აწეული მხრები, დაფერფილილი სახე, მისი კანკალი და შემოდგომა".

ვალ. გაფრინდაშვილმა სწორად შეიცნო, თუ „რა დიდი პოეტური ცეცხლი ენთო მის გულში". მისი შეხედულებით გურამიშვილი ინტიმურია, მაგრამ ინტიმის გარდა ახასიათებს მერანის გაქანება და ვეფხვის სისასტიკე. პოეზიაში ის დიდაქტიკურ მცნებებს აქსოვს, ფანტაზიას ბოჭავს, რადგან მისი ფანტასტიკა შეიძლება წარმართობაშიც გადაიზარდოს. ამდენად, პოეტს თამამად ეპყრა ხელთ თავისი პოეზიის სადავე.

„ცისფერყანწელი" პოეტის აზრით გურამიშვილი თავისი შემოქმედებით ფრანგული დეკადენტური პოეზი-

ის წარმომადგენლებს ენათესავება. ავტორი საგანგებოდ ჩერდება წინაპრის შემოქმედების უმთავრეს თემებზე და პარალელს ავლებს დასავლეთ ევროპის ცნობილი პოეტებისა და ხელოვანთა ნააზრევთან. ბოდლერი, ფრანსუა ვიიონი, არტურ რემბო, ლეონარდო და ვინჩი, დოსტოევსკი, – აი სახელები, რომელთა შემოქმედებაშიც უხვად შეიმჩნევა პარალელები გურამიშვილის პოეზიის მთავარ თემებთან. აი, რას წერს ავტორი ამ საკითხზე: „ქართულ პოეზიაში არავინ ატირებულა ისე, როგორც გურამიშვილი ... ღმერთო ჩემო, როგორი ცრემლიანი სიტყვებით, უიმედი ქვითინით შესჩივის ბედს, თავის ობლობას („ანდერძი დავით გურამიშვილისა“). ამ მხრივ მოგვაგონებს ვერლენის ჩივილს, საუბარს ქრისტესთან და მადონასთან. „არანაკლებ ვერდენზე ჰქონდა უფლება მშიერს, ბრუციანს, უცოლშვილოს, კოჭლს, მელოტს და სამშობლოდან განდევნილ გურამიშვილს მიემართა დამწვარ სონეტებით მადონასათვის („ვედრება ღვთისმშობლისა დავითისაგან“). აქვე სანიმუშოს მოაქვს ციტატი ლექსიდან:

„მიგრილე ცოდვით საწვავსა –
იესოს ქრისტეს მშობელო,
განმაძღე მადლით მშიერი,
იესოს ქრისტეს მშობელო!“

ასევე:

„შენ საქებრად რიტორიცა არს ვით თევზი,
უხმო, უტყვი;
მე ვით ვიტყვი შენს ქებასა, ნაწვართი ვარ,
ვით პირუტყვი“.

ვალ. გაფრინდაშვილი დაუცხრომელად ეძებს პარალელებს გურამიშვილსა და ფრანგ სიმბოლისტებს შორის. „ჩვენს პოეზიას ჰყავს საკუთარი ვერლენი, სევდის

და რელიგიის ორგიასტობით, სიკვდილის ესთეტიკით, სოველი, ქვრივი, ქრისტეს და მადონას მოტრფიალე, სათუთი და კეთროვანი, ტკბილი და შხამიანი, უსახლკარო და უსამშობლო, რუხი და ყვითელი, პრინცი და მათხოვარი, განწირული და უბედური დავით გურამიშვილი". ავტორის შეხედულებით მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია ისეთი ირონია სიკვდილის მიმართ, როგორიც აქვს გურამიშვილს თავის პოეზიაში. სიკვდილის სახის ამნაირი ინტერპრეტაციით ჩამოჰგავს ბოდლერისეულ სახეს სიკვდილისას, თუმცა მასზე ადრე შეუქმნია სიკვდილის ესთეტიკა. გაფრინდაშვილის აზრით გურამიშვილის პოეზია შუაზე იყოფა: ის ბოდლერია თავისი კეთროვანი სახეებით („საუბარი სიკვდილთან"), უფრო ხშირად კი ვერლენი თავისი აქვითინებული უიმედო ჩივილებით („სულის ამბავი", „ანდერძი გურამიშვილისა").

აქვე ხაზგასმითაა მითითებული გურამიშვილის პესიმიზმის თავისებურებისა და „მსოფლიო სევდის" პოეტებთან მისი კავშირის შესახებ. ქართულ მწერლობაში „ნიკოლოზ ბარათაშვილი უნდა – ---------- მოქმედობს მკითხველზე, როგორც მიუსეს უკვდავი ქვითინი „დეკემბრის ღამეები". ესსეს ავტორი გურამიშვილს აწერს „წამების კულტის" აღიარებას. მასთან შედარებით ყველა პოეტი სევდის დილეტანტად ეჩვენება. ამასთან, ადასტურებს, რომ გურამიშვილმა თავის ლირიკას მისცა შემოდგომის ხასიათი და „მისი ეპოქა იყო მხოლოდ დეკორაცია, რომლის ფონზე სწირავდა თავის ლიტურლიას გურამიშვილი. ეს ნიშანი სძენს სწორედ გურამიშვილის შემოქმედებას მაგიურ ძალას.

განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ვალ. გაფრინდაშვილი გურამიშვილის შემოქმედების უმნიშვნელო-

ვანეს ნაწილს, ლექსს „ანდერძი გურამიშვილისა“. ადარებს რა ფრანსუა ვიიონის ანდერძებს, ავტორი აცხადებს, რომ გურამიშვილის ანდერძი „ატირების შედევრია“. ლექსით აღტაცებულ ცისფერყანწელ პოეტს ესსეში მოჰყავს მისი სრული ვარიანტი.

ზოგადად კი, ვალ. გაფრინდაშვილი მიიჩნევს, რომ დავით გურამიშვილს კარგად აქვს შეგნებული პოეტური დანიშნულება, – მოვალეობა ღმერთისა და კაცის წინაშე, მაგრამ ხშირად მისი პოეტიკა მოულოდნელ სახეს იღებს იმ უსაზღვრო წამების გამო, რომელიც პოეტს არგუნა ბედმა. „ეს არის პოეტიკა და ესთეტიკა ბოჰემის, საშინელების და მათხოვრობის“.

ესსეს ავტორი გურამიშვილის რითმასაც ახასიათებს და წერს: „რუსთაველის რითმა ფოლადია, გურამიშვილის რითმა მინაა, რომელშიდაც მოჩანს სამყარო. რუსთაველის რითმა მიგაფრენს, როგორც მერანი და ხანდახან ხრამში გადაგისვრის. გურამიშვილის რითმა კარუსელია – დატვირთული ზღაპრულ ნიღაბიანი სახეებით“. „ცისფერყანწელი პოეტი გურამიშვილის პოეზიაშიც ნიღაბს ეძებს და პოულობს კიდევაც.

და ბოლოს, რაც აუცილებლად თვალშისაცემია, „პარალელებში“ ვალ. გაფრინდაშვილი ფრანგ პოეტებთან შედარებისას გურამიშვილს წარმოაჩენს ღრმა ეროვნული გრძნობის პოეტად. მისი აზრით, ქართლის ჭირის მოზარე პოეტმა პირველმა „ამართა იდეა საქართველოს გაერთიანებისა, რომელიც იმ დროს დაგლეჯილი იყო“. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ვალ. გაფრინდაშვილის ესსე სადღეისოდ ქართული კრიტიკული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშად აღიქმება.

„დრო! დრო აღნიშნე!“ – წერდა გალაკტიონი. დრო მისთვის საოცარი განცდების წყარო იყო. ულამაზესი მუსიკალური ჟღერადობის მქონე სტრიქონებს მიღმა ჩანს პოეტის მგრძნობიარე განწყობა დროთა მსვლელობის მიმართ. იგი განიცდის არა მარტო მის წარმავლობას, არამედ მის კანონზომიერ სვლასაც, იმდენად, რამდენადაც ამ ცვლასთანაა დაკავშირებული ბუნება და მისი ნაწილი – ადამიანი. დრო მიდის, იცვლება გარემომცველი ბუნება და შესაბამისად, ადამიანიც, მაგრამ რაკი ბუნებას ხელახალი აღორძინების უნარი აქვს, რასაც მოკლებულია ადამიანი, ამდენად, დროთა მსვლელობა პოეტის ცნობიერებაში ხშირად ტრაგიკულ განცდად იქცევა.

სამართლიანად თვლის ლიტერატურისმცოდნე რეზი თვარაძე, რომ გალაკტიონს უყვარდა წლებისათვის, წელიწადის დროებისათვის, თვეებისა და რიცხვებისთვისაც-კი, საკრალური მნიშვნელობის მინიჭება, და რომ ის განსაკუთრებული რომანტიკით აქვს შემოსილი. უფრო მეტიც, ეს გზა პოეტისათვის გახდა ერთ-ერთი საშუალება კოსმიურ სამყაროსთან თამამი ურთიერთობისათვის, რამაც აზიარა „სიზმრებს არამქვეყნიურს“. შემთხვევითი არაა, რომ გალაკტიონის ბევრი ლექსიც სწორედ წლის დროის, ან თვის სახელწოდების მითითებით იწყება:

„გახსოვს, თიბათვის თეთრ ღამეებში...“
„თიბათვე გავიდა, აჭრელდა ქათიბი...“
„დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია...“
„ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი...“
„იმ გაზაფხულის სავსე ფიალა გადმოიღვარა...“
„გამოჩნდებოდა შემოდგომა, ჩემი მფარველი...“

„ათოვდა ზამთრის ბაღება...“

„მოჰქროდა ქარი სუსხიანი გიორგობისთვის... „და სხვა.

ბუნების თანამიმდევრულ, ჰარმონიულ ცვლილებაში გამოხატულ წლის ოთხ დროს პოეტი ისევე აღიქვამს, როგორც სიცოცხლის კანონზომიერ ცვლას – დაბადებას, ზრდას, სიბერესა და კვდომას. ამ აზრითაა შთაგონებული ლექსი „ოთხი დრო“, რომელშიც სამ-სამ კაცად წარმოდგენილი ოთხი მბრძანებელი განუკითხავად ბატონობს დროზე. პირველი სამი ააყვავებს ბუნებას, მეორე სამი – ბაღნარად აქცევს, მესამე შემოსულ ძნებად კონავს, მეოთხე – კი ყველაფერს ანადგურებს. შემდეგ, ისევ თავიდან იწყება ეს პროცესი – „კვლავ მოვა სამი, გამოაცოცხლებს ყვავილებს ნამი... „ამიტომაც ბუნებას „არად უჩანს განვლილი ჭირი“, პოეტისათვის კი ძნელია შეგუება ბუნების სწრაფ სახეცვლილებასთან, რაკი ყველა ეს ცვლილება შესაბამის განწყობას ითხოვს მისგან.

გაზაფხულს, მაისს, შეუძლია პოეტის აღტაცება. ზამთარი გამოუთქმელი კაეშნით ავსებს მის სულს, მაგრამ განუმეორებელი პოეტური შთაგონების წყარო მისთვის შემოდგომაა. ამას მოწმობს მთელი ციკლი შემოდგომის ხიბლით გაჯერებული ლექსებისა. „მე პოეზიით ვიყავი მთვრალი, დღე იყო ისევ შემოდგომისა“ – ო, წერს გალაკტიონი. აი, დრო, როდესაც უფრო მეტად მძაფრდება პოეტური ხილვები და „თვით ღრუბელიც ცაზე ვერსალს ჰგავს“.

შემთხვევითი არ უნდა იყოს შემოდგომის ჰიპერბოლური წარმოსახვა გალაკტიონის პოეზიაში. ტიციან ტაბიძეს თუ დავუჯერებთ, „შემოდგომის საღამოს დაწყების პოეტია გ. ტაბიძე. მისი სიმღერა ნაზია, როგორც დედ-

ოფლის სიზმარი და თავისივე ნამღერი შემოდგომის მელოდიით აცრემლებული დასცურავს ამ საღამოს ჯერ კიდევ გამჭვირვალე მწუხრში". ნოდარ ტაბიძეც შენიშნავს, რომ „შემთხვევითი არაა გალაკტიონის ლექსებში შემოდგომის ხმები და განწყობილებები... უცნაური შემოდგომა იცის ჭყვიშში... შემოდგომა სულშიც ჟონავს". „მინდა შთავინთქა გალკის ლექსების ოქროსფერ შემოდგომაში... „– ნაზი განწყობით ჩაუწერია თავის დღიურში ოლია ოკუჯავას. 1911 წლის 20 იანვრით დათარიღებულ წერილში ვასო გორგაძე პოეტს მიმართავს: „საღამოს ვმართავთ. მე გულში მაქ შენი „შემოდგომა" წავიკითხო".

შემოდგომის რკალის ადრინდელი ლექსების განწყობილება სევდიანია.. ჭაბუკი პოეტი სინანულით იგონებს წარსულს და მისტირის ყრმობის წლებს. ასეთი განწყობისას იბადება გალაკტიონის პოეზიაში ფიქრი სოფლის ამაოებასა და წარმავლობაზე:

„შემოდგომაა, ველურ ჰანგში ჭკნება ფოთოლი,
ყმაწვილი გულიც უნუგეშო ფიქრებით დნება,
მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს კვლავ გაზაფხული
და სიყმაწვილე კი არასდროს არ დაბრუნდება!"

ამავე ხანაშია დაწერილი ლექსი „შემოდგომის დღე". განშორების სევდით სავსე „დღე ნაღვლიანი", „ღონემიხდილი", ცას გადაკრული ბნელი ჩრდილი მასში გამოუცნობ იდუმალ გრძნობებს იწვევს და თვითონაც ვერ აუხსნია, რა არის იგი – „ბედნიერებით გამოწვეული უბედურება, თუ უბედობა სიმწარე ვნებით?" ასეთივე სინანულითაა სავსე ლექსი „შემოდგომის ფრაგმენტი, „– შემოდგომის დილა, „რბილი და მკრთალი მზით" განათებული... როგორ ნაზდება ამ მზით ყველაფერი, როცა შემოდგომა მერის

ბაგეებს აგონებს პოეტს და შემოდგომის დაფნა და ვარდი ურჩევია გაზაფხულის ნაზ ყვავილებს.

შემოდგომას პოეტისათვის მოაქვს არა ბავშვური აღტაცება, არამედ „პოეტური ნეტარება“, „პოეზიით სიმთვრალე“, „შორი ოცნება“. ზაფხულის მიწურულს ხომ უჩვეულო მოლოდინის გრძნობა ეუფლება:

„ჯერ კიდევ არ ჩანს ფერები ლომის,
უკანასკნელი დღეა ზაფხულის“.

შემოდგომის ჩამუქებულ ფერებში ეძებს გალაკტიონი სიძველის სუნდაკრულ გზას, ძველ სიყვარულს, დაუნჯებულ პურ-ღვინოს, დინჯ სტუმარ-მასპინძლობას, ძველ სიმღერას, ასე სანატრელსა და ახლობელს. ამიტომაც მიმართავს მას იმედიანი ტონით: „შემოდგომავ, მოდი, გელი, მომაწოდე შენი ხელი,

მიყვარს ყველაფერი სადა, მიყვარს ყველაფერი ძველი“.

ხოლო ლექსში – „მფარველი იალქნები“, პოეტი შემოდგომას ოცნებით თავის მფარველადაც კი სახავს:

„გამოჩნდებოდა შემოდგომა, ჩემი მფარველი
და მისი ხმები მომესმოდა: ზღვაო, დაწყნარდი!
მე მგზავრი მგოსნის ანგელოზი მქვია მფარველი,
სული იმისი სხვანაირად არის წარმართი.
ოჰ! რა ოცნება იყო ჩემთვის ასეთი ხმები!“

გულწრფელი ლირიულობითაა სავსე შემოდგომის რკალის სხვა ლექსებიც: „დგება შემოდგომა“, „შენ და შემოდგომა“, „ო, დღეს შემოდგომაა“, „შემოდგომის ყვავილები“, „შემოდგომის მოტივებიდან, „„შემოდგომის ფრაგმენტებიდან“, „დღე შემოდგომის ცივი“ და სხვ. შემოდგომის პოეტური სახე „მგზავრი მგოსნისთვის“ მხოლოდ შეუდარებელი მფარველი კი არ ყოფილა.

ყოველი ახალი სახე გარკვეულ მისიას ემსახურებოდა. ამ შემთხვევაში ეს მისია განიხილება ერის განახლებისა და გამხნევებისათვის ბრძოლას. პოეტისათვის დროთა მსვლელობა სხვა არაფერი იყო, თუ არა ძველის უწყვეტი განახლება, ახლის ძიების მუდმივი პროცესი. გურამ ასათიანი მიუთითებდა: „განახლება გალაკტიონ ტაბიძის ლექსიკონში უმტკივნეულეს პროცესს აღნიშნავს – იმ აუცილებელ, გარდუვალ ტკივილს, რომლის ხარჯზეც არსებობის გაგრძელება, მისი ახლად აღმოცენება, აღორძინება უნდა მოხდეს. ეს არის პოეტის მაძიებელი სულის მიერ გამოტანჯული რწმენა“.

ამ რწმენის ძიებამ მიიყვანა გალაკტიონი შემოდგომასთან, იმ მფარველ ანგელოზად წოდებულ დროსთან, რომელმაც დროებით მაინც მისცა სულის სიმშვიდე და „ერთი წამით მაინც დაცხრომა“, რადგან სწამდა, შემოდგომის კვდომას აუცილებლად მოჰყვებოდა ნანატრი „განახლება“. ალბათ, ამას გულისხმობდა შემოდგომის მზით მთვრალი პოეტი, როცა წერდა:

„სულში სიმშვიდე არის ისეთი, თითქოს დროებით
ართმევს დროებას,
ამ შემოდგომის სიმაისეთი მოცემულ სითბოს და
მყუდროებას“.

ვოლეს პარადიგმული სახეები ქართულსა და უცხოურ ლიტერატურაში

ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურისათვის აუცილებელი ატრიბუტიკიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახე-სიმბოლოებს. სიმბოლო, როგორც ტროპის ერთ-ერთი ნაირსახეობა, მხატვრული წარმოსახვის ნაყოფია, რომელიც იძენს ფართო განზოგადებას იმის მიხედვით, რამდენად შესწევს უნარი შემოქმედს მისი სახედ ქცევისა და ცხოველმყოფელობისათვის. ასეთ სახე-სიმბოლოებს ხშირად ეძებნებათ მაგალითები მწერლობის ნებისმიერ ჟანრში, რომლებიც ხასიათდება როგორც იდენტური, ისე განსხვავებული თვისობრივი შინაარსით და აზროვნების ღრმად ინტიმურ შრეებს მოიცავს. მათ ჩვეულებრივ პარადიგმულ სახეებს ვუწოდებთ და განვიხილავთ, როგორც თანაბარი იდეური შინაარსის სახეებს შედარებისა და ანალიზისათვის.

ხეთა სიმბოლიკა ძველი ქართული მწერლობისათვის ნაცნობი და საკმაოდ პოპულარული მხატვრული ხერხია. „ნინოს ცხოვრების“ ტექსტში, იქ, სადაც მთავრდება თხრობა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის ქრისტიანულ ნათლისღებაზე, ავტორი წერს: „მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა, კლდესა ზედა ბორცვსა შეუვალსა, და იყო ხე იგი შვენიერი ფრიად და სულნელი. „ხოლო მას შემდეგ, რაც ეპისკოპოსის მითითებით ეს უჩვეულო ძალმოსილების მქონე ხე შემოიტანეს ქალაქში და ეკლესიის კართან დაასვენეს, ერმა იხილა „სადა ბერვიდა ნელი ნიავი და შლიდა ფურცელთა მის ხისათა და ძრვიდა რტოთა მისთა, და იყო ხილვა მისი შვენიერი, ვითარცა სმენით ვიცით, ხისა მის ალვისა. „ამ უჩვეულოდ საამური

და ძლევამოსილი ალვისაგან შემდგომ გამოთლილი იქნა ჯვარი პატიოსანი, სიმბოლო ახლად შემოსული ჭეშმარიტი სარწმუნოებისა.

ალვის ხის სიმბოლური სახისმეტყველება შესანიშნავი პოეტური ხელოვნებითაა გამოხატული ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ჩინარი". რომანტიკოსი პოეტისათვის ბუნება ყოველთვის იყო არა მარტო „ფიქრთ გასართველი" და „განსასვენებელი" ადგილი, არამედ საშუალება ზეციურ-მიწიერი კავშირის შესაცნობად, იმ დიდი საიდუმლოების ამოსახსნელად, რომელსაც ეს კავშირი შეიცავს თავის თავში. ბარათაშვილის ჩინარიც ალვის ნორჩი ხეა, „მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი" და უჩვეულო ინტიმის შემცველი. როგორც ჩანს, ის გარემოსთან უშუალო კავშირითაა დამუხტული, – „მოქშუის მტკვარი, მოქრის ნიავი და შრიალითა არხევს ჩინარსა და გამოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა. „მხოლოდ ამ კავშირს შეუძლია გამოსცეს ის „სახიობა", რომელიც კაცის გულს აავსებს სიცოცხლის წყურვილით და რომელიც სამყაროს არსებობის საფუძველია. ამავე დროს, ჩინარი ამაყია, „მაღლად მჩინარი" და მედიდურად თავდაჭერილიც, თუმცა ამ სიამაყეში ჩანს დაუფარავი სევდაც. ბუნების იდუმალი კავშირის ამგვარი გამოხატულება აიძულებს პოეტს, ირწმუნოს, რომ არსებობს „უასაკოთა და უსულთ" ენაც, რომელიც, თუმცა მიუწვდომელია ადამიანისათვის, მაგრამ სარწმუნოა.

როდესაც მარტოხეთა სიმბოლურ სახეებს განვიხილავთ, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს ძმები რაზიკაშვილების, ვაჟასა და ბაჩანას (ნიკო) შემოქმედების ნიმუშები. ვაჟას „ხმელი წიფელი" იდეალური განზო-

გადებული სახეა ბრძნული სიმარტოვის და არაამქვეყნიური ჩაფიქრებისა. ყველასაგან ათვალწუნებული ბებერი წიფელი ყოფის სხვა განზომილებაშია გადასული, მაგრამ ეს მდგომარეობა ხელს არ უშლის მისი რეალური აზროვნების ნაკადს. პირიქით, მეტი შანსიც აქვს ამ რეალობის აღქმისა და ანალიზისათვის. მარტოობით ტკბობის ასეთი მაგალითები არც თუ იშვიათია ვაჟას პოეტურ შემოქმედებაში. მარტოობაში „იზრდებიან" ვაჟას ცნობილი გმირები, ყალიბდება მარტოსულის ამაღლებული, იდეალური სახე და რამდენადაც მტკივნეულია თემისაგან მათი განდევნის პროცესები, იმდენად შთამბეჭდავია ამ სახეთა მითიურ სამყაროში გადანაცვლების ფაქტი, როცა ეს გმირები იძენენ ზებუნებრივ ფიზიკურსა და სულიერ ძალებს. ხმელი წიფლის ზებუნებრივი სახის შესახებ მიუთითებს მწერალი, როდესაც შენიშნავს: „ხმელი წიფელი შეუშფოთრადა დგას, არც ავს იტყვის, არც კარგს, დგას გაშტერებული; იმან არც სიბრალული იცის, არც სიმძულვარე; არც სამტროდ აუდუღდება გული, არც სამოკეთოდ; ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. „ხოლო პირად განწყობას გარდასულსა და წარმავალ მარტოხეზე ვაჟა ასეთი პოეტური სტრიქონებით გამოხატავს:

„მინდა, რომ დიდხანს ნახარში
და გულში ნადუღარია
გაგიზიარო ვარამი,
მდიოდეს ცრემლის ღვარია.
რისთვის მოსულხარ, ბეჩავო,
არ იგლოვები მკვდარია? !"

„განმარტოვებით მდგომარე" ხის ბედი აღელვებს ბაჩანას (ნიკო რაზიკაშვილი). მისი „მუხა" ფსევდო-სიმ-

ბოლური სახეა მიწიერი ჭუჭყისაგან გარიდებული, ამაყი, თუმცა ხანგადასული ჰიპოსტასისა, რომელიც სწორედ ასეთი მდგომარეობით იპყრობს პოეტის ყურადღებასა და მეტიც, სიყვარულს იმსახურებს.

ბაჩანას მუხაც ხანგადასული და „ტიელია“, სევდიანი, თუმცა დახავსებული ტოტები ამაყად, მტკიცედ გაუშლია. ამ ტოტებს ამშვენებს „ფოთოლთ შლილობა“ და რაც მთავარია, ის უშიშარი და შეუპოვარია. იქნებ სწორედ ამ ნიშან-თვისებების გამო უყვარს პოეტს მუხა, „ერთი შენ გპოვე გულისა,

ქვეყანა შემოვიარე.

დაღონებული, მტირალი,

მიწყივ შენკენ ვარ მოარე“ ... ო, ასე მიმართავს-კიდევაც მას.

მუხის სიახლოვე სულიერი სიმტკიცის მაგალითს უჩვენებს პოეტს. ის „ვაჟკაცია“, რადგან ბუნების ფერისცვალება, ავდარი, ელვა და ჭექა მას ნირს ვერ უცვლიან, ამაყად ხვდება ყოველგვარ განსაცდელს და თავსაც არ უყადრებს მქროლავ ქარს. ამქვეყნიური ვნებებისაგან განშორებული, სულ სხვა სამყაროს შეხიზვნია და ამით თვითონაც ტკბება. შემთხვევითი არაა ბაჩანას სულიერი სიახლოვე მარტოხესთან და მისით გატაცება. ერთ-ერთ პირად წერილში ის თედო რაზიკაშვილს სწერდა: „რაც შეეხება ჩემს სულიერ მდგომარეობას, ბევრს სანუგეშოს ვერას გეტყვი: რაც დრო და ხანი გადის, რაც უფრო მარტოკა ვარ, იმდენი უფრო შავი სევდისათვის ველარ დამიხწევია თავი; ვარ მარტოკა, ვესაუბრები მხოლოდ ჩემს თავს. მოპასუხე და ხვაშიადის მოზიარე ჩემთვის არავინაა – გარდა არაგვისა, მთებისა და ბეჩავი ჩემის ცოლისა... „ (ციტირებულია აპოლონ მახარაძის წიგნიდან „ნარკვევები

ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", ტ. 3, თბ. 1978 წ. გვ. 393). მუხა პოეტური აზროვნების ისტორიაში მუდამ ასოცირდებოდა სიმტკიცისა და ძლიერების მხატვრულ სახესთან. ბაჩანამ ეს სახე დატვირთა სიმბოლური ასოციაციებით და ღირსეული ადგილიც მიუჩინა მარტოხეთა ქართული პოეზიის თანავარსკვლავედში.

მარტოხის სიმბოლურ სახეებში საოცარი ფერთამეტყველებით გამოირჩევა გიორგი ლეონიძის" ოლე", ლექსი, რომელიც ფრიალო კლდეზე, განმარტოებით მდგარ მიუსაფარ ხეს ეძღვნება. იგი ერთ-ერთ უძლიერეს ლექსად ითვლება არა მარტო გიორგი ლეონიძის, არამედ, მთლიანად, ქართული პოეზიის ანთოლოგიაში.

ოლე, ისევე როგორც ჩინარი და ხმელი წიფელი, კლდეზე დგას, კლდე კი სიმტკიცის, სიმაგრისა და შეუვალობის ნიშანია. ჩანს, ამ მარტოხეთა ფესვები მყარადაა მიწასთან დაკავშირებული, ხოლო შტოები ერთნაირი აღტაცებით აწვდილან ცისკენ, ე. ი. მათ კვლავ შეუძლიათ ოცნება. ოლე ბაჩანას მუხასავით ვაჟური საწყისის მატარებელია („შენ არ გაშინებს, ვაჟკაცო, ბუნების ფერის ცვლილობა"). ამიტომაც პოეტი სარეცელის მოზიარე ცოლს სთავაზობს, ანუ, სიმშვიდეს, სიყვარულს, სათნოებას. „სახრჩობელა", „ფრთებდამსხვრეული არწივი", „მიწას მიჭედილი რაში" და სხვა მეტაფორები, გასაოცარი ექსპრესიულობით წარმოგვიდგენენ გარდასულ სიძლიერეს, გაურკვეველი ვითარების გამო დაცემულს, დაჩიავებულს, უამრავი ქარტეხილების სამიზნეს. რაც მთავარია, პოეტს უყვარს დაჩაგრული მარტოხე და სურს ის კვლავ დაუბრუნოს ცხოვრებას, ისევ ხალხის სამსახურში ჩააყენოს ის:

„რომ ლიახვის რძიან ქაფში

შემოცურდე ტივად...
რომ შენ იყო ჩემს დარბაზში
შუაბოძის ტოლი,
რომ გრძელ ტივებს მოუძღოდე
ხეთა წინამძღოლი!"

ასეთია პოეტის სურვილი, რომელიც ისე ძლიერია, პარტახსა და ნამეხარ ხესაც კი გააცოცხლებს და ახალ სულს ჩაუდგავს მას.

მარტოხის თაყვანისცემა უცხოური პოეზიისათვისაც ნიშანდობლივია. სწორედ განმარტოებული ალვის ულამაზეს ხეს უძღვნა სიყვარულით და სითბოთი სავსე სტრიქონები მე-20 საუკუნის ინგლისელმა პოეტმა რიჩარდ ოლდინგტონმა. ლექსი მიმართვის სტილშია დაწერილი „ოლეს" მსგავსად.

აქ რატომ დგახარ და ნიადაგ ასე რატომ თრთი,
მარტო, გზის პირად, აქაფებულ მდინარის თავზე?

შენ ყველა მთაზე ლამაზი ხომ ხარ!
მე ვიცი, როგორ უყვარხარ ნიავს,
გკოცნის და გკოცნის, გიფრიალებს ზურმუხტის კაბას.
პერანგი გიჩანს ფიფქივით თეთრი.
ცა ჩაძენძილა შენს ფოთლებში, ვით ლურჯი წვიმა,
გეხვევა წვიმა და იღლიებში
გიყოფს წვრილ თითებს.
მე მინახია ვერცხლის მონეტა
როგორ ჩაგიგდო მთვარემ უბეში,
როცა კულულებს ივარცხნიდი.
გეტმასნებოდა რძისფერი ნისლი
და კრძალვით მუხლზე გეხვეოდა...

რიჩარდ ოლდინგტონის შესახებ მწირი ცნობები მოვიპოვეთ. დაიბადა ჰემპშირში, ვექილის ოჯახში, 1892 წელს. სწავლობდა ლონდონის უნივერსიტეტში, ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას. ერთხანს იმაჟინისტურ მიმდინარეობას სცემდა თაყვანს. ამ მიმდინარეობაში (დეკადენტური ფორმალისტური მიმდინარეობა, რომელიც მე-20 საუკუნის ინგლისში წარმოიშვა, ქადაგებდა სინამდვილიდან გაქცევას, ხელოვნების ცხოვრებისაგან მოწყვეტას და აზრსმოკლებული სიტყვების გაფეტიშებას პოეზიაში. იმაჟინისტები აღიარებდნენ სახის პრიმატს პოეზიაში და რადგან, მათი აზრით, სახე ვერ თავსდებოდა არსებულ მეტრულ ფორმებში, ამიტომ ლექსი თავისუფალი უნდა ყოფილიყო, ამ სიტყვის ფართო გაგებით) მას განსაკუთრებით მოსწონდა მხატვრულ სახეთა შექმნის ისეთი ცოცხალი საშუალებანი, როგორიცაა: ანალოგია, პარალელიზმი, დაპირისპირება, შედარება, მეტაფორა. განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელს ანიჭებდა უპირატესობას. მრავალი პოეტური კრებულის ავტორი მოგვიანებით პროზაზე გადასულა და მნიშვნელოვანი რომანები შეუქმნია. ბევრს წერდა ომის თემაზე. გარდაცვლილა 1962 წელს.

გიორგი ლეონიძის მსგავსად ინგლისელი პოეტიც ვერ მალავს აღტაცებას მტვრიან გზისპირზე განმარტოებით მდგარი ხის მიმართ, წარმოსახვით ამდიდრებს მის შინაგან და გარეგნულ სახეს, ნაირგვარი მხატვრული ხერხებით აცოცხლებს მას. ალვის ხეს აქვს თავისი ცხოვრება, თუმცა ერთფეროვანი, – გამთენიისას მეფურგონეებს ხვდება, შელამებულზე კი მოსეირნე შეყვარებულებს. პოეტისათვის ნაცნობია მისი ნამდვილი სახე:

მე ხომ შენ გიცნობ, ო, ალვის ხეო,

მე ათი წლისამ პირველად გნახე...“

ყმაწვილური შთაბეჭდილება, მიღებული წლების წინ, თითქოს სრულიად უბრალო, მაგრამ ძალზე ძლიერი, ღრმად ჩარჩენილა პოეტის სულში. თუმცა, ახლა სხვაგვარად უყურებს მის ამქვეყნიურ ყოფას, რაც გამოიხატება სურვილში, მიატოვოს ერთფეროვანი ცხოვრება, გაჰყვეს მეფურგონეებს და იხილოს სულ სხვა სამყარო, „ულამაზესი არყები მთების იქით“. „ნუთუ სულ ასე უნდა იდგე და მხოლოდ თრთოდე?“ – ეს სულისშემძვრელი კითხვა ახალი ცხოვრებისაკენ უბიძგებს მარტოხელა სულს. ჩვენ კი გვაგრძნობინებს, რომ ამ მთრთოლვარე და მგრძნობიარე არსებისათვის მეტად მცირეა ეს სარბიელი. მას უფრო ფართო სივრცეები სჭირდება ფიქრისა და აზროვნებისათვის, რომელიც აუცილებლად დამახასიათებელია ასეთი მარტოხისათვის

მხატვრულ სახეთა სისტემაში მარტოხე გამოირჩევა თავისი მკვეთრი იდეალური სახით, როგორც ჰიპოსტასი, მთავარი გმირი ლირიკული ნაწარმოებისა. მისი ცოცხალ სახედ ქცევისათვის ყველა დროის შემოქმედი იყენებს პერსონიფიკაციის ხერხს, რომლის საშუალებითაც მიიღწევა უდიდესი მხატვრული ეფექტი. ხე ცოცხალი არსებაა, სუნთქავს, აზროვნებს, ზოგჯერ პასიურია სივრცულ არეალში, მაგრამ მაინც შეიცავს დიდ მუხტს, რომელიც ელის თავის დროს აქტიური მოქმედებისათვის.

ოლეს პარადიგმულ სახეებზე დაკვირვება გვიჩვენებს შემოქმედისა და ბუნების განსაკუთრებულ ურთიერთდამოკიდებულებას. ბუნების ისეთი საოცარი ქმნილება, როგორიცაა მარტოხე, თავისი კონცეპტუალური ხასიათით, მხატვრულ ნაწარმოებში ყოველთვის იყო ღრმა ინტიმური გრძნობების მატარებელი, მარადიული სახე

ამქვეყნიური ყოფისა, აზროვნებისა, ბრძოლისა, ფიზიკური მარცხისა, მაგრამ, იმავდროულად შესაძლო აღდგომისა. ეს აღდგომა მხოლოდ დიდ სიყვარულსა და თანაგრძნობას შეუძლია. მას არ აქვს დრო და მანძილი, აქვს პოეტური თვალთახედვა, როგორც მარადიული წყარო სიკეთისა და განახლებისა.



ნიკოლოზ გარათაშვილის ერთი პოეტური ხერხის შესახებ

ლიტერატურული აზროვნების განვითარების ნებისმიერ საფეხურზე ჩნდება წარსულის მემკვიდრეობის განხილვისა და შეფასების სურვილი. ბუნებრივია, დრო პირუთვნელი მსაჯულია უკვე გარდასულისა და დამკვიდრებულის, რაკი შედეგები, რაც არ უნდა მიუღებელი ჩანდეს თანამედროვეობისათვის, უკვე მიღებული და გარკვეულწილად ათვისებულიც შეიძლება იყოს იმ პერიოდის სინამდვილის მიერ. ამ შედეგებს კი განუზომელი მნიშვნელობა აქვთ სამომავლო იდეოლოგიური მრწამსის ჩამოყალიბებისათვის. მხედველობაში გვაქვს ფენომენი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მიმდინარეობის, რომანტიზმისა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ევროპულსა და ქართულ სალიტერატურო აზროვნებაში და ასევე არანაკლები როლი ითამაშა გარკვეული ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართველ რომანტიკოსთა პოეტურსა და ფილოსოფიურ ნააზრევს არ მოკლებია განმხილავი და შემფასებელი, გამომდინარე იქიდან, რომ აზროვნებაში ყოველი სიახლე გარკვეულ ეჭვსაც ბადებდა მის რაციონალობასა და გარემოებასთან რელევანტურობაში. შესაბამისად, იხილებოდა რომანტიკოსთა ეროვნული და საკაცობრიო იდეალები, იძებნებოდა დასავლეთ ევროპული რომანტიზმის გავლენების აშკარა, თუ შეფარული კონკრეტული შემთხვევები და ამ გავლენათა შედეგები არა მარტო მე-19 საუკუნის პირველი, არამედ მეორე ნახევრის ქართულ სალიტერატურო აზროვნებაში. ამგვარად, დაგროვილია ლიტერატურული კრიტიკის დიდი და მნიშვნელოვანი მემ-

კვიდრეობა, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება ახალი მეცნიერული შეხედულებებითა და ზუსტი შეფასებებით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხანმოკლე პოეტური ბიოგრაფია უამრავ კითხვას ბადებს პოეტის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტის აღწერისას. იგი იმთავითვე გამოირჩა წინაპარ რომანტიკოსთა შთამბეჭდავი სახეებისაგან, როგორც ცხოვრების წესით, ასევე შემოქმედებითი ნატურითაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბარათაშვილმა ქართული პოეზიიდან განდევნა უცხო, აღმოსავლური კილო, ეროვნულ სათავეებს დაუახლოვა ის და ამავე დროს, საბოლოოდ და მყარად დაუკავშირა ევროპული აზროვნების მოწინავე იდეებს. სიტყვით, ქართულ პოეზიაში „დაამკვიდრა მსოფლიო პოეზიის ახალი სული“ (პ. ინგოროყვა). ეს სიახლე გამოიხატებოდა როგორც სალექსო ფორმებისა და გამომსახველობითი ხერხების ნოვაციაში, ასევე შემოქმედებითი თემატიკის იდეურ – შინაარსობრივი სივრცის გლობალიზაციაში. ამიტომაც, „საუცხოო შენადნობი პოეტური მღელვარებისა და ფილოსოფიური ხილვისა“ (პ. ინგოროყვა), ერთნაირად ამაღელვებელი და შთამბეჭდავი გახდა ყველა დროის მოწინავე ქართული საზოგადოების ცნობიერებისათვის. აქვე შევნიშნავთ, რომ ცხოვრების მკაცრმა გამოცდილებამ მის რომანტიულ სულისკვეთებას იმდენად დიდი რეალისტური განცდა მიანიჭა, რომ ხშირად გაურკვეველია ზღვარი პოეტის რომანტიკულსა და რეალისტურ პოზიციათა შორის. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებაში ერთგვარად მნიშვნელოვანია კავკასიის უზენაესი სასამართლოს კანცელარიაში სამსახურის პერიოდი. ერთ დროს დაწინაურებული ოჯახის ეკონომიკური სიდუხჭირის გამო კანცელარიის მოხელედ მუშაობის იძულებითმა

გარემოებამ ბევრი რამ შეცვალა მის პირად ცხოვრებასა და სულიერ განწყობილებაში. 1835 წლის ნოემბრიდან შეუდგა იგი სახელმწიფო მოხელის მძიმე მოვალეობის შესრულებას, როგორც მიუთითებენ, გასაოცარი მოთმინებითა და იშვიათი ნებისყოფით. თუმცა, „მკაცრ ბედს დამორჩილებული", გარეგნულად მოთმინებით აღჭურვილი პოეტის სულში ახალი ამბოხი იწყება, რაც მის პოეზიაში ახალი, ან ძველი, უფრო დახვეწილი თემებით გამოიხატა. ესენია: სიცოცხლის ამქვეყნიური საზრისი, ადამიანი და მისი მიმართება გარესამყაროსთან, ბუნების იდუმალი ხატი და მისი ფილოსოფიური აღქმა, ბედისწერა და პიროვნება და სხვა. 1836-1838 წლებში თანმიმდევრულად იწერება ზემოაღნიშნული თემებით გამსჭვალული ლექსები: „შემოღამება მთაწმინდაზე", „ხმა იდუმალი", „ფიქრნი მტკვრის პირას" და „ნაპოლეონი". პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობა უტყუარ გასაღებს გვაძლევს აღნიშნული ლექსების იდეური განხილვისათვის ქრონოლოგიური ნიშნით. „ჩინზე" წარდგენილი, კანცელარიის ერთგული მოხელე, გრძნობდა, რომ დაკავებული სამსახური ვერ მისცემდა მას სულიერ საზრდოს და კანცელარიაც ვერ გახდებოდა მისი ბედისაგან აღთქმული საოცნებო გარემო. აქედან იწყება პოეტის ცხოვრებაში დაუცხრომელი სწრაფვა განმარტოებისაკენ, განსაკუთრებულად ეგზოტიკურ ადგილებში, „ფიქრთ გასართველად". ასეთ ადგილებად მოიაზრება: მთაწმინდა (აქ ნაფიქრ-ნააზრევი საოცარი მხატვრული საშუალებებითაა გადმოცემული ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე"), ყაბახი (... „მისმან შუენებამ... აღმიტაცეს ფიქრნი... „ (წერილიდან გრ. ორბელიანისადმი, 1837 წ.) და ქალაქის სასაფლაო, რომელმაც ერთგვარი „შავ-ბნელი ფიქრები გამოიწვია"

მასში (წერილიდან მიხ. თუმანიშვილისადმი, 1838 წ.), თუმცა, იმავდროულად, საშუალება მისცა „მოკვდავს, მასში ამოეკითხა თავისი ცხოვრება. „ფიქრისა და განსჯისათვის შესაფერ ადგილებში პოეტი აგრძელებს ჯერ კიდევ 1836 წელს დაწერილ ლექსში („ხმა იდუმალი") დაწყებულ ძიებას საკუთარი ხვედრისას, საკუთარი „წილობისას. „ამსოფლიურ ვნებებზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობისას ის იძულებული ხდება თავისი აზრი, მკაცრად შენიღბული, ზოგჯერ სხვისი პირით წარმოთქვას. აღნიშნული ხერხი პოეტმა პირველად გამოიყენა 1838 წელს დაწერილ ლექსში „ნაპოლეონი".

„ნაპოლეონი" ერთგვარი გაგრძელებაცაა ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირას", რამდენადაც ამ უკანასკნელში დასმული პრობლემა ადამიანის ამქვეყნიური ყოფისა და მისი დანიშნულების შესახებ, „ნაპოლეონში" კონკრეტული პიროვნების მაგალითზე განიხილება. საერთოდ, ბარათაშვილი ამ პრობლემას უფრო ძლიერი პიროვნებების, კერძოდ კი, მეფეთა ამსოფლიური ღვაწლით განსჯის („მეფენი უძლეველნი", „კეთილი მეფე"). ისტორიული საკითხებით დაინტერესებული პოეტი გულგრილი ვერ დარჩებოდა ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობით. თბილისში, იმ დროისათვის დაარსებულ ბიბლიოთეკაში, სავარაუდოდ, მოიძებნებოდა შესაბამისი ლიტერატურაც რუსულ, ან ფრანგულ ენაზე, რომელთაც, შესაბამისად ფლობდა პოეტი. ლექსი მოწმობს, რომ ის საკმაოდ გატაცებულიც უნდა ყოფილიყო საფრანგეთის იმპერატორის მშფოთვარე ბიოგრაფიით, მისი ძლიერი ნებისყოფითა და ხელმწიფური ტალანტით. პოეტისათვის უცხო არ იყო მისწრაფება დიდი საქმეების კეთებისაკენ, მას ხომ ყრმობიდანვე „იწვევდა შინაგანი ხმა საუკეთესო

ხვედრისაკენ, „„სულს ვერ იტევდა სხეულში „და ნატრობდა „გაშლილს ადგილს“, რომ „ხელმწიფურად გადაეხედა თავისი ასპარეზისათვის“. ასეთივე განწყობა ჩანს ლექსში, რომლის ლირიკული გმირი, ამქვეყნიური სიძლიერის ეტალონი, აცხადებს:

„მაგრამ მე გვამში სული ველარ მომთავსებია!
მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი;
ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!“

ნაპოლეონის ეს სიტყვები ბარათაშვილის შინაგანი მე-ს აზროვნების გამოძახილია. ის მე-19 საუკუნის პირმშო იყო და ბუნებრივია, მისწრაფებანიც თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფის შესაბამისი ჰქონდა: ოცნებობდა ჯარისკაცობაზე (... „იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში... „-წერილიდან გრ. ორბელიანისადმი; 1837 წ.), სურდა სახელმწიფო სამსახურში დაწინაურება („ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომ რენენკამფთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის?“ – წერილიდან გრ. ორბელიანისადმი; 1843წ), სწამდა საკუთარი შინაგანი ხმის, რომელიც მხოლოდ წინსვლისკენ მოუწოდებდა („მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ „-იმავე წერილიდან), თაყვანს სცემდა „მომავალის დიდების ფიქრს“ და საყვედურობდა ბიძას „ლაპარაკის გაცრუებას“ (იმავე წერილში გრ. ორბელიანისადმი). რაც შეეხება ამსოფლიურ ამაოებას, რომელიც ასე აშფოთებდა პოეტს ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“, ყველაზე მეტად, ისეთი ძლიერი პიროვნება ჩაწვდებოდა, როგორიც ნაპოლეონი იყო და ამიტომაც, მისი პირით გააჟღერა თავისი სათქმელი.

მოგვიანებით, 1842 წელს, ბარათაშვილი ისევ მიმართავს ზემოალნიშნულ ხერხს, როდესაც ქმნის პოეტურ შედევრს, ლექსს, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიყვანა მისი ავტორი საკაცობრო აზროვნების სივრცეში. „მერანი“ გამოძახილი გახდა იმ დიდი განცდისა, რომელიც მის შინაგან არსებაში გამოიწვია ბიძის, ილიკოს ლეკთაგან დატყვევებამ და მისმა უმაგალითო ვაჟკაცობის ამბავმა. პოეტისათვის შთაგონების წყაროდ იქცა ეს დიდი ოჯახური ტრაგედია და საშუალება მისცა გადმოეღვარა სულში წლობით ნატარი დიდი სურვილი. თუმცა, ბიძას მოკრძალებით შეახსენებს: „ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე“ (წერილიდან გრ. ორბელიანისადმი; 1842წ). ლექსის ტექსტს კი წინ მიუთითებს (რუსულ ენაზე): „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“-ო. ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ აღიარა, რომ ლექსის ლირიკული გმირის სწრაფვა იდეალისაკენ საკუთრივ პოეტის შინაგანი მისწრაფების გამოვლენის საუკეთესო ფაქტია და, რომ ილიკოს ტყვეობა მხოლოდ საბაბი გახდა „მერანის“ შექმნისათვის.

ამ თვალთახედვით საინტერესოა 1842 წელს დაწერილი ლექსიც „საფლავი მეფის ირაკლისა“ (მისი პირვანდელი სათაურია „საფლავი ივერიისა“). ლიტერატურულ კრიტიკაში საკმაოდ განმტკიცებული ცნობით ის ბარათაშვილმა მიუძღვნა და ალბომშიც ჩაუწერა სიმბირსკში დაბადებულ და აღზრდილ ისტორიკოსსა და ნუმიზმატს, თავისი დროისათვის ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და განმანათლებელს მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილს (ბარათოვი). მიხეილი შთამომავალი ყოფილა მეფე ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთს გადახვეწილი ქართველი თავადის მელქისედეკ ბარათაშვილისა. მამა-

მისს, პეტრეს, გენერალ-პორუჩიკის წოდებით, ციმბირის გუბერნატორად უმსახურია. თავად მიხეილს სამხედრო სამსახურის შემდეგ სიმბირსკის თავადაზნაურთა წინამძღოლობაც უტვირთავს. მის სახელს უკავშირდება სიმბირსკში მასონთა ლოჟის („სათნოების გასაღები“) დაარსება. იმავდროულად რუს დეკაბრისტებთან იდეური სიახლოვის გამო ის დაუპატიმრებიათ. გათავისუფლების შემდეგ, 1838 წლიდან, „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკია“, ხოლო 1839 წლიდან 1844 წლამდე მსახურობდა კავკასიაში, საქართველოს საბაჟო ოლქის უფროსად. აღესრულა 72 წლის ასაკში. დაკრძალულია სიმბირსკის მონასტრის სასაფლაოზე. მიხეილ ბარათაშვილმა მთელი ეპოქა შექმნა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში. მას ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევა „ნუმიზმატიკის ფაქტები, ანუ ძველნი ფულნი საქართველოს სამეფოსანი“, რომლის მიხედვითაც, ამავე დარგში, ფასეული ნაშრომები შექმნეს მარი ბროსემ და ფრანგმა მეცნიერმა ლანგლუამ. იგი იყო პარიზის, ბერლინის, კოპენჰაგენის სამეცნიერო აკადემიათა ნამდვილი წევრი. სამწუხაროდ, მისი კოლექცია დაცულია ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში. ხოლო, რაც ჩვენთვის ყველაზე მეტადაა ანგარიშგასაწევი, მთელ მის მოღვაწეობას გასდევდა ღრმად პატრიოტული და პროგრესული კონცეფცია ქართველთა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის შესახებ.

არსებობს განსხვავებული აზრიც იმის თაობაზე, რომ ლექსი „საფლავი ივერიისა“ ბარათაშვილმა მიუძღვნა არა მიხეილ პეტრეს ძეს, არამედ ისტორიკოს სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილს (ბარათოვი), რომელმაც 1841 წელს, პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა ისტორიუ-

ლი ხასიათის წერილების სერია საქართველოს შესახებ. ხოლო მოგვიანებით, პეტერბურგში ხუთ წიგნად გამოსცა „საქართველოს ისტორია“ (მ. ნინიძე, წიგნში „მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“, ტ. 1, 2011 წ. გვ. 260).

ამჟამად, ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს ლექსის ნამდვილი ადრესატის ვინაობის გარკვევა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პიროვნება, რომელსაც საგანგებოდ მიეძღვნა მნიშვნელოვანი პოეტური ნიმუში, ეროვნებით ქართველი, რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებული თავისი განათლებითა და სამსახურით, დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიის მიმართ და ამ მხრივ მნიშვნელოვან მოღვაწეობასაც ეწეოდა ქართველი ხალხის სასიკეთოდ. როგორც ჩანს, ის ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, რაც ხელს უწყობდა მოწინავე ქართული აზროვნების გაცნობასა და დაახლოებაში. რომ ნამდვილად თავად ბარათოვს ეძღვნება ლექსი „საფლავი ივერიისა“, ამას მოწმობს ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილის ფრაგმენტი, გრიგოლ ორბელიანისადმი, სადაც ვკითხულობთ: „... აი, ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე მისის თხოვნით. ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში сь болшимь запасомь сведении об исторической Грузии. „საფლავი ივერიისა“ (ტექსტი დაცულია). [1842]. აღნიშნული წერილის ავტოგრაფი დაკარგულია. ასლი წერილის ფრაგმენტისა პეტრე უმიკაშვილის ხელითაა გადაწერილი და ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (გრ. ორბელიანის არქივი N646). შემთხვევითი არ უნდა იყოს ფაქტი, რომ ავტორმა ლექსი თავად ბარათოვს ჩაუწერა ალბომში და, ისიც, პეტერბურგში გამგზავრების

წინ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა პოეტზე რუსეთიდან ჩამოსულ, საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ ქართველ მეცნიერთან შეხვედრები. ბუნებრივია, მათი სასაუბრო თემა შეეხებოდა ქართველი ერისათვის მეტად მტკივნეულ თემას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, კერძოდ კი, ერეკლე მეფის პოლიტიკურ ნაბიჯს, რომლის ობიექტური შეფასება ასე აღელვებდა თვით ნიკოლოზ ბარათაშვილს (ამ შეფასების გარკვეულ ცდას წარმოადგენდა 1839 წელს დაწერილი პოემა „ბედი ქართლისა"). ლექსში განსაკუთრებული ხაზგასმითაა აქცენტირებული ის სასიკეთო შედეგები, რომელიც რუსეთ-საქართველოს შეერთების ისტორიულმა აქტმა მოიტანა, კერძოდ კი, ქართველთა მშვიდობიანი ცხოვრება და განათლების ხელმისაწვდომობა.

„ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო,

მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო...

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,

მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!"

გარდახვეწილ შვილში პოეტი რომ თავად ბარათოვს იგულისხმებდა პირველ რიგში, ეს უდავოა. იმხანად, სწორედ მას „მოჰქონდა მამულში განათლება, „რომელიც „ერთი ათასად" უნდა ქცეულიყო მომავალში, ქვეყნის საკეთილდღეოდ. პეტერბურგს მიმავალი მეცნიერი, მცხეთაზე გავლისას, აუცილებლად მოინახულებდა ერეკლე მეფის საფლავს და მუხლს მოიყრიდა „მხცოვანი გმირის" ხსოვნის წინაშე. ვიქრობთ, ამ ფაქტსაც ითვალისწინებდა ტატო გამოთხოვებისას, ალბომში ლექსის ჩაწერის დროს.

თვით სწავლა-განათლების საშუალებას მოკლებული პოეტი იმედოვნებდა, რომ უკვალოდ არ ჩაივლიდა თავადის საქართველოში ვიზიტი, რაც მას აღაფრთოვანებდა და სამომავლო იმედს უღვიძებდა და რამაც ბიძგი მისცა დაეწერა ასეთი კეთილი განწყობით აღსავსე ლექსი. მის წარმოსახვაში, თავადი ბარათოვი, მუხლმოყრილი მეფის საფლავთან, წარმოსთქვამს პოეტის ნააზრევს, რომელიც სავარაუდოდ, ემთხვეოდა ქართველი მეცნიერის შეხედულებებს.

ლექსში დასმული პრობლემების ირგვლივ კი სააზროვნო და საკამათო რომ ბევრია, ამას მოწმობს მ. ღაღანიძის წერილიც – „რას გვაუწყებს დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „საფლავი მეფის ირაკლისა?“ ავტორი საინტერესო წიაღსვლებით განიხილავს ერთ მთავარ პრობლემას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. აღნიშნული პრობლემა სადღეისოდ რომ ისევ გადაუჭრელი და გაურკვეველია, სტატიის დასასრულიც ამაზე მიუთითებს. ჩვენი მიზანი იყო ყურადღება გაგვემახვილებინა ბარათაშვილის პოეტური ოსტატობის ერთი ასპექტის შესახებ. კვლევისათვის დაგვჭირდა ცნობები, თუ რა ვითარებაში დაიწერა აღნიშნული ლექსი, ვის უძღვნა იგი პოეტმა და რატომ? ვფიქრობთ, ეს ფაქტები, ზოგადად საინტერესო იქნებოდა ლექსის ნებისმიერი კუთხით განხილვისათვის.

ეპიგრაფები „ვეფხისტყაოსნიდან“ გალაკტიონის ლექსებისთვის

გალაკტიონის პოეტურ პრინციპებთან ყოველი მიახლოება ახალ თავისებურებებს გვთავაზობს. საყოველთაოდ ცნობილია მისი დამოკიდებულება ზოგადად, ქართული პოეზიისა და ტრადიციული სალექსო ფორმების მიმართ. ასევე განსაკუთრებულია კლასიკოსი პოეტების მისეული შეფასებანი. იმ გენიალურ ქართველ კლასიკოსთა შორის, რომელთა სიახლოვეს საკუთარ სახელსაც მოიაზრებდა, პირველობა შოთა რუსთაველს აქვს მინიჭებული. „ვეფხისტყაოსნის“ იდეებით გამოწვეული ხიბლითაა აღსავსე გალაკტიონის არაერთი ლექსი, სადაც შთამბეჭდავი მხატვრული სახეებით გაცხადებულია პოეტის განსაკუთრებული განწყობა ქართული პოეზიის ამ დიდებული ძეგლის მიმართ. მაგალითისათვის:

„აშუქებენ გზას წიგნები, მშვენიერი წიგნები,
გაშლი „ვეფხისტყაოსანს“ და – ვეფხად გარდაიქმნები“.

(„ნაძვის ხეებს ელვარება...“)

რუსთაველის სახელი უამრავ ეპითეტს ატარებს გალაკტიონის პოეზიაში და მისი სიყვარულიც ისევე ღვთაებრივი ნიშნითაა დაღდასმული, როგორც ეს სახელი:

„შენი გული უსასრულო სიყვარულით თრთოდა,
შოთა, ერის სიქადულო, ღვთაებრივო შოთა“.

(„ ისევ მესხის გამოხედვა“)

ამ ფონზე ცხადად ჩანს გალაკტიონის განსაკუთრებული თაყვანისცემა „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ. თუ მხედველობაში მივიღებთ ფაქტს, რომ პოეტი იშვიათად მიმარ-

თავდა ეპიგრაფს თავისი ლექსისათვის, ხოლო ამ იშვიათი შემთხვევებიდან უმრავლესი რუსთაველის პოემიდანაა აღებული, მაშინ თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ გალაკტიონის გატაცებაზე რუსთველური ეპიგრაფებით.

ეპიგრაფი მხატვრული ნაწარმოების თავსამკაულია, „მოკლე წარწერა საიდანმე მოტანილი ციტატის, აფორიზმის, ან ანდაზის სახით, რომელიც წარემძღვარება ნაწარმოებს, ან მის ცალკეულ თავებს. ხშირად ეპიგრაფი მიუთითებს თემის ხასიათზე, ნაწარმოების შინაარსზე. ის ითვლება ნაწარმოების იდეური შინაარსის გამხსნელ ერთერთ საჭირო ატრიბუტად. ეპიგრაფად მოხმობილი ნებისმიერი ციტატა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე და ინტერესით განაწყობს ნაწარმოების მიმართ“ (ჭილაია; გვ. 129).

ლიტერატურისმცოდნეობაში სამი სახის ეპიგრაფს განიხილავენ. ესენია: საკუთრივი, ადრესატული და რემარკული ეპიგრაფები. საკუთრივი ეპიგრაფის ძირითადი სახეა, არ არის დამოკიდებული რომელიმე ერთეულ მოვლენაზე. ადრესატული გვიჩვენებს თუ ვის ეძღვნება ნაწარმოები. რემარკული ეპიგრაფი კი შეიცავს სხვადასხვა ცნობას მხატვრული ნაწარმოების გენეზისის შესახებ (ჩიჯავაძე, გვ. 139).

ქართველი კლასიკოსები ხშირად მიმართავდნენ ეპიგრაფს, რითაც ხაზგასმით მიუთითებდნენ საკუთარ იდეურ მრწამსზე იმ პრობლემათა შესახებ, რომლებზედაც მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწერებში მსჯელობდნენ. ტრადიციულად, ქართველი მწერლები ეპიგრაფად ირჩევდნენ ციტატებს არა მარტო მათთვის თაყვანსაცემი ავტორების ნაწარმოებებიდან, არამედ – ხალხური პოეზიიდანაც. ამ მხრივ, გამონაკლისი არც გალაკტიონი

აღმოჩნდა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მის პოეზიაში გაცილებით ჭარბობს ეპიგრაფები „ვეფხისტყაოსნიდან", რომლებიც დართულია ლექსებზე, წიგნში „ოქრო აჭარის ლაჟვარდში".

გალაკტიონის შემოქმედებითი ლაბორატორიის მიმოხილვისას თვალში მოგვხვდება პოეტის ლექსთა ქმნადობის განსხვავებული პრინციპები. მათ შორისაა სხვისი ლექსის წაკითხვით, ანდა, რომელიმე მხატვრის შემოქმედებით გამოწვეული განცდებით ახალი შედევრების შექმნის შემთხვევები. „ზოგჯერ, შემოქმედებითი პროცესის საწყისი ბიძგია სხვათა ლექსი, ან ფრაზა და იქიდან მომდინარე შთაბეჭდილებები. უცნაურია პოეტის გონების ცხრილი. რა ილექება, რა რჩება ზედაპირზე და რატომ? ძალზე ძნელია ამის გარკვევა", – წერს პოეტის ძმისშვილი და შემოქმედების მკვლევარი ნოდარ ტაბიძე (ტაბიძე ნ. გვ. 247). მისივე აზრით, მძაფრი შემოქმედებითი განცდა ხშირად აღვიძებდა პოეტის ცნობიერებაში წაკითხულსა და განცდილ ციტატებს, რომელთაც ზოგჯერ ეპიგრაფადაც იყენებდა. „რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება ყველა ეპიგრაფი თხზვის განმსაზღვრელ პირველ ნოტად მივიჩნიოთ. შეიძლება იგი თხზვის პროცესში ამოტივტივდეს, ან ნაწარმოების დასრულების შემდეგ დაიბადოს. გალაკტიონი ხშირად იყენებს ეპიგრაფს და მრავალმხრივაც" (ტაბიძე ნ. გვ. 254).

პოეტის არქივი ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას გვთავაზობს. ხელნაწერთა ფონდში დაცულია გალაკტიონის ავტოგრაფი, „ვეფხისტყაოსნიდან" ამოწერილი ციტატებით (დღიური – 445 – უთარიღო). ავტოგრაფი ადასტურებს თვალსაზრისს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში, პოეტი წინასწარ ამზადებდა მასალას ეპი-

გრაფებისათვის, რომელთაც შესაფერის დროს დაურთავდა ლექსებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შერჩეული ეპიგრაფები „ვეფხისტყაოსნიდან“ ერთპიროვნულად ზღვის თემას ეხება. ამ ფაქტსაც თავისი ახსნა მოეძებნება. ცნობილია, გალაკტიონის განსაკუთრებული დამოკიდებულება ზღვის პოეტური სახისმეტყველების მიმართ, რომელიც მის პოეზიაში ასე შთამბეჭდავადაა ასახული. საინტერესოა, რამ განაპირობა ეპიგრაფების მოხმობა რუსთაველის პოემიდან და დართვა ზღვის თემაზე დაწერილი ლექსებისათვის?

გალაკტიონის ჩანაწერებიდან ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ყურადღებას იქცევს პოეტის შენიშვნა სათაურით: „ზღვა ქართულ ლიტერატურაში“ (ტაბიძე გ. თხზ. ტ. 12; გვ. 142-143). ეს პატარა წერილი პასუხია არტურ ლაისტის მიერ გამოთქმული აზრისა, რომლის მიხედვით, ქართულ მწერლობაში არ ჩანს ზღვის თემატიკა. „მართალი არის თუ არა, არტურ ლაისტის ეს შეხედულება, ეს მკვლევარების საქმეა. ერთი რამ კი უდავოა, ზღვის თემატიკა ქართულ ლიტერატურაში რუსთაველს შემდეგ არა სჩანდა. ეს მოძრაობა დაიწყო მხოლოდ მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ.

ჩემს შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ ეს მოტივები არის პირველ წიგნში (1914), მეორეში (1919), არის მასალები სახელგამის მიერ გამოცემულ ტომებში, ცალკე წიგნად გამოცემულ „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ ... ამ დღეებში გამოვა ჩემი წიგნი „ზღვა ახმაურდა“ და სხვა. ცხადია, დაწყებულა მოძრაობა“.

პოეტის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ჩვენს ლიტერატურაში ზღვის თემის დაფუძნების მიზნით დასწერა წიგნი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. წიგნი

შეიცავს სამოცდაათამდე ლექსს და რამდენსამე პოემას“ (ტაბიძე გ. თხზ. ტ. 12, გვ. 290).

პოეტს მუდამ აოცებდა ზღვის უზარმაზარი სტიქიონი. მისი ძლიერი, ქარიზმატული ბუნება ბევრ საერთოს პოულობდა ზღვასთან. ის უზარმაზარი პოეტური ენერგია, რომელიც არაამქვეყნიურ მხატვრულ სახეებად იღვრებოდა ლექსებში, მართლაც საოცრად ჰგავდა ზღვის, ხან მშვიდობიან, ხანაც მღელვარე სტიქიონს. ზოგჯერ, მის ტალღებში ეძიებდა პოეტი თავის ბედ-იღბალს, როგორც ამას მიუთითებდა ლექსებშიც:

„მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას...
რას მიმზადებს ის: კაეშანს დამწველს,
თუ სიხარულის სხივებს ელვარეს?
არ ვიცი, არა! ვიცი მხოლოდ, რომ
მძაფრი გრიგალი მიახლოვდება...
ჩემში უსაზღვრო აღტაცებას ვგრძნობ
ჩემში ძლიერი ძალა გროვდება“.

(„მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას...“ თხზ. ტ. 1, გვ. 232)

გალაკტიონის არაერთ ლექსში იგრძნობა პოეტის ასეთი სულიერი სიახლოვე ზღვის მიმართ. ღრმა განცდა კი მის სულში იწვევდა მძაფრ გრადაციას, რომელიც პოეზიაში ზღვის სახისმეტყველების საოცარ სურათებს ხატავდა. პოეტი ეტრფოდა ქარიშხალს, როგორც თავისუფლებისაკენ ლტოლვის ყველაზე მკაფიო გამოხატვის ფორმას. მხოლოდ ბობოქარ ზღვას შეეძლო მისი აღმაფრენა და ბრძოლის ჟინით ავსება:

„მიყვარს მარტო ქარიშხალი, თვალუწვდენელ ზღვიდან ზღვამდე,

მთიდან მთამდე, ციდან ცამდე თავისუფლად მონა-

ვარდე!“

(„მიყვარს მარტო ქარიშხალი“; ტ. 1, გვ. 147).

როგორც ჩანს, 1944 წელს, გალაკტიონის შემოქმედებით საქმიანობაში გაჩნდა განსაკუთრებული ინტერესი ზღვის თემატიკაზე დაწერილი ლექსების ცალკე წიგნად გამოცემის შესახებ. ამ მიზნით, პოეტმა შეარჩია სხვადასხვა წლებში დაწერილი ლექსები და მოამზადა გამოსაცემად. სავარაუდოდ, ამავე პერიოდში შეარჩია ეპიგრაფებად ციტატები „ვეფხისტყაოსნიდან“, რომლებიც ასევე ზღვის თემას ეხმაურებოდა.

შერჩეული ეპიგრაფების მიმართ გალაკტიონის აზრს ყველაზე ნათლად თვით პოეტის დღიური გადმოგვცემს. ჩანაწერი 1944 წლითაა დათარიღებული და ეხება ლექსთა კრებულის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ გამოცემას. მასში ვკითხულობთ: „აი, ამ წიგნში სახელწოდებით „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, რომელიც დაწერილია ჩემს მიერ და გამოცემული აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ (ბათუმში)1944 წელს, მოთავსებულია ლექსი სახელწოდებით „კავკასიონის პროფილი. „ამ ლექსს წინ მიუძღვის ციტატა შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსნიდან“:

„სადაცა შენ და შენი ძმა ხართ, ძნელი გაადვილდებისა...

არც თურე კაცმან დაგიდგნას, ვეჭვ, კლდეცა გაგილბილდებისა...“

შოთა რუსთაველი ამ ციტატაში ხაზს უსვამს, თუ რა ძალა აქვს ძმობას, გატანას, ნდობას; რუსთაველი ამბობს, რომ ასეთი ძმობით, ასეთი გატანით, გაადვილდება ყოველი ძნელი საქმე.

ასეთია უკვდავი შოთა რუსთაველის სიტყვა „ძმობი-

სა და გატანის“. სწორედ ამ ძმობამ, ამ გატანამ დაიცვა კავკასიონი მოსალოდნელი რბევისაგან. ეს ლექსი, „კავკასიონის პროფილი“, დაწერილია 1944 წელს...“ (დღიური – 661 – 1944 წ).

აღნიშნული ნაწყვეტი პოეტის დღიურიდან ხაზგასმით მიუთითებს, თუ როგორ შეარჩია პოეტმა ეპიგრაფები საკუთარი ლექსებისათვის რუსთაველის პოემიდან, რათა მეტი სიცხადე, მეტი ელფერი შესძენოდა მის პოეტურ ქმნილებებს.

უცნაური პოეტური მანევრები უცხო არ იყო ისეთი არტისტული ბუნების შემოქმედისათვის, როგორიც გალაკტიონი გახლდათ. ცნობილია ის დიდი გავლენაც, რომელიც პოეტზე მოახდინა მსოფლიო ლიტერატურის კორიფეთა აზროვნებამ, – – ედგარ პოს, ჯორჯ ბაირონის, ალექსანდრ ბლოკის, შელის და სხვათა სახელებმა მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილიც იპოვეს. თავისუფალ პოეტურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირმა მისი პოეზია გაამდიდრა ახალი მხატვრული სახეებით. ამგვარ სახეთა შესანიშნავი გადმოცემით გამოირჩევა 1914 წლით დათარიღებული ლექსი – ექსპრომტი „ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს“ (ძღვნად ოლ-ოლს), რომლის ავტოგრაფიც ძალზე საინტერესო აღმოჩნდა საკითხის კვლევისას. ავტოგრაფი (თ, ტ 4035 (B)) ღია ბარათზეა შესრულებული. მასზე აღბეჭდილია ესპანელი მხატვრის, ანტონიო პერედას ნახატის რეპროდუქცია – ზღვაზე ნავით მოსეირნე ბაირონი და შელი. სურათზე შელი კითხულობს ლექსს. რეპროდუქცია ნამდვილ ამბავს ასახავს – 1915 წლის გაზაფხულზე, შვეიცარიაში, ჟენევის ტბის სანაპიროზე ერთმანეთი გაიცნეს ბაირონმა და შელიმ. ტბაზე ნავით სეირნობისას შელიმ დაწერა თავისი ცნობილი ოდა

„ჰიმნი ინტელექტუალურ მშვენებას“. ამ ორი გენიალური პიროვნების მეგობრობა, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა გალაკტიონის ცნობიერებაში. მისი აღფრთოვანების შედეგი კარგად ჩანს ავტოგრაფიდან. რეპროდუქციის რუსული წარწერის ქართული თარგმანი თავად პოეტის ხელითაა მიწერილი . ლექსი – ექსპრომტი ეძღვნება პოეტის მეუღლეს ოლია სტეფანეს ასულ ოკუჯავას (იმ დროისათვის მოსკოვში მყოფს). სავარაუდოდ, ეს ხელნაწერი გალაკტიონმა ქუთაისიდან გაუგზავნა მეუღლეს და ამ უკანასკნელმა შემოინახა ავტოგრაფი. ლექსი აღსავსეა პოეტური რემინისცენციებით, – მშვიდ ტალღებში მოჩანს „ფეერიული ნავი“ ბაირონისა და მერი ჩავორტის აჩრდილებით, ფერადი ნისლით დაბინდული შელის შთამბეჭდავი სახით... სურათის დინამიკა იტევს ზღვისა და ნავით მოსეირნეთა საოცარ ენერგიას. ბაირონისა და შელის სახეები კი ზღვის ორმაგი ხასიათის სიმბოლურ გამოხატულებად აღიქმება ლექსში:

„ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს, ერთი-ქარიშხლის, მეორე-მშვიდის...“

კრებულში შეტანისას, აღნიშნულ ლექსს, პოეტმა ეპიგრაფად დაურთო ციტატა „ვეფხისტყაოსნიდან“ – „გამოვლენ ზღვანი ერთგან ძმად შენაფიცართა“. იგი ამოღებულია თავიდან „ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისლვა“. პოემის მიხედვით ციტატა ასე იკითხება: „გამოვლენ ზღვანი სამთავე ერთგან ძმად შენაფიცართა“. პოეტს სიტყვა „სამთავე“ ამოუღია, რადგან სურათზე მხოლოდ ორი პოეტია გამოსახული და ეპიგრაფიც მათ ეკუთვნით. ხოლო, რაც შეეხება ფაქტს, რომ მაინცდამაინც ოლიას უძღვნა ეს ლექსი, შეიძლება ის ასე აიხსნას: – ოლია ოკუჯავა თავისი დროისათვის საკმაოდ

განათლებული, უცხოური ლიტერატურის კარგი მკითხველი და ამავდროულად, ძალზე მგრძნობიარე სულის პატრონი იყო. პოეტური ბუნების ქალს განსაკუთრებული განცდები ჰქონია ზღვის მიმართ. ამაზე მიუთითებს მისი დღიურის ტიპის რამდენიმე ჩანაწერი, რომლებშიც გასაოცარი განცდებითაა აღწერილი ზღვის სილამაზე, მისი ბოლომდე ამოუცნობი ორმაგი ბუნება . ეს განწყობა, როგორც ჩანს, უცხო არ იყო პოეტისათვის და ზღვასთან ყოველი მიახლოვება მოაგონებდა ოლიას ემოციურ ბუნებას. რაც შეეხება ბაირონის სახეს, ცნობილია, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა გალაკტიონს ინგლისელი პოეტის მიმართ. ამ განწყობას იზიარებდა ოლიაც. 1927 წელს კურორტ ბორჯომიდან გამოგზავნილ წერილში ის აღტაცებით წერდა მეუღლეს: „გახსოვს სკამი, მესამე წყაროსთან ფრთაგაშლილ და ნაღვლიან ნაძვის ხის ქვეშ, რომელსაც „ბაირონს“ ვეძახდით?“ (ოლია ოკუჯავას დღიურები... გვ. 110). ასეთივე განწყობას ვხედავთ გალაკტიონის წერილში ოლიასადმი: „ჩემგვარი კაცი განა შეიძლება ვინმეს უყვარდეს? დადებითად ძლიერი ჩემში არაფერი არ არის. რომ ვიყო ბაირონი... მაშინ შემიყვარებდნენ“ (ოლია ოკუჯავას დღიურები... გვ. 177). სავარაუდოდ, ზემოთ აღნიშნული ექსპრომტის შექმნის იდეა ღია ბარათის ნახვისთანავე გაჩნდა. მოგვიანებით შერჩეული ეპიგრაფიც რუსთაველის პოემიდან, ზოგადად, ამაღლებულ განწყობაზე მიუთითებს.

„ვეფხისტყაოსნიდან“ შერჩეული ეპიგრაფების გამოყენების ზოგადი სურათი წიგნიდან „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, ასეთია:

(გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა 12 ტომეულის მიხედვით)

ტ. 1. „ვით გრიგალის შემდეგ...“ (ეპიგრაფი: „ზღვა გავიარეთ... გავედით“);

„მიყვარს მარტო ქარიშხალი“ (ეპიგრაფი: „გამო ზღვისა პირსა“);

„იბობოქრე..“ (ეპიგრაფი: „საომრად ატეხილი ვიყავ მთად გამტეხლად“);

„გემზე“ (ეპიგრ. „ზღვა-ზღვა ცურვით წამოუვე“);

„სანთლები“ (ეპიგრ. „ან თავსა მისსა საძებრად მივსცემ სად კლდე და წყალია“);

„მე ვუკვირდები“ (ეპიგრ. „ზოგჯერ ზღვისკენ მივიხედნი, წარვსდგებოდი ამა გორსა,

ზღვასა შიგან ცოტა რამე დავინახე, თუმცა შორსა“);

„შენ ზღვის პირად“ (ეპიგრ. „სინათლე მთვარისა მოვა ნებასა“);

„შენ ზღვის პირად“ (ეპიგრ. „ასმათ, ხიდენი ზღვისა ჩაგვიცვივდეს“).

ტ. 2. „ძღვნად ოლ-ოლს“ (ეპიგრ. „გამოვლენ ზღვანი ერთგან ძმად შენაფიცართა“);

„ქალაქი წყალზე“ (ეპიგრ. „ქალაქი გავლეს, მივიდეს პირსა დიდისა ზღვისასა“);

„იქ პოეზიის ფრიალებს დროშა“ (ეპიგრ. „მოვკიდე ხელი ნავისა ბაგესა“);

„გემი დალანდი“ (ეპიგრ. „მზეო, თქვენ შუქი მიფინეთ, ჰეი, რა ავი დარია“);

„ზღვაზე სცურავს ნაფოტებით“ (ეპიგრ. „ზღვასა შიგან...“);

„მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები“ (ეპიგრ. „ნავი იყო, გარს ეფარა სამოსელი მრავალკეცი“);

„მოადგა ნაპირს ათასი ნავი“ (ეპიგრ. „მათ ბაღთა პირას დააბეს ნავი“).

ტ. 3. „ნავთსადგურთან“ (ეპიგრ. „მაგრამ რა ზღვათა შეერთო, მაშინ ეგრეცა წყნარია“);

„მეზღვაურებო“ (ეპიგრ. „შორით ნახნა მენავენი, მიდიოდნენ შიგან ზღვასა“);

„ღელვას – ფერადები“ (ეპიგრ. „მას წინა ღამით ძალედვის მხატვარსა ხატვა ხატისა“);

„ქარის პირდაპირ“ (ეპიგრ. „ხმა ძახილისა მათისა, ჰგავდა ჰაერთა ქუხილსა“);

„იალქანი დაუცხრომელი“ (ეპიგრ. „სხვაგან ჰქრის მისი გონება“);

„ამუშავდი მანქანაო“ (ეპიგრ. „მართებს მართ ვითა მზეობა“);

„მოგზაურობა ვერცხლისფერი ბილიკით“ (ეპიგრ. „რა ვიარო, ოდეს მივალ, ან გზასა აქვს რა სიდიდე? “);

„კოლხიდის დაბლობზე“ (ეპიგრ. „აჰა, მხატვარო, დახატე...“).

ტ. 4. „შეხედე“ (ეპიგრ. „ზამთარ-ზაფხული სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები“);

„საღამოს მთების, დღისით ზღვაური“ (ეპიგრ. „მუნ გარდავხე მოსვენებად დამხვდეს რამე ხენი ლაღნი“);

„დაუძლეველი“ (ეპიგრ. „მტერი ყოვლი ჩალად გიჩანს, ვინმცა იყო...“);

„არმიელი ვარ“ (ეპიგრ. „ნახეს ძალ-გულნი ძმისანი“);

„როგორც მენავემ ძველი სანავე“ (ეპიგრ. „... სადაცა სადგურნი ნავთა სჩენოდეს...“);

„ოცნება აჭარისწყალთან“ (ეპიგრ. „ნავითა გავე, ზღვისაგან შტო რამე გამოვიდოდა“);

„ბევრნაირი ახდა ნატვრა“ (ეპიგრ. „მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი...“);

„ზღვა წყნარია ნამეტანი“ (ეპიგრ. „უგავს სიცილი ბროლისა ვარდთა ფრქვევასა“);

„ბუნება მოქანდაკეა“ (ეპიგრ. „უჭვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა“);

„ჩვენი შავი ზღვა“ (ეპიგრ. „ქართა აღძრვენ საშინელთა“).

ტ. 5. „ოდეს ართობს მტერს“ (ეპიგრ. „სადაცა შენ და შენი ძმა ხართ, ძნელი გაადვილდების... არც თურე კაცმან დაგიდგნას, ვეჭვ, კლდეცა გაგილბილდების...“);

„შრომა მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული“ (ეპიგრ. „უცებნი მოსრის მცოდნელთა ცოდნამან ხელოვნებამან...“);

„შავი ზღვის პირად“ (ეპიგრ. „მაგა საქმისა ვერა იქმს ვერცა კალამი წერასა“);

„აჭარის სილაჟვარდეში“ (ეპიგრ. „ზღვასა შეველ... მომეგება“);

„სიმფონია ფესვების“ (ეპიგრ. „იგი ნიავი და ნელი“);

„ბათუმი“ (ეპიგრ. „ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბაღისა ტევრითა, გვარად უცხონი ყვავილნი, ფერითა მეტად ბევრითა, მის ქვეყანისა სიტურფე რა გაგაგონო, მევ, რითა“);

„სიძველენი“ (ეპიგრ. „ვაქო, რით ვაქო, რა ვაქო, არ საქებელი სმენითა“);

„მე შენს ყვავილებს“ (ეპიგრ. „ქალი მზებრ უჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა“);

„ცა გაქვს ისეთი“ (ეპიგრ. „ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“);

„შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირას“ (ეპიგრ. „დღედ სიკვდილამდის სიცოცხლე შენ ჩემი დაგემონების“);

„მზის ამოსვლა ზღვაზე“ (ეპიგრ. „სადა გინახავს იგი

მზე, წამომყევ ზღვისა კიდესა“);

„სხვა ყვავილები“ (ეპიგრ. „დგომა კაცისა ცდომაა...“);

„ცხენი“ (ეპიგრაფები: „მაგა ცხენსა ჩემეულსა“; „შენ ერთხელ მეტყვი მითხარო, მე ასჯერ გეტყვი ვერასა“)

ვაჟა-ფშაველას ლირიკული „აღსარებანი“

ვაჟა – ფშაველას ლირიკულ პოეზიაში არაერთი ლექსი ატარებს ერთგვარი პოეტური აღსარების ხასიათს . საღვთისმეტყველო სწავლების მიხედვით „აღსარების თქმა ნიშნავს სიღრმემდე გახსნას, მთელი სულის გადმოღვრას“ (მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი). არქიმანდრიტ ნექტარიოს ანტონოპულოსის ქადაგებაში ვკითხულობთ: „აღსარებაზე უნდა გავაშიშვლოთ ჩვენი სული და თვალსაჩინო გავხადოთ მისი ჭრილობები“. აღნიშნულ განმარტებათა ფონზე ადვილად გასაგებია ის დიდი სურვილი, რომელიც ხშირად ეუფლებოდა ვაჟას, სურვილი გულში ნატარები განცდების ამოთქმისა და ამით გარკვეული შვების მიღწევისა. ღრმა რომანტიკული განცდებისა და მძაფრი რეალისტური აზროვნების სინთეზმა მის შემოქმედებაში თავიდანვე შექმნა მხატვრული განზოგადების განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც, პირობითად, თუნდაც პოეტურ განდობას ვუწოდებთ. ქართულ სინონიმთა ლექსიკონის მიხედვით (ალ. ნეიმანი), განდობა – აღსარებას, გა (მო)ტყდომას ნიშნავს. ხოლო ლექსიკონი ქართული განდობას „ხვაშიადის მოთხრობას“ უწოდებს. შეიძლება ითქვას, რომ ვაჟას განდობითი ხასიათის ლექსები მართლაც დაუფარავად ამჟღავნებენ პოეტის შინაგან სულიერ განცდებს და გამოტეხილ ხვაშიადს.

„თავისი დროის სამშობლოს შემაწევარ კაცს“ (თამაზ ჩხენკელი) მთელი სიცხადით ეხატა თვალწინ ნაკლოვანებით აღბეჭდილი საკუთარი ყოფა, ჩაკეტილი ფშავის გოროზი ბუნების ჩარჩოში. პოეტის ამ გაუსაძლის ყოფას საზოგადოებრივი გულგრილობა და უკეთურებაც რომ დაემატებოდა, ჯავრით სავსე გულს ამოათქმევინებ-

და-ხოლმე ნაღვლიან სიმღერას. აი, რას წერდა იგი ერთ პირად წერილში მიხეილ ლობჟანიძეს, ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის მუშაკს: „ჩემთვის ... დასაკრძალავი ალაგი ოცი წელია მას შემდეგ, რაც აიჩინა, დაინიშნა და შემოიფარგლა, ხოლო ამ ოცის წლის განმავლობაში სად, როგორ ვცხოვრობ, არავინ არ იცის“ (რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 23).

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ამ ღრმად ინტიმურ ლირიკაში ვხვდებით ურთიერთსაწინააღმდეგო იდეური პათოსით გამსჭვალულ ლექსებს. მნიშვნელობა არა აქვს, თუ პოეტის სიცოცხლის რომელ ეტაპზე დაიწერა ისინი. ფაქტია, რომ ერთმანეთის გვერდით იკითხება ლექსები, რომლებშიც პოეტი ცისა და მიწის მბრძანებლად მიიჩნევს თავს და ლექსები, რომლებიც ხატავენ დაღლილ-დაქანცულ, უღონო და უძალო ლირიკული გმირის ავბედით ყოფას. მაგალითად მოვიტანთ 1900 წელს დაწერილ ერთ ნაკლებად ცნობილ ლირიკულ ლექსს – „ვითომდა ვთიბდი ბეჯითად“, რომელიც გულგატეხილობის ნიშნითაა დაღდასმული და გვიმხელს ამაოდ დამაშვრალი პოეტის სულიერ დაღლილობას. მოვიტანთ ტექსტს მთლიანად:

„ვითომა ვთიბდი ბეჯითად
ცელს კი ვუსვამდი ბალახსა,
წინ მივიბრძოდი, მივთიბდი
დიყსა, ქუჩსა და შალაფსა.
მეგონა, ბევრი გავთიბე,
თავს კარგ მთიბელად ვსახავდი;
იმას რა მომაგონებდა,
თუ მთას უთიბსვე ვნახავდი!..
გავხედავ ნამუშავარსა,
ოფლით მორწყულსა მდელოსა,

ვუცქერი: თივა არსად სჩანს,
ქარს მტვერად გაუტანია
და სათიბეში ნიაღვარს
ლოდები მოუტანია“.

ძნელი ასახსნელი არ არის ლექსის სიმბოლური შინაარსი. ვაჟას პოეზია ხომ ერთი საოცარი „მეტაფორაა“ მისი ამქვეყნიური ყოფისა და გენიალური აზროვნებისა. ლექსის ლირიკული გმირის პოზიცია ცხადად წარმოგვიდგენს ამაო გარჯით დაღლილი პოეტის სახეს. საგულისხმოა „ბეჯითად“ მშრომელი მთიბელის აქცენტირებული თვითშეფასებაც, რომ ის „კარგ მთიბელად სახავდა თავს“, თუმცა, – ამაოდ... მთა მაინც „უთიბი“ დარჩენილა, მოთიბული კი წყალს წაუღია. მის სამაგიეროდ, ავბედით ნიაღვარს ლოდები მოუტანია.

ეს ავბედითი ნიაღვარი დამანგრეველი ლოდებით ხშირად ჩანს ვაჟას პოეზიაში. მაგალითად, პოემა „გველისმჭამელის“ დასასრულს აღწერილმა ავისმომასწავებელმა დელგმამ შუაღამისას „მოხეთქა ღვარები, გატეხეს, თუ სად ლოდების ხევებში იყო კარები... „ეს კი, ცხადია, ცუდ დასასრულს ჰპირდება . პოემა 1901 წელსაა დაწერილი, ანუ, პერიოდში, როდესაც, როგორც მინდიას, ისევე ვაჟას ცხოვრებაშიც, ყველაფერი ინგრევა, ხდება თვითშეფასება და დგება უიმედო ფინალი – არაფერი!

არადა, ვაჟა ის პოეტია, რომელმაც დამბადებელს მადლი უძღვნა პოეტად დაბადებისათვის, რადგან, მისივე აზრით, „სამშობლოს წყლულებს“ პოეტის სიტყვა უშველის, თუნდაც ეს „სიტყვა“ მანდილჩამოხეული (ანუ შეურაცხყოფილი), ვარმით ნაკვები, სნეული და გულგაგმირული იყოს. ტერმინი „სიტყვაც“ ხომ ფართო გაგებით იხმარება ვაჟას ლირიკაში. „სიტყვა გადვაგდე ერშია,

სიტყვა, რა სიტყვა? -ეული"-ო, – ამბობს და თუმცა თვითვე გრძნობს საკუთარ უმწეობას, მაგრამ, საოცარი ისაა, რომ ამ წვა-დაგვით გაზრდილმა სიტყვამ თურმე იხარა, მარგალიტებით დამშვენდა, ოქროს ტახტზე დაბრძანდა და მთელი ქვეყანა გაანათა. პოეტი „ჩუმად იცინის" ... კმაყოფილია, რომ მისმა საწყალმა „სიტყვამ" ერის გულში დაიდო ბინა, მისსავე სანუგეშოდ. თუ რა იყო ვაჟას სიტყვა და რა ხიბლი ჰქონდა მას ხალხისათვის, მარტივად და შთამბეჭდავად გვიხსნის ქართული კრიტიკული აზროვნება:

კონსტანტინე გამსახურდიას აზრით „ვაჟამ გაგვიხსნა ახალი და ახალი ძლიერი ტალღა ხალხის ხსოვნაში დაგროვილი მითოსისა, ახალი და ახალი მოტივებით გაამდიდრა მან ქართული პოეზია ".

ვახტანგ კოტეტიშვილმა შენიშნა ვაჟას ცხოვრებაზე: „ეს არ არის პიროვნული ცხოვრება. პიროვნული თემობრივშია გადასული, თემი პიროვნებაში მოთავსებულა. რაღაც დიდი შეუღლებაა მომხდარი და აქვე იხსნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხასიათი. სად თავდება ვაჟა და სად იწყება ფშავი, – ძნელი გამოსარკვევია. თითქოს ფშავმა ვაჟას სახე მიიღო და ათასი ხმით სათქმელი, ათასი კაცის განცდილი, ვაჟამ გამოსთქვა..."

აკაკი გაწერელია ვაჟას ქართული მითოლოგიის ულრმესი ფესვებიდან ამოსულს უწოდებს და შენიშნავს: „მე-19-მე-20 საუკუნეების საზღვარზე (და მას შემდეგაც) ჩვენ არ ვიცით მეორე შემოქმედი, რომელიც ეგზომ განუსაზღვრელი ფანტაზიითა და პოეტური ვიზიონით ყოფილიყოს დაჯილდოებული. და არა მარტო ქართული მასშტაბით: მის ანალოგს ვერ ვპოულობთ უკანასკნელი საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაშიც".

ამ აზრს იზიარებს თამაზ ჩხენკელიც და ამატებს: „ვაჟას ფილოსოფიური განზოგადებით აქვს წარმოჩენილი კაცობრიული ვნებანი: პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთჭიდილი, დაპირისპირება და კონფლიქტი... ადამიანის გარდაქმნა და ამაღლება დიონისური ექსტაზის მეშვეობით, ღმერთი და სამშობლო, სიცოცხლისა და სიკვდილის ანტინომიების შუქზე დანახული ბუნების სურათები და სხვა“. ვაჟას ლირიკული „აღსარებანიც“ სწორედ ამ დაპირისპირებებისა და კონფლიქტების შედეგადაა შექმნილი. თუ ჭეშმარიტებასთან ახლოსაა ფრანგი ლიტერატურისმცოდნის, ანდრე მორუას, აზრი, ალფრედ დე მიუსეს პოეტური ხელოვნების ირგვლივ რომ წერს: „რანაირი ტკივილიც არ უნდა მიეყენებინა პოეტისათვის ამა თუ იმ გრძნობას, რანაირი სახიფათოც არ უნდა ყოფილიყო მისთვის, იგი არასოდეს არ მოისურვებს ნებით განიკურნოს იმ სატკივარისაგან, რომელიც მის გენიას აწვდის საზრდოს“, მაშინ იგივე შეიძლება ითქვას ვაჟა-ფშაველაზეც. ასეთივე აზრია გამოთქმული ლექსში „ჩემი ვედრება“, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად ჩანს პოეტის დიდი სურვილი: „მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,

„ვერ გავძლე, მოვკვდე მშიერი,
ნუ დამასვენებ ნურასდროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული.
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა,
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა“.

ზემოთ ნახსენებ ლექსში, „ვითომდა ვთიბდი, „თუ

საოცარ უსასოობასა და უიმედობას გამოხატავს პოეტი, 1912 წელს დაწერილ ლექსში, „მარტოობა“, უკვე საკუთარ ორსახეობას უჩივის, ორსახეობას შემოქმედისა და ადამიანისა, ერთ არსებაში გამთლიანებულს, ხან რომ სამყაროს მბრძანებლად ჩანს, ხან კი ჩვარივით უგრძნობი და უილაჯოა. არწივის, ვაჟას პოეტური მუზის ერთ-ერთი ძლიერი მეტაფორული სახის, სტუმრობა საოცარ ძალას ანიჭებს პოეტს:

„როცა არწივი თან მახლავს, მაზის მარჯვენა მხარზედა,

მეფისა მადგა გვირგვინი, ვზივარ სამეფო ტახტზედა...

როცა არწივი წამივა, ჩვარი ვარ, მცირე ჩვარზედა“.

როგორც ჩანს, „არწივი“ (ანუ, პოეტური მუზა), გარკვეული დროის სასურველი სტუმარია. მხოლოდ მას შეუძლია პოეტის ავსება მაგიური ენერგიით . ეს მაგიური ძალის მომნიჭებელი ღვთაებრივი საწყისი ვაჟას არაერთ ლექსში ჩანს . მათ შორის, ამავე პერიოდში დაწერილ ლექსში – „ვინც მომამადლა მე დიდი მადლი“. ვაჟასთვის არ არსებობს უფრო დიდი მადლი და ძალი, თვინიერ შემოქმედისა. და ეს ძალა ღვთისაგან ნაბოძებ სამოთხის ხისგან გამოთლილ ჩანგშია, რომელიც „მკვდართ აღმადგენლადაა“ მომართული:

„ვინც მომამადლა მე დიდი მადლი
მკვდართ აღმადგენელ ხმათ ჩანგზე თქმისა,
ვინც ჩანგი მიძღვნა თვისი ნაკურთხი
მომჯადოები სამოთხის ხისა,
ვინაც დამნიშნა ერის აღმზრდელად, –
ჩემს ბედს ყოველმხრივ განაგებს ისა“.

სიმღერას უწოდებს ვაჟა 1907 წელს დაწერილ ლექსს

„სიყმე სიბერედ ვაქციე“, რომლის იდეური შინაარსი კვლავაც მიჰყვება უკვე მრავალგზის გამოთქმულ მოსაზრებას პოეტის ამაო გარჯაზე, მისი „ჩონგურის“ მძიმე ხვედრზე გულცივ საზოგადოებაში. თუმცა სწამს, რომ მტკიცედ დაიცვა ერთხელ არჩეული გზის პრინციპი – მართალთა ქებისა და ორგულთა ძრახვისა. აი, რას სწერდა პოეტი პეტრე უმიკაშვილს, ლიტერატორს, მთარგმნელს და წიგნების გამომცემელს, ჩარგლიდან, 1894 წელს: „ხანდახან ჩემს თავსა ვგმობ, რატომ მეც, როგორც სხვებმა, არ ვიფიქრე ცხოვრებაზე, არ უგორდი ლეკვივით დიდთა ამა ქვეყნისათა, არ ულოკე ფეხები, არ ველაქუცე, მაგრამ თავს იმით ვმართლულობ, არ შემეძლო მე ასე თავის დამდაბლება და არც ეხლა შემიძლიან, თუნდა რომ პირში ბალახი ამომივიდეს“ (რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 19). სიმართლის მსახურებამ კი პოეტს მტრად მოჰკიდა საზოგადოება, ცოდვად ჩაუთვალეს ნამუშაკევი. რაკი აღსარება ცოდვის გამხელასაც გულისხმობს, ბუნებრივია, პოეტმა უნდა აღიაროს იგი, მაგრამ თვით ეს „ცოდვა“ ვაჟასთვის სხვა შინაარსს იძენს:

„ვადიდე გმირთა სახელი, მკლავი და სულით დიდობა,
დავძრახე ქვეყნის ორგული და შეურაცხვყავ ფლიდობა...
ამას მითვლიან ცოდვადა, რაშიც მე მიჩნდა გმირობა;
თავს დამჩხავიან ყორნები, გაუმართიათ ყრილობა“.

შევნიშნავთ, რომ იმდროინდელ მკაცრ ცენზურულ პირობებში, ადვილი არ იყო დაფარული აზრების თამამად გამოტანა თუნდაც მხატვრულ სახეებში. 1886 წელს გაზეთ ივერიაში იბეჭდებოდა ლექსი „სიმღერა“, რომლის დასაწყისიც („ერთხელც იქნება, მოვკვდები...“) კავკასიის საცენზურო კომიტეტის წევრს, ლუკა ისარლოვს,

გარკვეული მიზეზების გამო (ეგზარხოსის შიშით – ურწმუნოება ჩანს ამ სიტყვებშიო) ამოეშალა. საქმეში, თვით ილია ჭავჭავაძის ჩარევის შემდეგ, სიტყვა „ერთხელც“ შეიცვალა სიტყვით – „როცა“ და ლექსიც ასეთი დასაწყისით დაიბეჭდა: „როცა იქნება, მოვკვდები“ (ყუბანეიშვილი ს.; ცხოვრება ვაჟა – ფშაველასი, გვ. 257). ასე იცვლებოდა ვაჟას ლექსებში ის თამამი აზრები, რომელსაც ცხოვრების მკაცრი სინამდვილე ბადებდა პოეტის გულსა და გონებაში.

დასკვნისათვის, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ლირიკულ ლექსებში, რომელთაც „ლირიკული აღსარებები“ ვუწოდეთ, ვაჟა ორმაგ განწყობას ამჟღავნებს. ის, როგორც პოეტი და შემოქმედი, თავს უფლის ხელდასხმულად მიიჩნევს, საუფლო საქმის მკეთებელია და მასთან საუბრის დროს გასაოცარ ძალმოსილებას აღწევს. ხოლო, ადამიანთა საზოგადოებაში თავს უძლურად და ამაო გამრჯედ თვლის. როგორც ჩანს, პოეტსა და საზოგადოებას შორის გაჩენილმა დიდმა უფსკრულმა განაპირობა ის ცხოვრებისეული სიძნელეები, რომელთა შესახებ ასე დაუფარავად ჩიოდა თავის პოეტურ სტრიქონებში. საგულისხმოა, რომ მან ამ აღსარება-განდობებითაც ვერ იპოვა საშველი და საფლავში ისე ჩავიდა გენიოსი პოეტი, ის რიტორიკული კითხვაც, ერთხელ რომ წამოსცდა – „რა ვსწერო და რად ვსწეროო?“ – სამუდამოდ პასუხგაუცემელი დარჩა ქართველი საზოგადოებისაგან.

იოსებ გრიშაშვილი და ქართული შექსპირიანა

ლიტერატურული ცხოვრების დაუღალავი მკვლევარი და შემფასებელი იყო პოეტი იოსებ გრიშაშვილი. გარდა რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომისა („ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა", „საიათნოვა" და „ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა"), მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არაერთი საინტერესო მეცნიერული გამოკვლევაა, რომლებიც უშუალოდ ეყრდნობა პირველწყაროებს და დიდი ავთენტურობით გამოირჩევა. მათ შორისაა წერილი – „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი". მასში იშვიათი გულმოდგინებითაა განხილული ინგლისური დრამატურგიის უდიდესი წარმომადგენლის, უილიამ შექსპირის ტრაგედიების ქართულ ენაზე თარგმანის ისტორია და გაანალიზებულია თითოეული მთარგმნელის მნიშვნელოვანი ღვაწლი ამ საქმეში. წერილს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს მიმართვა გაზეთ „ივერიის" 1905 წლის მე-60-ე ნომრიდან: „ახალგაზრდა პოეტებო, ხელი მოჰკიდეთ თარგმნას, შეისწავლეთ ეს ხელოვნება და იფიქრეთ ქართული ლიტერატურის გამდიდრებაზე".

უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმანით დაინტერესება ჯერ კიდევ რომანტიკოსების პირადი მიმოწერიდან ჩანს (ვგულისხმობთ გრ. ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობას). მოგვიანებით კი, სწორედ თარგმანის საკითხს ეძღვნებოდა 60-იანი წლების ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე გამართული პოლემიკა. ილია ჭავჭავაძემ, ცნობილ წერილში, „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდან „შეშლილის" თარგმანზედა", განსაზღვრა, თუ რომელი მწერლის ნაწარმოებით შეი-

ძლება დაინტერესდეს მთარგმნელი, რას უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება და ამ მხრივ, მწვავედ გააკრიტიკა ერისთავის ხელოვნება.

საინტერესოა იოსებ გრიშაშვილის დამოკიდებულება, საერთოდ, თარგმნის ხელოვნებისადმი. მოვიხმობთ ნაწყვეტს პოეტის პირადი წერილიდან, რომლის ადრესატი ცნობილი მეცნიერი-რუსთველოლოგი ალ. ბარამიძეა: „გიგზავნით რუსულ „გულისტანს". მინდოდა მეც მეთარგმნა მთლიანად (რასაკვირველია, სპარსული ენის მცოდნის დახმარებით), მაგრამ ეს შრომა ჩემს მომავალ გეგმებში შედის. შენ ბედნიერი ხარ: ენები იცი, ახალგაზრდა ხარ და ცხოვრებაც (ოჯახური, სამსახური) ხელს გიწყობს" (წერილი გამოგზავნილია ევპატორიიდან, 1928 წლის 8 აგვისტოს).

წერილის „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი" პირველი ნაწილი გამოირჩევა ამომწურავი ინფორმაციული მასალით შექსპირის ნაწარმოებების ქართულად თარგმნის ისტორიის ირგვლივ. პოეტი-მკვლევარი ზუსტ ცნობებს იძლევა თითოეული ტრაგედიის მთარგმნელისა და პირველი პუბლიკაციის შესახებ, გვაწვდის ამ ტრაგედიების სცენაზე დადგმის ისტორიას, დამდგმელი რეჟისორისა და სპექტაკლში მონაწილე მსახიობების ვინაობას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ქართული თეატრის ისტორიისათვისაც. თავის დროზე ცალკეული პიესები უთარგმნიათ: სანდრო შანშიაშვილს, შალვა დადიანს, სოლ. წერეთელს, ვახტანგ ჭელიძეს, გივი გაჩეჩილაძეს, ლავრენტი არდაზიანს, ანტონ ფურცელაძეს, ნიკო დადიანს, თბილისის გიმნაზიის მე-5 კლასის მოწაფე ფავლენიშვილს, დიმიტრი ყიფიანს. 1866 წელს კი ქართველმა საზოგადოებამ მიიღო ივანე მაჩაბლის თარგმანი. იოსებ

გრიშაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისელ დრამატურგს ბევრი მთარგმნელი ჰყავდა საქართველოში, თუმცა, მისი აზრით, მთელი მათი მუშაობა ითვლება მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდად შექსპირის გადმოქართულების საქმეში. ჭეშმარიტი თარგმანის ხელოვნებას კი მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ტრაგედია „მეფე ლირის“ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ერთობლივმა თარგმანმა. ამ აზრის დასადასტურებლად იოსებ გრიშაშვილს მოაქვს ჰამლეტისა და ოტელოს მონოლოგების ლავრენტი არდაზიანის, ანტონ ფურცელაძისა და ივანე მაჩაბლისეული თარგმანების ნიმუშები, მხატვრული თვალსაზრისით ადარებს ერთმანეთს და აღნიშნავს, რომ მაჩაბელმა თავის თარგმანებს შეუნარჩუნა „მხატვრულ-ლიტერატურული და სცენური ღირსებანი“. მკვლევარი განსაკუთრებით აღფრთოვანებულია ოტელოს მონოლოგის თარგმანით. აი, რას წერს იგი: „შესანიშნავი მონოლოგია, შესანიშნავი თარგმანი! ხანდახან გაოცებას ეძლევი-ხოლმე: საიდან ჩამოვარდა ეს კაცი? რომელ გრიგალს გადმოჰყვა, ვინ ჩააგონა ჩვენი ენის საიდუმლოება და ქართული სიტყვის შეგრძნების ძალა? ... მაჩაბელს ქართული ენის ბუნების განსაცვიფრებელი ალღო ჰქონდა, მან იცოდა სინონიმების იშვიათი მოძებნა და თავ-თავის ალაგას მოთავსება, მას ახასიათებდა სათარგმნელ ტექსტში ჩაწვდომის უნარი“ (გრიშაშვილი, გვ. 333).

წერილის მიხედვით, ივანე მაჩაბელს უთარგმნია შექსპირის რვა ტრაგედია: „ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიუს კეისარი“, „ანტონიოს და კლეოპატრა“, „მაკბეტი“, „რიჩარდ მესამე“, „კორიოლანოს“ და „მეფე ლირი“ (ეს უკანასკნელი ილია ჭავჭავაძესთან ერთად). და თუ მოერიდა „ვენეციელი ვაჭარის“ და „რომეო და ჯულიე-

ტას“ თარგმანს, ამ ფაქტს გრიშაშვილი შემდეგი მოსაზრებით ხსნის – ივანე მაჩაბელი, ცხოვრებაში მორიდებული, უპრეტენზიო და თავმდაბალი ადამიანი, მოერიდა მხცოვანი, კეთილშობილი ქართველის, დიმიტრი ყიფიანის სახელს, რომელსაც უკვე ეთარგმნა აღნიშნული ტრაგედიები.

ამ აზრს აბათილებს მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის იაკობ მანსვეტაშვილის მოგონება შექსპირის ტრაგედიების ქართველ მთარგმნელებზე, კერძოდ – კი, ივანე მაჩაბელზე. აი, რას წერს იგი: „მოწმედ მოვიყვან ისეთს მცოდნეს ქართული ენისა და მწიგნობრობის, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც უფრო ადრე ჰქონდა ნათარგმნი იგივე „მეფე ლირი“. ყიფიანს დიდად მოეწონა თარგმანი და ასე სწერდა: თარგმანმა სახელოვნად თავს გადივლო კრიტიკა ულმობელი, მიუდგომელი. შრომა გაგიწევიათ დიდი, ნიჭი გამოგიჩენიათ შესანიშნავი“ (მანსვეტაშვილი, გვ. 142). საგულისხმოა იაკობ მანსვეტაშვილის აზრი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის ერთობლივ მუშაობაზეც: „ივანე მაჩაბელმა ჯერ კიდევ პეტერბურგში სცადა თავისი კალამი და ილიასთან ერთად სთარგმნა ლექსად შექსპირის დრამა „მეფე ლირი“. თარგმანი ეკუთვნის ივანე მაჩაბელს, როგორც მცოდნეს ინგლისური ენისა. ილიამ მხოლოდ შალაშინი გაჰკრა, თავისებური შნოთი გაალამაზა, შეკაზმა“ (იქვე, გვ 167). იოსებ გრიშაშვილი არ ეთანხმება მანსვეტაშვილის ამ შეხედულებას. პოეტი-მკვლევარი წერილში – „ილია და ქართული თეატრი, „განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს და მაღალ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობით მოღვაწეობას, განსაკუთრებით კი „მეფე ლირის“ თარგმანში მის დამსახურე-

ბას. რეალობა კი ასეთი ყოფილა:

1873 წელს, ილია ბანკის საორგანიზაციო საქმეების გამო იმყოფებოდა პეტერბურგს. რადგან წესდების დამტკიცების საკითხი გაჭიანურებულა, პოეტს დიდხანს მოუხდა იქ დარჩენა, იპოვა თავისუფალი დრო და აისრულა „ნაინატრი“ – დაიწყო თარგმნა შექსპირის „მეფე ლირისა“. ამ პერიოდის პირადი წერილები ცხადყოფენ, რომ ილიას ინგლისური ენის შესწავლაც დაუწყია. სწორედ აქ გაიცნო მან ახალგაზრდა სტუდენტი ივანე მაჩაბელი. „უნდა ვიფიქროთ, ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დაახლოვება სწორედ ამ დროს მოხდა, და მოხდა სწორედ „მეფე ლირის“ თარგმნის გამო... ეს შესანიშნავი ტრაგედია ნათარგმნია ილიასებური ფოლადის სტრიქონებით, ხშირად მძიმე, მაგრამ რიტმიული და საზრიანი სტრიქონებით“ (გრიშაშვილი, გვ. 264).

თარგმანის ქართულ ხელნაწერზე დაკვირვების შედეგად იოსებ გრიშაშვილი ასკვნის, რომ მისი საბოლოო რედაქცია ილიას ეკუთვნის, მაგრამ ახალგაზრდა მთარგმნელის წასახალისებლად, დაბეჭდილ ეგზემპლიარებს, ჯერ ივანე მაჩაბელი აწერია, ხოლო შემდეგ ილია ჭავჭავაძე.

ეს ფაქტი ხელს სრულიად არ უშლის მკვლევარს შექსპირის ტრაგედიების საუკეთესო მთარგმნელად ივანე მაჩაბელი აღიაროს:

„როცა მაჩაბლის თარგმანებს ვკითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ქართულად მოლაპარაკე შექსპირი იდგეს ჩვენს წინაშე... ივანე მაჩაბელს, რომელსაც პირველად ილიამ მოუხვეჭა კარგი მთარგმნელის სახელი, ქართულ შექსპირიანაში ყველაზე მაღალი და საპატიო ადგილი უჭირავს“ (გრიშაშვილი, გვ. 337).

მაჩაბლისეული თარგმანების მთავარ ღირსებად იოსებ გრიშაშვილი თვლის:

ა) პირველად ითარგმნა ლექსად (მანამდე მხოლოდ პროზად ითარგმნებოდა);

ბ) შემოღებული იქნა 14 მარცვლოვანი თეთრი ლექსი;

გ) თარგმანი აღარ საჭიროებდა კომენტარებს და სხვა განმარტებებს, როგორც მანამდე;

დ) თარგმანებს შეუნარჩუნა შექსპირისეული მხატვრულ-ლიტერატურული და სცენური ღირსებანი;

ე) ბუნებრივი ქართული ენა, ლაკონური, ინტონაციის სიმდიდრე და მრავალფეროვნება;

ვ) ხალხური ენის სისადავე, წმინდა ქართული გამოთქმები.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შექსპირის ქართულად გადმოთარგმნის პერიოდი ქართული თეატრის ისტორიაში ვოდევილების მომძლავრების პერიოდად ითვლება, მაშინ სრულიად გასაგებია იოსებ გრიშაშვილისეული ჰიპოთეზა – „შექსპირის თარგმანები რომ არ ყოფილიყო, ჩვენს სცენას ვოდევილების ტალღა წალეკავდა" (გრიშაშვილი, გვ. 338).

„ცისფერყანწელთა“ ახალი მითოლოგია

ქართული პოეზიის განახლებისა და სრულყოფის მუდმივ პროცესში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა „ცისფერყანწელთა“ ორდენმა. ღვთით მომადლებულმა პოეტურმა ნიჭმა, დახვეწილმა ლიტერატურულმა გემოვნებამ და სიახლისადმი დაუოკებელმა სწრაფვამ გააერთიანა ორდენის წარმომადგენლები და აქცია ისინი მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზიის ნოვატორებად. გარემომცველი სამყაროს ახლებური ჭვრეტა, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ახალ ნიუანსებში ახედებდა მათ და ამავე დროს, აძლევდა დიდ შესაძლებლობას, ფეხი აეწყოთ ყველა სიახლისათვის ევროპულ აზროვნებაში. სავსებით სწორად და ლოგიკურად ჩამოაყალიბა ამ პროცესის არსი ლიტერატურისმცოდნე გურამ ბენაშვილმა: „ქართული ინტელიგენციის უნიჭიერესმა თაობამ სიმბოლისტურ ლიტერატურაში ჰპოვა სულიერი ნავსაყუდარი. „ცისფერი ყანწები“ ორგანული გადახსნა იყო მათი სულიერი ცხოვრებია“ (გ. ბენაშვილი, წინასიტყვაობა ვალერიან გაფრინდაშვილის ერთტომეულისა, 1990 წ. გვ. 20. ციტატები ვალ. გაფრინდაშვილის ლექსებიდან და ესეებიდან ამავე გამოცემიდანაა ციტირებული).

ამ დროიდან, ქართული ლექსი გადაერთო ახალ ტალღაზე, რომელმაც სიმბოლური აზროვნებისათვის დამახასიათებელ სახეთა მთელი სისტემა შექმნა. ასეთი სიმბოლოები კი, ნაცვლად ძველი მითოლოგიისა, თანამედროვე ცხოვრებიდანაც შეიძლება ყოფილიყო აღებული. ამ იდეის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს „ცისფერყანწელთა“ ორდენის თვალსაჩინო წევრისა და იდეური ბელადის ვალ. გაფრინდაშვილის ლექსი – „პოე-

ტი – მონადირე", რომელშიც ვკითხულობთ:

„კვალდაკვალ მივდევ მე ახალ სახეს,
ტარიელივით გაჭრილი ველად,
ლურჯი ფრინველი სიზმარში ვნახე
და ის გამიხდა მე სანატრელად ...
კიდევ გამძლეა ჩემი ფეხები,
მივდივარ სულ წინ – თამამი სხვაზე,
ან სადმე ხევში გადვიჩეხები,
ანდა გამოვალ სანატრელ გზაზე".

სიზმრად ნანახი „ლურჯი ფრინველის" ძებნა რომ სიცოცხლის საფასურს მოითხოვდა, ეს კარგად მოეხსნებოდა ორდენის ყველა წევრს. ანუ, ორდენში გაერთიანება უკვე ნიშნავდა თავის განწირვას ახალი პოეტური სახეების შექმნისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლის რთულ გზაზე. სავარაუდოდ, ასეთმა დამოკიდებულებამ შვა მათ ცნობიერებაში ერთმანეთისადმი სიყვარულისა და ღრმა პატივისცემის გრძნობა. სიახლისადმი სწრაფვამ და ურთიერთპატივისცემის გრძნობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ დიდი სულიერი თანაცხოვრების პირობებში, ორი სათაყვანო ხატის, სამშობლოსა და პოეზიის გვერდით, მათ მესამე ხატის – ერთმანეთის თაყვანისცემა დაიწესეს. მითოლოგიურ და სიმბოლურ სახეთა მოტრფიალეებმა ძველი მითიური სახეები ახალი პოეტური სახელებითა და ცნობილ პერსონაჟთა ტიპებით შეცვალეს. ამ თვალსაზრისმა ვალ. გაფრინდაშვილის პუბლიცისტურ წერილში – „დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)" იპოვა ჩამოყალიბებული სახე.

დეკლარაციაში ნათქვამია: „დღეს პოეზია ქმნის რეალურ სახეებიდან სიმბოლოებს, ქმნის ახალ მითებს. წარმართულმა და ქრისტიანულმა მითოლოგიამ დაკარ-

გა თავისი კავშირი ჩვენ შეგნებასთან და პოეტიც სხვა ობიექტებს ეძებს თავისი შემოქმედებისთვის. ძველი მითები არავის არ სწამს, იმავე დროს ჩვენ გვინდა მითი, ჩვენ გვწყურია მითი" (ვალ. გაფრინდაშვილის დასახელებული წიგნი; გვ. 544). აქვე ხაზგასმითაა მითითებული, რომ თანამედროვე პოეზიას სურს გამოიყენოს პოეტის მაგიური სახელი, რომელიც აქამდე თითქმის მივიწყებული იყო. პოეტის პირადი ცხოვრება მისივე შემოქმედების უტყუარი სარკეა". ღმერთების ადგილს იჭერენ პოეტები და ძველ ანტიურ გმირების ადგილს იკავებენ ახალი გმირები ... ამნაირად იქმნება ახალი მითოლოგია, რომლის გმირები არიან არა ღმერთები, არამედ პოეტები და მათგან შექმნილი მანეკენები" (იქვე, გვ. 545).

მითიურ სახედ წარმოდგენას განსაკუთრებული ნიშაბ-თვისებები სჭირდებოდა, რომელიც პიროვნებათა გარეგნულ პორტრეტებსა და ხასიათის ღრმად დაფარულ შრეებში იყო საძიებელი. რა ნიშნით გამოარჩევდნენ ურთიერთს ჩვენი „ცისფერყანწელები" და რა თვისებებს აფასებდნენ ისინი ხაზგასმით პოეტ-მეგობარში? ამ „საიდუმლოს" ისევ ვალერიან გაფრინდაშვილის ჩანაწერი – „პოეტები წერის დროს" გვიმხელს. იგი ექსპრომტადაა დაწერილი და შვიდი „ცისფერყანწელის" იდუმალ პორტრეტს ხსნის. ესენი არიან: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ლელი ჯაფარიძე და თვით საკუთარი პიროვნება. ამ ჩანაწერის მიხედვით, გრიგოლ რობაქიძე უძილო ღამეში ფიქრობს ალკასა და „ფეხშიშველ" რითმებზე, და „საოცნებო ფანქრით გამოჰყავს მარმარილოს ტილოზე ლექსი", პაოლო „შეიძლება გენიოსია, შეიძლება უბრალო მოშაირეა, ხმაურს არ ერიდება და უყვარს პოე-

ტის სახელი, როგორც ღერბი, ლამაზი რითმები მოწყენილი აქვს, მაგრამ დაუღალავი აქტიორია". რიციანი „ორსულ ქალივით ჭირვეულია და ნაზი ... ლექსების წერა ემარჯვება სოფელში ... ლამაზი ხელი აქვს და ძვირფას ქაღალდზე უყვარს წერა ... მის მაგიდაზე ბევრი წიგნებია – წიგნებში დაუთავებელი ლექსები ... მისი რითმა ჟრუანტელის ანტრაქტია... „ (იქვე, გვ. 517). საინტერესოა, რომ ამ სამი პიროვნებისადმი მიძღვნილი ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსები, დაწერილი სონეტის ფორმით, იგივე შთაბეჭდილებებს ასახავს, მხოლოდ განსაკუთრებული მითიური სამოსით შებურულს. 1920 წელს დაწერილ ლექსში, რომლისათვისაც ლათინური ტერმინი „DIVGTION" უწოდებია ავტორს, აღწერილია აჩრდილებით სავსე საღამო ქალაქში, ტრამვაის ხაზებით, კაფეებით, „ბალაგანითა" და „სხვა პარადით". საღამოს იდუმალებას მატებს გრიგოლის გარდაცვლილი ქალიშვილის პატარა ალკას ფრთიანი აჩრდილი, რომელსაც ეკუთვნის მამის მეგობართა დიდი თანაგრძნობა. მაგრამ, საღამოს მთელი სიდიადე მაინც მეგობართა მისტიურ სახეებშია გამოხატული:

„ჩვენი ძეგლებით მედიდურობს ქუჩა გვიანი:
პანი – გრიგოლი ამართულა ვით ოქროს ბუდდა.
გამოკვეთილი ალმასიდან სდგას ტიციანი.
ბრწყინავს პაოლო, ბუმბერაზი და ნაღდი მუდამ".

ლექსის სივრცული მასშტაბი მოკლე და ლაკონურია, დრო ასევე შეზღუდული, ხოლო დინამიკა საოცრად მოქნილი, რისი წყალობითაც ეს „ძეგლები" მუდმივ მოძრაობაში არიან. გარემოსა და პერსონაჟთა სახეების მისტიკური ელფერი კიდევ უფრო ამძაფრებს შთაბეჭდილებას მკითხველზე. მთელი ეს პროცესი კი იძლევა იმის გარან-

ტიას, რომ „ძმობის“ ერთგული წევრები მითიურ ხასიათს იძენენ თავიანთი შთამბეჭდავი იერსახითა და შინაგანი სამყაროთი.

კიდევ უფრო მეტი იდუმალებით ხატავს მეგობრის პორტრეტს გაფრინდაშვილი სონეტში „გრიგოლ რობაქიძეს“ (სავარაუდოდ, 1915-1919 წლებშია დაწერილი). სონეტი გრიგოლ რობაქიძეს ნაპოლეონის მედიდური და ამავდროულად მკაცრი პროფილით ხატავს. პორტრეტს ავსებს „შავი ცილინდრი“, შავი ხელთათმანები, დამახასიათებელი ნაბიჯები და „ჩვენებათა ავი მზმანები“ ხმა. ეს გამორჩეული აქსესუარები ანიჭებენ მას განსაკუთრებულ იერსახეს და არაამქვეყნიურ ჩრდილს ფენენ. აქვე ხაზგასმითაა აღნიშნული მწერლის მისწრაფება მარტოსულობისაკენ:

„თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით
და სერაბიმი მარტოობის გდარაჯობს ხშირად,
რომ შენ, მზიური, დაიფერფლო ღამის ნახშირად“.

სერაბიმი სახეა მართალი და ერთგული სულისა, რომელსაც ადამიანის პირველსახე აქვს და იღწვის სრულყოფილების მიღწევისათვის. ამ გზის გავლის შემდეგ ის სამარადჟამო ნეტარებას იმკვიდრებს (წმინდა მამის ანტონი დიდის სწავლებიდან). პოეტის სულიერი მარტოობის მოდარაჯე სერაბიმის სახე ყურადღებას ამახვილებს მისი მფარველობის ქვეშ მყოფი პიროვნების არაამქვეყნიურ, იდეალიზებულ სახეზე.

საერთოდ, „ცისფერყანწელთა“ მიძღვნები ყოველთვის ემსახურება პიროვნების გაიდეალებას. ეს პიროვნება, ჩვეულებისამებრ, გამორჩეულია თავისი გარეგნული იერსახითა და შინაგანი ბუნებით, მარტოობისკენ სწრაფვით და ამიტომაც ბევრ საიდუმლოს მალავს. რთული ხასი-

ათის შტრიხების ამგვარი წარმოჩენაც ხელს უწყობს პოეტს ლირიკული გმირის მითოლოგიზირებაში.

მსგავსი იდუმალი ხილვებითაა სავსე ლექსი „პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე". ორი პოეტის შთამბეჭდავი სახე, „ორი ქიმერა", „ორი ბოგემა", დილიდან სავაჭროდ გამოსული, რაკი „უცნაურის უნდათ მოგება". მაგრამ სურვილი მირაჟია ... ჯიბეები მხოლოდ ვირთხებით ივსება და ჰაშიშით გაბრუებულებს ალბათ ჩამოხრჩობაც ელით.

პაოლოს ეძღვნება გაფრინდაშვილის კიდევ ერთი სონეტი – „პაოლო იაშვილს". ლექსი მიმართვის სტილშია დაწერილი და ასახავს პაოლოს არაერთგვაროვან ბუნებას. ავზნიანი ზღვასავით მღელვარე პაოლო აღმერთებს მეგობრობას, სურს ცხოვრება გადააქციოს დღესასწაულად, მაგრამ მის სულში ჩაღვრილი მათრობელა გრძნობა ახალ სკანდალებისკენ უბიძგებს პოეტს და სულ სხვა სახეს იღებს ის:

„მოგენატრება აპაშებთან ცეკვა, ზარხოში.
დაუდგრომელო! როგორც რემბოს გიხმობს პარიზი-
შენი ყოფილი იალაღი და ასპარეზი".

ვალერიან გაფრინდაშვილს ეკუთვნის ასევე ლექსები მიძღვნილი სანდრო ცირეკიძის, ალი არსენიშვილის, ნიკოლო მიწიშვილისადმი. ყველა მათგანი დაწერილია მეგობრისადმი ღიდი თაყვანისცემითა და სიყვარულით. როგორც ზემოთ განხილულ, ისე აღნიშნულ ლექსებშიც წინაა წამოწეული ადრესატის პიროვნული ღირსება, შინაგანი და გარეგნული მახასიათებლები ... ხშირია მათი მიმსგავსევა უცხოელ პოეტებსა, მწერლებსა და მათ პერსონაჟებთან. მეტი კოლორიტისათვის არაიშვიათად იხსენიებენ უცხო ქვეყნებსა და ქალაქებს, ეგვიპტურ პირამიდებსა და სფინქსებს... „ევროპული რადიუს-

ით“ ქართული პოეზიის გამართვა უამრავ ახალ სახესა და მხატვრულ ხერხს მოითხოვდა, რომელთა შექმნა არ იყო ადვილი.

„ცისფერყანწელთა“ პოეტურ მიძღვნებში განსაკუთრებით გამორჩეულია გრიგოლ რობაქიძის სონეტები: „პაოლო იაშვილს“, „ვალერიან გაფრინდაშვილს“, „ტიციან ტაბიძეს“ და „სონეტი ლოცვის (ახალ მხედართ)“, რომელიც ერთდროულად ეძღვნება ოთხ პოეტსა და მეგობარს: ვალერიან გაფრინდაშვილს, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძესა და გალაკტიონ ტაბიძეს (ლექსი 1916 წლითაა დათარიღებული და ამ დროისათვის გალაკტიონი ახლო ურთიერთობაში იყო „ცისფერყანწელებთან“). ეს უკანასკნელი ღრმა ლირიული განწყობით გამოირჩევა. აქ არსად ჩანს მეგობართა სახეები, რომელთაც „ახალი მხედრები“ უწოდა პოეტმა. მხოლოდ ლოცვა უფლისადმი ავსებს ლირიკუტი ლექსის მთელ სივრცეს. ეს სივრცე სევდიანი, მწვავე ფიქრით სავსე და მთვლემარეა, ისევე, როგორც პოეტის სული, რომელსაც აღარ ათრობს სატრფოს უნაზესი და მთრთოლვარე ხმა. სონეტი მთავრდება უფლისადმი ვედრებით (საგულისხმოა უფლის სახის აღმნიშვნელი ეპითეტები: მშვიდი, ლაღი, მაღალი, წყნარი, მზე-გრძელი):

„ჩაეშვი ჩემი სულის თასში, ვით გრილი წყარო,
იხსნება შენთვის გული ჩემი, სათუთი ნელი...
ნეტარობს შენით ჩემი კრთომის ყოველი წნელი...“

როგორც შევნიშნეთ, ცალკე უძღვნა გრ. რობაქიძემ სონეტები მეგობარ „ახალ მხედართ“. ეს მიძღვნები სკრუპულოზურად აღწერენ თითოეული პერსონის ღრმად ინტიმურ ხასიათს. მიმართავს რა უშუალოდ ადრესატს, პოეტი ხშირად ხმარობს ნაცვალსახელებს: შენ, შენი,

შენში, შენც ხაზგასმით მიუთითებს მათ წილნაყარობაზე მითიურ სახეებსა და სახელებთან:

„შენ გესმის მუდამ ჯადოსანი ხმა შორეული,
სურნელოვანი შენში თითქო ვიღაცა მოჰკლეს.
ორეულების მასკარადზე სიზმარეული
მალვით გინიშნავს შენი ცალი პაემანს მოკლეს
ორეულების მასკარადზე სიზმარეული
მალვით გინიშნავს შენი ცალი პაემანს მოკლეს.
გოლუბის მასკით შენც იქ მიხვალ თვით ორეული,
მაგრამ მის ადგილს შეეყრები მხოლოდ მის მომკელს...“

(„ვალერიან გაფრინდაშვილს“)

„შენში იწვიან ძველ ქურუმთა ლოცვის თესლები
ტკბილი სინელით ესიტყვება გვართა მოიარს,
ხსოვნას გილბობენ იზიდასი შენ სარეცლები;
ქალდეას სიზმარს რომ აგძელებ ასე ზმორიანს...
არ შეგეშინდეს ძნელი ცნობის ბავშვო ტიციან:
რომ დიონისო შენი ჩუმი ძმადნაფიცია“.

(„ტიციან ტაბიძეს“)

„... ხარ უცნაური, ქედმაღალი, ურჩი თავნება,
გშვენის ყივილი და ნავარდი დაჭრილ კენტავრის...
ერთი შეძახით შეარყიე მრავალი ტახტი,
უდარდო ხელით მოაბნიე თვალმარგალიტი“.

(„პაოლო იაშვილს“)

დასკვნისათვის: „ახალი დროის მითოლოგია“ „ცისფერყანწელთა“ ორდენის წარმომადგენელთა შემოქმედებით ინოვაციას წარმოადგენდა და ერთგვარი დისო-

ნანსიც შემოიტანა ქართულ მწერლობაში ბოჰემური ცხოვრების მოტრფიალე, სულით ხორცამდე პოეზიაზე შეყვარებული და ახალ პოეტურ სახე-სიმბოლოთა გატაცებით მაძიებელი მოაზროვნენი ცდილობდნენ ევროპულ სტანდარტებზე აეწყოთ ქართული ლექსი. ამ ლექსების ადრესატები კი უნდა ყოფილიყვნენ რეალურად არსებული, არა მხოლოდ ზეციური, არამედ მიწიერი სიყვარულით გამთბარ პოეტთა სახეები, რომელნიც თავიანთი განსაკუთრებული ბიოგრაფიებითა და მხატვრული სთაგონებით ახალ მითოლოგიას შექმნიდნენ". პოეტები ბრუნდებიან ხელოვნების ელისეის მინდვრებიდან, ბრუნდებიან პოეზიის ელიზიუმიდან და როგორც ელიაზარი, ათბობენ თავის გაყინულ სხეულს სინამდვილის მზეზე. სიმაღლეების სუსხიან ქარის შემდეგ მომხიბლავია ბარის თბილი ნიავი. ეს არ ნიშნავს ჩვენი წარსული მიღწევების უარყოფას. ეს არის დაბრუნება მიწასთან", – წერდა ვალ. გაფრინდაშვილი (დასახელებული წიგნი; გვ. 548-549). ასეთია მე-20 საუკუნის „ახალი მითოლოგია", მითოლოგია, რომელსაც კვებავდა კაცთა შორის ყველაზე დიდი გრძნობა, სიყვარული, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ამიტომაც დარჩა ქართულ პოეზიას ამ სიყვარულით გამთბარი და ნასაზრდოები „ცისფერყანწელების" შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

„წიგნს ნაფიქრი დავარქვი...“

(გიორგი შატბერაშვილის სამეცნიერო-ლიტერატურული ნერილები)

ცნობილი ქართველი მწერალი, პროზის დიდოსტატი გიორგი შატბერაშვილი, თავისი მოღვაწეობის მანძილზე არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მხატვრული შემოქმედებით. მის სახელთანაა დაკავშირებული არაერთი სამეცნიერო-ლიტერატურული და პუბლიცისტური ნარკვევი, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქართული აზროვნების ისტორიისათვის.

1959 წელს მწერალმა გამოსცა წერილების კრებული, რომლის წინასიტყვაობაშიც შეეცადა გაერკვია წიგნის მთავარი თემა და მისი დანიშნულება, რითაც საშუალება მისცა მკითხველს, ღრმად ჩაეხედა მწერლის ნაფიქრ-ნააზრევში და ერთგვარი შეფასებაც მიეცა მისთვის. „წიგნს „ნაფიქრი“ დავარქვი... ცხადია, ყველაფერი... რაც თავში და გულში გვიტრიალებს, ფიქრის შედეგია, ნაფიქრია, ამიტომ ამ წიგნის სახელიც არაზუსტი და პირობითია... შეუძლებელია, რომ მწერალი არ უფიქრდებოდეს იმ საკითხებს, რასაც მისი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ისტორიოგრაფია, ფოლკლორისტიკა და საერთოდ, თანამედროვეობა აღძრავს“ (შატბერაშვილი, გვ. 3).

გიორგი შატბერაშვილის სახელი იმთავითვე დაუკავშირდა სიმართლის გამტანობისა და ამ გზაზე მავალი მოყვასის დახმარების იდეალს. ცნობილი ფაქტია, რომ მხატვრულ ნაწარმოებებში მართლის თქმისათვის მას უმკაცრესი სასჯელი მიაგო კომუნისტურმა მმართველო-

ბამ. მწერალი, იმავდროულად, მხარში ედგა და აქტიურ თანადგომას უცხადებდა ახალბედა მწერლებს, რომელთაც პარტიული სტრუქტურები ბრალს დებდნენ კომუნისტური იდეოლოგიის უგულვებელყოფაში. ცნობილია, თუ როგორ აფასებდა ის თავისუფალი წერის მანერას, სიახლეს მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ აღნაგობასა თუ თემატურ რკალებში. ამ თვისებაზე მიგვანიშნებს მწერალი „ნაფიქრის" შესავალშიც, როდესაც წერს: „... თავისი აზრის საქვეყნოდ გამოთქმას ეგებ გაჩუმება სჯობდა... მაგრამ, როგორც ჩანს, მეც იმათ რიგს ვეკუთვნი, ვინც „ვერ ითმენს" და თავის ნააზრევს საზოგადოებას აწვდის. ისიც უნდა დავუმატო, რომ ამას მაიძულებს გულწრფელი სურვილი, ერთგვარი სპორტული ჟინი ამა თუ იმ საკითხის სიმართლით გამორკვევისა (შატბერაშვილი, გვ. 3).

მწერლის აზრით, მეცნიერულ ნაღვაწს, რაც არ უნდა მცირე ღირებულების იყოს ის, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მკვლევარისთვის. „მჩხრეკავი" მწერალი კვლევისას უზარმაზარ ცოდნასა და გამოცდილებას იძენს. ამავე დროს, ირკვევა, საცნაური ხდება უამრავი მივიწყებული და გამორჩენილი მნიშვნელოვანი საკითხი, მით უმეტეს, თუ ის სიმართლითაა განმტკიცებული.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოქცეულია კვლევითი ხასიათის წერილები და „გუშინდელი" ეწოდება. მეორე ნაწილი კი ეთმობა ლიტერატურულ წერილებს და მხატვრულ ნარკვევებს სათაურით – „დღევანდელი". ყურადღებას იქცევს მწერლის წინასწარი გამაფრთხილებელი მიმართვა მკითხველისადმი, რაც გამოიხატება შემდეგში: „ზოგჯერ შემცდარი აზრის გამოთქმა სიმართლის გამორკვევას ემსახურება, მით უმეტეს, ისეთი საკითხის რკვევისას, რაც მანამდე არავის დაუყენ-

ებია და არავითარი წინამძღვარი არ ჰქონია სპეციალურ ლიტერატურაში.

თუ ამ გზაზე ჩემი შეცდომები გამოჩნდება, სიამოვნებით გავიზიარებ ყველა სასარგებლო შენიშვნას, უარვყოფ უარსაყოფელს“ (შატბერაშვილი, გვ. 4).

„ნაფიქრში“ ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა წერილი სათაურით – „ბარნოვის აზრით“.

მე-20 საუკუნის ქართული პროზის დიდოსტატისა და ისტორიული რომანის მამამთავრის, ვასილ ბარნოვის სახელი მკითხველისათვის ძალზე მახლობელი და საცნაურია. თუმცა, ცოტამ თუ იცის მისი მუშაობის სტილი, გამომდინარე პირადი თვისებებიდან. ესაა აზროვნების მეტად თავისუფალი სტილი, მხატვრული შემოქმედების განხილვისას. გიორგი შატბერაშვილი სწორედ ამ თავისუფალ სტილს ჩაეჭიდა, როცა განიხილა ბარნოვის მონოგრაფია ქართველი რომანტიკოსის, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. მონოგრაფია დაბეჭდილა 1927 წელს, ჟურნალ „ქართული მწერლობის“ მე-5 ნომერში. შატბერაშვილის აზრით, „იშვიათი და ფრიად თავისებური კრიტიკულ – პოეტური დოკუმენტია ეს დიდის გზნებით დაწერილი განხილვა ქართველი პოეტის შემოქმედებისა (შატბერაშვილი, გვ. 168). სანამ უშუალოდ პოეზიის განხილვას შეუდგებოდეს, ბარნოვი განიხილავს რომანტიკოსი პოეტის პიროვნულ სახეს, რომელიც მე-19 საუკუნის საქართველოს ცხოვრების „საბედისწერო გზაჯვარედინზე დგას დაფიქრებით“. პოეტის სახეს მწერალი წარმოადგენს მის მიერ განვლილი ცხოვრების გზაზე:

„1804 წელს მონაწილეობა მიიღო რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში“.

„მონაწილეობა მიიღო 1812 წლის ომებში და პოლკ-

ოვნიკობა უბოძეს. შემდეგ ღენერლობაც დაიმსახურა".

„არ მიიღო მონაწილეობა 1832 წლის აჯანყებაში: არ კი გასცა ეს საიდუმლო. ურჩევდა თავი დაენებებინათ წინააღმდეგობისათვის: საქართველოს ძალა არ შესწევსო განდევნოს რუსნი... ისევ დააპატიმრეს და ტამბოვში გაგზავნეს. იმაზე თუ უწყრებოდნენ, მთხრობლად არ გამოხვედიო" (შატბერაშვილი, გვ. 169).

როგორც ჩანს, ჭავჭავაძის პიროვნების ბარნოვისეული შეფასება ლაკონური და ზუსტი აღმოჩნდა შატბერაშვილისათვის. ამ შეფასების მიხედვით პოეტის პიროვნებაში ორი აზრი იბრძოდა – მამისეული სწრაფვა ახალი ცხოვრებისაკენ და თვით ქართველის სულის ზიზღი მონობისადმი. თავისი ცხოვრების პირველ ხანაში ის ებრძოდა ამ მონობას, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა დაემორჩილა ახალ წყობილებას და წარმატებებსაც მიაღწია. „მერყევი სულის დრამატიზმი" – ასე შეაფასა ვასილ ბარნოვმა ალექსანდრე ჭავჭავაძის სულიერი ცხოვრება.

მონოგრაფია მან შვიდ თემატურ რკალად დაყო – მიმართვა, საყვარლის სახე, შესტრფის სატურფალს, კარნი განხმულნი, ედემი ხშული, ისევ და ისევ ღვინითა, დარდის ლანდები... აი, ის მთავარი თემატური პრობლემები, რომელიც ბარნოვმა ამოიცნო და ახსნა პირველი ქართველი რომანტიკოსის პოეზიაში. შატბერაშვილი განსაკუთრებული ყურადღებით მიუთითებს მწერლის შთამაგონებელი აზროვნების თავისებურებაზე, რაც მდგომარეობს პოეტური შედევრების ზოგჯერ განსხვავებულ წარმოსახვებზე, როგორც თვითონ წერს, ის „თავისგუნებისად ალაგებს" ჭავჭავაძის პოეტურ სტრიქონებს, ზეპირად, წიგნში ჩაუხედავად იხსენებდა მას. აქ ეჭვს გამოთქვამს შატბერაშვილი, ექსტაზში შესული მწერალი

შეჯიბრს ხომ არ უმართავდა თავის საყვარელ პოეტს!

იქვე, ამის შესაბამისი მაგალითიც მოაქვს მწერალს:

„აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად“ (ალ. ჭავჭავაძე);

„აქაცა მჯდარა ერთგზის ძალა ტახტსა ამაყად (ვ. ბარნოვი)

საკუთარი ხმაც არ დაუშურებია მწერალს, როდესაც ჭავჭავაძის სევდიან პოეტურ განწყობას შეეხება მისი შთაგონება:

„დარდი დაჰბურავს ალექსანდრეს გულს,
ქუფრ ბურუსად შემოაწვება,
როდესაც წარვლენ კეთილნი დრონი.
და საკანში ზის –
ცრემლით მგონე გარდასრულ შვების... „ (შატბერაშვილი, გვ. 171).

თითოეულ რკალს ვ, ბარნოვი დიდი რუდუნებით „თხზავს და ჰკინძავს ხიდად თუ ძეწკვად. ერთს თვითონაც ამოიძახებს, გადააბამს, ერთმანეთს შეუტოლებს, რომ მთლიანი პოეტური განწყობილება შექმნას“ (შატბერაშვილი, გვ. 170).

მონოგრაფიაში ბარნოვი ჭავჭავაძის შემოქმედებას გარკვეული მიზნით ბესიკისა და ბარათაშვილის პოეზიას ადარებს. შედარების შედეგს კი კამათის სახით გადმოცემულ მონოლოგში გვიმხელს: „არა, ბესიკის მოწაფე არ არის აქ ალექსანდრე, თუმცა მასავით სასიმღერო ჰანგი გამოაქვს, საგალობლებს აწყობს სატრფიალო სიმშვენიერეზედ. ალექსანდრე ამ ლექსებში ეთვისება უფრო ქეშიშ დარდიმანდს: მის სიმღერების ნალეწები ჰმოწმობენ ამას. განვითარდება ეს თქმა, როცა შეკრებენ დავიწყებულ პოეტის ლექსებს“ (შატბერაშვილი, გვ. 172).

„არა არა ჰგავს ალექსანდრე ბარათაშვილსა,
რომლის მძლე ნიჭმა არ მიიღო ძნელი მონობა;
გადალახა ბედის სამზღვარი
და წარესწრაფა უვალ გზებით იმ ნათელისკენ
შორს ტატნობზე რომ მოჩანდა, მოციაგობდა.
მის აღტაცებამ გასწირა ყველა, სიყვარულიც კი,
რომ გაეკაფა გზა დახშული კეთილისაკენ“ (შატბერაშვილი, გვ. 172).

გიორგი შატბერაშვილი შენიშნავს, რომ ვასილ ბარნოვისათვის სიმღერა უცხო არ ყოფილა . შემოქმედებით წუთებში, ბარნოვს ჩვევად ჰქონია ჩუმი ხმით დუდუნი, თავისებური მღერა. ალბათ, ამიტომაც აღიქვამდა იგი ჭავჭავაძის პოტურ სტრიქონებს საგალობლებად, რადგან მონოგრაფიის დასასრულს, სურვილს გამოთქვამს ალ. ჭავჭავაძისა და ბესიკის პოტურ შემოქმედებათა საგალობელი ნიშნებით გამოცემას.

რომანტიკოსის „მწარე ოცნება“ და მკაცრი სინამდვილე

„მწარე ოცნება გულს ვერ მიქარებს“, წერს ერთ თავის ლექსში ვახტანგ ორბელიანი, პოეტი, რომელმაც ყმაწვილობაშივე განიცადა თავისი სახელოვანი პაპის რუსული ორიენტაციის მწვავე სუსხი. ეპოქის ღვიძლმა შვილმა იცხოვრა და იმოღვაწა ისე, როგორც შეჰფეროდა მე-19 საუკუნის საქართველოს ბრწყინვალე წოდების ერთ წარმომადგენელს, ჩვეულებრივ – ფიზიკურად მორჩილს, გულით და აზროვნებით კი – მეამბოხეს. „საწყალს, თავის ტანჯულ წარსულსა და უიმედო აწმყოზე არ უყვარდა ლაპარაკი“-ო, მოგვიანებით შენიშნავს მემუარებში მისი ერთადერთი ქალიშვილი, უსათნოესი მარიამ ორბელიანი. ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის პოეტური მემკვიდრეობა ამ წარსულისა და აწმყოს ნაზავია, მამულიშვილური გრძნობით ნასაზრდოები, ტკივილიანი ფიქრითა და „მწარე ოცნებით“ სავსე.

ალბათ, იშვიათია ისეთი პოლიტიკური ელფერის მქონე პოეტური აზროვნება, როგორიც მე-19 საუკუნის ლიტერატურულ პროცესებში ჩანს. მთელმა რიგმა პოლიტიკურმა ძვრებმა, მსოფლიოს ხალხთა ერთგვარმა გამოფხიზლებამ და თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების მოსაპოვებლად ბრძოლამ, ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ევროპულ სივრცეში შეუწყო ხელი მწერლობაში ახალი იდეოლოგიური აზროვნების დამკვიდრებას. ეს აზროვნება იყო არაერთგვაროვანი, მიუხედავად მის დამამკვიდრებელთა სოციალური და ეროვნული წარმოშობისა. ამ იდეოლოგიურ რკალში მოექცა მსოფლიოს ლიტერატურულ პროცესთა შორის ერთ-ერთი უმნიშ-

ვნელოვანესი მიმდინარეობის, რომანტიზმის წარმომადგენელთა მთელი პლეადაც.

რომანტიზმის არსი ხომ უპირველესად გულისხმობდა პიროვნების მძაფრ შეგრძნებას, მის ევოლუციას ადამიანთა საზოგადოებაში, ზოგადად, მიწიერსა და კოსმიურ სამყაროში. რამდენადაც ეს ევოლუცია იყო რთული, ხშირად ამოუხსნელი და შეუცნობელიც კი, იმდენად რთული იყო მისი მხატვრულ სიტყვაში განსახოვნებაც. ალბათ, ამიტომაც უწოდებს ლიტერატურისმცოდნე ვახტანგ კოტეტიშვილი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარს „თითქოს ულიტერატურო ხანას“. იგი თავად შეეცადა აეხსნა ამ ხანის ლიტერატურული ცხოვრება, რომელიც ერთგვარი გაურკვევლობის ბურუსში გახვია თვით ამ ცხოვრების წარმმართველმა საზოგადოებრივმა ფენამ. „საზოგადოების მაღალი ნაწილი, ნებსით, თუ უნებლიედ, დაეშვა რუსიფიკატორული პოლიტიკის დაღმართზე, მწერლები კი ქანაობდნენ ძველისა და ახლის შორის, იმედისა და სასოწარკვეთილობის საზღვარზე, დამოუკიდებელ საქართველოზე მეოცნებენი და მისთვის განწირულები“ (კოტეტიშვილი, 1959; გვ43). აი, ამ „მეოცნებეთა“ შორის მოვიაზრებთ ვახტანგ ორბელიანს, დროთა ბრუნვისაგან, თუ სხვა გარემოებათაგან დღეს მივიწყებულს (შევნიშნავთ, რომ კრიტიკოსმა ზაზა აბზიანიძემ ბოლო პერიოდში შეგვახსენა მისი პიროვნული სახისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელობა რომანტიკული აზროვნების თვალსაწიერზე).

საგულისხმოა ფაქტი, რომ ვახტანგ ორბელიანის გარდაცვალებიდან ოთხი წლის თავზე ილია ჭავჭავაძე წერს მნიშვნელოვან ბიოგრაფიულ ნარკვევს „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის – ძის თავ. ჯამბაკურ-ორბელიან-

ისა“ (ნარკვევი დაერთო ვახტანგ ორბელიანის ლექსების კრებულს, გამოცემულს 1894 წელს), რომელშიც მაღალი შეფასება მისცა მის პიროვნებას, ფართო ერუდიციას და მამულიშვილურ გრძნობას. „კერძო ცხოვრება და თავგადასავალი პოეტისა ამხსნელია და გამომრკვეველი მისის პოეზიისა“, წერს ილია და ამიტომაც ნარკვევში ყურადღება გაამახვილა პოეტის აღზრდისა და პიროვნული ჩამოყალიბების შინაურსა თუ გარე ფაქტორებზე. მის პოეზიაში კი განსაკუთრებულად შეაფასა ქვეყნის ისტორიული წარსულის იდეალიზებული ასახვის ორბელიანთათვის დამახასიათებელი მხატვრული მეთოდი (ჭავჭავაძე, 1958; გვ. 216-217).

ლიტერატურის კრიტიკოსები ხშირად მიუთითებენ ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების უსაზღვრო პატრიოტულ ხასიათზე. ბუნებრივია, თეკლე ბატონიშვილისა და მისი უფროსი დების ნაზი, ზომიერად პოლიტიკური ელფერის პოეტური აზროვნება მის შემეცნებაში ბავშვობიდან ზრდიდა ეროვნული ტრაგედიის მძაფრ შეგრძნებას. ქართული რომანტიზმის „საოცნებო კარის“ გაღება ხომ ბატონიშვილთა სახელებთან იყო დაკავშირებული. „ჩრდილოთ ღრუბლისგან“ მოგვრილი „ცრემლთა ზღვანი“, „სახმილთ გზნებანი“ და დაქცეულ პალატებზე „სიმწრით გოდება“ ბატონიშვილთა ლექსებიდან გაისმა პირველად. ეს პროცესი გაგრძელდა ათეული წლების განმავლობაში, „ტკბილი ოცნებების“ მსხვრევამდე და სამშობლო ქვეყნიდან გადასახლებამდე. ქართველ თავადაზნაურთა უიღბლო შეთქმულების მონაწილე ორბელიანთა ოჯახის პატიმრობის სიმძიმეზე მიუთითებს ანასტასია ბატონიშვილის წერილები უმცროსი დის – თეკლესადმი. ბატონიშვილი ერთ-ერთ წერილში საგანგებოდ მიმართავს თეკლეს ვაჟს

ვახტანგს: „... გენაცვალე, ჩემო ვახტანგ, რა შენი საქმეა სევდიანობა? შენ აკი მაგარი გული გაქვს! კაცი რამდენიც გამოიცდება, უკეთესია და არა უნდა რა იწუხო, შენმა გაზდამ, რომ გამოიცდება კაცი უფრო ჭკუა მოემატება, კარგი კაცი შეიქნება, ღმერთსაც მოიმადლებს და ხელმწიფესაც... ღვთისმოწყალებით, ნურას იფიქრებ შენის დაფიქრებით, დედას ნუ შეაწუხებ" (ხეც შდ – 2195; შ – 1600). სწორედ პატიმრობის პერიოდში განცდილი წუხილის ნაყოფია ლექსი „მოგონება":

„სამშობლოსაგან ეტლით ვიყავ მოშორებული;
ვიყავ ჭაბუკი, სამშობლოსკენ იწევდა გული.
დღედაღამ მედგა დაბუნდვილთა ჩემთ თვალთა წინა
ჩვენი მამული, მშვენიერი ჩვენი ქვეყანა...
მესია სევდა, ლოდინითა დაბერდა გული... "

მოგვიანებით, პატიმრის სევდა და წუხილი შეცვალა იავარქმნილი მამულის ნახვით მოწოლილმა ნაღველმა. ამ პერიოდის ლექსები სავსეა წარსულის სურათების გახსენებით. წარსულში მიბრუნებული პოეტის მზერა დაჟინებით აღადგენს ისტორიის უმკაცრეს ფურცლებს, გმირული ბრძოლების ბატალიებს, გმირთა სახეებს, რომელნიც დაუნანებლად დებდნენ საკუთარ სიცოცხლეს სამშობლოს საკურთხეველზე. ისტორიისადმი პოეტის მგრძნობიარე დამოკიდებულებაზე მიგვითითებს მარიამ ორბელიანის მოგონება მამასთან ერთად დმანისში მოგზაურობის შესახებ: „... გადავედით ძველ დმანისში, აქ მხოლოდ ძველი ქალაქის ის ნანგრევები-ღა იყო დარჩენილი, რომელიც მამაჩემმა სიყვარულით აღწერა თავის სევდიან ლექსებშიც... ამ ნაშთების ნახვისას მამაჩემი ღრმა ფიქრებმა გაიტაცა. მე შევამჩნიე, როგორი სევდა ჰქონდა მას მოწოლილი" (მე-19 ს-ის ქართველი მოღვაწენი; 2009; გვ. 81).

ლექსი „ძველი დმანისი“ საუკეთესო ნიმუშია წარსულის რომანტიკული განცდის პოეტური ამეტყველებისა:

„მოგესალმები მამა-პაპის მაგარ სადგურო,
დიდ ხანს ვერ გნახე და აწ მინდა დიდხანს გიყურო!
მოგესალმები დიდთ ნანგრევთა პატრონი თქვენი,
დიდის შენობის, როგორც თქვენა საბრალო შთენი,
ვდგევარ თქვენ წინა თავმოხრილი, ფიქრით მოცული,
ვდგევარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული“.

„დიდის შენობის“ იავარქმნილი სურათი სდევდა ვახტანგ ორბელიანის პოეზიას მაშინაც-კი, როდესაც რუსული მმართველობის პოლიტიკას გარეგნულად შეგუებული, მსახურობდა მაღალ სამხედრო თანამდებობაზე. საგულისხმოა მისი დამოკიდებულება რუსეთის სამეფო კარის მიმართ. როდესაც დიდმა მთავარმა შესთავაზა ქალიშვილის, მარიამის, პეტერბურგში დედოფლის ფრეილინად განწესება, მამა სასტიკად წინაღუდგა ამ ფაქტს. თვით მარიამ ორბელიანი იგონებს, თუ როგორი აკანკალებული დაბრუნდა მამა სახლში ამ შეთავაზების შემდეგ, როგორ მიიღო ეს შეთავაზება შეურაცხყოფად და უარი თქვა შვილის გაგზავნაზე „იმ გახრწნილების ბუდეში“.

ვახტანგ ორბელიანის თეორიულ-პოლიტიკური აზროვნება ზოგადად ემთხვევა გრიგოლ ორბელიანის მსოფლმხედველობას. მათი აზრით, რუსეთთან დამოყვრების ფაქტი ისტორიულად გარდაუვალი და პროგრესული მოვლენა იყო, მხოლოდ, ყოველგვარი ეროვნული დამცირება-დაკნინებისა და ჩაგვრის გარეშე. ამ „მოყვრული“ ურთიერთობიდან ისინი მოელოდნენ ბევრ სიკეთეს, რომელიც გამოიხატებოდა, როგორც ერის ფიზიკურ გად-

არჩენაში, ასევე, ვიწრო ეროვნული ჩარჩოებიდან გამოსვლასა და ევროპული განათლების ხელმისაწვდომობაშიც. მე-19 საუკუნის მოაზროვნეთა ოცნება ქართველი ერის პიროვნული ღირსების, სარწმუნოებრივი ტრადიციების და ენობრივი სიმდიდრის მსოფლიო მასშტაბით გაბრწყინებაზე ხომ ყველაზე მკაფიოდ გრიგოლ ორბელიანის ერთ ციტატაში გამოისახა:

„შენი ივერი აღდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით, ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!“

ილია ჭავჭავაძე თავის მოსაგონარში ხაზგასმით შენიშნავს ვახტანგ ორბელიანის განათლების დონესა და კერძოდ, წიგნის კითხვისადმი შეუნელებელ ინტერესზე. მაგალითად მოჰყავს ციტატა მისი ლექსიდან „ძველ მეგობარს“:

„მოდიო, იწვევს თავ. ვახტანგ თავის მეგობარს:

მოდი, აქ მიძევს თვალთ წინა, რუსთველის დიდი ქმნილება,

იმის ფურჩვნილის ლექსებით სული და გული დავიტკბოთ,

გეტე, შექსპირი, შილლერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ“.

აი, რა გამოჩენილ ავტორებთან ჰქონია საქმე... და წიგნების კითხვის წყურვილით რა ზღვას დასწაფებია (ი. ჭავჭავაძე. 1958; გვ. 233)“.

ვახტანგ ორბელიანის პოეზიაზე დაკვირვებული თვალი ადვილად შენიშნავს პოეტური აზროვნების მკვე-

თრ ექსპრესიულობას კონტრასტების საშუალებით. მის პოეზიაში ხშირად ერთმანეთს უპირისპირდება ცნებები: „ტკბილი და მწარე ოცნებები“, „ორი სიზმარი“, „ორი შენობა“, „უფსკრული და მყინვარი“ ... 1879 წელს დაიწერა იავარქმნილ მამულზე ფიქრით სავსე ლექსი „ორი სიზმარი“, რომელშიც რომანტიკოსისათვის ჩვეული მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული ორი ზმანება ქვეყნის აწმყოსა და სანატრელ მომავალზე. ეს ზმანება რომანტიკოსი პოეტისათვის ერთგვარი საშუალებაა რეალობის შესაცნობად და მომავალზე საოცნებოდ. (საგულისხმოა ალბათ ის ფაქტი, რომ ორი წლის უკან მსგავსი შთაგონებით შეიქმნა ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რომელშიც გრიგოლ ორბელიანმა „ტკბილ სიზმრად“ დასახა ქვეყნის წარსული და ამ სიზმრით მოხიბლულმა „არ გამოფხიზლება“ ინატრა). ვახტანგ ორბელიანის სიზმრებში სამშობლოს ზმანება ორგვარია. პირველ სიზმარში „ივერი უსულდგმულო და მკვდარია“, მისი დიდებული ტაძარნი კი „შემუსვრილნი, დარღვეულნი და დატოვებულნი“. თუმცა „მკვდარიც კი იყო ტურფა და მშვენიერი“. მეორე სიზმარში ივერია გაბრწყინებული და განათებულია, დიდებული შენობები ნანგრევებიდან აღმდგარნი, ცა – ნათელი და მშვენიერი, ერი კი – ბედნიერი. ამ სიზმრიდან გამოღვიძება უფრო მწარე და სევდის მომგვრელია პოეტისათვის.

შეიძლება აქ გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ლექსი „დაკარგული ედემი“, რომელშიც პოეტი, განსხვავებით ვახტანგ ორბელიანისაგან, გამოღვიძებას უფრო ეტრფის, ვიდრე ტკბილ ძილს. ტერმინი „ედემი“, იგივე – სამოთხე, ნიშნეულია ძველი აღთქმის წიგნიდან, რომელიც დაკარგა ადამიანმა ცოდვით დაცემის შემდეგ. მას აქეთ კაცო-

ბრიობა დაუსრულებლად მიილტვის დაკარგული ედემის, როგორც გამშვენებული, განათებული, ბედნიერი ცხოვრების სიმბოლური დაბრუნებისაკენ. ილიას ედემში თავისუფლება მონებაზე ძლიერია, მაგრამ ხალხისთვის მიუწვდომელი, რადგან იმ დიდ ედემში თავისი კუთვნილი ედემი დაუკარგავს მას. ეს „კუთვნილი ედემი“ კი საქართველოს წარსული დიდებაა, რომლის აღდგენასაც დიდი მხნეობა, დიდი მღვიძარება სჭირდება. როგორც ჩანს, ერთსა იმავე სათუთ ფიქრსა და ოცნებაზე, რომელიც სამშობლო ქვეყნის მომავალს ეხებოდა, რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ ილიასა და ვახტანგ ორბელიანს. ეს საპირისპირო აზრი აისახა სწორედ ორბელიანის ლექსში „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, რომელიც ილია ჭავჭავაძის ლექსის „ჩემო კარგო ქვეყანავ, „გამო დაიწერა. საგრძნობი პესიმიზმი, რომელიც ერთგვარი თანამდევი იყო ყოველთვის ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა, აპოთეოზს აღწევს შემდეგ სტრიქონებში:

„მკითხავ, ჩემო პოეტო, რაზედ მოგიწყენია?
ნება მომეც, მეც გკითხო, შენ კი მოგილხენია?
მეუბნები, მარწმუნებ: „მომავალი ჩვენია!“
მაგგვარი იმედები ჩემს ყურს ბევრი სმენია!“

„უნდა ითქვას, ვახტანგ ორბელიანმა ზუსტად განჭვრიტა თავისი პოეტური მისია – „გზად და შემაერთებელ ხიდად“ ყოფილიყო „ძველ რომანტიულ ლირიკასა და ახალ რეალურ პოეზიას შუა“ (კიტა აბაშიძე). თავისი „მწარე ოცნებით“ წარდგა პოეტი „დიდი კარის წინ“, როგორც გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ამავე სათაურით დაწერილი ლექსით იწინასწარმეტყველა (ეს ლექსი უძღვ-

ნა თავის ქალიშვილს, მარიამ ორბელიანს):

„მიველ კარს დიდსა,
ველი ჩემს რიგსა,
სოფლისგან გულით დაწყლულებული, –
რაც მე გამტანჯა
და რაც დამსაჯა
მასა გრძნობს შენი ეგ წრფელი გული“.



რომანტიკული პოეზიის ერთი ესთეტიკური ასპექტის შესახებ

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას ახსოვს გენიოსი ადამიანების სახელები...

„რკინის ჯოხით და რკინის კევრითა
ვისაც მსახვრალი ბედი დევნიდა,
ვისაც გარდახდა ჭირი ბევრი და
ვინც არ დაინდეს და არ დაზოგეს,
ვინც წუთისოფლის მოჰკლა ამბოხმა...“

ეს სიტყვები ამერიკული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელს ედგარ ალან პოს ეკუთვნის და ზუსტად ესადაგება მისი ავტორის ყოფითსა და შემოქმედებით ნატურას. ნაწყვეტი ციტირებულია ცნობილი ლექსიდან „ყორანი“ (3 . 200), რომელიც უკიდეგანო სევდის, მწუხარებისა და იმედგაცრუების მოტივებზეა შექმნილი და რომელიც საინტერესო გამხდარა არა მარტო უცხოელი, არამედ ქართველი პოეტებისა და პოეზიით გატაცებული ადამიანებისთვის.

არ არსებობს რომანტიზმი ტრაგიკული განცდის გარეშე. იქნებ ამიტომაც გახდა ეს ლიტერატურული მიმდინარეობა „მსოფლიო სევდის“ მატარებელი ადამიანებისათვის გარე სამყაროსთან დაპირისპირებით მიღებული განცდების გამოვლენის ერთი ყველაზე მისაღები გზა. რომანტიკოსი არასოდეს ყოფილა „ბედნიერი“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მტანჯველი განცდა ცხოვრების ამაოებისა, მარტოსულობის მუდმივი შეგრძნება და მარადიული სამყაროს განუწყვეტელი ძიების გზაზე „ბედი-მდევრის“ სასტიკი, დაუნდობელი წინააღმდეგობა,

ბუნებრივია, პიროვნებაში იწვევდა აუტანელ სულიერ ტკივილებს. ეს პროცესი მხატვრულად განაზოგადა ინგლისური რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელმა პერსი ბიში შელიმ, როდესაც აღნიშნა: „სილამაზის ელფერი ერწყმის ტანჯვის წყვდიადს“. ანუ, ტრაგიკული, შერწყმული ამქვეყნიურ სილამაზესა და სინამდვილესთან, – ეს არის რომანტიზმის ნამდვილი იერსახე.

ცნობილი აზრია, რომ ხელოვანი და ხელოვნება რომანტიზმის პოეტიკაში უფრო ღირებული ცნებებია, ვიდრე სინამდვილის ობიექტური სახე. ამის მიხედვით, რომანტიკოსების შემოქმედებაში დიდმნიშვნელოვანია ოცნების, ფანტასტიკის, მგრძნობელობის გამოხატულებათა სიღრმე და შინაარსი. სწრაფვა უჩვეულოსა და ირეალურისაკენ, იდეალური და მეტად მიმზიდველი იყო იმ მეამბოხე სულებისთვის, რომელთა შინაგანი მოწოდება წინააღმდეგობაში მოდიოდა სამყაროს არსებულ კანონებთან. რომანტიკოსის სააზროვნო სივრცე კი, რომელიც გერმანული ფილოსოფიის უდიდესმა წარმომადგენელმა ფიხტემ განსაზღვრა, დასაბამს პირადი „მე“ -დან იწყებდა და სამყაროსაც იქიდან განიხილავდა. აი, ფიხტესეული მოწოდებაც: „მოარიდე მზერა ყოველივეს, რაც შენ გარშემოა და მიმართე საკუთარი შინაგანი სამყაროსკენ... იმას, რაც შენს გარეთაა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ერთადერთი პრობლემა შენთვის შენ თვითონ ხარ“ (5. 59). ბუნებრივია, არსებულის შეცნობას სინამდვილის მძაფრი ტრაგედია მოსდევდა. ეს ტრაგედია თვალსაჩინოდ გამოიხატა ორი უნიჭიერესი რომანტიკოსის, ამერიკელი ედგარ ალან პოსა და ქართველი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად ცხოვრებასა და პოეზიაში.

ედგარ ალან პო, ამერიკული ლიტერატურის ისტო-

რიაში შესულია, როგორც დეტექტური ჟანრის ერთ-ერთი დამფუძნებელი. გარდა ამისა, იგი ცნობილია, როგორც ჟურნალ-გაზეთების რედაქტორი და ლიტერატურის თეორეტიკოსი. ჩვენი ყურადღება მისმა პოეტურმა მემკვიდრეობამ მიიპყრო, რომელშიც განსაკუთრებული სიძლიერითაა ასახული რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი პრობლემატიკა.

პო 1809 წელს დაიბადა ბოსტონში, მსახიობის ოჯახში. ადრე დაობლებულმა ყმაწვილმა ვირჯინიის შტატის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება. რედაქტორობდა ფილადელფიასა და ნიუ-იორკში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს. საინტერესო გამოკვლევები შექმნა ლიტერატურის თეორიულ საკითხებზე. გატაცებული ყოფილა მისტიკით, რაც კარგად ჩანს მის მოთხრობებში. სიცოცხლის ბოლო წლები აუტანელ სიღატაკესა და ლოთობაში გაატარა. ცხოვრების არასწორი რეჟიმის გამო იდუმალებით მოცული დარჩა მისი სიკვდილი. ლიტერატურულ კრიტიკაში მითითებულია, რომ ედგარ პომ ახალ სიმაღლეზე აიტანა ამერიკული ლექსი. დღეს ის ერთ-ერთ პოპულარულ მწერლად ითვლება მთელ მსოფლიოში.

ედგარ პოს პიროვნების ტრაგიკულმა ელფერმა მე-20 საუკუნის ქართველი პოეტების ყურადღებაც მიიპყრო . ამერიკელი პოეტის პოეზიაში გამეფებულმა სასაფლაოს, ნისლიანი მხარის, მთვარისა და ზოგადად, ირეალური სამყაროსადმი განსაკუთრებულმა სწრაფვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა „ცისფერყანწელთა“ პოეტურ აზროვნებაში. გალაკტიონ ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის და სხვათა ლექსებში მოჩანს პოს პოეტური სახისმეტყველების უშუალო კვალი. გალაკტიონმა მას უძღვნა არაერთი შთამბეჭდავი სტრიქონი, სადაც ხაზგასმულია

ედგარის პიროვნული სახისა და პოეზიისათვის დამახასიათებელი ტრაგიკული ნიუანსები. მათგან ჩვენ მხოლოდ ერთი ლექსიდან გავიხსენებთ ნაწყვეტს, რომელშიც ასე ოსტატურადაა შერითმული იდეალი პოეტის სახელი პოეზიასთან:

„ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი,
როცა საუბარი ედგარ პოეზეა.
აჩრდილის თანაზიარს მარად საშინელი
დასდევს განწირულთა შავი პოეზია“ („საუბარი ედგარზე“).

„განწირულთა შავი პოეზია“ არაერთხელ გამხდარა „ცისფერყანწელთა“ შთაგონების მუზა. „იდუმალ პოეტურ ხილვებთან თავდავიწყებით გამიჯნურებული“ (გურამ ბენაშვილი) ვალერიან გაფრინდაშვილი დიდად აფასებდა ედგარ პოს შემოქმედებას.

ცნობილია, რომ ვალერიან გაფრინდაშვილმა თარგმნა ედგარ პოს სამი ლექსი: „ჰიმნი გარმოდის და არისტოგეტონს“, „ანაბელ ლი“ და „ულალუმი“, რომელთაც „ცისფერყანწელი“ პოეტის ყურადღება მიიპყრეს იდუმალ სამყაროში, ქალის იდუმალი სახისადმი მიძღვნილი სასიყვარულო განცდებით. ტრაგიკულსა და არამიწიერს ხედავდა ვალ. გაფრინდაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაშიც. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მხრივ მისი ესე „ბარათაშვილი“, სადაც ვკითხულობთ: „შუაღამისას, როდესაც მარტოობა გვიკარნახებს თავის კოშმარებს და ნევრასთენია მთრთოლვარე ხელებით გულზე ფოლაქებს იბნევს, გვაგონდება ჩვენ ბარათაშვილის ლექსები, მათი ჟინიანი და დაუზოგველი ჩურჩული, ბარბაროსულ რითმებით და უძველეს ეპითეტებით, რომელნიც მეტოქეობას გაუწევენ საშუალო საუკუნეთა გობელენებს“ (2.. 596).

ცნობილია, რომ რომანტიკული ესთეტიკის განუყოფელი ელემენტია სიმბოლურობა და სწრაფვა უჩვეულოსაკენ. სიმბოლური თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ყორნის სახე, ედგარ პოს ცნობილი ლექსიდან „ყორანი“. მისი ანალოგი გვხვდება ქართული რომანტიკული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „მერანი“. ორი პოეტის შემოქმედებაში იდენტურია „მეამბოხე სულის“ ტრაგიკული განცდები და აღქმული ქვეყნისაკენ სწრაფვის მარადიული იდეაც. ამ მხრივ საყურადღებოა ედგარ პოს ლექსი „ელდორადო“ და მისი პარალელი ბარათაშვილის ლექსთან „მერანი“.

ელდორადო არარსებული, მითიური ქვეყნის სახელია, რომელიც ოქროსა და თვალმარგალიტის მდიდარი საბადოებით იყო განთქმული. მას სამხრეთ ამერიკაში დიდხანს ამაოდ ეძებდნენ ესპანელი დამპყრობლები. გადატანითი მნიშვნელობით, ელდორადო ზღაპრული სიმდიდრისა და სასწაულების ქვეყანას ნიშნავს. ეს სასწაულებით სავსე მხარე უხმობდა ედგარ პოს ლექსის ლირიკულ გმირს:

„არ აშინებდა მას არცა შიმშილი,
და არც წყურვილის ტანჯვა...
დადის დაწყევლილ წრეზე და სულ დაეძებს ის ელდორადოს...“

ლექსის შინაარსის მიხედვით, დაღლილ რაინდს მოევლინა იდუმალი ჩრდილი, რომელმაც კითხვაზე: „როგორ მივაგნო ჩემს ელდორადოს?“ რაინდს მოუწოდა:

„გასწი, რაინდო, გასწიე სწრაფად!
მთვარის ჯადოსნურ მთებში, სადაც ტირიან ბნელში,
სადაც ბორბალი ვერ გაქცევს ქარად,
სადაც სულების ოხვრა, სადაც ეშმაკის მოდგმა,

სადაც დემონებს ცრემლები ართობს,
აი, სად ნახავ შენს ელდორადოს!" (თარგმანი სტანისლავ ციბულსკის).

(ინტერნეტრესურსებიდან)

აღთქმულ ქვეყანას დაეძებს ნიკოლოზ ბარათაშვილის მხედარიც, რომელიც თავდაუზოგავად მიაპობს კლდეღრესა და წყალს, ოღონდ იპოვოს საოცნებო მხარე, ადგილი, სადაც ნახავს შესაფერ ასპარეზს მშვიდი ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის.

ის დემონური საწყისი, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილს ყმაწვილობიდან სდევდა, თავიდანვე არ ყოფილა პოეტის მიმართ ბოროტი ზრახვით განწყობილი. ეს ხმა განუწყვეტლივ მოითხოვდა მისგან საკუთარი ხვედრის ძიებას გარემომცველ სამყაროში. ამ პრობლემას თავისებური ინტერპრეტაცია მისცა მიხ. კვესელავამ წიგნში „ფაუსტური პარადიგმები". მისი აზრით, ბარათაშვილს, ისევე როგორც გოეთეს გმირს, ფაუსტს, ორგვარი ხმა ჩაესმის. ერთი ანგელოსისაა, ხოლო მეორე – დემონის. თუ ფაუსტისათვის ცნობილია ამ ორი ხმის წარმომავლობა (ანგელოზებრი ზესკნელიდან, ხოლო, ბოროტი სულის – ქვესკნელიდან), ქართველი პოეტისათვის გაურკვეველია ეს და ამიტომაც მიმართავს „უსახეო ძალას":

„ანგელოსი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი?
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ..."

„მისი გონება სულ იმ უხილავისა და იდუმალის საზღვრისკენ მიილტვის, რაც ადამიანურ შესაძლებლობებს

აღემატება. ეს საზღვარი შორსაა, ცის ხატების მილმა „პირველად ქმნილ“ და არა „ამ ქვეყნიურ“ სივრცეში“ (4. 533).

ცხოვრების მკაცრ სინამდვილესთან შეჯახებამ შეარყია პოეტის ძლიერი სული. „დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა“-ო, წერს ერთ პირად წერილში ბიძას, გრიგოლ ორბელიანს. ჩანს, ის უჩინო „იდუმალი ხმა“ უკვე მკაცრ ბედისწერად ქცეულა მისი ცხოვრების გზაზე. „თუმცა ხანდისხან ჯავრით ვაპირებ მასთან შებმას“-ო, ესეც დააამატა, ალბათ იმის შიშით, სილაჩრე არ ესაყვედურა მისთვის ბიძას. აკი, თავის მართლებაც მოუხდა ამის გამო: „ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ, ღმერთმა დამიფაროს!... ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას!-ო“ (7. 131-132). მოგვიანებით დაწერილ ლექსში კი სულით ობლობას უჩივის („სული ობოლი“)და შვებას მხოლოდ ოხვრაში პოულობს. მკაცრ ბედზე ისევ იცვლება მისი აზრი 1838 წელს, როდესაც წერს ლექსს „ნაპოლეონ“, რომელშიც ცნობილი ფრანგი იმპერატორის სიტყვებით გადმოსცემს საკუთარი გულის პასუხს ბედისწერაზე: „არა, არა მრწამს, რომე ბედმა მე მიორგულოს, მე მან გამზარდა და თვისს გაწვრთნილს რაღა მიხერხოს!“ წლები მიდის და ტატო ისევ ოხრავს თავშესაფარი ტაძრის დაკარგვის გამო, ერთხანს თითქოს ლოცვაში პოულობს შვებას, მაგრამ, როგორც ჩანს, აპოთეოზს აღწევს მისი მოთმინება და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ებმება „შავს ბედთან“. სასტიკი ბედიმდევრის სახე იკვეთება შავი ყორნის სიმბოლური სახით ლექსში „მერანი“ (თავდაპირველად, ლექსს „თავგანწირული მხედარი“ რქმევია). ილიკო ორბელიანის ლეკთაგან დატყვევება გამხდარა ერთგვარი საბაბი მეამბოხე

სულისათვის, ბრძოლის უკიდურესი ფორმების გამოსახატავად. „უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი", – ჩანს ყორნის სახე „თვალბედითია", გამთვალავია, დემონური ძალაა, რომელიც მარადიულ დაბრკოლებად იქცა პოეტისათვის პიროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვის გზაზე. „შავი ყორანი გამითხრის საფლავს" – ო, სინანულით შენიშნავს პოეტი. ამ შავ ძალას მხოლოდ სამარის გათხრა შეუძლია.. აი, მთელი არსი ბოროტი სულისა, ავი ბედისწერისა, რომლის ტრაგიკული მსხვერპლიც გახდა ოცდაშვიდი წლის გენიოსი პოეტი. კიტა აბაშიძე წერდა: „... ვინ მიხვდეს და მისწვდეს საიდუმლოებას ცხოვრებისას. იქნება იმ შემთხვევამ, რომელმაც დაბადა იგი, ეგრეთი პირობანიც მიუსაჯა... მის პოეზიისათვის სწორედ იმ კაეშნითა და სევდით გამოწვეული გარემოებანი იყო საჭირო, რომელშიაც იმყოფებოდა ნიადაგ... ფუფუნება და განცხრომა აკლებს ძლიერებას გრძნობას, ტანჯვა და უსიამოვნება მეტის ძალით აგრძნობინებს პოეტს ცხოვრების მძიმე საიდუმლოებას, უფრო მეტის სიწრფელით აღსავსე კვნესას და გოდებას გამოიწვევს მასში" (ინტერნეტრესურსი). ეს ტანჯვა კი ყმაწვილობიდან სდევდა ბარათაშვილის ცხოვრებას. ამის უამრავი ეპიზოდი გვახსოვს მისი ბიოგრაფიიდან.

პიროვნული მელანქოლია ახლდა თან ედგარ პოს ცხოვრებასა და პოეზიას. მისი პირადი ცხოვრება დამძიმებულია ტრაგიკული მოვლენებით. ღარიბი მსახიობების შვილი, ჯერ კიდევ ორი წლის ასაკში დაობლებული, მდიდარი კომესანტის ოჯახში აღმოჩნდა. სიმდიდრე არ აღმოჩნდა მისთვის ბედნიერებისა და სულიერი მისწრაფებების დაკმაყოფილების საშუალება. ედგარის პოეზიით გატაცება ძნელი გასაგები იყო მდიდარი გამზრდელისათ-

ვის, რომელსაც ერჩია რაიმე პრაქტიკული საქმისათვის მოეკიდა ხელი მის აღზრდილს. აზრთა შეუთავსებლობამ იგი ყოველგვარი ფინანსური დახმარების გარეშე დატოვა. აქედან დაიწყო მისი დაძაბული შრომა ჟურნალისტიკასა და ლიტერატურულ კრიტიკაში. მუდმივ ხელმოკლეობას თან დაერთო ახალგაზრდა და მეტად საყვარელი მეუღლის გარდაცვალება. მიუსაფარი, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს მიძალებული მწერალი, ნაადრევად, 40 წლის ასაკში დაიღუპა. პოს, რომლის აზრითაც „ყველა პოეტურ ტონთაგან მელანქოლია ყველაზე მეტად კანონზომიერია“, თავის ჭეშმარიტ მოწოდებად სწორედ პოეზია მიაჩნდა. როგორც რომანტიკოსს, მას იზიდავდა ყოველივე უჩვეულო, იშვიათი. მისთვის ფანტასტიკა იყო საშუალება ნაწარმოების იდეის უკეთ გახსნისა და ადამიანის სულიერი ყოფის ჯერ კიდევ ამოუცნობ შრეებში შეღწევისათვის.

როგორც პოეტს, მას ავტორიტეტი მოუპოვა ლექსმა „ყორანი“ და ეს ავტორიტეტი განაპირობა ლექსის როგორც რიტმულმა და მუსიკალურმა ჟღერადობამ, ასევე მისმა იდეურმა შინაარსმაც. ლექსს მთელ მანძილზე რეფრენად გასდევს ყორნის ჩხავილი – „აღარასოდეს“, რომელსაც ლექსის ლირიკულ გმირს სთავაზობს დაუპატიჟებელი ღამეული სტუმარი. გმირი სევდიანია საყვარელი ადამიანის დაკარგვის გამო და ცდილობს ძველი ფოლიანტების ღამეულ თვალიერებაში ჩაიკლას დარდი:

„... დილა ვინატრე გულდაწყვეტილმა,
რაკი ვერ შევძელ ძველ წიგნებიდან
ისეთი რამე ამომეკითხა,
ვინძლო ჩამეკლა გულის ვარამი... „ (თარგმანი გიორგი ნიშნიანიძისა).

ლექსის მისტიკური ფონი მკითხველს თავიდანვე განაწყობს უცნაური მოვლენის განცდისა და ხილვისათვის. ეს უცნაური მოვლენაა შავი ყორანი, „ქუში, როგორც ყომრალი, „„გულგოროზი“, „ამპარტავანი“, „გონჯი მიმიკით“, „კეთილის მაბრძოლი და მაოტებელი“, „ავბედითი“, – აქ მოხმობილია უამრავი ეპითეტი ამ ბოროტი სულის დასახატად, რომელიც თავს უცნაურ სახელს უწოდებს: „აღარასოდეს“. ლექსის ლირიკული გმირი ცდილობს ჩაწვდეს ამ არსების შინაგან სულს, გაიგოს მისი მოსვლის მიზანი: „ბილწო ხიზანო, იქნებ მაცთურო თუ გულთმისანო,

მე შენი თავი ვინ მომიგზავნა...
მე ხომ ვიცოცხლებ მხოლოდ იმ ერთი,
მხოლოდ იმ ერთი სუსტი იმედით...
მარქვი, მაცთურო, მხოლოდ იმ ერთი
იმედით-მეთქი ხომ ვისაზრდოებ?
ხოლო მან ბრძანა: „აღარასოდეს“.

ლირიკული გმირი კვლავ ცდილობს გამოთხოვოს ყორანს იმედი, რომ მისი სული იმქვეყნად ხანდახან მაინც მისწვდება საოცნებო არსებას, მაგრამ ამაოდ... ყორანი მას უსპობს ყველა იმედს. „მაშინ ბოროტო სულო, გამცილდი,

კვლავ გვაშორებდეს დრო და მანძილი...
აღიღე შენი შავი ნისკარტი,
გულს უმოწყალოდ რომ მისისხლავდი...
განვედ, ცხოვრების ვით განმკიცხავი
და სიზმარეულს მიესასოვე...“

გმირის ამბოხს არად აგდებს ყორანი... ის აღარასოდეს დატოვებს მას:

„და კვლავ ბიუსტზე შავად მბოლავი,

როგორც ცივი და ქუში ყომრალი
ზის დემონივით შავი ყორანი...“

ყორნის სიმბოლოთი გამოხატული ბოროტი ძალა სამუდამოდ ეუფლება ადამიანის სულს და არ აძლევს მას მომავალზე ფიქრის საშუალებას. ასეთია ედგარ პოს მსოფლმხედველობა ფილოსოფიურსა თუ რეალური ცხოვრების ჭრილში. ამერიკელი რომანტიკოსის ლირიკული გმირი საზოგადოებისაგან მკვეთრად გამიჯნული, მხოლოდ საკუთარ ჩარჩოში მჯდომი სტერეოტიპია, რომლისთვისაც სულ ერთია სააქაო და საიქიო ცხოვრებაც. „ედგარ პოსათვის რეალურ ცხოვრებასთან შეუგუებლობა გამოიხატება არა ბუნებასთან აბსოლუტურ თანაჩართულობაში, არამედ საშინელებათა მოძალების, შიშის ფენომენის გამძაფრებით. ის სიკვდილის მისტიფიცირების გზით ქმნის ადამიანის ისეთ ფსიქოტიპს, რომლისთვისაც ცხოვრება შიშისმომგვრელია და ერთგვარად მოძალადეც“ (5 . 237). ბარათაშვილი თავის პოეტურ სამყაროში მოიაზრებს ბუნების პირველქმნილი სილამაზის გარეგნულსა და შინაგან ძალებს, რომლებიც აცოცხლებენ მის განწირულ იდეალებსა და სულს შთაბერავენ მათ მომავალი, ახალი სიცოცხლის ასაღორძინებლად. „მერანის“ ლირიკული გმირიც ხომ თითქმის ახალი სიცოცხლის ზღურბლზე დგას, ბოროტი ძალისადმი დაუმორჩილებლობითა და არნახული ბრძოლის პათოსით ავსებული. ის თვით სიკვდილზე გამარჯვებული და ამაღლებული, დაუსრულებლად მიიწევს წინ, სიცოცხლის უმაღლესი საზრისის მისაღწევად. ასეთი პათოსი კი მარცხით არასოდეს დასრულებულა. ეს იყო სწორედ ბარათაშვილის ბედისწერის მთავარი ნიშნული, რომელიც მის უკვდავებაში გარდაისახა.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა წერილების სახისმეტყველება

შოთა რუსთაველის პოეტური ტალანტის მიმართ კვლავ არ ნელდება ინტერესი. სპეციალური მეცნიერება რუსთველოლოგიის სახელით, დღესაც არანაკლები ძალისხმევით ცდილობს ჩაწვდეს „ვეფხისტყაოსნის“, მხატვრული სიტყვის ამ დიდებული ძეგლის ფორმისა და შინაარსის სიღრმეს, მის ღრმააზროვან სახისმეტყველებას. მეცნიერთა კვლევის საგანი ყოველთვის იყო პოემის მხატვრული სტრუქტურის სიმბოლური და ალეგორიული ინტერპრეტაცია. რუსთაველის პოემის მხატვრული მხარე და იდეურ-კომპოზიციური მთლიანობა თამარის ეპოქაში მწიგნობრობისა და საერთოდ, წერის მაღალ კულტურაზე მიუთითებს.

ჩვენი ინტერესის საგანია პოემის მხატვრულ ქსოვილში ჩართული წერილების სახისმეტყველება. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა წერილები (წიგნები), მნიშვნელოვანი მხატვრული და იდეური აზროვნებითაა დატვირთული და ხელს უწყობს პოემის სიუჟეტის განვითარებას, აძლიერებს მის ემოციურ ელფერს. პოემის დასაწყისშივე, სიუჟეტური კვანძის გასკვნისას, უცხო მოყმის საძებრად გაგზავნილ კაცებს ასე მიმართავს მეფე როსტევანი:

„უბრძანეს: წადით, პატიჟთა თავიმცა რად დაჰრიდეთა?

მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცლიდეთა,

მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა“.

ბრძანება – „მისწერეთ წიგნი“, ზოგადი მნიშვნელო-

ბითაა ნახმარი და კონკრეტული ადრესატი არც იგულისხმება. აქ საინტერესოა დამოკიდებულება წერილის საჭიროების, წერილის დანიშნულების მიმართ, რომელიც გულისხმობს – იქ, სადაც ფიზიკურად ვერ მივლენ, „ვერ მისწვდებიან“, წერილი უნდა გაიგზავნოს. წერილს განსაკუთრებული მისია აკისრია პოემაში, მას კითხულობენ და საკადრის პატივს მიაგებენ.

„ვეფხისტყაოსანში“ წერილი (წიგნი, უსტარი, ანდერძი, ნაწერი) პერსონაჟთა ურთიერთობის ერთ-ერთი მიღებული საშუალებაა. წერილებით ესალმებიან და ემშვიდობებიან ისინი ერთმანეთს, უთვლიან საჭირო ამბავს, აძლევენ საპასუხისმგებლო დავალებებს, საუბრობენ მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე. რუსთველოლოგი ალ. ბარამიძე მიუთითებდა, რომ პოემაში თხრობის დინამიკურობას უხდება და სიმკვეთრეს მატებს სხვადასხვა მრავალფეროვანი ე. წ. სტატიკური ელემენტი (ანდერძები, ეპისტოლეები...)“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, 1966; გვ. 160). შეიძლება ითქვას, რომ წერილის წერას პოემაში ერთგვარი რიტუალური ხასიათიც კი აქვს. მთავარ პერსონაჟთაგან წერენ ავთანდილი, ტარიელი, ნესტანდარეჯანი და ფატმანი. წერილები ადრესატებთან მიაქვთ მონებს, პირად მსახურებს („მონა მოვიდა, მომართვა“, „მონამან წიგნი მომართვა“ და ა. შ). ყველა წერილი აკადემიური სტილითაა შესრულებული, შეიცავს ადრესატის მოკითხვას, ცნობას ავტორის სულიერი განწყობისა თუ ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, რჩევას რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ და ა. შ. წერილების ტექსტი ჩვეულებრივ, მიმართვით იწყება: „ჰე, მეფეო“, „მთვარეო“, „მზეო“, „აჰა, მნათობო“, „აჰა, ხათუნო“, „ჰე, ჩემო“ და ა. შ. განსაკუთრებულ შემთხვევაში ავტორი საკუთარ

წერილსაც მიმართავს: „წადი, უსტარო“ (ფატმან-ხათუნი). მნიშვნელოვანია მიმოწერის ეთიკური ნორმების დაცვაც. „წიგნი გკადრებს, არ გეთნევის“ ... მორიდებით ახსენებს ავთანდილი მეფეს. შერმადინს კი მიმართავს: „ჰკადრეო მეფესა საქმითა მეცნიერითა“. ჩანს, პოემაში ასახული დროისა და სივრცის პირობებში, წერილის, ანუ წიგნის წერა, ტრადიციულად მიღებული და საპატიო რიტუალი ყოფილა.

„... დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი,

წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი...“

ასე არიგებს უცხო მოყმის საძებრად მიმავალი ავთანდილი საკუთარ ქალაქში „პატრონად დაგდებულ“ შერმადინს. ჩანს, სამეფოს განმარტოებულ კუთხეებს ცენტრთან უწყვეტი წერილობითი კავშირი ჰქონდათ. სხვის მაგიერ წიგნის წერა კი, სავარაუდოდ, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უნდაყოფილიყო დასაშვები. შერმადინს, როგორც ავთანდილის ერთგულ და უღალატო მსახურს, ეს გამონაკლისი ეხებოდა . ამასთან, ავტორი წერილს თვლიდა მისი ნდობით აღჭურვილ საბუთად. ხატაელთა სამეფოში გაგზავნილ კაცს ტარიელი ატანს წიგნს – „ხატაეთს კაცი გავგზავნე და წიგნი ჩემ – მაგიერი“-ო. ასევე, წიგნს საბუთად იყენებს ტყვეობაში მყოფ ნესტანთან გაგზავნილი ფატმანის მსახური – „ამა წიგნმა გამამართლოსო... „ეუბნება დაეჭვებულ ნესტანს მონა-ზანგი.

ხშირად, წერილის ავტორი მიუთითებდა, რომ წინამდებარე წერილი მისი ხელით იყო ნაწერი. ასე მაგ. თავის ყმათათვის მიწერილ წიგნში ავთანდილი დაბეჯითე-

ბით მიუთითებს: „თვით ვიქმ ხელითა ჩემითა ამა წიგნისა წერასა“. ამგვარი აზრია გამოთქმული ნესტანის წერილის შესავალშიც: „... ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები“-ო, წერს იგი სატრფოს. ამ გზით ავტორი ადასტურებს წერილის ავთენტურობას, რაც უფრო ამაღლებს მის მნიშვნელობას ადრესატისათვის. ასევე, ავთანდილი წინასწარ ჰპირდება როსტევანის წინაშე წარგზავნილ შერმადინს: „აწ, ანდერძსა ჩემსა მოგცემ, როსტანს წინა დაწერილსა“-ო. შერმადინი კი საბუთად წარუდგენს მეფეს უნებართვოდ წასული სპასპეტის ანდერძს: „მოახსენა: საწოლს ვპოვე ესე მისგან დანაწერი“. მართლაც, „რა ანდერძი წაიკითხეს“, ყველამ ირწმუნა სინამდვილე.

პოემის სიუჟეტურ განვითარებაში მნიშვნელოვანი პასაჟია ავთანდილის გამგზავრება ფრიდონთან. საერთო ამაღლებულ განწყობაზე მიუთითებს მისი მიმართვა ციური სხეულებისადმი, თხოვნა წყლულის შემსუბუქებასა და შემწეობაზე სასიკეთო საქმეში. ავთანდილი შვიდ ვარსკვლავს მიმართავს და ყველა მათგანს განსხვავებულ სურვილს ანდობს. ხოლო ის ფაქტი, რომ აქედან მხოლოდ ერთს – ოტარიდს (მერკურს), ევედრება მისი შეჭირვების აღწერას („დაჯე წერად ჭირთა ჩემთა“), საფუძველსმოკლებული არ არის. რუსთაველის შეხედულებანი კოსმიურ სამყაროზე თავის დროზე ქცეულა ყურადღების საგნად. მეცნიერ-ასტროლოგმა გიორგი თევზაძემ საგანგებო გამოკვლევაც მიუძღვნა ამ საკითხს – „რუსთაველის კოსმოლოგია“, სადაც მეცნიერულ დონეზეა განხილული რუსთაველის კოსმოლოგიური წარმოდგენები. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ოტარიდი (მერკური)თუმცა ჭკუისა და მოხერხების პლანეტად ითვლება, მიჩნეულია აგრეთვე მწერლობის მფარველ და ბედის გამგებელ

პლანეტად (ინტერნეტრესურსი). ასტროლოგიაში გათვითცნობიერებულ რუსთაველს კარგად მოეხსენებოდა ვარსკვლავების ბუნება და მისი გმირიც თითოეულ მათგანს ხასიათის შესაფერის სურვილს უმხელს:

„ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა...

დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,

კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა ჩემსა ვითა თმასა“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ, წერილის ავტორი თვით აფასებს საკუთარი ნაწერის მნიშვნელობას და ადრესატების მიმართ მომთხოვნელობითაც გამოირჩევა: „წიგნი ჩემი მოისმინეთ“-ო, მიმართავს ავთანდილი ყმებს. „ამა წიგნმა გაგაგონოს... „ – ეუბნება ასმათის მონა გაურკვეველ სიტუაციაში მყოფ ტარიელს.

პოემაში წიგნთა ნაირსახეობაა წარმოდგენილი. შინაარსის მიხედვით ის შეიძლება იყოს: „სააშიკო“, „საიმედო“, „საბრალო“, „მსმენელთა გულისა გასაგმირავი“, „ბედითი“, ან „შესანახავი“. ასმათი ეუბნება ავთანდილს: „ვითა უსტარი ბედითი, ადვილად დაგახევინო“. ანუ, უსტარი შეიძლება იყოს ბედითი (უხეირო, უვარგისი), რომელსაც ადვილად დახევს კაცი. მის საპირისპიროდ, არის წერილი „შესანახავი“. ასე უწოდებს რუსთაველი ავთანდილზე გამიჯნურებული ფატმანის წერილს:

„დაწერა წიგნი საბრალო, მის ყმისა მისართმეველი,

მისისა მიჯნურობისა, მისთა პატიჟთა მცნეველი,

მისთა მსმენელთა გულისა შემძვრელი, შემარხეველი,

უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი“.

ფატმანის წერილებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ პოემის ავტორს, ამ მხრივ, საგანგებო ყურადღება გამოუჩენია. პოემაში სულ ორი წერილია ფატმანის სახელით გაგზავნილი. ადრესატები ავთანდილი და ნესტან-დარეჯანი არიან. როგორც ვიცით, ფატმან-ხათუნის, როგორც პერსონაჟის სახისმეტყველება, ორ პიროვნებასთან კავშირში იკვეთება: ერთია ნესტანი, ანუ, ტყვედმყოფი სიბრძნე და სილამაზე, ხოლო მეორე – ავთანდილი, ამ სიბრძნისა და სილამაზის კვალის მძებნელი და პოტენციური მხსნელი. წარმატებული გზა, რომელსაც გადის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ავთანდილი, პრაქტიკულად მიუღწეველი იქნებოდა ფატმანის გარეშე (პოემის პერსონაჟთა სახისმეტყველებაზე საკმაოდ სკრუპულოზური კვლევა მოგვცა ზვიად გამსახურდიამ წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“). ამ თვალსაზრისს თუ გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება ის ფაქტიც, თუ რა როლი აკისრია პოემის მთავარი იდეის განხორციელებაში ფატმანის წერილებს. ამ „შესანახავ“ უსტარში შეყვარებული, გულისთქმას აყოლილი ქალი ასე მიმართავს ავთანდილს:

„ჰე, მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი დასაბადებლად,

მით შეგქმნა მოშორვებულთა ჭირთა, არ ლხინთა მწადებლად,

ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მადებლად,

მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩნს, დასაქადებლად.

შენ გტრფიალობენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან,

ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არა შენზედ კრფებიან...“

წერილი მეტაფორული აზროვნების სიუხვით გამოირჩევა და წარმოგვიდგენს ძლიერი ვნებების მქონე, მაგიური ხელოვანებით აღჭურვილი ქალის სახეს. ვაჭართა წინამძღოლის ცოლს, იმ გარემოში, სადაც მას უხდებოდა ცხოვრება, მეტი არც მოეთხოვებოდა. ამ გარემოში ფასობს მხოლოდ გარეგნული მომხიბლველობა, ძვირფასი საჩუქრები, მათრობელა სასმელი და ხორციელი ტკბობა. თუმცა, მის პიროვნებაში ქვეშეცნეულად დევს სიკეთის კეთების სურვილი. ეს სურვილი კარგად გამოჩნდა ტყვედმყოფი ნესტანისათვის უანგარო დახმარების გაწევაში. ფატმანის ეს სულიერი ევოლუცია მისსავე პირად წერილებში იკვეთება. მაგ. ნესტანისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ:

„თუცა თუ შენი ამბავი შენ არა მომასმენიე,

მე ეგრეცა ვცან მართალი, მით გულსა მოვალხენიე“.

ამ სიტყვებში იკვეთება ქალის სახე, რომელიც თმობს საკუთარ გატაცებას და ზრუნავს სხვის ბედნიერებაზე. ამჯერად, სიკეთის კეთება მისთვის საღვთო საქმედაა მიჩნეული.

„შენი ყველა აქანამდის ჭირი ლხინსა გაათავნე,

ღმერთსა უნდეს, მოყვარენი შესაფერნი შეგაზავნე“.

ზვიად გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაზე საუბრისას მიუთითებდა, რომ „ფატმანი არის ის, ვინც პირველი ამცნობს ავთანდილს ნესტანის ასავალ-დასავალს, დააყენებს მას ნესტანის კვალზე, ვინაიდან... საღვთო სიბრძნის მიღწევას, ინიციაციას, სჭირდება უწინარეს ყოვლისა პრაქტიკული ინტელექტის

დაუფლება, ემპირიული ცოდნის მიღება“ (გამსახურდია ზ. (1991)“; გვ. 290). როგორც ვიცით, ფატმანი ფლობს ამ ხელოვნებას. გრძნეული მონის საშუალებით ის წერილით ადვილად უკავშირდება ქაჯეთს და ხსნის მის შეუვალობას.

არაერთგზის თქმულა და დაწერილა ქაჯეთის ციხიდან მოწერილი ნესტანის წერილის შესახებ. „წიგნი მსმენელთა გულისა გასაგმირალი“ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ავტორის პიროვნულ სულიერ სამყაროსა და რელიგიურ შეხედულებაზე. ამასთან, გამორჩეულია აკადემიურობით, რაც გამოიხატება მის აგებულებასა და იდეურ შინაარსზე. თემატური თვალსაზრისით, ის შეიცავს: სოფლის სამდურავს, რაც ბუნებრივია მისი მდგომარეობისათვის, ერთგულების ფიცს სატრფოს წინაშე, რელიგიურ მრწამსს და წარმოდგენას იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ და ბოლოს დავალებას სამშობლო ქვეყნის გაერთიანებისათვის საბრძოლველად. „მაღალი და მაღლად მხედი“ ქალი წერილში კრძალვით უჩივის საკუთარ ბედს, რაკი ცრუ სოფელში ვერ ჰპოვა“ მართალი სამართალი“.

„რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა კმა საჩივარად:

ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად“.

ნესტანის წერილს სხვა დატვირთვაც აქვს პოემაში – ავთანდილმა და ტარიელმა ასმათს მიუტანეს ის ნიშნად დიდი ნუგეშისა. ასმათი ცნობს ნესტანის ხელწერას და ეს ნაცნობი ხელნაწერი სიხარულის დასაბამი ხდება მისთვის:

„ასმათ რა ნახა უსტარი, ცნა მისი დანაწერობა,

გაკვირდა, ზარმან აიღო, ათრთოლებს, ვითა ხელობა,

ტერფით თხემამდის გაუხდა მას მეტი საკვირველობა..."

ალექსანდრე ბარამიძის აზრით „რუსთაველის ერთ-ერთი შემოქმედებითი მწვერვალია ნესტანის წერილები ქაჯეთიდან ფატმანთან და ტარიელთან. ამ წერილებში სრულყოფილად გამოიხატა მშვენიერი ნესტანის წარმტაცი სულიერი სამყარო" (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, 1966, გვ. 167). ვფიქრობთ, ნესტანის წიგნი სატრფოსადმი მიძღვნილი წერილის თვალსაჩინო ნიმუშად ჩაითვლება მსოფლიო ლიტერატურაში.

რაინდული ეპისტოლეს ნიმუშია „წიგნი ავთანდილისა ფრიდონთანა". წერილი მაღალფარდოვანი მოკითხვით იწყება, სადაც ავტორი უშურველად ამკობს ადრესატს მხატვრული ხერხებით („ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიეფეო, მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო"). ამცნობს რა ნესტანის ამბავს, იქვე გამოთქვამს რწმენას, რომ ძმური თანადგომით მალე გამოიხსნიან მას ქაჯთა ტყვეობიდან:

„სადაცა შენ და შენი ძმა ხართ, ძნელი გაადვილდებისა...

არ თურე კაცმან დაგიდგნას, ვეჭვ, კლდეცა გაგილბილდების".

აღნიშნული ციტატი გალაკტიონ ტაბიძემ ეპიგრაფად წაუმძღვარა თავის ერთ-ერთ ლექსს-" კავკასიონის პროფილი".

ეპისტოლენი ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და განმტკიცების რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე. ამის დამადასტურებლად საკმარისია მოვიხსენიოთ პავლე მოციქულის ეპისტოლენი ახალი

აღთქმის წიგნიდან, გაჯერებული ქრისტიანული მორალითა და ზნეობრივი შეგონებებით: „... სხვა რამეს კი არ გწერთ, არამედ რასაც კითხულობთ, ანდა იმეცნებთ, და რასაც, იმედი მაქვს, ბოლომდე შეიმეცნებთ... დიდი მწუხარებით, გულისტკივილითა და ცრემლების ფრქვევით იმიტომ კი არ გწერდით, რომ დამემწუხრებინეთ, არამედ, რათა შეგეცნოთ, რაოდენ დიდი სიყვარული მაქვს თქვენდამი“ (პავლე მოციქულის ეპისტოლე მეორე კორინთელთა მიმართ, თავი 1, 13 და თავი მე-2, 4; გვ. 946).

ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის ნათარგმნი, თუ ორიგინალური ძეგლები რეალურად შეიცავენ წერილების საინტერესო ნიმუშებს. მაგალითად დავასახელებთ ქართლის კათალიკოსის სამოელის ცნობილ წერილს იოვანე საბანისძისადმი. ამ წერილმა მისცა დასაბამი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლის „აბოს მარტვილობის“ შექმნას. რუსთაველს არ შეეძლო გვერდი აევლო იმდროინდელი სამწერლო ტრადიციებისათვის . ამიტომაც, მისი პერსონაჟების პირადი წერილებიც უხვად შეიცავენ იმ პერიოდის ეპისტოლური ჟანრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, როგორიცაა: ადრესატისადმი მიმართვის სტილი, ბედისწერის გარდუვალობის განცდა, ჩივილი საწუთროს გაუტანლობაზე, ფიცი ერთგულებასა და სიყვარულზე და სხვ. მე-12 საუკუნის საერო მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლის „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი გვიმოწმებს ამგვარ ფაქტს: „გასცა დედოფალმან ბრძანება და დასწერა წიგნი ყოველსა საბრძანებელსა მისსა, ვითა: „მოვიდა ამირან დარეჯანისძე, ჭაბუკი, რომელმან მისითა ჭაბუკობითა შემოვლნა ძნელნი გზანი... აწ მოდით და თაყვანის ეცით ყოველთა და ნახეთ!..“ (ქართული მწერლობა, ტ. 2.

გვ. 387). აქვეა ეპისტოლეთა სხვა ნიმუშებიც, რომელთა საშუალებით პერსონაჟები ერთმანეთს ატყობინებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს: „წიგნი მოეწერა ზღვათა მეფესა თანა ნოსარს, ვითა მე მოვალ და ასულსა შენსა შევირთავ და ნუ გაათხოვებ, თუ თავისა შენისა მშვიდობა გინდაო“ (იქვე, გვ. 292).

ცნობილია, რომ ამავე პერიოდის სპარსულიდან ნათარგმნი რომანის „ვისრამიანის“ ტექსტის მ ნიშვნელოვან ნაწილს ვისისა და რამინის სამიჯნურო წერილები შეადგენს. საგულისხმოა ფაქტი, რომ ეს წერილები არა მარტო ძველი მწერლობის ავტორთა შთაგონების წყაროდ ქცეულა. დავიმოწმებთ მე-20 საუკუნის თვალსაჩინო ქართველი მწერლის გრიგოლ აბაშიძის ისტორიულ რომანს „ლაშარელას“. მისი პერსონაჟის, ლილეს სასიყვარულო ბარათი ლაშა-გიორგისადმი, ვისის სამიჯნურო წერილის ანალოგს წარმოადგენს. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა წიგნებშიც ადვილად შესამჩნევია მიმართვის ის სტილი, ხატოვანი გამოთქმები და მხატვრული შედარებანი, რომლებიც „ვისრამიანის“ სამიჯნურო ბარათებისათვისაა დამახასიათებელი: „შენმან მზემან“, „მე შენისა სიშორისაგან კიდე ვერა შემაშინებს, მე უშენობისა კიდე ვერა შემაჭირვებს“, „თუცა უშენობისაგან მენატრების, ამით სიკვდილისაგან უშიშ ვარ, ვირე ესრე ვარ“, „ამა ჭირისაგან ნუ მიხსნას ღმერთმან, თუ უშენობისა გაძლება მაქვსღა“, „რა ჩემნი ჭირნი ნახნე, გეწყინების და დაგიმძიმდების“, „არა ვარ ღმრთისა და ბედისაგან იმედგარდაწყვეტილი“, „შენი მიჯნურობა რა დავთესე, უძილოთა თვალთაგან ეგზომი ვრწყი, რომელ გულისაგან თავამდი გამსლვია“, „შენ მზე ხარ, ჩემი დღე უმზეურად არ ნათობს“, „ვისა ტანი შეჭირვებითა თმისაებრ დამწლობია“, „აწ ღმერთსა

ხელაპყრობით მას ოდენ ვეაჯები, რომელ ამ საშინელისა ღელვისაგან მიხსნას“.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ქსოვილში ჩართული პერსონაჟთა წერილები გამოირჩევა დახვეწილი ფრაზებით, მეტაფორული რემინისცენციებით, აზრის პლასტიკური ყალიბით. მათში უხვადაა აფორისტული გამოთქმები და შეგონებები, რომელთა საშუალებით ჩვენს აზროვნებაში იხატება პერსონაჟთა მაღალი იდეალები. აღნიშნული კი აძლიერებს პოემაში გადმოცემული ამბების, მოვლენების, ხასიათების ექსპრესიულ-გამომსახველობით ფუნქციას, ანიჭებს მას ლირიულ ელფერსა და რიტმულ ხმოვანებას. გარდა ამისა, დიდია მისი მნიშვნელობა სახისმეტყველების თვალსაზრისით, რამდენადაც იმ დიდი ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური თუ ეთიკური იდეალების გარკვეული ესთეტიზაცია პოემაში პირადი წერილების მეშვეობითაც მიიღწევა. ვფიქრობთ, წერილების შესწავლა ფართო ჭრილში სრულყოფილს გახდის რუსთაველის პოეტური ხელოვნების თანამედროვე მეცნიერულ კვლევას.

გზა უხილავის შეცნობისაკენ

ისტორიული რომანი, როგორც ეპოსის ჟანრული სახე, ეპოქის წარმონაქმნი და მისი უშუალო მხატვარია. თვით დრო და მისი მოვლენები ბადებდა სპეციფიკური მხატვრული ასახვის საჭიროებას მისთვის დამახასიათებელი ტენდენციებითა და გმირთა ხასიათებით. ასეთი იყო გასული საუკუნის დასაწყისის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მოთხოვნები, რომელიც ზუსტად უნდა მორგებოდა მკაცრი ცენზორის მიღმა ეროვნული ენერგიის არსებობისა და მისი ევოლუციის პრინციპებს. ამ მხრივ განუზომელი როლი შეასრულა ქართულმა ისტორიულმა რომანმა და მისმა ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ვასილ ბარნოვმა.

ვასილ ბარნოვი რომ გამორჩეული ადამიანური თვისებების მქონე პიროვნება ყოფილა, ამაზე მისი თანამედროვე მოაზროვნენიც მიუთითებდნენ. ქართული ტაძრის კედლის მხატვრობიდან ჩამოსული წმინდანის, თუ მემატიანეს სახის მქონე ადამიანი, ვისი სიტყვაც ყვავილით ავადმყოფებისათვის მიმართულ მისნის შელოცვას ჰგავდა (სიმონ ჩიქოვანი), თავისი ცხოვრებით, ყმაწვილობიდან მოხუცებულობამდე, მისწრაფებით, სამყაროს ხილული თუ უხილავი ძალების შეცნობისაკენ, მართლაც ღირსეულ და პატივსაცემ პიროვნებად მოჩანს საუკუნის გადასახედიდან. მისი მხატვრული სიტყვის ღირსება კი დრომ დაგვანახა, დრომ, რომელიც ყოველთვის ულმობელი შემფასებელი იყო ერისკაცის ცოდვა-მადლისა, მისი ღვაწლისა სამშობლოს წინაშე.

მაგრამ, როგორც მოგვიანებით შენიშნავს მწერალი

ოთარ ჩხეიძე, – „ვასილ ბარნოვს ხელახალი აღმოჩენა უნდოდა“. ეს „ხელახალი აღმოჩენა“ ზედმიწევნით სჭირდებოდა არა მხოლოდ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიას, არამედ მთელ „მატიანეს ქართლისას“ და ეს მისიაც ოთარ ჩხეიძემ იტვირთა. ასე შეიქმნა წიგნი „რომანი და ისტორია“, რომელმაც განამტკიცა მოარული აზრი მწერლობის უსაზღვრო შესაძლებლობებზე, ჟანრული ნაირსახეობების ერთ მთლიანობად ქცევასა და რაც მთავარია, წინაპართა ღვაწლისათვის პატივის მიგებაზე. „აღივსე სიკეთითა, თუ გინდა სძლიო“, – ფრაზა ზაქარია ბარნაველის ჯერ „დაუწერელი სახარებიდან“ ქცეულა წიგნის ავტორის იდეა-ფიქსად. წიგნის ათი თავიც, სახისმეტყველების გასაოცარ ნიმუშებად ქცეული სათაურებით, სკრუპულოზური გულმოდგინებით ხატავს დიდი ქართველი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის მატიანეს.

ბავშვობისა და ყრმობის გარემო არაერთი დიდი პიროვნებისათვის რომ გამხდარა ჭეშმარიტი ემბაზი და მთელი ცხოვრების სულიერი საგზალი, ეს კარგად მოეხსენებოდა წიგნის ავტორს. მწერალმა ისიც კარგად უწყოდა, დიდ საჯილდაო ქვას რომ უპირებდა შერკინებას... ამიტომაც დახატა საოცრად შთამბეჭდავი და ფერადი ყმაწვილური სამყარო წიგნის პირველ თავში. მართლაც უსაზღვროდ მდიდარი და მრავალფეროვანი ჩანს მთის პატარა სოფლის სულიერი სამყარო, თავის ქრისტიანულ და წარმართულ ღვთაებათა დაპირისპირებითა და ერთგვარი შერწყმითაც. ეს ტანდემი ორი სიმბოლური ხატით – ერთმანეთის გასწვრივ ჩამდგარი პატარა ეკლესიითა და ასევე ჩია კოშკითაა წარმოდგენილი, ჩუმი, მაგრამ

საოცრად მეტყველი საპაექრო განწყობით. ეს ორი ბომონი ორ ეპოქას წარმოგვიდგენს: კოშკი – ძველ, საგმირო-საფალავნო ამბებით დახუნძლულ მითოლოგიურ სამყაროს, ხოლო ეკლესია – ნათელ, ჭეშმარიტი სარწმუნოებით გაბრწყინებულ ქრისტიანულ აწმყოს. ოთარ ჩხეიძის მხატვრული სიტყვის ხიბლი თანაბრად ამკობს ორივე მათგანს, თუმცა, თვალსაჩინოა პატარა ბიჭის გატაცება დეკანოზ კურდღელას საგმირო ეპოსით. „ისე ანთებულიყო დეკანოზი, ისე აებრიალებინა ხატიონი, პატარა გული როგორღა გაუმკლავდებოდა“-ო, წერს ავტორი და ხატოვანი ექსპრესიით გვიყვება დევთამმუსვრელი გმირი კოპალას ამბავს. წიგნის პირველი თავი მთლიანად გაჟღენთილია ამ ექსპრესიით – „მე ორ გმირი კოპალე!... კოპალე ორ!“ ბიჭიც კოპალესთან პოულობდა მეტ სიახლოვეს, კოპალეს ძალგულოვანება აოცებდა, კოპალობა სურდა, ენატრებოდა სასწაულმოქმედი ლახტით შეემუსრა ბოროტი ძალები და თავისი ხალხისთვის თავისუფლება მოეტანა. ეს მითიური ამბები და ტოლათსოფლის ყვავილებით მოჩითული მინდორ-ველი, მათზე მოცქრიალე უნაზესი ასულით, ისე იწვევდა პატარა ბიჭის არსებას თავისკენ, ძნელადღა ამჩნევდა ორად გაყოფილ სოფელს, შეშფოთებულ მამა ზაქარიას და მის დაეჭვებულ მრევლს. ამის მიზეზიც, ოთარ ჩხეიძის აზრით, მისი ყმაწვილური ბუნება იყო – „ჯერ მხოლოდ სიხარულის შვილი იყოო ვასიკო, – წერს ავტორი, შვების შვილი და იშვებდა ამ მთების, ტყეებისა და ყვავილების სამეფოში“-ო.

ოთარ ჩხეიძის ნარატივი განსაკუთრებულ დინამიკას ფლობს იმ სტილური თავისებურების წყალობით, რომელიც მჟღავნდება საწერი თემის მიმართ მწერლის

დამოკიდებულებაში. ვასილ ბარნოვზე თხრობისას აპოთეოზს აღწევს სავსებით ბუნებრივი ფაქიზი განცდა იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც ერგო ხვედრი, ეტარებინა ერისკაცის, ერის მეისტორიის საპატიო წოდება. „ხელოვნება სტილი ყოფილაო", სწორად შენიშნავს ოთარ ჩხეიძე, – „ამბავი კი ჰქმნის სიმძაფრეს სტილისაო". ამბავი ფრიად ღირსსახსოვარი ჰქონდა მწერალს. მამით სასულიერო წოდების შვილს, განათლებით ეკლესიის მსახურს, ერთი დღეც რომ არ ემსახურა იმ ეკლესიაში და საერო-საქვეყნო სარბიელი გაეხადა სამოღვაწეო ტაძრად, მისი ცხოვრების მატიანე უნდა დაეწერა. მატიანეს შექმნა კი მოითხოვდა არა მარტო პიროვნების ხასიათისა და შემოქმედებითი ნიუანსების ღრმა წვდომას, არამედ იმ ეპოქის მოვლენათა სიღრმისეულ ანალიზსაც, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება-მოღვაწეობა ამ პიროვნებას. ამიტომაც, მწერალს არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული თუ ლიტერატურული წყარო შეუსწავლია (წიგნს თან ერთვის წყაროების ჩამონათვალი), მოუხმია ეპოქის გმირთა სახეები, მათივე სამოღვაწეო იდეალებით, ის, რაც „ბიოგრაფოსებს" გამორჩენიათ, ან განგებ გამოუტოვებიათ. წიგნის მეორე თავი, რომელსაც „თბილისის აჩრდილები" უწოდა ოთარ ჩხეიძემ და რომელიც ბარნოვის ტფილისური მოთხრობების ერთგვარი გამოძახილია, ეპოქის მნიშვნელოვან სახეებს წარმოგვიდგენს. მათ შორის არიან იმედგაცრუებული შეთქმულების მონაწილენი, ზუსტად მისადაგებული ეპითეტებით: „გავლენიანი მხედართმთავარი", გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, „კარგად რომ მოუჭრა სიტყვა" ცბიერ ბარონს, „გაშიშვლებული პატრიოტი" ალექსანდრე ორბე-

ლიანი, თავისი მარადცოცხალი ეროვნული იდეალებით, ქართული მწერლობის დიდი ქომაგი, „უშნო და ლამაზად მეტყველი" პლატონ იოსელიანი, ვიატკაში უმოწყალოდ დაღუპული, ყველაზე მეტად დასჯილი შეთქმული სოლომონ დოდაშვილი, „ჩამავალი მზე" გიორგი ერისთავი, „სანდომიანი სახის ავარიის ხანი" გრიგოლ ორბელიანი, „ოცდათორმეტში თვითონ ის რომ ჩააქრეს, ორმოცდაერთში გურია ჩააქრო, ხოლო მერე დიდხანს აქრობდა დაღისტანსა", ღარიბი თავადი და „სამოციანელთა დიდი მედროშე", ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, სემინარიაში ეროვნული სულის გამღვივებელი იაკობ გოგებაშვილი, „თავისი მღელვარე და ქარიშხლიანი სიცოცხლით", უკვე ვასილ ბარნოვად მონათლული ჭაბუკი სემინარიელის ერთადერთი სანთელი ჩაბნელებული და აშმორებული სემინარიის კედლებში და სხვანი. ეს პიროვნებანი, თავიანთი ეროვნული თუ ზოგადკაცობრიული პრობლემებით, ხმაურითა და ვნებათაღელვით ჩავლილი საუკუნის სახეებად არიან წარმოჩენილნი წიგნში. აქვე აღწერილია სასულიერო სემინარიის „ჩაბინდული დერეფნები" და უფრო მზერაჩაბინდულ პედაგოგთა სახეები, უარყოფითი აურით, თანდათანობით რომ არყევდნენ და „ამტვრევდნენ სულს ქართველობისას". „სემინარია ლოდივით დასწოლოდა ყველასა. არა ჩანდა ძალა, გადაეგდო ის ლოდი ... ცხადიც აჩრდილად გადაქცეულიყო, ლანდების ქვეყანას დამგვანებოდა თბილისი... იდგა ლანდები, იძვროდა ლანდები ან იშლებოდა, იქცეოდა აჩრდილი წარსულისა... ვილაცას უნდა ჩაედგა სული და აჩრდილი გამოცოცხლდებოდა... იღვიძებდა, მიიწევდა, აკრძალული ხილისაკენ მიიწევდა, ცოდნის ნაყოფს ეტანებოდა... ცოდნა ის იყო,

რასაც უკრძალავდნენ... სამშობლოს წარსულს უკრძალავდნენ... „ლოდი“, „ლანდები“, „აჩრდილები“ ... თხრობის მძაფრი ექსპრესიულობა იპყრობს მკითხველის ცნობიერებას და ისე ღრმად წვდება მოვლენებს, რომ ხანგამოშვებით სცილდება-კიდევაც რომანისა და ისტორიის შესახებ თეორიულ მსჯელობას.

ოთარ ჩხეიძის ერთგვარ მწერლურ ოსტატობად მივიჩნევთ მხატვრულობას თვით მშრალი თეორიული საკითხების განხილვის დროსაც. ჩვენს განსახილველ წიგნში ზომიერად ენაცვლება ერთმანეთს ბიოგრაფიული, ეპისტოლური, პუბლიცისტური ჟანრები, მითოლოგიური თუ ფოლკლორული გადმოცემები, თეოლოგიური, შედარებითი კრიტიკული ანალიზები და დაუნჯებული მსჯელობა რეალურ ფაქტებზე. თხრობის მხატვრული მხარე გამოირჩევა სიმბოლური სახეებითაც, რომელთა დატვირთვა უეჭველად ეროვნული ნიშნითაა აღბეჭდილი . მაგ. ბარნაველების მარნის კედელზე დაკიდებული, აწ უკვე დაჟანგებული ხმალი, განუწყვეტლივ ბრძოლისათვის რომ იწვევდა მეოცნებე სემინარიელს, პაპა აბრამისეული სკივრი თავისი ძველი და ახალი აღქმის წიგნებით, ხელნაწერებით, ჰიმნებითა და საგალობლებით. აქვე ბუნებრივადაა ჩართული იოანე ბოლნელის დაუვიწყარი რიტმული ქადაგებანი, ოთარ ჩხეიძის აზრით, სულიერად რომ ამაღლებდა მომავალი მწერლის შეგნებას:

„შენი არს ცაი და საძირკუელი მისი,
შენი არს მზე და ბრწყინვალებაი მისი,
შენი არს მთოვარე და ნათელი მისი...
შენი არს ქუეყანაი და ნაყოფი მისი...
შენი არს ყოველი, რომელი ჩანს და რომელი იქმნე-

ბის“ ...

საოცარი სიმბოლური სურათია დახატული მეორე თავის დასასრულს. ესაა სემინარიის ინსპექტორის კუვშინსკის ბუხარი, მობურბურე ცეცხლის ენებით, შატბერდული ხელნაწერის გადასარჩენად ცეცხლიან ღადარში ჩაყრილი ხელებით – „... იწვოდა, შიშინებდა ხორცი, მაგრამ მაინც ეძებდა, მაინც უნდა გადაერჩინა“-ო, ავტორი მიგვანიშნებს იმ დიდ საქვეყნო მოვალეობაზე, რომელიც ჭაბუკობაშივე იტვირთა ვასილ ბარნოვმა. ეს ვალი ქვეყნის ისტორიის გადარჩენასა და მის გაგრძელებაში უნდა გამოხატულიყო.

წიგნის პირველსა და მეორე თავებში მოჩანს ჩხეიძის უსაზღვრო სურვილი ნაბიჯ-ნაბიჯ გაეზომა და აეწონა მომავალი მწერლის მიერ გავლილი ყმაწვილური გზა, სავსე ფიქრით, ძიებით, უხილავი სამყაროს შეცნობის დაუოკებელი სწრაფვით. გაბმულ ნარატივში ბუნებრივად თუ გამკრთალა ბარნოვისეული სამწერლო სტილიც: „ახ, ბალიში არ ესროლა რექტორისთვისა! ნანობ?! ჰა, ჰა, ჰა... გახსოვს, არა?! რა დაგავიწყებს!“ (გვ. 13), ამგვარი ფაქტი მიგვანიშნებს, რომ წინაპრის სიდიადის შეცნობასა და გათავისებას უსათუოდ მოსდევს კეთილი ბაძვა. ამ სიყვარულიანმა ბაძვამ შეუძლებელი შეძლო, რაკი დაგვანახა სამყაროს უსასრულობაში დანთქმული ღრმააზროვანი ხედვა წარსულისა, რომელიც მომავლის საფუძვლად მოიაზრება დღესაც.

საგულისხმო მინიშნება მომხვდა თვალში როსტომ ჩხეიძის წიგნის „კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების ქრონიკის“ კითხვისას: „ბარნოვის სახელიც აღარ გაისმოდა, მიბინარებულიყო, ჯერ არ გამოსჩენოდა ღირსეუ-

ლი დამფასებელნი". საკვირველია, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრი მართლაც დუმდა ამ მხრივ. საბედნიეროდ, ოცდამეერთე საუკუნეში ეს აღიარებული ნაკლი გამოსწორდა ოთარ ჩხეიძის შესანიშნავი ბიოგრაფიული რომანით, რომელიც მომავალში არაერთ თაობას გააცნობს ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებლის შთაგონებულ სახეს, მის განცდებს ხილული თუ უხილავი სამყაროს შეცნობის გზაზე.



რეცენზია

ქართული ლიტერატურის მკვლევრებს, მეცნიერებს, ლიტერატურის კრიტიკოსებს, სტუდენტებს და ზოგადად, ყველა მკითხველს, რომელსაც აინტერესებს, აფიქრებს ქართული მწერლობის საფუძვლიანად შესწავლის ბედი და სამომავლო პერსპექტივები, ძალიან საინტერესო კრებულთან შეხვედრა ელის. ლიტერატორმა, მეცნიერმა ნანა რჩეულიშვილმა ერთ წიგნად შეკრა და მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანა წლების განმავლობაში ნაფიქრის, ნაშრომის, ანალიზისა და მხატვრულ სამყაროთა სიღრმეში მოგზაურობის შედეგები.

წიგნში თავმოყრილია მართლაც ძალიან ფასეული, ღრმად და საფუძვლიანად შესწავლილი და გაანალიზებული მასალა. მას საძირკვლად ავტორის ნიჭიერება, ღრმა ერუდიცია, მეცნიერული პასუხისმგებლობა და წერის მაღალი კულტურა უდევს. აღსანიშნავია სტატიათა კარგად გააზრებული ფორმა, რადგან ასეთი ტიპის სამეცნიერო კრებულები, პირველ ყოვლისა, მომავალი მეცნიერების, ლიტერატორების თვალსაწიერში ხვდება, როგორც თვალსაჩინო მაგალითი იმისა, როგორ უნდა მუშაობდეს მეცნიერი ლიტერატურულ წერილზე, გამოკვლევაზე. ასე რომ, დიდი შემეცნებითი, ესთეტიკური ღირებულების გარდა, ამ წიგნს პედაგოგიური კონცეპტიც მიჰყვება მის მომავალ გზაზე.

ნანა რჩეულიშვილის თითოეული წერილი დასრულებული ნაშრომია, რომელსაც აქვს კარგად გააზრებული მწყობრი სტრუქტურა, კვლევის ნათელი მიზანი, ღირებული არგუმენტები მსჯელობისას გამოთქმული შეხედულებების განსამტკიცებლად და დასკვნების გასამყარებლად.

ამავე დროს, მასში ჩანს მწერლობის, ლიტერატურის უზომო სიყვარული და ტექსტის, როგორც ცოცხალი, მფეთქავი ორგანიზმის შეგრძნების ლიტერატორისთვის აუცილებელი უნარი. ლიტერატურათმცოდნეობა მეცნიერების თავისებური დარგია, რომელიც ეხება ადამიანის შემოქმედებითი ინტენსივობის შედეგებს, მისი სულის მოძრაობის სიტყვიერ ხორცშესხმას, ეხება პოეტურ, ნატიფ, მთრთოლავ ცოცხალ სხეულს – ტექსტს – ნერვებისა და გრძნობების ძაფებით გადაქსელილ ქსოვილს და მას მეცნიერისთვის აუცილებელ რკინის ლოგიკასთან ერთად, ამ ქსოვილის თვისობრიობის შესატყვისი ფაქიზი, გრძნობიერი მიდგომაც სჭირდება. ამ თვალსაზრისითაც ნანა რჩეულიშვილის წიგნი ძალიან საინტერესო და სინთეტურია. იგი ტექსტის ანალიზთან ერთად მწერლის სამყაროს თანაგანმცდელადაც ევლინება მკითხველს და მეგზურობას უწევს მას შემოქმედის გრძნობიერ ველში.

პოეტური ტექსტის შეგრძნებისა და ანალიტიკუროობის შერწყმით გამოირჩევა წერილები კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ რობაქიძის პოეტური სახისმეტყველების შესახებ. საყურადღებოა წერილი, რომელიც ქრონოტოპის თეორიის მეშვეობით იკვლევს გიორგი შატბერაშვილის ტექსტს. იგი სცილდება მხოლოდ ამ მოდელის ფარგლებს და მთლიან სურათს ქმნის. „დროის ქრონოტოპი გიორგი შატბერაშვილის მოთხრობაში „მკვდრის მზე“ ალბათ საუკეთესო ნიმუშია სხვადასხვა თეორიული სტრუქტურების მხატვრული ქსოვილის ანალიზის გამოყენებისა, როცა ყველა მოდელი თუ სისტემა მწერლის მხატვრული კონცეფციის სრულად გამოსაკვეთად გამოიყენება და არა თვითმიზნურად, რაიმე კონსტრუქციის ჩარჩოში ხელოვნურად მოსაქცევად. ვფიქრობ, ძალიან

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი გამოცდილებაა ამ წერილში წარმოდგენილი.

ლიტერატურული პორტრეტი ზოგადად ძალიან კარგი, მრავლისმომცველი ფორმაა და მწერლის სახეს რაფინირებულად, კრისტალიზებულად წარმოაჩენს. წერილში „გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის“ ნანა რჩეულიშვილი ზუსტი აქცენტებითა და რაც მთავარია, განსაკუთრებული შინაგანი სისავსით ქმნის მწერლის საკუთარი რაკურსით დანახულ, ბოლომდე შეგრძნებულ და გააზრებულ პორტრეტს. ვფიქრობ, ეს გურამ რჩეულიშვილზე დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო წერილია თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში. ასეთივე ღრმა და პოეტური სულით გამსჭვალული პორტრეტული სახე იქმნება წერილში „თვით დასასრულში დგას დასაწყისიც“ (გოდერძი ჩოხელის პოეტური „აღსარება“)

ძალიან საინტერესო და მრავლისმთქმელია წერილები ვასილ ბარნოვის, ოთარ ჩხეიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, მუხრან მაჭავარიანის მხატვრული სამყაროების, შემოქმედებითი სივრცეების, სახეების, კონცეფციებისა და ტენდე0“ 2126ციების შესახებ. მკვლევარი ძველი ქართული ლიტერატურის სამყაროშიც ბუნებრივად გრძნობს თავს, რასაც ადასტურებს აბუსერისძე ტბელისადმი მიძღვნილი წერილი. ცალკე მინდა გამოვყო წერილი შიო არაგვისპირელზე, ვინაიდან ამ მწერალს ისევ სჭირდება სათანადო შესწავლა-შეფასება და ნანა რჩეულიშვილის წერილი ამ მხრივ ძალიან საინტერესოა. ასევე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შესანიშნავი წერილები ზაირა არსენიშვილის რომანზე „ვა, სოფელო“ („მაზიარე უმთავრეს მცნებას...“) და გზადაგზა„... მოდის დიდი ილია“ („ილიას მოტივი“ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში)

ცალკე უნდა აღინიშნოს მეცნიერის ტექსტოლოგიური კვლევები. როგორი დაკვირვებული, დეტალების მიმართ საოცრად ფაქიზი მკვლევარია ნანა რჩეულიშვილი, გვიჩვენებს წერილი, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაზეა საუბარი. ზოგადად, ამ ტიპის წერილებში კარგად გამოჩნდა პასუხისმგებლობით აღსავსე და დოკუმენტური მასალისადმი ყურადღებიანი, ფრთხილი დამოკიდებულების მქონე მეცნიერის, მკვლევარის სახე მკვლევრის ინტერესთა სფერო და თვალსაწიერი ძალიან ფართოა. ის ბევრ მნიშვნელოვან თემას, საკითხს, ლიტერატურულ მოვლენას წარმოაჩენს. საყურადღებოა გალაკტიონის ლექსების ეპიგრაფების კვლევის შედეგები, ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცისფერყანწელთა მითოლოგიისა და ვალერიან გაფრინდაშვილის ესეს შესახებ წერილები. მართალია, ეს თემები საფუძვლიანადაა შესწავლილი, მაგრამ ნანა რჩეულიშვილი თავის საკუთარ ფერს მატებს ქართული მწერლობის ამ გამორჩეულ ტილოსაც.

ამ წიგნში ერთმანეთს ენაცვლება რომანტიკოსთა ნატიფი, გრძნობიერი სამყარო და მეოცე საუკუნის მწერალთა ძიებებით, მგზნებარე განცდებით, პოვნისა და დაკარგვის ტრაგიზმით აღბეჭდილი მხატვრული სივრცეები. ამ სახეთა და განცდათა გამჭვირვალე საბურველის მიღმიდან კი ირეკლება „ვეფხისტყაოსნის“ მძლავრი სამყარო და ნანა რჩეულიშვილის წიგნში ქართული ლიტერატურა წარმოსდგება, რეზი თვარაძის გამონათქვამის თანახმად, როგორც „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“. ქართველ მკითხველს, პროფესიონალებს და ლიტერატურის მოყვარულებს კი ელოდებათ ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრა ნანა რჩეულიშვილის წიგნთან –

მეცნიერის გონისა და შრომის, ლიტერატორის გულისა და სულის მოძრაობის ძალიან კარგ შედეგთან, რომელიც დაეხმარება ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანებს მრავალი საკითხის უკეთ გაგებასა და გააზრებაშია.

ინგა მილორავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



რეცენზია

წიგნი წარმოადგენს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ნანა რჩეულიშვილის სამეცნიერო შრომათა კრებულს. მასში განხილულია სხვადასხვა ეპოქის ქართველ მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული არაერთი საყურადღებო საკითხი.

კრებული წარმოდგენილია ოთხ კარედად.

ციკლში „კლასიკოსთა გაკვეთილების კვალდაკვალ“ თავმოყრილია სამეცნიერო შრომები ოთარ ჩხეიძის, როგორც სახეთმეტყველების მეტად ორიგინალური მწერლის შესახებ, კონსტანტინე გამსახურდიას პოეტური სამყაროს იდუმალ ინტიმსა და რიტმისა და რითმის საოცარ სიმდიდრეზე, ნიკო ლორთქიფანიძეზე, როგორც ადამიანის სულის ფასეულობათა ძიების შესანიშნავ ოსტატზე, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში მზის მისტერიაზე, ლევან გოთუას მაღალი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების მქონე ლირიკაზე, მუხრან მაჭავარიანის პოეტურ სიტყვაზე, შიო არაგვისპირელის ნოველისტიკაზე, იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურულ გამოკვლევებსა და გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზეში“ დროის ფილოსოფიურ განსჯაზე.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებით პორტრეტთან დაკავშირებული სამეცნიერო გამოკვლევები, რომელსაც ეთმობა კრებულის მეორე ნაწილი, მწერალს წარმოგვიდგენს ნათელი იდეალებისაკენ მსრბოლავ, „ახალ სივრცეებთან შეხვედრისათვის“ ჟინმორეულ, უჩვეულო და არაორდინალური ლიტერატურული შეხედულებების

მქონე შემოქმედად.

კრებულის მესამე ნაწილი – „ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობიდან," მოიცავს ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და სოლომონ დოდაშვილის პირადი წერილების შესახებ მეტად საინტერესო კვლევებს, რაც აღნიშნულ მოღვაწეთა ცხოვრების გზისა და თანადროული ეპოქალური პრობლემების ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა.

ციკლში „გზადაგზა" წარმოდგენილია საინტერესო მიგნებები ქართული მწერლობის სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენელთა, კერძოდ, ტბელ აბუსერიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ვასილ ბარნოვის, გიორგი ლეონიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, გოდერძი ჩოხელისა და ზაირა არსენიშვილის ლიტერატურული ნაღვაწის ირგვლივ.

ვფიქრობთ, ნანა რჩეულიშვილის სამეცნიერო შრომათა კრებული საინტერესო გზამკვლევი იქნება უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი მიმართულების სტუდენტებისათვის, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართათვის, ზოგადად, ქართული მწერლობით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ნინო კოჭლოშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სარჩევი

კლასიკოსთა გაკვეთილების კვალდაკვალ **5**
„იდუმალ კოშკში ფანტაზია დავსვი დედოფლად...“ 6
(კონსტანტინე გამსახურდიას პოეზიის შესახებ) 6
გრიგოლ რობაქიძის პოეტური სახისმეტყველება. მზის მისტერია 10
... უამმა კალამი დამიტუსაღა... 15
(ლევან გოთუას ლირიკული პორტრეტი) 15
ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონის“ სახისმეტყველებითი
ანალიზისათვის 21
შიო არაგვისპირელი და ქართული მწერლობის ტრადიციული
პრობლემები 26
სახე-ხასიათები ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდებში“ 33
„მისი სახელი იყო იოსებ...“ 43
პოეტის სახე მეცნიერის მემუარებში 43
მუხრან მაჭავარიანის პოეტური სახისმეტყველების
ერთი ნიმუშის 46
გაგებისათვის 46
დროის ქრონოტოპი გიორგი შატბერაშვილის
მოთხრობაში „მკვდრის მზე“ 52

ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობიდან **59**
უცნობი ავტოგრაფიული მინაწერები პირად წერილებზე 67
გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების ადრესატი ქალები 72
სოლომონ დოდაშვილის სამი პირადი წერილის ირგვლივ 83
დამატებითი ცნობები გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებში
მოხსენიებულ პირთა შესახებ **(ნანა რჩეულიშვილი,
მარიამ ნინიძე)** 90
გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების
დათარიღების საკითხი **(ნანა რჩეულიშვილი, მარიამ ნინიძე)** 101
შამილის ქართველი ტყვე ქალები გრიგოლ ორბელიანის
პირად წერილებში 107
გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების
ესთეტიკურ-მხატვრული დისკურსი 116
გრიგოლ ორბელიანის ერთი ადრესატი ქალის
ვინაობის შესახებ 125

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის 134

გზადაგზა 171
„... მოდის დიდი ილია“ 171
(„ილიას მოქივი“ გალაკტიონ ქაბუჩიძის პოეზიაში) 171
„თვით დასასრულში დგას დასაწყისი“ 178
(გოდერძი ჩოხელის პოეტური „აღსარება“) 178
„ვნებათა მღვიმით აღმომყვანი“ 186
(ანუსერისძე ტბელის „გალობანის“ პოეტური შტრიხები) 186
„მაზიარე უმთავრეს მცნებას...“ 192
(ფიქრები ერთი რომანის ირგვლივ) 192
გიორგი ლეონიძე — სილამაზის ტრფიალი 196
ვალერიან გაფრინდაშვილის ესსე „დავით გურამიშვილი,
პარალელები“ 201
შემოდგომის მენესტრელი 206
პოლეს პარადიგმული სახეები ქართულსა და უცხოურ
ლიტერატურაში 211
ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი პოეტური ხერხის შესახებ 220
ეპიგრაფები „ვეფხისტყაოსნიდან“ გალაკტიონის ლექსებისთვის . 230
ვაჟა-ფშაველას ლირიკული „აღსარებანი“ 243
იოსებ გრიშაშვილი და ქართული შექსპირიანა 251
„ცისფერყანწელთა“ ახალი მითოლოგია 257
„წიგნს ნაფიქრი დავარქვი...“ 266
(გიორგი მაჭუბერაშვილის სამეცნიერო–ლიტერატურული
ნერილები) 266
რომანტიკოსის „მწარე ოცნება“ და მკაცრი სინამდვილე 272
რომანტიკული პოეზიის ერთი ესთეტიკური
ასპექტის შესახებ 281
მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას ახსოვს
გენიოსი ადამიანების სახელები... 281
„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა
წერილების სახისმეტყველება 292
გზა უხილავის შეცნობისაკენ 304
რეცენზია 312
რეცენზია 317